

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და
სარედაქციო-საგამომცემლო საქმე

ხუცურაული ნათია

გიორგი წერეთლის სარედაქციო პოლიტიკა გაზეთ „დროებაში“

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები ნანა ფრუიძე,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
მაკა ელბაქიძე,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities

Masters program **Literary Studies, Textology and Publishing**

Khutsurauli Natia

Editorial policy of George Tsereteli in the newspaper „Droeba”

The work is done to obtain the Degree of Master of Arts in Philology

The heads of the work Nana Pruidze

Doctor of Philology, TSU Associate Professor,

Maka Elbakidze,

Doctor of Philology, TSU Associate Professor

Tbilisi

ანოტაცია

გაზეთმა „დროება“, რომელიც 1866-1885 წლებში გამოდიოდა, XIX ს.-ის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა. იგი ჩვენში პირველ ევროპული ტიპის გამოცემადაა აღიარებული.

არსებობის მანძილზე „დროება“ რამდენიმე რედაქტორი გამოიყვალა, თუმცა ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს გაზეთის პირველი რედაქტორი, გიორგი წერეთელი იწვევს, რომელმაც განსაზღვრა როგორც გაზეთის მიმართულება და ხასიათი, ისე - მისი სტრუქტურა.

არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, რომელთა ავტორები ქართული ჟურნალისტიკის განვითარების კონტექსტში განიხილავენ გაზეთ „დროებას“ და მსჯელობენ მისი რედაქტორებისა და, კერძოდ, გიორგი წერეთლის შესახებ, მაგრამ ცალკე შესწავლის საგანი მისი სარედაქციო პოლიტიკა არ გამხდარა.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამებოდა გაზეთი ევროპულ სტანდარტს და რით განსხვავდებოდა ის „დროების“ წინამორბედი გამოცემებისაგან.

ჩვენ შევისწავლეთ „დროების“ 1866 წლის 4(16) მარტიდან 1869 წლის 10 (22) აპრილამდე გამოსული ყველა ნომერი; დავაკვირდით, როგორია გაზეთის სტრუქტურა და ფინანსური პოლიტიკა გიორგი წერეთლის რედაქტორობის პერიოდში; რა დამოკიდებულება აქვს გიორგი წერეთელს როგორც რედაქტორს მხატვრული ლიტერატურის მიმართ, რომელი ავტორების რომელი ტექსტები იბეჭდება „დროებაში“;

რითაა განპირობებული რედაქტორის არჩევანი და ა. შ. შევქმენით ე.წ. სიხშირის ცხრილი და დიაგრამები, რომელთა ანალიზმა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

Annotation

The newspaper „Droeba", which was published in 1866-1885, left the indelible mark on the Georgian life of the second half of XIX c. It is recognized as the first European edition.

Several editors have been replaced by „Droeba". Our special interest is the first editor of the newspaper, George Tsereteli, who defined the direction and character of the newspaper as well as its structure.

There are some fundamental works that the authors of the Georgian Journalism discuss in the context of the development of the newspaper „Droeba" and its editors and, in particular, George Tsereteli. His editorial policy has not been the subject of the study before.

The goal of our Master's Thesis is to find out how the paper corresponds to the European standard and what is the difference from the previous editions.

We mastered all the numbers from March 4 (16) of 1866 to 10 (22) April 1869; We looked at the structure and financial policy of the newspaper during the period of George Tsereteli. What is the attitude of George Tsereteli as the editor to the literature, who are authors of published texts, the editor's choice and so on. We have created Frequency charts and diagrams, which gave us an opportunity to make some conclusions.

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 6 |
| I თავი: ქართული პრესა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე..... | 9 |
| 1.1. ქვეყანაში შექმნილი ვითარება..... | 9 |
| 1.2. არსებული პერიოდული გამოცემები..... | 15 |
| II თავი: გაზეთი „დროება“ | 23 |
| 2.1. იდეის ავტორი და გამოცემის წინაპრობები..... | 23 |
| 2.2. გამოცემის ფორმატი (გაზეთი თუ ჟურნალი)?..... | 26 |
| 2.3. რედაქტორი და თანამშრომლები..... | 29 |
| 2.4. სტამბა და გამომცემელი..... | 31 |
| 2.5. გაზეთის ფინანსური პოლიტიკა..... | 36 |
| III თავი: გიორგი წერეთელი..... | 38 |
| 3.1. გიორგი წერეთელი როგორც საზოგადო მოღვაწე..... | 38 |
| 3.2. გიორგი წერეთელი-„დროების“ ერთ-ერთი ავტორი..... | 48 |
| 3.3. ხელნაწერზე მუშაობის გიორგი წერეთლისეული პრინციპები..... | 50 |

| | |
|---|----|
| 3.4. „დროების“ დატოვების მიზეზები..... | 56 |
| IV თავი: სალიტერატურო ნაწილი „დროებაში“ | 59 |
| 4.1. პროზა..... | 59 |
| 4.2. პროზაული თარგმანი..... | 60 |
| 4.3. პოეზია..... | 61 |
| 4.4. პოეტური თარგმანი..... | 65 |
| V თავი: პოლიტიკური მოვლენები „დროებაში“ | 68 |
| 5.1. პოლიტიკა..... | 68 |
| 5.2. ტელეგრამები..... | 69 |
| VI თავი: სოციალური საკითხები გაზეთ „დროებაში“ | 72 |
| VII თავი: „დროების“ ე. წ. კომერციული ბლოკი..... | 74 |
| VIII თავი: ნეკროლოგები „დროებაში“ | 79 |
| IX თავი: ცენზურა გაზეთ „დროებაში“ | 81 |
| X თავი: მოგონებები..... | 84 |
| დასკვნა..... | 86 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 88 |
| დანართები..... | 93 |

შესავალი

მოსახლეობის გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში განუზომელია პერიოდული პრესის როლი. მან ხალხს მომავლის რწმენასთან ერთად, ლიტერატურული გემოვნება უნდა ჩამოეყალიბოს, მათ აზროვნებას სწორი მიმართულება მისცეს, რეალობა დაანახოს და მანკიერი მხარეების გამოსწორებისკენ მიუთითოს.

ქართული პერიოდული პრესის ისტორია XIX საუკუნის ოციანი წლებიდან იწყება, როდესაც 1819 წელს დაიბეჭდა საქართველოში პირველი ქართულენოვანი გამოცემა „საქართველოს გაზეთი“. 40-იან წლებამდე გამოსული პერიოდული ორგანოები არ იყო მებრძოლი ხასიათის, რადგან ძირითადად მეფის ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა. გამონაკლისია „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წელი), რომელიც მანაც ახერხებდა თავისუფალი აზრის გავრცელებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჟურნალ-გაზეთებს კერძო პირები აარსებდნენ და აფინანსებდნენ. იმ დროს ქართულ სივრცეში გაზეთის გამოცემა ბიზნესი არასდროს ყოფილა. ხშირად ჰქონდათ ისეთი ფინანსური პრობლემები, რომელიც არა მარტო გამოცემის დახურვას, არამედ გამომცემლის გაკოტრებასაც იწვევდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში თერგდალეულთა ერთმა ჯგუფმა (ნიკოლოზ ლოლობერიძე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, სტეფანე მელიქიშვილი) გაზეთის გამოცემა გადაწყვიტეს, რადგან მასობრივ მკითხველზე ორიენტირებული პერიოდული ორგანო უფრო კარგად გავრცედა საზოგადოებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებში. ეს იყო სწორედ გამოცემის მთავარი მიზანი. მათ გიორგი წერეთლის რედაქტორობით 1866 წელს გამოსცეს პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „დროება“ რომელიც 1885 წლის ჩათვლით გამოდიოდა და აღიარებულია, როგორც პირველი ევროპული ტიპის გამოცემა საქართველოში.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამებოდა გაზეთი ევროპულ სტანდარტს და რით განსხვავდებოდა ის „დროების“ წინამორბედი გამოცემებისაგან. რასაკვირველია, პერიოდული გამოცემის „სახეს“ მისი რედაქტორი ქმნის.

გიორგი წერეთლის, როგორც რედაქტორის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია საგაზეთო რუბრიკების შესწავლა. ბუნებრივია, ყველა ნომერი ერთნაირი არ არის, მაგრამ გვხვდება რამდენიმე მუდმივი რუბრიკა: მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, სალიტერატურო ნაწილი, ე. წ. კომერციული ბლოკი და ნარევი (ნეკროლოგები, განცხადებები და სხვ.). ჩვენი კვლევა მოიცავს გიორგი წერეთლის რედაქტორობის მთელ პერიოდს - 1866 წლის 4(16) მარტიდან 1869 წლის 10 (22) აპრილამდე.

გიორგი წერეთლის სარედაქციო პოლიტიკის შესწავლის მიზნით დაწერილი მონოგრაფია არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა ავტორის ნაშრომში (კალანდაძე, ალ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, V, 1987; ჭილაია, ა., გიორგი წერეთელი, 1967; ხუნდაძე, ს., გიორგი წერეთელი, ტ. I, 1931) ბევრი საინტერესო დაკვირვებაა მოცემული გაზეთ „დროების“, მისი რედაქტორისა და გამომცემლების შესახებ.

ნაშრომი მოიცავს ათ თავს. მათში თანმიმდევრულად განვიხილავთ ქვეყანაში ბატონყმობის გაუქმების შემდგომ შექმნილი მდგომარეობის სპეციფიკას, რადგან გაზეთში ინტენსიურად ქვეყნდებოდა მასალები გლეხთა მდგომარეობის შესახებ. ასევე, მიმოვიხილავთ „დროების“ წინამორბედ ქართულ პრესას, რადგან პირველ რიგში სწორედ მათ გამოცდილებას დაეყრდნო გიორგი წერეთელი.

ცალკე განვიხილეთ რედაქციისა და ცენზურის დამოკიდებულების საკითხი. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, ვინ იყვნენ „დროების“ დამაარსებლები და ამიტომაც გამოცემა ცენზურის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა. რედაქტორი მოქნილი პოლიტიკის წყალობით მაინც ახერხებდა გაზეთს არ დაეკარგა საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქცია და ცდილობდა ისეთი უცხო ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური თუ

ლიტერატურული მასალა გამოექვეყნებინა, რომელთა გააზრება ქართველ საზოგადოებასაც წაადგებოდა.

გიორგი წერეთლის, როგორც რედაქტორის საქმიანობა „დროებაში“ გამოირჩევა ისეთი სარედაქციო პოლიტიკის გატარებით, რომელმაც გაზეთი ნამდვილად ჩამოაყალიბა პირველი ევროპული ტიპის გამოცემად, რომელიც აქტიურად ეხმიანებოდა იმდროინდელ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ მოვლენებს.

I თავი: ქართული პრესა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე

1.1. ქვეყანაში შექმნილი ვითარება

XIX საუკუნის 50-60-იანი წლების ეპოქა სამმა დიდმა მოვლენამ შექმნა. ეს იყო ეკონომიური კრიზისი ნატურალური მეურნეობის დაკნინებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების ფონზე; არსებული წოდებრივ-საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევა და ახალი სოციალური ფენების გაერთიანების დასაწყისი; რუსული პროგრესულ-დემოკრატიული და რევოლუციური აზროვნების გავლენა ჩვენს ინტელიგენციაზე.

1801 წლის აქტით რუსეთის თვითმპყრობელობამ ამიერკავკასია პოლიტიკურად, ეკონომიკურად დაიპყრო და თავის კოლონიად გადააქცია. თავიდან რუსეთის სავაჭრო კაპიტალი უხეში ფორმებით შემოიჭრა ამიერკავკასიის ცხოვრებაში და პირველადი კაპიტალისტური დაგროვების სარბიელად აქცია.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება იწვევს ძველი წყობილების რღვევის პროცესს. მართლაც, რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით განვითარებულმა ახალმა ეკონომიურმა ფაქტორებმა ჩვენში გამოიწვია, ერთი მხრივ, ნატურალური მეურნეობის და ბატონყმური წყობილების რღვევის პროცესი და, მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა გამძაფრება, რის შედეგადაც მემამულეთა და გლეხთა შორის ურთიერთობა დაიძაბა. ასეთმა ვითარებამ კი ახალი სოციალური ფენების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების (1864-1871 წლები) ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მიზეზი რუსეთის სამრეწველო კაპიტალის ინტერესებიდან მომდინარეობს. ეს კაპიტალი ვეღარ ეგუებოდა ბატონყმური წყობილების ფორმებს თავის კოლონიებში. ახალ

საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა ბატონყმური წყობილების მოსპობასა და კაპიტალისტების თავისუფალი სარბიელის შექმნას ითხოვდა. ამრიგად, ნატურალურ-ბატონყმურ წყობილების დარღვევა ეკონომიურად აუცილებელი ხდებოდა ჩვენთანაც.

ამ ეკონომიურ-სოციალური ხასიათის ცვლილებებს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა იდეოლოგიის სფეროშიც. 50-იან და 60-იან წლებში ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ნათლად გრძნობენ, რომ საქართველოში ცვლილებების ეპოქა დაიწყო.

ამის შედეგი იყო ის მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იანი წლების საქართველოში. საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებაზე დიდი გავლენა მოახდინა 60-იანი წლების რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ. ჩვენი ახალთაობის ინტელიგენცია აღიზარდა რუსეთის იდეოლოგიური მოძრაობის ზეგავლენით. ამ ინტელიგენციამ გადმოიტანა ჩვენში რუსეთის პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი. ამრიგად, რუსეთის ინტელიგენციის დახმარებით ჩვენმა ინტელიგენციამ შეძლო ახალ პირობებში ახალი იდეოლოგიის გამომუშავება.

60-70-იან წლებში ქართულ ინტელიგენციაში ოთხი უმთავრესი მიმდინარეობა აღინიშნება: 1. კონსერვატიული - არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობის დამცველი და თავადაზნაურთა წოდების დიდი უმეტესობის მისწრაფებათა გამომხატველი. რეფორმის დასაწყისში ეს მიმდინარეობა მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ეს შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ მან წამოაყენა გლეხების ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანის პროექტი. ამ კონსერვატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და ჟურნალი „ცისკარი“. 2. თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა მაღალი წრეების მცირე ჯგუფის პროგრესულ მისწრაფებას. ეს ჯგუფი მიხვდა, რომ ბატონყმობა უნდა გაუქმებულიყო. ფიქრობდა, რომ ევროპული ცხოვრების ახალი ვითარება უნდა დაემყარებინა საქართველოს მაშინდელ ნიადაგზე, მაგრამ იგი არ სცილდებოდა თავის

წოდებრივ თვალსაზრისს. ცდილობდა თავადაზნაურული წოდება შეეგუებინა ახალი ეკონომიკური ვითარებისათვის. 3. ლიბერალური და რადიკალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ებრძოდა რა ბატონყმურ წყობილებას, გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამ მიმდინარეობის ტრიბუნა იყო ჯერ „საქართველოს მოამბე“, შემდეგ - გაზ. „დროება“. 4. ნაროდნიკულ-სოციალისტური მიმდინარეობა, რომელმაც 60-იან წლებში შეითვისა რუსეთის რადიკალური აზროვნება და ნაროდნიკული სოციალიზმის საფუძვლები. 60-იან წლებში ჩვენში ამ იდეის შემომტანნი იყვნენ ანტ. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ. (ს. ხუნდაძე 1931).

გაზეთი „დროება“ დაინტერესებული იყო ქართველი გლეხის ეკონომიკური მდგომარეობით; ცდილობდა დახმარებოდა მას და გამოსავალი ეპოვა შექმნილი მძიმე ვითარებიდან.

გამოცემის რედაქტორი გიორგი წერეთელი ვითარების გათვალისწინებით,

პროლეტარიატის დასაწყისის ნიშნებს ხედავდა: „.....საკმაოა რამდენიმე სიტყვა, რომ ჩვენის ხალხის ახლანდელი მდგომარეობა გამოვხატოთ. ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ეს წესი თუ არ შეიცვალა, დიდს ვნებას მისცემს ყველას. ხალხს გააღარიბებს. ახლავე ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზედა ვდგევართ, და რამდენისამე დროს შემდეგ უეჭველათ პროლეტარიატში ჩავცვივით“ [გ. წერეთელი 1866:1].

ვასილ პეტრიაშვილი (ფსევდ. ბ. პ.-შვილი) კი იმედს ამხანაგობის შექმნაში ამყარებდა. „.....ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ფართო კოლექტიური მეურნეობის განვითარება, ამხანაგობათა და კოოპერატივების დაარსება სოფლად. გაზეთი სწერს: “ჩვენში უნდა შესდგეს ამხანაგობა, კოოპერაცია, ანუ საზოგადოთ ვსთქვათ, ასოციაცია სოფლის მეურნეობაში მაინც.....მამული ისევ საკუთრებათ დარჩეს პატრონისა, მხოლოდ ეს კია რომ ერთათ შეერთდება და ერთათ მომუშავედება, მოსავალიც მამულის და შრომის დაგვარად გაიყოფა ერთმანეთში“ [ბ. პ.-შვილი 1867:1-2].

50-იანი წლებიდან ქართველმა ახალგაზრდებმა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზობერიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.) რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურეს. იმ პერიოდში პეტერბურგის უნივერსიტეტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ იმპერიაში.

ახალგაზრდები სასწავლებლად ძირითადად საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრებოდნენ და მქუხარე თერგის ხეობა უნდა გაევილიათ. იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განათლებაშიღებულ ახალგაზრდებთან კონსერვატორულად განწყობილი არისტოკრატია საერთოს ვერაფერს ნახულობდა, ირონიულად მათ თერგდალეულებსა და რუსეთუმეებს უწოდებდა, თუმცა ისტორიამ „თერგდალეულთა“ სახელი მხოლოდ მათ დაუმკვიდრა, რომლებმაც ჭეშმარიტად გაიზიარეს და შეითვისეს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეები.

„თერგდალეულთა“ ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოვიდა. მათი როგორც მწერლების, პუბლიცისტების, კრიტიკოსებისა და, ზოგადად, მოღვაწეების ჩამოყალიბება, ძირითადად სტუდენტობის პერიოდში მოხდა.

1857-1863 წლებში, როდესაც ისინი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა როგორც რუსეთის, ასევე - საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ეს ის პერიოდია, როცა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა გააერთიანა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და აშკარად გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა ბანაკიც, რომელიც იტულებული გახდა მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო და გადაესინჯა თავისი პოლიტიკა. გლეხთა აჯანყებებითა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელების მაშტაბით შეშინებულმა მეფის მთავრობამ ბატონყმური ურთიერთობის „გემოდან“ მოსპობა გადაწყვიტა.

„თერგდალეულთა“ შეხედულებების პროგრესულობა განისაზღვრებოდა იმით, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებასთან.

იმისათვის, რომ ჩვენს სინამდვილეში შესაფერი ძვრები მოეხდინათ, საჭირო იყო, ჰქონოდათ ინფორმაცია თავიანთი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებების შესახებ. მათ მტკიცედ გადანწყვიტეს, მთელი თავიანთი ცოდნა და ენერჯია სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოეხმარათ. „თერგდალეულთა“ იდეური წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე იყო.

1861 წლის შემოდგომაზე რევოლუციურად განწყობილმა პეტერბურგის მოწინავე სტუდენტობამ მეფის მთავრობის წინააღმდეგ ფართო დემონსტრაცია მოაწყო. მეფის პოლიციამ სასტიკ ზომებს მიმართა და მოწინააღმდეგეები დააპატიმრეს. დემონსტრანტებს შორის ქართველი სტუდენტებიც იყვნენ (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.), რომლებიც პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეებში იმყოფებოდნენ (ა. ჭილაია 1967).

ამ მოვლენამ ალბათ ყველას ნათლად დაანახვა, რომ ქართველი სტუდენტები, რომლებმაც უცხო მხარეში გააპროტესტეს უსამართლობა და გვერდით დაუდგნენ მეგობრებს, თავიანთი ქვეყანაშიც იბრძოლებდნენ სამართლიანობისთვის.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულ განათლებას, დემონსტრაციაში მონაწილეობასა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გაზიარებას, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია და „თერგდალეულებმა“ მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი მიზანი: იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა და მისთვის ახალი მიმართულების მიცემა (დ. გამეზარდაშვილი 1974).

XIX საუკუნის 60-იანი წლები ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ დროიდან არა მარტო იდეური გარდატეხა მოხდა ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში, არამედ მხატვრული სიტყვა აღორძინდა და ჯანსაღი აზრი ხელოვნების მაღალ ფორმაში გამოვლინდა.

ხელოვნებამ და მეცნიერებამ მიზნად ხალხის სამსახური დაისახეს. ახლებურად გადაფასდა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე, თერგდალეულებს ახლებურად რომ არ დაეყენებინათ საკითხი.

უნდა ითქვას ისიც, რომ მათ თავიანთი შემოქმედებით არა მხოლოდ აამაღლეს ქართული მხატვრული სიტყვის კულტურა, არამედ მთელი ქართული მრავალსაუკუნოვანი ეროვნული საგანძური ხალხის სამსახურში ჩააყენეს.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა ქართულ სიტყვას დიდი ძალა და მიმზიდველობა მისცეს. მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად მათი ინტერესის სფეროში მოექცა ფილოსოფია, ისტორია, ესთეტიკა, არქეოლოგია, ბუნებისმეტყველება, ასტრონომია და სხვა.

„თერგდალეულთა“ ბრძოლა უფრო ლიტერატურულ-იდეური ხასიათის იყო. ისინი მხატვრულ სახეებსა და ალეგორიებში გამოხატავდნენ მებრძოლ იდეებს და ასე იცავდნენ თავს ცენზურისგან.

„თერგდალეულების“ გამოჩენა ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული, როდესაც 1861 წელს „ცისკარში“¹ დაიბეჭდა მისი პირველი საპოლემიკო სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის მიერ-კოზლოვიდამ „შეშლილის“ თარგმანზედა“.²

ავტორი წერილში აყალიბებს დებულებებს ენისა და ხელოვნების შესახებ. მიიჩნევს, რომ სალიტერატურო ენა ხალხურ მეტყველებას უნდა ეფუძნებოდეს. ენის ღირსება მისი ხალხურობაა; ენა და აზროვნება თანასწორი კომპონენტებია და ერთმანეთის გარეშე არ არსებობს; ენა ვითარდება და იცვლება საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობასთან

¹ იხ. ქვეთავი: არსებული პერიოდული გამოცემები.

² ჟურნალი „ცისკარი“, 1861, №4, გვ. 557-594

ერთად; ერის ღირსება ენის ღირსებით განისაზღვრება; ხელოვნება მაშინ ასრულებს თავის მოვალეობას, როცა ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს გამოხატავს.

ილიამ ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებები პირველად „საქართველოს მოამბის“³ თურცლებზე გამოაქვეყნა: „გლახის ნამბობი“ (ნაწილი), „კაცია-ადამიანი?!“, „მუშა“, „გუთნის დედა“, „აჩრდილი“ (ნაწილი) და „კაკო ყაჩაღი“ (ნაწილი).

ზემოხსენებული გამოცემის მნიშვნელობაზე მიუთითებს მეცნიერი მიხეილ ზანდუკელიც: *„თერგდალეულთა მოღვაწეობის განვითარების პროცესში კულმინაციურ საფეხურს „საქართველოს მოამბეში“ ვხედავთ. აქ თერგდალეულნი საკმარისად მძლავრნი და საერთო მოქმედების პოზიციაზე მთლიანი ფრონტის მოქმედნი არიან. მათ ამ პერიოდში კარგად აქვთ გათვალისწინებული მოქმედების საგანი, ისინი საკმარისად მძლავრად ამუღავნებენ ძველისადმი შეურიგებელ და გამკილავე სულიერ განწყობილებას და თითქოს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც სადავეს ართმევენ. ამიტომ „საქართველოს მოამბე“ და მისი ხმა ერთი უდიდესი და უძლიერესი მნიშვნელობის მომენტია ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების გრეხილში და კერძოდ თერგდალეულთა ცხოვრება-მოღვაწეობაში“ [მ. ზანდუკელი 1939:219].*

ეს იყო პირველი მძლავრი შეტევა სისტემის წინააღმდეგ. „ანწყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“- ეს დებულება ილიას სამოქმედო დევიზი იყო.

„თერგდალეულებმა“ მეფეებისა და რაინდების გვერდით ქვეყნის ბედზე მზრუნველად უბრალო ხალხიც წარმოადგინეს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. მართალია, ამ ნაწარმოებების მთავარი მოქმედი გმირები მეფეები არიან, მაგრამ მათ გვერდით მწერლებმა მშრომელი ხალხის უკვდავი სახეებიც დახატეს მოხუცი გლეხისა და ბრმა გელას სახით (ვ. მეძველია 1959).

³ იხ. ქვეთავი: არსებული პერიოდული გამოცემები

„თერგდალეულები“ დაუღალავად შრომობდნენ ქართველი საზოგადოების განვითარებისათვის: აწყობდნენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, აყალიბებდნენ ქართული წიგნის მბეჭდავ და გამავრცელებელ ჯგუფებს, მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებსა და დისკუსიებს (ქართული ლიტერატურის ისტორია 1974).

რუსეთში განათლებამიღებული ქართველი ახალგაზრდების აზრით, საზოგადოებრივი აზროვნების შესაცვლელი, განსავითარებელი იარაღი სიტყვა, სიტყვის გასავრცელებელი საშუალება კი - პრესა იყო.

1.2. არსებული პერიოდული გამოცემები

პერიოდული გამოცემების თუნქცია საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის ასახვა იყო. ისინი მკითხველებს აწვდიდნენ ინფორმაციას და ხელს უწყობდნენ, რომ გარკვეულიყვნენ ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებში.

პირველი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია ქართული გაზეთის გამოცემის აუცილებლობაზე, არის იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს შედგენილი ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი - ე. წ. - „სჯულდება“. იგი ბეჭდვით სიტყვას, როგორც სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ ძირითად იარაღს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

პირველი ქართული გაზეთის აღმოცენებისას რუსეთის მთარველობის ქვეშ საქართველოს გაერთიანების პროცესი უკვე დამთავრებული იყო. მეფის თვითმპყრობელობამ თანდათან განიმტკიცა პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში, სადაც კოლონიური რეჟიმი დაამყარა.

1819 წლის 8 მარტს დაიბადა პირველი ყოველკვირეული პერიოდული გამოცემა მთელ კავკასიაში „საქართველოს გაზეთი“ („Грузинская Газета“), რომელსაც 1820 წლის მეორე ნახევრიდან „ქართული გაზეთი“ ეწოდა. გაზეთის გამომცემელი იყო კავკასიის კორპუსის

შტაბთან არსებული ჯგუფი, რომელიც ქართულის არმცოდნე მეფის არმიის მაღალი თანამდებობის პირებისაგან შედგებოდა. ტექსტი, რა თქმა უნდა, ჯერ რუსულად იწერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. გაზეთის სახელი, სავარაუდოდ, უფრო გამოცდილმა მთარგმნელმა შეცვალა, რადგანაც რუსულ სათაურს სახელწოდება „ქართული გაზეთი“ უფრო მიესადაგებოდა. გამოცემაში იბეჭდებოდა მასალები რუსეთის სამეფო კარისა და მაღალი თანამდებობის პირთა შესახებ, უცხოეთის ამბები, ცენტრალური მთავრობის მოქმედებები და განკარგულებები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო განცხადებები, მოთხოვნები. გამოცემა 1821 წლის ბოლომდე გამოდიოდა და უსახსრობის გამო მისი გამოცემა შეწყდა. ის იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი პერიოდული ორგანო იყო. გაზეთის ისტორიაზე საუბრისას მნიშვნელოვანია დოკუმენტი, რომელსაც გენერალი პასკევიჩი⁴ 1828 წლის 28 აპრილს უგზავნის სახალხო განათლების მინისტრს. მიმართვაში საუბარია იმის შესახებ, რომ ირანთან ომის⁵ განმავლობაში ხშირად აუცილებელი იყო კავკასიის მაცხოვრებლებსაც ჰქონოდათ ინფორმაცია ომის ვითარების შესახებ ადგილობრივ ენაზე. საჭირო იყო ტფილისში გამოცემულიყო პერიოდული ორგანო, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან და მხოლოდ ოფიციალური ცნობები, სხვადასხვა განცხადებები და ახალი ამბები დაიბეჭდებოდა-მთავრობის შეხედულებებთან შეთანხმებული.

პასკევიჩის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ორგანოს გამოცემა მიანდეს საგანგებო კომიტეტს. გამოცემის საქმეს აკონტროლებდა ტფილისის სამხედრო გუბერნატორი.

1828 წლის 12 ივნისის განცხადებაში ნათქვამია, რომ „ტფილისის უწყებანი“ ხელს შეუწყობდა კავკასიის მცოდნეობით დაინტერესებულ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და სხვ.; გაზეთი გამოიცემოდა რუსულ ენაზე და პარალელურად გამოვიდოდა ქართული თარგმანი-იმის მიხედვით თუ როგორი იქნებოდა მოთხოვნილება ამ უკანასკნელზე.

⁴ იგულისხმება ივანე თედორეს ძე პასკევიჩი-რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდ მარშალი (1829), გენერალ ადიუდანტი (1825).

⁵ იგულისხმება რუსეთ-ირანის ომი 1826-1828 წლებში.

„Тифл. Ведомости“-ს პირველი ნომერი გამოვიდა 1828 წლის 4 ივლისს (პირველ ნომერზე შეცდომითაა დაბეჭდილი „4 ივნისი“). მისი პროგრამა ასეთი იყო: უმაღლესი ბრძანებანი; შინაგანი ცნობანი, რუსეთისა და განსაკუთრებით კავკასიისა; უცხოეთის ახალი ამბები; ახლანდელი ისტორია; ბიბლიოგრაფია; განცხადება, კერძო და სახელმწიფო; „ფულის კურსი ტფილისსა შინა“; მხატვრული ნაწილი. გამოდიოდა 1828-1832 წლებში. მისი ხელისმომწერთა რიცხვი იზრდებოდა და 1829 წლიდან გაზეთს ხშირად ახლავს გაზეთის ფორმატის დამატებითი ფურცლები. ქართული „ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა 1828 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში (4 ივლისიდან) და 1830 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული. 1831 წელს კი არ გამოცემულა. 1831 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ როზენის⁶ ერთ-ერთი წერილში ვკითხულობთ, რომ გაზეთის გამოცემის მიზანი ორია: მიაწოდოს რუსეთს ცნობები ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ამიერკავკასიის შესახებ და გააყენოს ადგილობრივ მცხოვრებთ რუსეთისა და ევროპის განათლება.

აღსანიშნავია, რომ 1832 წლიდან „Тифл. Ведом.“-ის გვერდით გამოდის არა მარტო „ტფილისის უწყებანი“, არამედ გაზეთი იბეჭდება ამერბაიჯანულად და უფრო ადრე, 1830 წელს ირანულ ენაზეც გამოდიოდა.

სამივე ენაზე გამოცემის მთავარი რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, რომლის წერილებით, ლექსებით, ნარკვევებით სავსე იყო რუსული გამოცემა. ბუნებრივია, მას ირანული და ქართული გამოცემისთვის ეყოლებოდა მთარგმნელი-თანარედაქტორი. ქართულ გამოცემაში თანარედაქტორის ფუნქციას სოლომონ დოდაშვილი ასრულებდა.

სოლომონ დოდაშვილმა მოახერხა, რომ ქართული ვარიანტი შინაარსით უფრო და უფრო დაშორებოდა რუსულ გამოცემას. დოდაშვილი ბევრს ზრუნავდა ხელისმომწერთა რაოდენობის გაზრდაზე (პ. გუგუშვილი 1941).

⁶ ბარონი გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი (1782-1841) რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმმართველი 1831-1837 წლებში.

რა თქმა უნდა, გამოცემა ვერასოდეს გახდებოდა ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი, რადგან იყო ოფიციალური და ზოგადი ფუნქციის დარღვევის შესაძლებლობას გამოირიცხავდა, მაგრამ ქართული გამოცემის რედაქტორმა მაინც შეძლო დაახლოებოდა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებს.

„სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს გამოცემა დაიწყო 1832 წლის იანვრიდან. ის დამოუკიდებელი ორგანო არ იყო და „ტფილისის უწყებანის“ დამატებად ითვლებოდა. პირველი ქართული ჟურნალის გამომცემელი სოლომონ დოდაშვილი გახლდათ.

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836) განათლებული პიროვნება იყო. თანამედროვეთაგან არაერთ მოღვაწეზე ჰქონდა გავლენა და საზოგადოებაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. გამომცემელი საჟურნალო წერილებსა და კორესპონდენციებს არა მარტო საქართველოში მყოფი თანამემამულეებისგან, არამედ რუსეთში მყოფი ქართველებისგანაც ითხოვდა.

გამოცემის მეხუთე ნომერში სოლომონ დოდაშვილი წერს: „*ჟურნალი დაარსდა იმისთვის, რათა ქართველ საზოგადოებას თავის წარმატებაზე ეზრუნა, რომ მისცემოდა ესე გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენის ჩუქნისა და მიახლოვებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა და თანამემამულეებს განეღვიძოს სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისადმიო*“ [სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი 1832].⁷

⁷ აღნიშნული ტექსტი ასევე გამოყენებულია: გოცაძე, მ., პირველი ქართული ჟურნალი/საისტორიო მოამბე, 6, 1952, გვ. 241.

ჟურნალის ამოცანა იყო ქართული ენის, ლიტერატურისა და განათლების შესახებ მასალების გამოქვეყნება. ასევე, მასში იბეჭდებოდა ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული ხასიათის წერილები და სხვ.

გამოცემაში გამოქვეყნებული იყო სოლ. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“⁸, რომელიც ემსახურება მშობლიურ კაზმულსიტყვაობის ისტორიის შესწავლას. ავტორი იბრძვის იმ შეხედულების წინააღმდეგ რომელიც ამტკიცებდა, რომ თითქოს ქართულ ენაზე კარგი ნაწარმოების შექმნა ენის უძლურების გამო შეუძლებელი იყო.

ჟურნალის სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა. გამოცემა შეწყდა მარტში-1832 წლის შეთქმულებამდე ხელისმომწერთა სიმცირის გამო (მ. გოცაძე 1952).

1835 წელს გამოვიდა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ (Цветок Тифлисской гимназии) რუსულ ენაზე. რედაქტორ-გამომცემელი იყო მიხეილ თუმანიშვილი (1818-1875). სულ ხუთი ნომერი გამოვიდა. მასში ქვეყნდებოდა გიმნაზიის მოსწავლეთა პატრიოტული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილების ამსახველი წერილები (ნ. პაპავა 1979).

ქართველი ინტელიგენციის მონინავე ნაწილის საქმიანობაში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივები თავს იჩენს XIX საუკუნის 40-იან წლებში, რაზეც მიუთითებს გ. ერისთავის, დ. მაჩაბლისა და სხვათა თაოსნობით ახალი ქართული ჟურნალის „სინათლის“ გამოცემის უშედეგო ცდა.

გაზეთის გამოცემის საკითხს ადგილობრივი მმართველობაც აყენებდა, რადგან ამ გზით იგი შენიღბულად ებრძოდა კერძო ინიციატივის გზით ქართული გაზეთის გამოცემის იდეას. ადგილობრივი მმართველობა, ბუნებრივია, ოფიციალური ორგანოს გამოცემით იყო

⁸ „სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, N1, გვ. 19-24; გაგრძელება იხ. N2, გვ. 25-34.

დაინტერესებული, რადგანაც ასეთი გამოცემა უკეთესად შეასრულებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ინტერესებთან გამომდინარე ამოცანების პროპაგანდისტის როლს.

სწორედ ამ მიზნით გამოიცა 1838 წელს „ზაკავკასკი ვესტნიკი“. ეს იყო ამიერკავკასიაში რუსულ ენაზე გამოცემული ოფიციალური ორგანო, ერთადერთი რუსული გაზეთი მთელ ამიერკავკასიაში. გაზეთის ოფიციალური ნაწილი მთლიანად საინფორმაციო მასალითა და ქრონიკით იყო შევსებული. არაოფიციალურ ნაწილში ქვეყნდებოდა მასალები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე და ა. შ. გამოდიოდა 1846 წლამდე.

1845 წლის იანვარში გამოიცა ახალი ქართული გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომელიც 1846 წლის 1 ივლისამდე გამოდიოდა. გამოცემა „ზაკავკასკი ვესტნიკის“ ქართულ თარგმანს წარმოადგენდა და ე. წ. არაოფიციალური ნაწილი არ გააჩნდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის შინაარსზე.

1846 წლის 3 იანვარს 1918 წლამდე თბილისში გამოდიოდა ახალი რუსული პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი „კავკაზი“, რომელიც მეფის ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს როლს ასრულებდა. გამოდიოდა „კერძო გამოცემის“ უფლებით. ხელისუფლება ამ გზით შენიღბულად მართავდა რედაქციის საქმიანობას.

გამოცემა აქტიურად იცავდა ცარიზმის ინტერესებს საქართველოში. ქვეყნდებოდა წერილები ეკონომიკურ საკითხებზე, დიდი ადგილი ეთმობოდა საინფორმაციო ხასიათის ცნობების გამოქვეყნებას, იბეჭდებოდა ისტორიულ ხასიათის წერილებიც, ისტორიული წარსულის, ქართული ლიტერატურის, კულტურის, რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ.

1852-1853 (გიორგი ერისთავისა) და 1857-1875 (ივანე კერესელიძის ხელმძღვანელობით) წლებში გამოდიოდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“. რედაქცია მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მასალებს აღზრდა-განათლების საკითხებზე, დაწყებითსა და საკვირაო სკოლებზე, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებზე, აშუქებდა განათლების საკითხებსაც. „ცისკარი“ პირველი ქართული ჟურნალი იყო, რომელმაც გაილაშქრა ბატონყმობის, როგორც

სოციალური ბოროტების წინააღმდეგ, რაც აისახა გამოქვეყნებულ მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტურ წერილებში.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა”.⁹ წერილში ილიამ გააკრიტიკა მთარგმნელის ენა და მის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი სიძულვილი უწოდა. წერილის გამოქვეყნებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა. გაჩაღდა „მამათა“ და „შვილთა“ მწვავე იდეური ბრძოლა. „მამების“ ბანაკის წევრები იყვნენ: ივანე კერესელიძე, გიორგი და რაფიელ ერისთავები, გრიგოლ ორბელიანი, ანტონ ფურცელაძე და სხვ. ახალ თაობას სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა და მის მხარეს იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ენის, ლიტერატურის, მთარგმნელობითი საკითხების გამო. უურნალმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და აღარ გამოდგებოდა ახალი იდეების მატარებელ ბეჭდვით ორგანოდ. 1875 წელს გამოცემამ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ თავის დროზე სწორედ მან მოუმზადა ნიადაგი სამოციანელთა გამოცემას „საქართველოს მოამბე“.

1863 წლის 7 თებერვალს გამოვიდა უურნალი „საქართველოს მოამბე“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით, რომელმაც ერთი წელი იარსება და 12 ნომერი გამოიცა. უურნალში იბეჭდებოდა ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები, მოთხრობები, დრამები; მასალები საქართველოს ისტორიაზე; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; სხვადასხვა ამბები; ძველი ქართული თხზულებები და ა. შ.

უურნალის გამოცემა შეწყდა, რადგან დღის წესრიგში დადგა გაზეთის გამოცემის საკითხი. ამკარა იყო, რომ მხოლოდ მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ გაზეთს შეეძლო დაეკმაყოფილებინა ხალხის კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის ზრუნვით გამსჭვალული „ახალი თაობის“ დემოკრატიული მისწრაფებები (ო. ქინქლაძე 1966).

⁹ ცისკარი, 1861, N4, გვ. 557-594.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იანი წლებში ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, კერძოდ, ქართველი სამოციანელების სამოღვაწეო ასპარეზზე აქტიურად გამოსვლით, გაჩნდა საზოგადოებრივი აზროვნების განახლება-განვითარების იმედი ქართული პერიოდული პრესის დახმარებით.

II თავი: გაზეთი “დროება“

2.1 იდეის ავტორი და გამოცემის წინაპირობები

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ¹⁰ ახალი თაობის ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გაზეთის გამოცემაზე დაიწყო ფიქრი.

¹⁰ იხ. პირველი თავის ქვეთავი: პერიოდული გამოცემები, გვ. 19.

„დროების“ ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით (1876 წელი) წარმოთქმულ სიტყვაში გამომცემელმა სტეფანე მელიქიშვილმა მკითხველებს ამცნო, რომ გამოცემის იდეა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა: „ბატონებო! პირველი ჰაზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავარ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელმანც პირველად გამოსთქვა ეს ჰაზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“ [სტ. მელიქიშვილი 1876:2].

იდეის ავტორმა ძალიან კარგად იცოდა უურნალ-გაზეთების დანიშნულება და მათი მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „...უურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მნივნობრობისა. როგორც მრთელს მნივნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე უურნალ-გაზეთობას ადამიანის სცხოვრება აქვს.....უურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, მნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველ-დღიურის აზრის მიდენ-მოდენა.....როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, უურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, უურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვა და სხვა საგანთა თაობაზედ“ [ი. ჭავჭავაძე 1877:1-2].

ქართველი ლიტერატურათმცოდნე სარგის ცაიშვილი თავის წერილში „დროებიდან“- „ივერიაში“ აქვეყნებს იონა მეუნარგიას ხელნაწერებში აღმოჩენილ სავარაუდოდ, 1885 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებით დათარიღებულ ხელნაწერს, რომელიც „დროების“ დახურვის განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ არის დანერგილი. შესწორებულია ივანე მაჩაბლის მიერ. ხელნაწერში უგაზეთობა უჰაერობასთან არის შედარებული: „შიმშილს

მოითმენს საზოგადოება, წყურვილს, დასთმობს უჯარობას, უვაჭრობას, უგზობას აიტანს, მაგრამ უგაზეთობა კი-ისე შეუძლებელია მისთვის, როგორც შეუძლებელია უჭაეროდ ცხოვრება“ [ს. ცაიშვილი 1940:492].

„დროების“ დაარსების საკითხზე საინტერესო ცნობას გვანვდის აკაკი წერეთელი წერილში „როგორ დაარსდა ჩვენი გაზეთი“, რომელიც გაზეთ „თემში“ გამოქვეყნდა. „...ამ ნახევარ-საუკუნის წინეთ, როცა გაზეთის ხსენებაც არ ყოფილა ჩვენში, დიმიტრი ბაქრაძემ, ბესარიონ ღოღობერიძემ, ნიკოლოზ ღოღობერიძემ და ვახტანგ თულაშვილმა მოინდომეს სტამბის დაარსება და გაზეთის გამოცემა. ახალგაზრდა სტეფანე მელიქიშვილს გაატანეს ფულები და ვენიდან გამოიწერეს სტამბისათვის ყოველგვარი საჭირო მასალა. გამოიტანეს ნებართვა კვირეული გაზეთის, მაგრამ განზრახულის სისრულეში მოყვანა გაუჭირდათ: არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოეწყოთ ან სტამბისა და ან გაზეთისათვის და მიტომაც მიმართეს პეტერბურგში მყოფს ახალგაზრდა სტუდენტს გიორგი წერეთელს... მიანება თავი უნივერსიტეტს, ჩამოვიდა თბილისში გიორგი წერეთელი და შეუდგა საქმეს“ [ა. წერეთელი 1912].¹¹

ილია ჭავჭავაძის იდეის განხორციელების ინიციატორები იყვნენ ნიკო ღოღობერიძე (პედაგოგი, პუბლიცისტი, 60-იანი წლების ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთი მეთაური, „დროების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1868 წლამდე), ვახტანგ თულაშვილი (პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელთაგანი), დიმიტრი ბაქრაძე (ისტორიკოსი და პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ თანამშრომელი), სტეფანე მელიქიშვილი (გაზეთ „დროების“ გამომცემელი და სტამბის მეპატრონე). 1865 წელს რედაქტორად მიიწვიეს გიორგი წერეთელი, რომელიც მაშინ ერთი წლის დაბრუნებული იყო პეტერბურგიდან და თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა (გ. წერეთელი

¹¹ წერილიდან ფრაგმენტი მოტანილი აქვს შოთა მალაზონიას თავის ნაშრომში „ქართული პრესის ისტორიიდან: გაზეთი „დროება“-1866-1885 წლებში. (საიტორიო მოამბე, 1995-1996, №67-68, გვ. 49)

1931). გიორგი წერეთელმა და სტეფანე მელიქიშვილმა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს ყოველკვირეულ გაზეთ „დროების“ გამოცემის ნებართვა სთხოვეს. იმ პერიოდში კავკასიაში მეფის მოადგილე იყო მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. მთავარმა სამმართველომ დააკმაყოფილა თხოვნა და 1865 წლის 30 დეკემბერს საცენზურო კომიტეტს აცნობა: „მეფისნაცვალმა ინება უფლება მიეცეს თბილისის მოქალაქეს მელიქოვსა და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს წერეთელს გამოსცენ ქართულ ენაზე გაზეთი, სახელწოდებით „დროება“, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მიმდინარე პოლიტიკური ცნობების მიმოხილვას გადმოებეჭდავენ მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან: „რუსკი ინვალიდ“, „სევერნაია პოჩტა“, „კავკაზ“.

[საქართველოს ცსსა 480 აღწ. 1. საქმე 2. ფურც. 1]¹²

გაზეთის გამოცემისა და პროგრამის შესახებ რედაქტორმა და გამომცემელმა ცნობა გამოაქვეყნეს ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარებლის“¹³ 1866 წლის ნომერში „განცხადება ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზე“.

განცხადებაში საუბარია გაზეთის გამოცემის მიზეზსა და პროგრამაზე: ვითარება მოითხოვს საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ; ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი წინაპირობა სწავლაა და შუამავლის ფუნქცია ჟურნალ-გაზეთებს აკისრიათ.

როგორც ითქვა, „თერგდალეულები“ სხვადასხვა აქტივობებით ცდილობდნენ საზოგადოების განვითარებასა და ადამიანებისთვის ზოგადი განათლების მიცემას. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო. პოლიტიკური ამბების, ტელეგრამების, კომერციული განცხადებების გარდა, გაზეთში ქვეყნდებოდა წერილები ლიტერატურის, მეცნიერების, მედიცინის, სოფლის მეურნეობის შესახებ. გამოცემა ზრუნავდა მიწოდებინა

¹² კომიტეტის ცნობა დაბეჭდილია: აღ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის იტორია, V, 1867, გვ. 10.

¹³ პირველი ქართული საღვთისმეტყველო და საეკლესიო ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1864-1868 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. ხელიძე. გამოცემაში საეკლესიო მასალასთან ერთად იბეჭდებოდა ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა.

მკითხველებისთვის ინფორმაცია დასაბეჭდად გაზადებული, დაბეჭდვის პროცესში მყოფი და უკვე დაბეჭდილი გამოცემების შესახებ.

რედაქცია მსურველებს ინვევდა სათანამშრომლოდ და იმედოვნებდა, რომ საინტერესო წერილებს გამოაგზავნიდნენ.

რაც ყველაზე მთავარია, სტატიები ადვილად გასაგები ენით იქნებოდა გადმოცემული, რათა ყველა ფენის წარმომადგენელს შესძლებოდა გაგება. (იხ. დანართი 2.1.)

2.2. გამოცემის ფორმატი (გაზეთი თუ ჟურნალი?)

XIX საუკუნის ქართული პრესის ფუნქცია საგანმანათლებლო-აღმზრდელობითია, მაგრამ გაზეთსა და ჟურნალს განსხვავებული ფუნქცია და დანიშნულება აქვთ. გაზეთი მკითხველთა ფართო წრისათვის განკუთვნილი გამოცემაა და მისი მოვალეობაა ხალხის გამოლვიძება, წარსული ისტორიული ცხოვრების გახსენება, განათლებული ადამიანების გაცნობა, მშობლიური ენის სინწინდებზე ზრუნვა.

იმისათვის, რომ გაზეთმა გაამართლოს თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება, მან უნდა იცოდეს მკითხველის მომზადების დონე, რა აინტერესებს და რა მოთხოვნები აქვს მას.

ჟურნალი, გაზეთისაგან განსხვავებით, ისეთი გამოცემაა, რომელიც ეძიებს, პოულობს და ხსნის მოვლენის მიზეზს; უფრო ღრმად შეისწავლის, რა გავლენას იქონიებს საზოგადოებაზე და, შესაბამისად, მარტივი ენით ვერ იქნება დაწერილი და ყველა სოციალურ ფენაზეც ვერ იქნება გათვლილი (ო. ქინქლაძე 1966).

ჟურნალ-გაზეთების შესახებ საინტერესო ფელეტონი სათაურით „ჟურნალ-გაზეთები“ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ აბრას ფსევდონიმით [ალექსანდრე ნიკიტინი].

ავტორი საუბრობს, თუ რა წვლილი მიუძღვის ჟურნალ-გაზეთის გამომცემელს საზოგადოების წინაშე. გამომცემელი უნდა იყოს განათლებული, მშრომელი, ყოველდღიური ცხოვრების თვალ-ყურის მდევნებელი. პერიოდულ პრესაში მკითხველისთვის თავშესაქცევი მასალის გარდა, ერის გონების გასაფრთხილებელი ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს.

ყველაზე მთავარია ის, რომ გაზეთი საზოგადოების მასწავლებელი უნდა იყოს.

სტატიის ავტორი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს გამოცემას, გამომცემელს და მას ერთგულ ჯარისკაცს უწოდებს (იხ. დანართი 2.2).

გამოცემის ფორმატთან დაკავშირებით სამოციანელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. ერთ ნაწილი ჟურნალის განახლებას ითხოვდა, მეორე - გაზეთის დაარსებას. გაზეთის დაარსების აზრს მიესალმებოდნენ ილია ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომლები. ჟურნალის განახლებას კი პეტერბურგელი სტუდენტები ითხოვდნენ. 1865 წელს მათ შორის მიმონერაც გაიმართა. ამ მიმონერის ფრაგმენტად უნდა მივიჩნიოთ 1866 წლის 16 იანვრით დათარიღებული ნიკო ლოლობერიძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი. წერილში ნიკო ლოლობერიძე რამდენიმე პუნქტის გათვალისწინებით ასახუტებს, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას გაზეთის გამოცემას: „.....ადვილათ მიხვდებოდით, რა მიზეზებისა გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალისა. ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდენ ჩვენი მოუზღაღებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რა საკვირველია, უსწავლელს კაცს გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს, მინამ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა. სხვა რომ არა ვთქვათ, გაზეთში ხან და ხან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უიმისოთაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ როდესაც ჟურნალში თუ ერთი ორი სტატია არ იქმნა ნამდვილი, რაღა ჟურნალი იქნება. ამასთანავე ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვემდინ...“ [იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში].¹⁴

გაზეთ „დროების“ პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წლის 4(16) მარტს. 1866-1874 წლებში გამოდიოდა კვირაში ერთხელ, 1875-1877 წლებში- კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან კი- ყოველდღიურად.

¹⁴ ზემოაღნიშნული წერილი დაბეჭდილია გამოცემაში: გიორგი წერეთელი, ტომი პირველი, პუბლიცისტური წერილები, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, 1931, გვ. 408.

გაზეთის პირველი ნომრისა და შემდგომი ნომრების შესახებ საუბარია „დროების“ 1883 წლის №149-ე ნომერში დაბეჭდილ ივანე მაჩაბლის წერილში „გაზეთი „დროება“ და სერგეი მესხი“. სტატიის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში ინფორმაციის ნაკლებობა იყო, თუ არ ჩავთვლით პოლიტიკის წყაროდ მითითებულ „კავკაზს“, რომლიდან გადმოხედული ამბების სიუხვე საგრძნობია გამოცემაში.

პოლიტიკური ამბების დაბეჭდვა ასევე სავალდებულო იყო „რუსკი ინვალიდიდან“ და „სევერნაია პოჩტადან“. დროთა განმავლობაში, კორესპონდენციების სიმრავლემ, გამოცემა უკეთესობისკენ შეცვალა.

„4 მარტს 1866 წელს გამოვიდა პირველი ნომერი „დროებისა“; გ. წერეთლის რედაქტორობით. ეს ნომერი კარგა მოზრდილი იყო: ჭელეტონს თავის ალაგი ეჭირა, მოწინავე წერილს თავისი, დანარჩენი ნომერი დაეპყრო პოლიტიკას, დაგვიანებულ ტელეგრამებს და მთავრობის განკარგულებას.

მხოლოდ ორიოდ თავ-გამომეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იყო დაწერილი. არსაიღამ კორესპონდენციები, არსაიღამ ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთი „კავკაზი“ (ასე იყო ნაბძანები) და, რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიღამ ხელის-მომწერლები! გადაათვალიერეთ პირველი ნომრები „დროებისა“ და თქვენ გავაცვიფრებთ პოლიტიკის წათამამება; მოზღვავებულ პოლიტიკას უჭირავს მომეტებული ნაწილი გაზეთისა, დანარჩენს ადგილზედ მოთავსებულან ტელეგრამები, მთავრობის განკარგულებანი და მხოლოდ ოაზისსავით აქა-იქა მოსჩანან ათასში ერთი კორესპონდენციები, მოწინავე წერილები და ჭელეტონები.....

დროება გამოიცვალა და შეეცვალა სახე „დროებასაცა“. პროვინციებში გამოჩნდნენ აქა-იქ ნიჭიერი ცხოვრების დამკვირვებელნი და თავიანთ ნაშრომით გაუნახევრეს წვალება რედაქტორსა და უმთავრესს თანამშრომლებს. მართალია, ბევრს კორესპონდენციას შესწორება, ნაშლა-წამოშლა, როგორც ამბობდნენ, გაშალაშინება ეჭირვებოდა, მაგრამ ამის

სამაგიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური სახე მიეცა, პოლიტიკა თავის კალაპოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა დაეტყო“ [ი. მაჩაბელი 1883: 1-2]

დავით კარიჭაშვილის აზრით, გაზეთი ლიბერალურ პოლიტიკას მისდევდა და ყველა საკითხსა და მოვლენაზე ჰქონდა რეაქცია: „*მიმართულება, რომელსაც გაზეთი მისდევდა იყო ნაციონალ-ლიბერალური. ერთგვარის ინტერესით მსჯელობდა როგორც გლეხთა, ისე თავად-აზნაურთა და სამღვდელოების და ეკლესიის საქმეებზე, რაოდენადაც ამ საქმეებთან იყო დაკავშირებული მთელი ქართველი ერის კულტურულ-ქონებრივი წარმატება და ეროვნული გათვითცნობიერება“ [დ. კარიჭაშვილი 1929].*

„ღროების“ გამოცემას საზოგადოება დადებითად შეხვდა. ყველამ დაინახა, რომ არსებობდნენ ადამიანები, ვისაც აღარდებდა ქვეყნის ბედი და ზრუნავდა ქართულ ლიტერატურაზე.

2.3. რედაქტორი და თანამშრომლები

„ღროების“ რედაქტორობა 24 წლის გიორგი წერეთელს დააკისრეს, რომელიც დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში ღირსეულად რედაქტორობდა პირველ ევროპულ გაზეთს ქართულ ენაზე.

მან დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი ამ დიდ კულტურულ და ეროვნულ საქმეს. რაც მთავარია, არ შეუშინდა არც უსახსრობას და არც ცენზურას. მას უნდა ეხელმძღვანელა გაზეთის არა მარტო იდეური მხარისათვის, არამედ ტექნიკური საკითხებიც უნდა მოეგვარებინა; ასევე, უნდა ეზრუნა გამოცემის გავრცელებაზეც. ყველაფერი ამის სანაცვლოდ მისი შრომის ანაზღაურება თვეში 50 მანეთი იყო.

რედაქტორი და მისი თანამოაზრეები ურთულეს პირობებში მუშაობდნენ და ქმნიდნენ გამოცემას. ამის დასტურია, 1883 წელს სერგეი მესხის (გიორგი წერეთლის შემდგომი რედაქტორი) გარდაცვალებისას გიორგი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა:

„ვერცერთი თქვენთაგანი იმ საშინელს ჯაფას და თავ განწირულებით ბრძოლას ვერ

წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში. კვირის-კვირობამდის, თვის-თვობამდის დღე-ნიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მითი სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა [სერგეი მესხის დასაფლავება 1883:2].

გიორგი წერეთელს სწამდა, რომ პერიოდული პრესა, ჟურნალი იქნებოდა თუ გაზეთი, უნდა ყოფილიყო ყოველდღიური ცხოვრების მაჯისცემის ამსახველი, პრინციპული, შეუპოვარი, მებრძოლი, უვარგისის უყოყმანოდ დამგმობი და ახლის მქადაგებელი, საზოგადოების ნების გამომხატველი, საზოგადოების წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

გიორგი წერეთელი მუდამ ცდილობდა, გაზეთი ფინანსურად ძლიერი ყოფილიყო.

„დროების“ წარმატება დამოკიდებული იყო საინტერესო მასალების გამოქვეყნებაზე. ამიტომ, რედაქციის ერთ-ერთი ამოცანა იყო ახალგაზრდა ინტელიგენტების ჩართვა ლიტერატურულ (და არა მხოლოდ) საქმიანობაში და სათანამშრომლოდ იწვევდა თანამემამულეებს.

1866 წლის 16 იანვარს ნ. ლოლობერიძე კ. ლორთქიფანიძეს წერილში სთხოვდა, რომ გამოეგზავნა კორესპონდენციები და ახალი ამბები: „.....კირილე, შენ კარგათ იცი რა არის ჩვენი ხალხისთვის საჭირო და ამისათვის ამაზე მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მადლობელი ვიქმნებით, რომ გადმოგვიგზავნიდეთ, ამასთანავე, რასაკვირველია, ამას იქით მეტის ხალხისით მოკიდებთ კალამს ხელს. მანდედამ კორესპონდენციებს სხვა და სხვა შესანიშნავ ამბებზედ რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემჭობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში.....“ [კ. ლორთქიფანიძის არქივი].¹⁵

რედაქციამ შეძლო თანამოაზრეების შემოკრება თავის გარშემო და აქტიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური მუშაობის გაჩაღება. 1866-1869 წლებში, როდესაც გაზეთ „დროების“ რედაქტორი გ. წერეთელი იყო, გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ანტონ

¹⁵ ზემოაღნიშნული წერილი დაბეჭდილია გამოცემაში: გიორგი წერეთელი, ტომი პირველი, პუბლიცისტური წერილები, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, 1931, გვ. 408.

ფურცელაძე (ფსევდ. ა.ფ.; ზურაბ მოენიძე), დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (დ. მ.), დიმიტრი ბაქრაძე, მ. ბეთანიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი (ბ. პ-შვილი), ვ. გამრეკელი, მამია გურიელი (ფაზელი), გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი; კ.), ნ. ტ. დადიანი (მეგრი კორრესპონდენტი), ნ. დადიანი (მეგრელი), დავით ერისთავი (დ. ე.), იოსებ ეფემიაშვილი, ვახტანგ თულაშვილი (ვ. თ.), [იონა მეუნარგია] (ი. მ.-ი), პლ. იოსელიანი, კირილე ლორთქიფანიძე (თომა კარგარეთელი), თომა მაჭავარიანი, ზ. მახარაძე, დ. მეღვინეთხუცესოვი, სერგეი მესხი (ლაზარე მესხი-შვილი), თ. ა. მიქელაძე, ბ. პეტრიაშვილი (ბ. პ-შვილი), ივ. სულხანოვი, პეტრე უმიკაშვილი (პ.-ძე; მიქელა პეტრიძე), ალ. ცაგარელი, რომან ძამსაშვილი-ცამციევი (კახელი), აკაკი წერეთელი, გიორგი ქოჩაქიძე (გ. ჭალადიდელი), ზ. ხითაროვი (მთარგმნელი), დიმიტრი ჯანაშვილი (ინგილო).¹⁶

საზღვარგარეთ (რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ინგლისი, შვეიცარია და სხვ.) გაზეთს განუწყვეტლივ ჰყავდა, აქტიური თანამშრომლები, იღებდა მდიდარ პოლიტიკურ-მეცნიერულ, კულტურულ-ლიტერატურულ ინფორმაციას, ახალთახალ პირველ წყაროებზე დამყარებულ წერილებსა და ნაშრომებს. მაგალითად, რუსეთიდან-გ. წყალტუბელი [გიორგი იოსელიანი] („დროება“, 1868, №17, გვ.1-2; კორრესპონდენცია რუსეთიდან-რუსი გლეხების სილატაკის შესახებ).

გარდა საზღვარგარეთისა, „დროებაში“ იბეჭდებოდა კორრესპონდენციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან: სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვ.

2.4. სტამბა და გამომცემელი

სტამბის დაარსებისა და ქართული ასოების ჩამოსხმის შესახებ საუბარია გამოცემაში „ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ.“ აღწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. როგორც ირკვევა, 1863 წლიდან დაწყებული სტამბის დაარსებაზე საუბარი, რადგან იმ პერიოდში არ არსებობდა ისეთი დაწესებულება, სადაც წიგნი, ჟურნალი ან

¹⁶ ფსევდონიმებით გამოქვეყნებული მასალის რეალური ავტორების გასარკვევად გამოყენებული წყარო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი (<http://www.nplg.gov.ge/>), პერიოდული გამოცემები-ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

გაზეთი გამოიცემოდა. ინიციატორები იყვნენ ნიკოლოზ ლოლობერიძე, სტეფანე მელიქიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი და სხვ. ასევე, საჭირო იყო ასოების გაფორმებაც.

1864 წლის 25 მაისს ნიკო ლოლობერიძემ ერთ-ერთ „თერგდალეულს“, კირილე ლორთქიფანიძეს მისწერა სტამბის დაარსების შესახებ: *„ამას კი ვწერ, ვიცი ვეამება: მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემოდგომას, გვინდა ახალი შრიფტი შევადგინოთ ქართული, ლამაზი, ადვილი საკითხავი ასო-მთავრულით, უსტამბოთ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან. თუ ღმერთმან ქმნა და გაგანწყვეთ კარგათ, მაშინ იმედია თქვენის შემწეობით რამეს მოვახერხებთ“* (დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში) [ს. ხუნდაძე 1931: 407].

ნიკოლოზ ლოლობერიძემ შექმნა ფორმები, რომელმაც მონონება დაიმსახურა. მანამდე ქართულ ასოებს პეტერბურგში და მოსკოვში ასხამდნენ და უკვე ცნობილი იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ახალი ასოები ევროპაში შეეკვეთათ. 1865 წელს მელიქიშვილი და ლოლობერიძე გაემგზავრნენ ვენაში, გააკეთებინეს ყალიბები და ჩამოასხეს ქართული ასოები, რომელსაც „ვენის ასოები“ ეწოდება.

ამის შემდეგ, 1864 წელს აიღეს ნებართვა მთავრობისგან და სტამბაც დააარსეს. უკვე არსებობდა გაზეთის გამოსაცემად პირობები და 1866 წლიდან გაზეთ „დროების“ ბეჭდვა „ვენის ასოების“ გამოყენებით დაიწყო. გამომცემელი იყო სტეფანე მელიქიშვილი (ზ. ჭიჭინაძე [1916]). გაზეთ „დროების“ ბოლო, მეოთხე გვერდზე მითითებულია, რომ გამოცემა დაბეჭდილია „ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში“.

სტეფანე მელიქიშვილს უყვარდა თავისი ქვეყანა, ხალხი, იცოდა, რა სჭირდებოდა მას და როგორ უნდა მოეტანა სარგებლობა მისთვის. ამიტომაც არაფერს ზოგავდა „დროებისათვის“. პუბლიცისტიკაში იგი თავგამოდებით იბრძოდა პროგრესული იდეებისათვის, ქადაგებდა ძმობას, ერთობას, თავისუფლებას (ალ. კალანდაძე 1987). ამის დასტურია, აქტუალობით, სიმართლის სულისკვეთებით, უბრალო, გასაგები სტილით

შექმნილი მისი წერილები: „დროების“ კორესპონდენცია ლეხურის ხეობიდგან,¹⁷ „წერილი რედაქტორთან“, „ტფილისი, 4 მარტს“ და ა.შ.

„დროების“ კორესპონდენცია ლეხურის ხეობიდგან გამოქვეყნდა „დროებაში“ 1877 წელს, №200, №201, №203. წერილში სტეფანე მელიქიშვილი აღწერს მოგზაურობას ლეხურას ხეობაში, სადაც პირადი საქმეების გამო მოუხდა წასვლა. აღწერს გლეხების მდგომარეობას: სიღარიბეს, რომელსაც გლეხები ომს აბრალებენ; ჭირს, სნეულებას; ქურდობას, რომელსაც გლეხები კასპის ჭალაში დასახლებულ თათარ მწყემსებს აბრალებენ. ავტორი სასულიერო პირებზეც საუბრობს, რომლებიც ცდილობენ ხალხს შეასრულებინონ საეკლესიო წესები თანხის (10-15 მანეთი) სანაცვლოდ და ეს კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს გლეხს. გორის და ახალგორის მკვიდრი მანანალა სომხები კი შეუჩნდებიან გლეხს, იაფად იღებენ მათგან საქონელს და შემდეგ ძვირად ყიდიან.

სტატიებში საუბარია თავადისა და გლეხის დამოკიდებულებაზე ბატონყმობის გაუქმებიდან ცხრა წლის შემდეგ. მართალია, გლეხსა და ბატონს მამული გაყოფილი აქვთ, მაგრამ ზოგიერთი ბატონი მაინც ბოროტად იყენებს თავის სოციალურ უპირატესობას.

სტატია „წერილი რედაქტორთან“ „დროების“ 1878 წლის 69-ე ნომერში დაიბეჭდა. იგი გორის მომრიგებელი მოსამართლის უკანონო ქმედებას ეხება. კერძოდ, იმას, რომ ლეხურის ხეობაში მაცხოვრებელმა გაყიდა თავისი მამულის მეოთხედი და შუამავალს დაევალა შეედგინა გამოსყიდვის პირობები. სამჯერ წარადგინა გუბერნიაში და სამჯერვე დაუბრუნეს არასწორად გაკეთების გამო. შემდეგ კი საერთოდ დაიკარგა საბუთები.

ზემოხსენებული წერილებიდან ჩანს, რომ სტეფანე მელიქიშვილი არ ერიდება უსამართლობის, უკანონობის გაცხადებას. ის გაჭირვებული გლეხების მხარესაა, მათზე შესტკივა გული.

¹⁷ მდინარე საქართველოში, ახალგორისა და კასპის მუნიციპალიტეტში. მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ცნობილია, რომ „დროების“ პირველი ნომრის (1866, 4(16) მარტი) მოწინავე წერილის დაწერა ილია ჭავჭავაძისთვის უთხოვიათ. მანაც დაწერა წერილი „ზოგი რამ“, რომელიც ცენზურამ არ გაუშვა. აღნიშნული წერილი გადაკეთებული სახით ილიამ მოგვიანებით გამოაქვეყნა („დროება“, 1876, №27, „ზოგიერთი რამ“, გვ. 1-2).¹⁸

წერილში ილია საუბრობს ქართველებისა და ქართული ენის გადაგვარებაზე. მოსაზრებაზე, რომ ახლანდელ მწერლებს ენა არ უვარგათ, გულმოსული კითხულობს: გვაქვს კი ენა, რომ ვინუნებთო? ილია ეძებს ქართველებს, რადგან თავადს აზნაური სძულს, აზნაურს-თავადი, გლესს კი-ორივე. ვაჭარი კი სამივესგან იღებს სარგებელს. ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე ქართველი ჰგონია თავი.

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა.....საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში-ყველა, საცა თვითვეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა-თვითვეულისათვის , საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!“ [ი. ჭავჭავაძე 1876:1].

ქართველობის დაკარგვამ ქართული ენის დაკარგვაც გამოიწვია. *„საერთო სახელი ქართველი კერძობითად გავხადეთ, მაშული დანეხვილ ნაფუძრად გარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი-გოვრად და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაც კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუმატეთ - და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვექონდეს?!“* [ი. ჭავჭავაძე 1876:2].

გაზეთ „დროების“ პირველი ნომრის პირველი წერილის - „ტფილისი, 4 მარტს“ - ავტორის ვინაობის დადგენამ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: სვიმონ ხუნდაძეს ავტორად მიაჩნია სტ. მელიქიშვილი (გ. წერეთელი, თბზულებანი, ტ. I, 1963, გვ. 409).

ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში მოწინავე წერილი სტ. მელიქიშვილს აქვს მიკუთვნებული. ა. ჭილაია სტატიის ავტორად გ. წერეთელს თვლიდა (ა. ჭილაია 1967). საკითხი საგანგებოდ შეისწავლა მკვლევარმა ნ. კილანავამ და არგუმენტირებული კვლევის შედეგი გამოაქვეყნა 1966 წლის „მაცნეში“: გიორგი წერეთელს აღნიშნული წერილი არ აქვს

¹⁸ წერილის დედანი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ილია ჭავჭავაძის არქივი, №165. გაზეთში გამოქვეყნებული ტექსტი ემთხვევა ხელნაწერს.

შეტანილი თავისი ნაწერების სიაში; ასევე, ეს უკანასკნელი არ არის კირ. ლორთქიფანიძის მიერ გ. წერეთლის „ავტოგრაფიდან გადმოწერილ“ პირშიც, რომელიც ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. „დროების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია გიორგი წერეთლის „მათუსალას აღსარება“ და საეჭვოა, რედაქტორს ორი წერილის დაწერა მოესწრო.

წერილში „ტფილისი, 4 მარტს“ ავტორი წერს, რომ ვენასა და პარიზში ნახა უბრალო მუშები, რომლებთაც გაზეთები უბეში სდებიან და თავისუფალ დროს კითხულობდნენ. გერმანიის სოფლებში კი ყველა ოჯახს გაზეთი ჰქონია. ჩანს, რომ სტატიის ავტორი 1866 წლამდე ევროპაში ნამყოფი. გ. წერეთელი 1863 წლის ბოლოს დაბრუნდა პეტერბურგიდან თბილისში და 1873 წლამდე სამშობლოში იმყოფებოდა. ასევე, მსჯელობა, წერის მანერა არ არის გ. წერეთლის.

„დროების“ ჯგუფიდან 60-იან წლებში ევროპაში მხოლოდ ნ. ნიკოლაძე და სტ. მელიქიშვილი იმყოფებოდნენ. ნ. ნიკოლაძე გამორიცხულია, რადგან წერილი მიუთითებს, რომ ის იწერებოდა არა მოვლენების კვალდაკვალ, არამედ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ. ნიკო ნიკოლაძე კი სამშობლოში 1869 წელს ჩამოვიდა, სტატიის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ. წერილი ნიკოლაძეს თავისი ნაწერების სიაში აღნიშნული არ აქვს.

როგორც ჩანს, „ტფილისი, 4 მარტს“ სტეფანე მელიქიშვილის მიერ უნდა იყოს დაწერილი. მის სხვა პუბლიცისტურ წერილებთან შედარებისას, წერილში მოცემულია ერთნაირი მსჯელობა ევროპის ცხოვრებიდან აღებული ფაქტებისა და მასალების მიხედვით. ამრიგად, ზემოაღნიშნული დასაბუთებული მოსაზრებების გათვალისწინებით, „დროებაში“ გამოქვეყნებული პირველი წერილი „ტფილისი, 4 მარტს“ ეკუთვნის გამოცემის ერთ-ერთ დამაარსებელსა და მის პირველ გამომცემელს სტეფანე მელიქიშვილს (ნ. კილანავა 1966).

მოწინავე წერილში გამომცემელი მსჯელობს გაზეთის ისტორიაზე, ზოგად ფუნქციასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. დასაწყისში განმარტებულია, რომ პრესა განათლების მიღების ერთ-ერთი გზაა და „დროებასაც“ ეს ფუნქცია აკისრია. ავტორს დიდი იმედი აქვს,

რომ განათლებული საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გამოცემის წარმატებაში და რომ გაზეთი შეძლებს თავისი მისიის შესრულებას (იხ. დანართი 2.3) .

2.5. გაზეთის ფინანსური პოლიტიკა

გაზეთის ფინანსური მდგომარეობა სავალალო იყო ძალიან მცირე შემოსავლის გამო. ამ თვალსაზრისით ზოგადი ვითარების ნათელ სურათს გვაძლევს გაზეთ „დროების“ 1871 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებული გრ. თარხან-მოურავის წერილი „დროების“ და „მნათობის“ ღონისძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი“. ავტორი საუბრობს „დროებისა“ და „მნათობის“ ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გაზეთი „დროება“ და წერილში მოყვანილია 1866-1869 წლების ხელისმომწერთა რაოდენობის ზრდა-კლების მაჩვენებლები. სტატიიდან ჩანს, რომ 1866-1869 წლებში ხელისმომწერთა რიცხვი იკლებდა და, შესაბამისად, შემოსავალიც. გარდა ამისა, ყველა ხელისმომწერსაც არ შეჰქონდა თანხა. 1866 წლის მესამე ნომრიდან მეცხრე ნომრის ჩათვლით, გაზეთის პირველი გვერდის დასაწყისში იბეჭდებოდა ინფორმაცია რედაქციისაგან: „ხელის-მონერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ“. ხოლო მეათე ნომრიდან დაემატა: „რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული“. (იხ. დანართი 2.4)

გამომცემლები ყველანაირად ცდილობდნენ გაზეთის გადარჩენას.

მცირე შემოსავლის მიუხედავად, გ. წერეთელს მისთვის არ მოუკლია ზრუნვა. იგი იბრძოდა თავგამოდებით და შესაბამისი შედეგიც მიიღო იმ მხრივ, რომ „დროება“ იქცა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების წინამძღოლად.

რედაქციის უსახსრობა ბოლოს იქამდე მივიდა, რომ რედაქტორი იძულებული იყო კერძო გაკვეთილები აელო და ასე ერჩინა თავიც და ზოგჯერ რედაქციასაც დახმარებოდა (ა. ჭილაია 1967).

გამომცემლები მაქსიმალურად ეცადნენ გამოცემის ფასი დაბალი ყოფილიყო. შეღავათით სარგებლობდნენ მასწავლებლები: „დროებას“ ხელმისაწვდომი ფასი ედო, ერთი წლით გაგზავნით თბილისში და გარეშე ადგილებში 7 მან.; ათი თვით-6 მან.; ნახევარი წლით-4 მან.; სამის თვით-2 მან. 50 კაპ.; გაუგზავნელად-6 მან.; ათი თვით-5 მან.; ნახევარი წლით-3 მან. 50 კაპ.; სამის თვით-2 მან.; ცალკე ერთი ნომრისა-გაუგზავნელათ-3 შაური.

შეღავათით სარგებლობდნენ სოფლის მასწავლებლები. „სოფლის მასწავლებელთათვის წლით 5 მანეთი“ (ალ. კალანდაძე 1987).

ამრიგად, დამაარსებლები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა „დროება“ მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, ყოფილიყო მათი ლიტერატურულ-იდეური ბრძოლის წარმატებული ორგანო. ისინი არ იყვნენ ორიენტირებულნი მოგების მიღებაზე; „დროების“ გუნდის ერთადერთი მიზანი გაზეთის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება და ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლაში მის ეფექტურ ინსტრუმენტად ქცევა იყო.

III თავი: გიორგი წერეთელი

3.1. გიორგი წერეთელი როგორც საზოგადო მოღვაწე

XIX საუკუნის საქართველოში ძნელია დავასახელოთ ისეთი პიროვნება, რომელიც რამდენიმე სფეროში არ მოღვაწეობდა. გიორგი წერეთელმაც თავისი ნიჭი და ცოდნა სხვადასხვა დარგში წარმოაჩინა. რედაქტორი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, დრამატურგი, ბუნებისმეტყველი, მრეწველი, საზოგადო მოღვაწე-ასე ხასიათდებოდა მისი მოღვაწეობა (ს. ხუნდაძე 1931).

აკაკი წერეთელი გ. წერეთლის დახასიათებისას ამბობს: „.....გ. წერეთელი იმდენად მშრომელი იყო, რომ თავის დაღალვას ვეღარ შეატყობდა ხოლმე. როგორც ოჯახში ხელმოკლე კაცი, რომ ვეღარავისა ხედავდა ჩვენში, ყოველიფერს თვითონ ეპოტინებოდა:

რედაქტორი იყო, გამომცემელიც; სწერდა: პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პროზებს, მოთხრობებს, რომანებს და კომედია-დრამებს. იმავე დროს ეპოტინებოდა ისტორიკოსობას, არხეოლოგობას, ფილოლოგობას და ბოლოს კომერციასაც...“ [ა. წერეთელი 1958: 110].

მეფის რუსეთის მკაცრი ცენზურის პირობებში გიორგი წერეთელმა მოახერხა და გამოსცა რამდენიმე ქართული გაზეთი და ჟურნალი; უხელმძღვანელა და ითანამშრომლა სხვა პერიოდულ გამოცემებთანაც. მაგალითად, თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, იყო „კვალის“ ფაქტობრივი ხელმძღვანელი. აქტიურად თანამშრომლობდა „ივერიასთან“, საბავშვო ჟურნალებთან „ჭეჭილი“, „ნობათი“ და მრავალ რუსულ გაზეთთან თუ ჟურნალთან (ა. ჭილაია 1967).

გიორგი წერეთლის მიზანი იყო ქართველ ხალხში წიგნიერება, სწავლა-განათლება, მოწინავე იდეები დაენერგა, მოეხდინა ისტორიული წარსულისა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ეს ყველაფერი დიდ ცოდნას, უნარსა და ენერჯიას მოითხოვდა.

ფართო განათლებისა და დიდი მონღომების მქონე ახალგაზრდა გ. წერეთელი თავდაუზოგავად შრომობდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. პრესის საშუალებით იგი პასუხობდა მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საჭირობოროტო შეკითხვას. საკითხების ასე ფართოდ დაყენებით ერთდროულად ორ საქმეს აკეთებდა: ხელს უწყობდა ქართველი მკითხველის ზოგადი განათლების დონის ამაღლებას; საინტერესო შინაარსის მიწოდებით კი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს მკითხველთათვის მიმზიდველს ხდიდა.

გიორგი წერეთლის შემოქმედების მკვლევრის, ალექსანდრე ხახანაშვილის აზრით, მისი აზროვნების ჩამოყალიბებაზე, ჟურნალისტურ საქმიანობასა და შემდეგ მხატვრულ სტილზე გავლენა იქონია საზღვარგარეთ ყოფნამ, კერძოდ, პეტერბურგში სწავლის პერიოდმა და

შვეიცარიასა და გერმანიაში საბუნებისმეტყველო და სოციოლოგიურ საგნებში ლექციების მოსმენამ.

ზემოხსენებული პერიოდული გამოცემები იყო ის ორგანოები, სადაც გიორგი წერეთელი ხმამაღლა იცავდა თავის ხალხის ინტერესებს, ისტორიის წარსულს, ეკონომიურ წარმატებას (ა. ხახანაშვილი [1917]).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები, კულტურის ძეგლები და მასალები მეცნიერულ წესრიგში არ იყო მოყვანილი და საზოგადოებამ ცოტა რამ იცოდა თავისი წარსულის შესახებ. საქართველოს ისტორია, მწერლობა, ძეგლები, მინა-წყალი შეუსწავლელი რომ იყო, ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნდა ქვეყნის განვითარებისათვის. ის ხელმძღვანელობდა თერგდალეულთა დებულებით: *„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივინწყებს“* (ილია).

საქართველოს ისტორიის მასალების შესასწავლად გ. წერეთელი თავის თხზულებებს აქვეყნებდა არა მარტო „დროებაში“, „კრებულში“, „კვალსა“ და „ივერიაში“, არამედ რუსულ ცენტრალურ და თბილისურ პრესაში. მის კალამს ეკუთვნის ოთხმოცამდე მონოგრაფიული შრომა, სტატია და წერილი საქართველოს ისტორიის, მატერიალური კულტურის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.¹⁹

გიორგი წერეთელს აინტერესებდა მსოფლიო ისტორიის საკითხებიც, რაც განპირობებული იყო საზოგადოებისათვის საკაცობრიო ამბების მიწოდების სურვილით. ამ მხრივ გამოირჩევა სამი ფელეტონი ერთი სათაურით „ერთი თვალის გადავლება კაცის ისტორიულ ცხოვრებაზე“, რომელიც დაიბეჭდა 1870 წლის „დროებაში“, №17, 18, 22. აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელი ენციკლოპედიური განათლების მწერალი იყო და ქართველი

¹⁹ მაგალითად, „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის-ძველად“-„კრებული“, №2, 1871; „საქართველოს ისტორიის საბუთები“-„კრებული“, №7, 1872; „ბაგრატ დიდი“-„კვალი“, №1, 1893; „მეფე გიორგი ლამა“-„კვალი“, №27, 1893; „წმინდა მონამე აბო“-„კვალი“, №50, 1893; „მეფე ერეკლე II“-„კვალი“, №29-30, 1893; „შუშანიკი დედოფალი რანისა“-„კვალი“, №5, 1894 და სხვა.

მკითხველისთვის მოჰქონდა მრავალი საინტერესო ფაქტი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრების ისტორიიდან (ა. ჭილაია 1967).

გიორგი წერეთლის, როგორც პუბლიცისტის აზრით, მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებას საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს და ორივე უნათებს საზოგადოებას გზას მომავლისკენ. უნდა ითქვას, რომ მისი ლიტერატურული პროდუქციის ორი დარგი - პუბლიცისტიკა და ხელოვნება - ერთნაირი იდეებით სულდგმულობდა, ერთნაირად ემსახურებოდა ავტორის მისწრაფებებსა და პროგრამას (ს. ხუნდაძე 1931).

მის ჟურნალისტურ დებიუტად ითვლება 1863 წლის „საქართველოს მოამბის“ მეხუთე ნომერში გ-თელის ფსევდონიმით დაბეჭდილი პუბლიცისტური სტატია „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ ამ წერილით დაიწყო მისი აქტიური ბრძოლა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ქვეყნის ცხოვრების განახლებისათვის (ა. ჭილაია 1967).

პირველ პუბლიცისტურ სტატიაში საუბარია საქართველოში საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ჟურნალ „ცისკარის“ გამოსვლაზე, მწერლობასა და მწერლის მნიშვნელობაზე.

„საქართველოს მოამბე“ და „ცისკარი“ ახალი და ძველი თაობის წარმომადგენელთა შორის ბრძოლის არენად იყო გადაქცეული. გიორგი წერეთელი აკრიტიკებს გამოცემას წინ ვერწასვლის, ვერგანვითარების გამო. „.....„ცისკარი“ ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებაზედ, როგორც ცა მინამედ.....“ [გ. წერეთელი 1863:52]. უარყოფს ფაქტს, რომ ჟურნალის გამოცემამ საზოგადოებაზე დადებითად იმოქმედა. ხალხის წარმატების განმსაზღვრელი არა გამოცემა, არამედ ისტორიული წარსულია. საუბრობს განათლებისკენ მიმავალ რთულ გზაზე.

წერილის ავტორი მწერალს დიდ პასუხისმგებლობას-საზოგადოების აზროვნების ჩამოყალიბებას აკისრებს. მან უნდა ისაუბროს ნაკლოვანებების შესახებ და იცოდეს გზები მის მოსასპობად (იხ. დანართი 3.1).

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, გიორგი წერეთელმა „დროების“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა „მათუსალას აღსარება“. ავტორი თავის თავს მათუსალას (უხუცესი ადამიანი) უწოდებს, რომელიც მურვან-ყრუს, ჯალალედინის საქართველოში შემოსვლას, რუსუდანის გამეფებას მოესწრო; ნახა დედას როგორ ართმევდნენ შვილს და უკლავდნენ; სპარსეთსა და ოსმალეთში გასაყიდად წაყვანილი ახალგაზრდები; ლეკების იმერეთში შემოსევა. ამდენი უბედურების მომსწრე მათუსალა დასევდიანდა და დაღუპდა.

დაჩაგრული ძმების-გლეხების განთავისუფლებამ კი სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა და „...იპოვა ახალი წყარო ჭაბუკობისა.....და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა...“ [გ. წერეთელი 1866:2]

ცხოვრების ხალისის დაბრუნების შემდეგ ავტორი მათუსალა საუბრობს მტკვრის ქვიშასავით მომრავლებულ ცრუ მეცნიერებზე, რომლებიც თუ სიცრუეს არ იტყვიან, იმ დღეს დღედ არ თვლიან. ისინი ისეთი მეცნიერები არიან, თუ შრომის ნაცვლად თათვლს არ დაპირდები, ხელსაც არ გაანძრევენ.

გიორგი წერეთელი მკითხველებისგან ითხოვს იყვნენ მისი მწუხარების თანამოზიარენი, ჰქონდეთ ერთი გულისწუხილი, აღიარებდნენ ნაკლოვანებებს და ერთად ეცადონ გამოსწორებას.

ბატონყმობის გაუქმებას თავადამნაურობა ვერ ეგუებოდა. გლეხიც განთავისუფლდა, მაგრამ მაინც ჰქონდა შიში, რომ ისევ ყმა იყო და იმასაც კი გაურბოდა, ვინც მის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. ინტელიგენცია კი შუაზე იყო გაყოფილი. გონებით ემიჯნებოდა გაბატონებულ წოდებას, გრძნობა კაცთ-მოყვარეობით ევსებოდა, მაგრამ საქმით ვერ მიუახლოვდა იმ მასას, რომლისთვისაც თეორიულად თავსა სდებდა. სასაცილო მხარეების ჩვენება, ძრახვა და გამოსწორების ქადაგება-ეს იქცა ლიტერატურის მთავარ ამოცანად. ამ პრობლემით დაიწყო გიორგი წერეთელმაც თავისი მხატვრული მწერლობა. სადებიუტო ნაწარმოები იყო

„მგზავრის წიგნები“, რომელიც გამოქვეყნდა „ღროების“ 1867 წლის №12, №13, №15, №36, №37, №39 და 1870 წლის №16, №22-ში.

1925 წელს, გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ, „ახალ კავკასიონში“ მიხეილ აბრამიშვილმა გამოაქვეყნა წერილი „გიორგი წერეთელი“, სადაც ის საუბრობს მწერლის შემოქმედებაზე და განიხილავს მის ნაწარმოებებს. „.....1867 წელს „ღროებაში“ გამოქვეყნდა გ. წერეთლის „მგზავრის წერილები“. აღწერილია მოგზაურობა სამეგრელოსა და სვანეთში. პირველი შეხედვით ნაწარმოები მოკლებულია წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს, შეუძლებელი ხდება მივაკუთვნოთ რომელიმე ლიტერატურულ უანრს. ნაწარმოებში სადად და მარტივად არის აღწერილი მთელი მოგზაურობა და ავტორი იძლევა სრულიად ძალდაუტანებლივ სხვადასხვა ტიპებს, ბუნების სურათებს, მოქმედ პირთა სულიერ განწყობილებას, გარეგან ეტიკეტს იმერელ აზნაურებისას და მასთანავე ნაწარმოები სრულიად “შეუფერავად“ იძლევა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების რეალურ სურათს.....ნაწარმოები იკითხება ინტერესით. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები დაინერა მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთსა და იმერეთში ახლად გადავარდნილი იყო ბატონ-ყმობა, ხოლო სამეგრელოში ამ წელს (1867) ხდებოდა ბატონ-ყმობის მოსპობა ოფიციალურად. ხალხი დიდ აღელვებას განიცდიდა, გაურკვეველ მოვლენის წინაშე იდგნენ ბატონიც და ყმაც. გლეხობა წყურვილით ელოდა თავისუფლებას, მაგრამ ამ მოლოდინს მაინც ტრადიციით შემუშავებული იჭვიანობა ღრღნიდა, აზნაურობა შიშით უცქერდა მომავალს, რადგან ეკარგებოდა ძველი გავლენა და ეკონომიური უზრუნველყოფა. ავტორი სრული სინამდვილით გადმოგვცემს სულიერ განწყობილებას გლეხობისა და აზნაურებისას, რომელიც ახასიათებდა ამ გარდამავალ ხანას.

....90-იან წლებში გამოქვეყნდა გ. წერეთლის რომანი “პირველი ნაბიჯი“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები საინტერესოა არა მარტო შინაარსით და შესრულების კომპოზიციით, არამედ ეს არის ქართულ ლიტერატურაში საუკეთესო ნიმუში სოციალური რომანისა...“პირველი ნაბიჯით“ აღინიშნა ახალი მოვლენა

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი. დარღვევა ძველი ფეოდალური წესწყობილების და დამყარება ახალი ეკონომიური ურთიერთობის, როდესაც ცხოვრების სარბიელზე გამოდის ვაჭარი“ [მ. აბრამიშვილი 1925:230-233].

გ. წერეთლის ნაწარმოებების მიმართ ქართველი საზოგადოების ინტერესს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა: მწერლის ნიჭი, სადა, უშუალო სტილი და ის, რომ გმირები არა მარტო მათი თანამედროვე საზოგადოების ტიპურ წევრებად აღიქმებოდნენ, არამედ ზოგიერთ გმირში მკითხველი ხშირად რეალური პიროვნების ანარეკლს ხედავდა (მ. ქაჯაია 2005).

გ. წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობა 1863 წლიდან პედაგოგიურ ასპარეზს დაუკავშირდა. მან დაიწყო მასწავლებლობა ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში. თითქმის ათი წლის განმავლობაში ასწავლიდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურას თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში (თბილისის რეალური გიმნაზია, ქალთა ინსტიტუტი, ნ. ჯაბადარის კერძო პანსიონი).

მოსწავლეებზე ზრუნვა, მათდამი მამობრივი დამოკიდებულება, განათლებული, სამშობლოს მოყვარული მოქალაქეების აღზრდა პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის აქტიური გამოყენებით გიორგი წერეთლის პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო.

ცენზურის დევნის მიუხედავად, გიორგი წერეთელი ყოველთვის ახერხებდა მოწინავე აზრების გავრცელებას აღზრდის საკითხებზე. მისი აზრით, ოჯახს დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდაში, მაგრამ არც გარემოს გამოთიშვა შეიძლება. მისი აზრით, ბავშვის ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისას, სამი მომენტია მნიშვნელოვანი: საერთო გარემო, ოჯახური აღზრდა, სკოლა.

გ. წერეთელი დაინტერესებული იყო ახალგაზრდების ბედით, რადგან ახალგაზრდობის აღზრდასთან, საქვეყნო ზრუნვის უნართან, განათლების ძალასთან დაკავშირებულია სამშობლოს მომავალი. მისი იდეალი იყო წესიერი, განათლებული მომავალი თაობის

აღზრდა. მისთვის სწავლა-აღზრდის საქმე იმდენად მნიშვნელოვანი იყო რომ 1866 წლის „დროების“ რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა სტატიები „ახალ-გაზდა დედებს და ყმანვილს ქალებს“ (№ 26,31,32,33,40,41), „ტფილისი, 26 ღვინობისთვის“ (№35, 36) (ა. ჭილაია 1967).

წერილში „ახალ-გაზდა დედებს და ყმანვილს ქალებს“ გიორგი წერეთელს ჟურნალ „Детский Сад“ (საყმანვილო ბაღი)-ის 1866 წელს პეტერბურგში გამოცემული აპრილის ნომრიდან აქვს გადმოთარგმნილი სტატია.²⁰

წერილის დასაწყისში ავტორი ეხება მნიშვნელოვან საკითხს-დედების როლსა და პასუხისმგებლობას შვილების აღზრდის დროს. ყველა დედას სურს შვილი გამორჩეული, წარმატებული ჰყავდეს და არ თქრობენ იმაზე, თუ რას გააკეთებენ, რომ შვილი იყოს პირველი კაცთა შორის. ყმანვილი ქალები ორი კატეგორიად-მდიდრებად და ღარიბებად იყოფიან. შეძლებულს აქვს საშუალება ისწავლოს, მოიძიოს გამოცემები აღზრდის შესახებ და აქვს შანსი აღზარდოს კარგი შვილი. მაგრამ მათ შვილებს ძიძები ზრდიან.

გაჭირვებული დედები შვილებს თვითონ ზრდიან, მაგრამ არ აქვთ საშუალება მიიღონ განათლება და შესაბამისად, შვილებსაც სათანადოდ ვერ აღზრდიან. ორივე სოციალური ფენის წარმომადგენელთა ოჯახში გაზრდილი ბავშვი ერთსა და იმავე სიტუაციაშია.

გიორგი წერეთელს იმედი აქვს, რომ რუსული გამოცემიდან გადმოთარგმნილი სტატია ახალგაზრდა დედებს დაეხმარება. წერილში მოცემულია პრობლემები აღზრდის დროს, გამყარებულია მაგალითებით და მოცემულია რჩევები.

შეცდომაა, როდესაც ბავშვს ოჯახში არავინ აქცევს ყურადღებას, არ ასწავლის ქცევის წესებს და ის როგორც უნდა, ისე იქცევა. ჩხუბსა და დასჯას შედეგი არ მოაქვს. ბავშვს სიამოვნებს, როცა ყურადღებას იქცევს და ჰგონია, რომ ყოველთვის მართალია. ასეთი შემთხვევის დროს, მასწავლებელმა მის ქცევას ყურადღება არ უნდა მიაქციოს და არ გაუბრაზდეს. პირიქით, მშვიდად მიიღოს.

²⁰ ინფორმაცია მოცემულია ზემოაღნიშნულ წერილში „ახალ-გაზდა დედებს და ყმანვილს ქალებს“ გვ. 3.

ყმანვილების სიკრუე. როდესაც ბავშვი იტყუება, აღმზრდელმა მშვიდად, წყნარად უნდა გამოიკითხოს ტყულის თქმის მიზეზი. დაუშვებელია დასჯა, ჩხუბი. ეს ბავშვს აღმზრდელისადმი შიშს უჩენს.

თვითნება ყმანვილი. თვითნებობა არა მშობლებიდან, არამედ გარემოდან მომდინარეობს. ის ისე იქცევა, როგორც სურს. გამოსავალია ის, რომ დედამ ყურადღება მიაქციოს თავის ქმედებებს. არ დაჰპირდეს ისეთ რამეს, რასაც ვერ შეასრულებს. არ მიაქციოს ყურადღება მის ტირილს, არ აუსრულოს თხოვნა და ყმანვილს თავისივე თვითნებობა დასჯის.

ყმანვილის თავშეკავება. ბავშვები პატარაობიდან უნდა შეეჩვიონ მოთმინებას. „.....დედ-მამები, რომლებსაც სურთ მომთმენი და თავშეკავებული გახადონ თავისი ყმანვილები, და რომლებიც ამასთანავე მიაჩვენენ შვილებს თვით-მოქმედებას, აღუძრავენ მოხერხებას, რომ იმათ თავისით შექმნან რამე, აი, მართო ის დედ-მამები არიან შვილის მოყვარენი.....”
[ახალგაზრდა დედებს და ყმანვილს ქალებს 1866:4].

წერილში „ტფილისი, 26 ღვინობისთვის“ გიორგი წერეთელი საუბრობს განათლების მდგომარეობაზე საქართველოში. ჩივის, რომ განათლების დონით ნეგრები გვჯობიან, ჩვენ კი მხოლოდ წარმომავლობით ვტრაბახობთ.

აღსანიშნავია გიორგი წერეთლის აქტიური ცხოვრება-მოღვაწეობის სხვა მხარეები და ეპიზოდები: 1880 წელს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. ის ჩვეული მონდომებითა და გულმოდგინებით ჩაება საქმიანობაში.

1889 წელს ის რკინიგზის აგენტია. სცადა, ეს თანამდებობა გამოეყენებინა იმისთვის, რომ დედუღეთში, ხონში, რკინიგზა გაეყვანა, მაგრამ მეფის მთავრობამ რკინიგზის სამმართველოს ამ ხაზის გაყვანის ნება არ დართო.

1890 წელს ქალაქ ბათუმში დაარსდა მუშათა არტელი, რომლის ხელმძღვანელადაც გ. წერეთელი აირჩიეს. ამ არტელის საქმის მოსაწესრიგებლად მან დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა, მაგრამ საქმე ჩინებულად დააყენა.

1891 წელს გადმოსახლდა თბილისში და ცოლად შეირთო საბავშვო ჟურნალ „ჭეჭილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი. ამის შემდეგ მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა „ჭეჭილსა“ და „კვალს“.

ამავე წელს გ. წერეთელი აირჩიეს მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრად, რომლის ორგანოში დაიბეჭდა მისი ისტორიული და არქეოლოგიური ხასიათის მონოგრაფიული შრომები.

1892 წელს გიორგი წერეთელი არჩეულ იქნა თბილისის გამგეობის წევრად. მწერალი აქტიურად იღწვოდა ქალაქის კეთილდღეობისა და მოსახლეობის საერთო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ჯანმრთელობისათვის.

1893 წელს მან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების საქმეში მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ამავე წლიდან გიორგი წერეთელმა განაახლა საძიებო სამუშაოები ნავთის მოსაპოვებლად ქვემო ჭალაში, ამავე დროს, ეძებდა სხვა წიაღისეულს, კერძოდ, მადნეულს. ჩამოიყვანა სპეციალისტები რუსეთიდან და აწარმოებდა გეოლოგიურ ძიებას. ამ ყველაფრის შედეგი უნდა ყოფილიყო ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება. წამოწყებაში ხალხიც მხარს უჭერდა, რადგან ხედავდნენ, რომ მათთვისაც სარგებლის მომტანი იქნებოდა. გიორგი წერეთელი გეგმავდა ჭალის ნავთის სამრეწველო დამუშავებას, ჭიათურის შავი ქვის ამოღებას, მაგრამ უსახსრობამ ხელი შეუშალა და გეგმა გეგმადვე დარჩა.

გიორგი წერეთელი იყო თითქმის ყველა ახალი საზოგადოებრივი, საქველმოქმედო წამოწყების მოთავე. იგი მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოში მრენველობის დანერგვასა და განვითარებაზე ოცნებობდა. გეგმები ფართო ჰქონდა, მაგრამ განხორციელების შესაძლებლობა - ნაკლები. ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას და გამოყენებას ის უყურებდა როგორც ეროვნული მოღვაწე და არა როგორც მოგებისა და გამდიდრების მომლოდინე (ა. ჭილაია 1967).

მას ანუხებდა, რომ ქართველობა არც ისე დიდი ხალისით ჰკიდებდა ხელს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. ინტერესთა მრავალმხრივობის გამო, აკაკი წერეთელმა მას ხუმრობით „ორთავა“ შეარქვა და მწერლისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, აღნიშნა, „ბევრ საქმეს ეპოტინებოდაო“. აკაკის სახუმარო ლექსში „მესტვირული“, რომელიც გამოქვეყნდა „დროების“ 1880 წლის პირველ ნომერში, მისთვის დამახასიათებელი ენამახვილობით არიან შექცეულნი გამოჩენილი მოღვაწენი. აკაკი გიორგი წერეთელზე შემდეგს ამბობს:

„გიორგი ჩვენში ყველაზე უფრო შრომის მოყვარია,

მაგრამ მისი ნაწერები სხვადასხვაა, ორგვარია:

ერთი ნიჭიერი არის, მეორე კი ზღაპარია:

მგონია თუ იმ ერთ კაცსა რი თავი აბარია,

როცა ერთი გამოჩნდება, მეორე ჩრდილს აფარია,

საზოგადოდ კი ის კაცი ჩვენში კარგი ლაამპარია“ [დროება 1880:2].

„ბევრჯერ მიმხელია მისთვის, მაგრამ რას გავხდებოდი, ის თავისას არ იშლიდა და მეც, რომ მეტი ვბა აღარ დამრჩა რა, დავეცინე: ორთავა დავეუძახე-ამით მე მისი არც წყენა მდომებია და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ მეტი შრომა მომეშლევინებია, მაგრამ რა გამოვიდა? ის სიკვდილამდე ისევ იმ გიორგიდ დარჩა და ჩემზე კი სამარადისოდ გულნატკენი იყო“ [აკ. წერეთელი 1958:110].

3.2. გიორგი წერეთელი - „დროების“ ერთ-ერთი ავტორი

გიორგი წერეთელი „დროების“ რედაქტორობის გარდა, გამოცემის ავტორიც არის. იმ დროს, როდესაც „დროება“ გამოვიდა, გაზეთის გამოცემა გმირული საქციელი იყო. გადასალახი იყო ის წინააღმდეგობები, რომლებიც გაზეთის გამოცემის საქმეს ელობებოდა: აუტანელი საცენზურო პირობები, გაზეთის გამოცემისათვის საჭირო მატერიალური სახსრების უქონლობა, საგამომცემლო ტექნიკური ბაზის მოუწყობლობა, მკითხველთა ნაწილის უგულისყურო დამოკიდებულება გაზეთისადმი.

თუ რა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებაში გამოდიოდა გაზეთი, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილი გ. წერეთლის ერთ-ერთი წერილი: *„არავითარის ხეირიანის აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევენ, აგრეთვე მთავრობის განკარგულებებშიაც იმისთანა ბრძანებანი ვაიცა, რომ სრულებით ლამის, ჩვენს ქვეყანაში, ან წყვილად სიბნელე მოჰფინოს, ბნელი კამარა თავს გადმოგვახუროს...ქართულს ენას სდევნიან...გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ უცხოური წერა-კითხვა და ლაპარაკი; ქართული არას გზით არ უნდა ასწავლონ. ასე, ამრიგად, მთელი ხალხობა უნდა გადაავგარონ. ნუთუ ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მადაურ ჰაერს უნდა შეაჩერდეს და სამშობლოსათვის არ უნდა იფიქროს?-ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლეელი არ დაგვიძახონ“* [კ. ლორთქიფანიძის არქივი].

მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, გ. წერეთელი ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ ირიბად მაინც ახერხებდა ემხილა თვითმპყრობელობა, დაენერგა პროგრესული იდეები, გაეღვიძებინა ქართველი ერის პატრიოტული გრძნობა (ა. ჭილაია 1967).

„გაზეთ „დროების“ გამოცემაზე 1867 წელს“ გიორგი წერეთელი გაზეთისა და ჟურნალის ფუნქციასა და მნიშვნელობაზე საუბრობს: *„ჩვენ უნდა დავსტოვოთ ყოველივე უვარგისი ჩვენს*

ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა. აი, ჩვენი ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და უურნალს, რომელიც კი დაინწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და უურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილიდა საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგით მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ისა, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ბუნებით დანიშნული“ [დროება 1866: 1].

გაზეთ „დროებას“ ჰყავდა მონინააღმდეგეები. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია რედაქტორის აზრი არა მხოლოდ მათ, არამედ ზოგადად გამოცემის შესახებ. 1867 წლის №1 და №50, და 1879 წლის №13-ში გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა წერილები („ძველის წლის ნაყოფი და ახალ-წლის კოკრები“, „განცხადება გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1868 წელში“, „ჩვენ და ჩვენი „დროება“). (იხ. დანართი 3.2). წერილებში რედაქტორი საუბრობს სიძნელეებსა და საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულებაზე.

ბევრი ვარაუდობდა, რომ გამოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდებოდა. ასე არ მოხდა. „დროებას“ ბევრი ჭორი მოუგონეს - თურმე თილისმის მახე ყოფილა, არ მოსწონდათ ასომთავრული. ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივია, გულს სტკენდა გამომცემლებს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ადამიანები მალე შეეჩვეოდნენ გაზეთს და ნაკლს ღირსებად ჩათვლიდნენ.

გამოცემას ყველაზე მეტად იმას უწუნებდნენ, რომ „ნამდვილი“ ქართული ენით ვერ ლაპარაკობდა. გიორგი წერეთელი ამის მიზეზზე საუბრობს: საზოგადოების უგულისყურობამ - შვილისთვის მშობლიურ ენაზე მიეცა განათლება, გამოიწვია ის, რომ „დროების“ თანამშრომლებმა განათლება უცხო მიწაზე მიიღეს და ქართულ ენას გადაეჩვივნენ.

არც ის მოსწონდათ, რომ გამოცემა საზოგადოებას სარკეში ახედებდა, რეალობაზე ესაუბრებოდა, ნაკლებ მიუთითებდა. იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ ასეთი საქციელით ცდილობდა სარედაქციო ჯგუფი ვითარების გამოსწორებას.

გიორგი წერეთელი აღნიშნავს, რომ „დროების“ ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ გამოცემა ცხოვრებისეულ ცვლილებებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს. ვერ ადევნებს თვალყურს, არ აქვს მოვლენებისადმი ყოველდღიური ინტერესი. მაგრამ ამ გარემოებას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები: პირველ რიგში, ეს ნაკლი იმით აიხსნება, რომ გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, კვირის განმავლობაში ბევრი სიახლე გროვდებოდა და რედაქცია გვერდების სიმცირის გამო, ვერ ახერხებდა ყველა მოვლენის გაშუქებას. მეორეც, ცენზურა ფხიზლობდა და არ იძლეოდა მოვლენათა ობიექტური და თავისუფალი გაშუქების საშუალებას.

მიუხედავად ყველაფრისა, გიორგი წერეთელი მაინც სიამაყით აღნიშნავს, რომ გაზეთის გამოცემისას მკითხველებმა ევროპის სახელმწიფოების არსებობაც კი არ იცოდნენ, გაზეთის კითხვის ჩვევაზე საუბარი აღარ არის. გამოცემამ ორივე „ნაკლი“ გამოასწორა. მას დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული: მკითხველი საზოგადოება ისე უნდა მოემზადებინა, რომ მალე თვითონ გამხდარიყო ამავე საზოგადოების აზრის გამომხატველი.

3.3. ხელნაწერზე მუშაობის გიორგი წერეთლისეული პრინციპები

რედაქტირება (redactus) ლათინური სიტყვაა და მონესრიგებას ნიშნავს. ეს არის პროფესიული საქმიანობის სახეობა, რომელიც ტექსტის გამოსაცემად მომზადებას გულისხმობს. რედაქტორი არის პიროვნება, რომელიც ტექსტს აწესრიგებს, გამოსაცემად ამზადებს. რედაქტორის საქმიანობა და პროფესიონალიზმი ტექსტებში ვლინდება. გაზეთის რედაქტორი არის პირი, რომლის ხელშიც გადის ყველა დასაბეჭდი მასალა.

1866-1869 წლებში გაზეთ „დროებაში“ დასაბუჯდ მასალებს რედაქტორი გიორგი წერეთლი ასწორებდა. მისი საქმიანობის უკეთ წარმოსაჩინად, თუ რას ცვლიდა და რას ტოვებდა ტექსტში, საჭიროა ხელნაწერი ტექსტი შევადაროთ გაზეთში დაბეჭდილ ტექსტს და თუ შესაძლებელია, ავხსნათ, რატომ შეცვალა სიტყვები, წინადადებები და თუნდაც აზრი.

დიდი იმედი გვქონდა, რომ მასალა ამ კუთხით მცირე არ იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის მთავარი მიზეზი არქივის უქონლობაა. „დროების“ 1868 წლის №29-ე ნომერში დაბეჭდილია რედაქციის განცხადება; „.....ხელნაწერები პატრონებს რედაქციისაგან არ გაეგზავნებათ; ხოლო თვითონ პატრონებს ან იმათის ნდობით სხვათა შეუძლიანთ აიღონ უკანვე ტფილისში რედაქციიდან. ხელნაწერები რედაქციაში ექვს თვემდის შეინახება და შემდეგ ცეცხლს მიეცემა.....“ [დროება 1868:4]. რადგანაც ტექსტი იბეჭდებოდა, სავარაუდოდ, ავტორები აღარ თვლიდნენ საჭიროდ, რომ ხელნაწერები რედაქციიდან წამოეღოთ. ამ ფაქტმა უძვირფასესი მასალის განადგურებას შეუწყო ხელი, მაგრამ მაინც მოხერხდა ზოგიერთი ფაქტის გამოვლენა.

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მასალების ავტორების არქივების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის აკაკი წერეთლის განყოფილებაში, ერთ-ერთ რვეულში (№74) დაცულია მის მიერ დაწერილი „დროების“ კორრესპონდენცია ქუთაისიდან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთის 1867 წლის 43-ე ნომერში.

აკაკი კორრესპონდენციაში ეხება ქვეყნის სამეთვო-სამთავროებად დაშლას, დაცემასა და აოხრებას. 1867 წლის 4 იანვარს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა და მისი ტერიტორია ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების სახით შევიდა ქუთაისის გუბერნიაში. 23 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლმა სადილზე მიიწვია აზნაურები, დეპუტატები. სადილზე აკაკიც იმყოფებოდა და შემდეგ შეესწრო მეგრელი მოხუცებულების ბაასს. ბოლოს

კი ჩართული აქვს ნაწყვეტი თავისი ლექსიდან. ხელნაწერისა და ნაბეჭდი ტექსტების შედარებისას გამოვლინდა ნაირნაკითხვები (იხ.: დანართი 3.3).

ასევე გვხვდება შემდეგი განსხვავებები: წერილის დასაწყისში აკაკი საუბრობს საქართველოს დაცემისა და აოხრების მიზეზზე, საქართველო დაიშალა სამთავროებად (1490 წელს) და ერთმანეთთან ჩხუბისა და მტაცებლობის გარდა აღარაფერი აკავშირებდათ. „.....*ძმური კავშირი გასწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა.....*“. ხელნაწერში არ არის დაკონკრეტებული, ვის ღროს გაოხრდა ქვეყანა, წაშლილია სამი სიტყვა, მაგრამ ბოლოში სავარაუდოდ ერთი სიტყვაა [ღროში]. ხოლო გაზეთში დაბეჭდილში კი წინადადებას დამატებული აქვს „აღა მაჰმადხანის ღროებას“. საინტერესოა, რატომ აქვს ფრაზის საკუთარი ვერსია აკაკის წაშლილი. ალბათ, აღარ მიიჩნია საჭიროდ დაეკონკრეტებინა. გიორგი წერეთელმა კი, სავარაუდოდ, ჩაამატა ცენზურის გამო, რომ ისე არ წარმოჩენილიყო, თითქოს რუსეთს გულისხმობდა ავტორი.

ხელნაწერში მეორე აბზაცის დასაწყისში წერია „.....*მხოლოდ ამ უკანასკნელ ღროში ამ სენისაგან გაიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით....*“ ნაბეჭდში ასეა: „.....*მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ამ სენისაგან გაიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით.....*“. ცხადია, რომ აკაკის „უკანასკნელი ღრო“ რედაქტორმა მიზანმიმართულად დააკონკრეტა, რომ არ მოჰყოლოდა ცენზურის პროტესტი.

სადილზე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყვნენ ახალგაზრდები, შეისვა მათი სადღეგრძელოები, ყველამ გამოუცხადა თანაგრძნობა და სიყვარული, მაგრამ აკაკიმ მათში ჩვეულებრივი პირმოთნეობა და შური დაინახა. ამან გაახსენა ლექსიდან, „წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაგონებს“ [1867 წელი] ნაწყვეტი, რომელიც დაკავშირებულია ასეთ ადამიანებთან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ერთგვარი ფარია და სინამდვილეში სხვა რამესაც გულისხმობს. ლექსში აკაკი საუბრობს გვამებზე, არაფრის მკეთებლებზე, რომლებიც კარგ

საქმეებს ხელს უშლიან და ნატრობს, ნეტა როდის დადგება ის დრო, როდესაც მათ სახელებს ყველა გაიგებს. ბოლო სტროფის ორი სტრიქონი ხელნაწერში ასე გამოიყურება:

„... და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ

ზედ აფურთხებდნენ იმათ საფლაგზედ!...“

ნახევალში კი ასე:

„...და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ

ზედ აფურთხებდნენ იმათ“

სიტყვა „საფლაგზედ“ გამოტოვებულია. ლექსის ნაკითხვის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აკაკი შურიან, ბოროტ ადამიანებზე წერს, მაგრამ თუ სიტყვას დავტოვებთ, ლექსი ცალსახად არაპატრიოტ, მოღალატე ადამიანებს ეძღვნება. ამდენად, გიორგი წერეთელი ხშირად უბრალოდ ცარიელ ადგილს ტოვებს ისეთი სიტყვის ნაცვლად, რომელიც შეიძლება ცენზორმა არ მოიწონოს, თუმცა გონიერი მკითხველი კონტექსტის მიხედვით მას ადვილად ამოიცნობს.

საინტერესოა გიორგი წერეთლის, როგორც რედაქტორის დამოკიდებულება გიორგი წერეთლის, როგორც მწერლის შემოქმედებასთან. მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია „მგზავრის წიგნები“, რომელიც 1866 წელს დაწერა და პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1867 წლის №12, №13, №15, №36, №37, №39 და 1870 წლის №16, №22-ში.

„მგზავრის წიგნებში“ აღწერილია დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა-ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდში და ნაჩვენებია გლეხ-კაცობაც, თავად-აზნაურობაც და ინტელიგენციაც. ეს არის საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალი ეტაპი, როცა მულავნდება ადამიანის რეალური სახე. გიორგი წერეთელმა დაგვიხატა მათი ცხოვრების ნამდვილი სურათები. თავად-აზნაურები ვერ ეგუებოდნენ ცვლილებას; გლეხებს ტან უჭირდათ ბატონის სახით მფარველის დათმობა და თან თავისუფლებაც უნდოდათ. ავტორმა მგზავრობის აღწერაში კომიკური ელემენტები შეიტანა და სიცილით სიმართლე გვითხრა.

ჩიკოლიკის, გიგოლიკის, კუდაბზიკას, გურულის და ავტორის მოგზაურობის განრიგი ასეთი იყო: „.....ქ.....დგან გლაახათუბანს უნდა მისულავიყავით. შემდეგ ჩვენი გზა ცხენის-წყალს შეუყვებოდა. უნდა გაგვევლო ლეჩხუმი, სადადიანო სვანეთი და ცხენის-წყლის სათავის მახლობლად უნდა გადაგვევლო ლათფარის მთა. ამ მთაზედ თითქმის მუდამ თოვლია. მთას გადაღმა მიჰყვებოდა ენგურის ხეობა...“ [დროება 1867:3]

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის გიორგი წერეთლის განყოფილებაში დაცულია საავტორო ეგზემპლარი გ. წერეთლის თხზულებისა „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. ტექსტი თავად ავტორის მიერ არის ნასწორები, თუმცა თარიღი არაა მითითებული. 251. ფ.

აღნიშნულ გამოცემას წამძღვარებული აქვს: „ეს წიგნი არის საავტორო ეგზემპლარი გ. წერეთლის თხზულებისა „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, რომელიც იბეჭდებოდა „კრებულში“.²¹ როგორც ჩანს, „კრებულში“ დაბეჭდილი ტექსტი [გაუნახევრებია] ავტორს ცალკე წიგნად გამოცემის მიზნით. ბოლოში უზის ცენზორის, რაფიელ ერისთავის მიერ გაცემული ნებართვის ფორმულა. წიგნი მოვიპოვე ქუთაისში, ერთი ქართველის ოჯახში, სადაც ინახებოდა ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის ყოფილი წინამძღვრის, დონ დამიანე სააკაშვილის ბიბლიოთეკის ნაშთი. როგორ მოხვდა ეს წიგნი იმ ბიბლიოთეკაში, არ ვიცი. ვწირავ ამ წიგნს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას“.

სიმ. ყაუხჩიშვილი

1852. XII.II

„მგზავრის წიგნები“ დაიბეჭდა „კრებულის“ მეხუთე და მეექვსე წიგნებში 1873 წელს, გვ. 189-353. გამოცემა პატარა ზომისაა, ე.წ. ჯიბის. სულ არის 12 თავი - 193-ე გვერდიდან 251-ე

²¹ იგულისხმება აურნალი „კრებული“, რომელიც 1871-1873 წლებში გამოდიოდა გიორგი წერეთლის რედაქტორობით.

გვერდის ჩათვლით. ტექსტი სრული არ არის. იწყება პირველი თავის შუა ნაწილიდან. ყველა გვერდს ზემოთ უწერია „კრებული“, „მგზავრის წიგნები“, რასაც ხაზი აქვს გადასმული ყველა გვერდზე.

სწორების სიხშირის გამო ამოვირჩიეთ გამოცემის მესამე და მეშვიდე თავები. მესამე თავი დაბეჭდილია „დროების“ 1867 წლის №13-ში, გვ. 3 და საარქივო მასალაში არის მეორე თავის დასაწყისი. მოიცავს 211-219 გვერდებს;

მეშვიდე თავი კი მოიცავს საარქივო მასალის 241-253 გვერდებს. დაბეჭდილია „დროების“ 1867 წლის №15-ში, გვ. 4 და არის მეორე თავის ბოლო ნაწილი (შემოკლების გამო არ ემთხვევა თავები ერთმანეთს).

გადმობეჭდილ ტექსტში ხაზი აქვს გადასმული იმას, რაც ასევე ავტორმაც არ მიიჩნია საჭიროდ დაეტოვებინა და ფრჩხილებშია ჩასმული, რითაც შეცვალა გადაშლილი მასალა.

მეორედ მგზავრის წიგნები დაიბეჭდა კრებულში, 1873 წლის №5-6 და №9. გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ტექსტისა და საარქივო ფონდში დაცული ტექსტის შედარებისას არა მხოლოდ ავტორის მიერ გადახაზულ სიტყვებსა და წინადადებებში, არამედ იმ სიტყვებშიც იყო სხვაობები, რომლებიც არ არის გადახაზული. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტექსტი „დროებიდან“ უუნალ „კრებულში“ პირდაპირ არ არის გადაბეჭდილი და შესწორებულია.

სიტყვები და წინადადებები სხვადასხვაა ორივე გამოცემაში. ზოგი მათგანი ავტორის მიერ არის გადაშლილი და მიწერილია ახალი ვარიანტი, ან მხოლოდ გადაშლილი. რადგან ჯერ დაიბეჭდა „დროებაში“, შემდეგ „კრებულში“ და ბოლო ვარიანტია ავტორის მიერ ნასწორები, ასეთი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი. დანარჩენი სხვაობები, დამატებები, გადაშლილი სიტყვები და წინადადებები ტექსტებშია დანართის სახით მოცემული. (იხ. დანართი 3.4)

რაც შეეხება სხვა სხვაობებს, გამოცემაში მესამე თავში ბომბუას ხიდი ყველგან გადაშლილი აქვს გიორგი წერეთელს. ბომბუას ხიდი არის სამეგრელოში, მარტვილთან ახლოს. რედაქტორს მხოლოდ სიტყვა „ხიდი“ აქვს დატოვებული. შესაძლოა, გიორგი წერეთელმა ეს ტოპონიმი იმიტომ წაშალა, რომ ფიცისკაცთა ტერიტორიის ერთ-ერთი სასაზღვრო პუნქტი იყო და მისი ხსენება წამკითხველს ძველ დროს გაახსენებდა.

როდესაც მოგზაურები ერთ-ერთ სოფელთან მივიდნენ, კუდაბზიკამ უთხრა, რომ სოფელ მათხოჯში იმყოფებოდნენ. ეს სიტყვა გადაშლილია და წერია ცხენიპარი. სოფელი მათხოჯი ექვემდებარება ხონის მუნიციპალიტეტს, მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას.

მეშვიდე თავში სიტყვა ხონი წაშლილია და უწერია გლახათუბანი. გლახათუბანი ნახსენებია პირველ წიგნში, როდესაც მოგზაურები დაბინავდნენ ერთ-ერთი შეძლებული აზნაურის ოჯახში.

სიტყვა მური შეცვლილია თეთრიკოშკით, სადაც დადიანების სასახლე იყო. მურის ციხე მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის იონა მეუნარგიას ნაშრომში „სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი“, საუბარია მურის სასახლეზე. „.....მურის სასახლე ვრცელი შენობა იყო. მურის ციხის დაშვებაზე ცხენის-წყლის პირად. სასახლეს ისეთი დიდი აივანი ჰქონდა თურმე, რომ ორას კაცზე მეტი სადილად დაჯდებოდა. ერთი თავი ამ აივნისა ანეული იყო, საცა დაიდგმებოდა სუფრა მთავრის და დედოფლისა და რჩეულთა თავად-აზნაურთა. მთავარმა გრიგოლ დადიანმა (დავით დადიანის პაპამ) ჭვარი რომ დაინერა, ლხინი ამ სასახლეში გადაიხადა. ამ ქორწილზე ამბობენ: სტუმრებისათვის საგანგებოდ აშენებული სეფა ლავაშით იყო გადახურულიო....“ [ი. მეუნარგია 1939:31].

3.4. „დროების“ დატოვების მიზეზები

გაზეთ „ღროების“ ბოლო ნომერი გიორგი წერეთლის რედაქტორობით 1869 წლის 10(22) აპრილს №15 გამოვიდა. როდესაც გიორგი წერეთელმა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, რედაქტორის თანამდებობაზე კირილე ლორთქიფანიძის კანდიდატურა წამოაყენა.

ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მათი ურთიერთობა ქუთაისის გიმნაზიიდან დაიწყო და პეტერბურგის უნივერსიტეტში გაგრძელდა. ამდენად, გიორგი წერეთელმა კარგად იცოდა, როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა გამოცემის რედაქტორობას კირილე ლორთქიფანიძე. ის პეტერბურგში მყოფ თერგდალეულს საქართველოში ჩამოსვლასა და გაზეთის გამოცემის სათავეში ჩადგომას სთხოვდა: *„საყვარელო ძმაო კირილე. მე სექტემბრიდან საზღვარ გარეთ მივდივარ დიდი ხნობით და შენ მიუცხილებლად ჩემ მაგივრათ იქნები საჭირო და ამისათვის გთხოვ, თუ შენ ფაკულტეტზე არ დაგიჭერია ეგზამენი ისე, რომ სექტემბრისათვის დიპლომი მზად გქონდესთ. წამოსვლის ფულს როდესაც გინდა, მაშინ გამოვიგზავნით, გარდა უჩიტლობისა, სტამბა გექნება ხელში, რადგან შენი ჩვეულებრივი თავაზიანობა თავდებათ გველაგება, რომ საქმეს აქაც კარგად წაიყვან. ეს საქმე ისე დიდია, რომ მე მგონია შენ უარი არ უნდა სთქვა ამაზე, რადგან უარის თქმით საქმე გაფუჭდება და პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში შენ იქნები. შენი ერთგული ძმა და მეგობარი გ. წერეთელი.*

ველი საჩქაროდ პასუხს“.

[კ. ლორთქიფანიძის არქივი №892]

უცნობია, თუ რა უპასუხა კირილე ლორთქიფანიძემ, მაგრამ ცნობილია, რომ 1871 წლამდე საქართველოში არ ჩამოსულა. როგორც ჩანს, „ეგზამენი“ არ ჰქონდა დაჭერილი.

შემდეგ კი 1869 წლის 11 აპრილს გიორგი წერეთელმა განცხადებით მიმართა თბილისის გუბერნატორს პეტერბურგში გამგზავრების გამო გაზეთის რედაქტორის მოვალეობის სერგეი მესხისადმი გადაცემის შესახებ: *„Желая ехать в С. Петербург для выдержания экзамена по факультету восточных языков, я передаю обязанность редактора-издателя вышепоименованной газеты действительному студенту С. Петербургского университета*

Сергею Семенову сыну Месхи. Доводя об этом до сведения вашего превосходительства, покорнейше прошу обращаться по всем делам, касающимся вышепоименованной газеты, к г-ну Месхи, как временно исполняющему обязанности редактора "Сельской газеты". Редактор "Сельской газеты" Георгий Церетели ²² [საისტორიო მოამბე 1952:198]. ცხადია, აღნიშნული ცვლილების შესახებ გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია: „.....რადგან „ღროების“ რედაქტორი თავის საქიროებისათვის მიღის პეტერბურგს, იმის მაგიერათ ღროებით რედაქტორობა გაზეთისა იკისრა უფ. მესხმა“ [რედაქციის განცხადება 1869:1].

ასე, რომ 1869 წელს გიორგი წერეთელმა რედაქტორობა სერგეი მესხს გადასცა და გაემგზავრა სახელმწიფო გამოცდის ჩასაბარებლად, რათა ქართული ენის მასწავლებლის წოდება მოეპოვებინა.

1870 წლის სექტემბრიდან ოფიციალურად გაზეთ „ღროების“ რედაქტორი სერგეი მესხია.

ამრიგად, გიორგი წერეთელი იყო ნამდვილად ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელიც მუდამ სამშობლოზე, ქართველ ხალხზე ზრუნავდა და ცდილობდა მოეგვარებინა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სოციალური, არამედ ეკონომიური პრობლემები. ამისთვის კი არ იშურებდა არც ძალას, არც ენერგიას, არც ფინანსებს და არც მონდომებას და ბოლოს - ჯანმრთელობაც კი შესწირა.

²² საქ. ცსსა, ფონ. 31, საქ. 21113, ფურ. 72. დედანი, ხელით ნაწერი. ხელრთვა: "Сельской газеты" Георгий Церетели ავტოგრაფი.

IV თავი: სალიტერატურო ნაწილი “დროებაში“.

4.1. პროზა

ე. წ. „საგლეხო რეფორმამ“ პრესისა და, ზოგადად, ლიტერატურის წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. „თერგდალეულები“, მათი თანამოაზრენი და მკითხველები გრძნობდნენ, რომ მწერლობის განვითარებას, იდეურ-თემატიკურად და ფორმის მხრივ, დიდი ენერგია სჭირდებოდა (ალ. კალანდაძე 1987).

ქართველ სამოციანელთა აქტიურობამ კულტურის ყველა სფეროს ახალი დემოკრატიულ-რადიკალური იდეები შესძინა. ლიტერატურა ხალხის ცხოვრების ინტერესების გამომხატველი გახდა. გერცენი²³ ამბობდა, რომ ხალხისთვის, რომელსაც თავისუფლება წაართვეს, ლიტერატურა ერთადერთი ტრიბუნაა, საიდანაც მას შეუძლია ყველას გააგონოს თავისი აღშფოთება. „თერგდალეულთა“ და მაშინდელი ქართული ლიტერატურის ძირითადი თემა ხალხი იყო (ქართული ლიტერატურის ისტორია 1974). 1866 წლის პირველი

²³ ალექსანდრე გერცენი (1812-1870) - რუსი მწერალი, მოაზროვნე, პუბლიცისტი.

ნომრიდან 1869 წლის 15 ნომრის ჩათვლით „დროებაში“ ქვეყნდებოდა პროზა (11), პროზაული თარგმანი (8), პოეზია (54) და პოეტური თარგმანი (16) (იხ.: დანართი 4.1).

გამოცემაში დაბეჭდილი პროზაული ტექსტებიდან ყველაზე მეტი (სამი) გამოქვეყნებული აქვს ცნობილ ქიმიკოსსა და პედაგოგს ვასილ პეტრიაშვილს (1842-1908) (ფსევდ. ბ. პ-შვილი). იგი აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან და ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს სოციალურ, სამეცნიერო საკითხებზე. მისი სამი პროზაული ტექსტი („ამ დროების ქართველები“, „ნაამბობი ცეცხლსა და წყალსშუა გამოვლილისა“, „გიორგი მუშაკაძის ცხოვრება“) ეხება აღზრდა-განათლების პირდაპირ კავშირს საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ავტორი მოურიდებლად ასახავს ქართველების ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით ბავშვების აღზრდა-განათლების საკითხში და რჩევებსაც არ იშურებს; აკრიტიკებს ფიზიკურ დასჯას, რომელიც ადამიანის დაბეჩავებას იწვევს, ამხელს სკოლისა და მასწავლებლის ჩამორჩენილობას. დანარჩენ ტექსტებში კი შეულამაზებლად არის გადმოცემული რეალობა: მწვავე სოციალური ურთიერთობები, ყოველდღიური ცხოვრებისეული სურათები, დაპირისპირება, კონფლიქტი, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხების ისევ აუტანელი ყოფა და სხვ.

იმ პერიოდის გლეხების მდგომარეობას ასახავს ფილოლოგისა და ისტორიკოსის, ალექსანდრე ცაგარლის (1844-1929) „ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ“. სამწუხაროდ, ბატონყმობის გაუქმებამ მშრომელი და გაჭირვებული ხალხის ცხოვრების დონე ვერ გააუმჯობესა. მთავარი გმირის სახელი და გვარი ყველაფრისმთქმელია - გლახა ბედკრულაძე. ის ცოლთან ერთად ბატონს თბილისში გამოეცა ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად, მაგრამ ამაოდ - თითქოს დაკანონებულია, რომ სიცოცხლის ბოლომდე მათი ღირსებები და უფლებები ფეხქვეშ უნდა ითელებოდეს (იხ. დანართი 4.2).

4.2. პროზაული თარგმანი

„დროებაში“ მკითხველს უცხოელი პროზაიკოსების მოთხრობები, ნოველები, რომანები გააცნო, რითაც ხელი შეუწყო ევროპული ლიტერატურის გავრცელებას. ავტორებისა და

ნაწარმოებების შერჩევის პრინციპი ამტკიცებს, რომ რედაქცია საკმაოდ კარგად ერკვეოდა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის საკითხებში და ითვალისწინებდა ქართველი მკითხველის მოთხოვნებს (ალ. კალანდაძე 1987). ამავე დროს, ცდილობდა შეერჩია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საზოგადოების აზროვნებაზე გავლენას მოახდენდა.

1866 წლის პირველი ნომრიდან 1869 წლის 15 ნომრის ჩათვლით „დროებაში“ გამოქვეყნებული თარგმანების რაოდენობა მცირეა, მაგრამ საინტერესო. დაბეჭდილია რვა პროზაული ტექსტის თარგმანი. მთარგმნელებიდან ლიდერია გიორგი წერეთელი (ოთხი). „პარიჟი ამერიკაში“, დოქტორ რენე ლეფევერის თხზულება; „გარდინერის პროცესი“; „კლოდ გო“ (თხზ. ვიკტორ ჰუგოსი); „სასამართლო და პოლიცია“, (ედუარდ ლაბულედგან). თარგმანები ეხება საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას ადამიანის ცვლილებას, ნათესი მსაჯულების მიერ უდანაშაულო კაცის გასამართლებას და იმას, რომ ბოროტება არავის შერჩება, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლას და სიკვდილმისჯილის ფიქრებს, დაეხმაროს გაჭირვებულებს; ასევე, სასამართლო რეფორმის აუცილებლობას.

გიორგი წერეთელმა უცხოელი მწერლების თხზულებათა თარგმნით ქართველ საზოგადოებას აჩვენა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხარ და რომელ სახელმწიფოში ცხოვრობ. არსებობს მარადიული ღრებულებები, რომელთათვისაც ყველა კეთილშობილმა ადამიანმა უნდა იბრძოდეს - უნდა იყოს სამართლიანი, კეთილი და ცდილობდეს ნაკლის გამოსწორებას.

გიორგი წერეთელი ახალგაზრდების წახალისებაზეც ზრუნავდა. მის მიერ გამოქვეყნებულ თარგმანებში გვხვდება საბუნებისმეტყველო შინაარსის ტექსტი - „ბუნების ისტორიიდან“ (გველი), რეალურ გიმნაზიის მოსწავლის მ. ყიფიანის ნათარგმნი. საინტერესო ტექსტია ქვენარმავლისა და მისი შხამის შესახებ. ამგვარი ქმედებით რედაქტორი სხვა დაინტერესებულ პირებსაც აძლევდა სტიმულს, მიებაძათ მთარგმნელისთვის გზა გაეხსნა ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის.

ასევე თარგმნილია საინტერესო ნაწარმოებები „ხალხის აღზრდაზე“ (ედ. ლაბულეს ლექციადამ) და „თვით-განათლება“. ედუარდ ლაბულეს ლექცია (იხ. დანართი 4.3)

4.3. პოეზია

„დროებაში“ დაბეჭდილი პოეზია თემატურად მრავალფეროვანია. ლექსები ზოგჯერ მხატვრულ ტექსტებსა და პუბლიცისტურ წერილებშიცაა ჩართული.

გაზეთ „დროების“ სალიტერატურო ნაწილში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, სიხშირით პოეზია ლიდერობს. დაბეჭდილია 54 ლექსი. ყველაზე მეტის (ცხრა) ავტორია ანტონ ფურცელაძე (1839-1919) (ფსევდ. ზურაბ მოენიძე). მისი შემოქმედება ეხება უსამართლობას, სიცრუეს, გაუტანლობას.

საინტერესოა, რომ ავტორთა შორის ერთადერთი ქალია - სოფელ ივანდიდის მკვიდრი კნენა მარგარიტა წულუკიძე, რომლის ლექსით „ჩემს კრიალოსანს“ იხსნება პოეზიის ნაწილი გაზეთში (დაიბეჭდა 1866 წლის №12-ში). ავტორის თქმით, კრიალოსანმა მას ბევრი დრო დააკარგვინა უქმად, რის გამოც ოჯახს მზრუნველობა მოაკლო. ტექსტი არ გამოირჩევა პოეტური ღირსებით. მაშ, რამ გადაწყვეტინა რედაქტორს მისი დაბეჭდვა? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი შინაარსობრივი აქტუალურობა იყო; მაშინდელ გაზეთებში არაერთი კრიტიკული წერილი იბეჭდებოდა სწორედ ქალთა მხრიდან სხვადასხვა თავშესაქცევზე დროის უაზროდ ფლანგვაზე; ამდენად, რაკილა ამ ლექსის ავტორი თავადაც ქალი იყო, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენდა მკითხველთა თვალში მასში გამოთქმული შეხედულებები.

ფაქტია, რომ გიორგი წერეთელის სიამოვნებით ითანამშრომლებდა სხვა ქალ ავტორებთანაც, მაგრამ, სავარაუდოდ, გარკვეული მიზეზების გამო ისინი (საზოგადოების, ოჯახის, სიმორცხვის) ალბათ თავს იკავებდნენ თავიანთი შემოქმედების გამოქვეყნებაზე.

ჩვენი ყურადღება მიიქცია „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ორმა ლექსმა ერთნაირი, ცოტა ხელოვნური სათაურით „დროს კაცი“. 1866 წლის №35- ნომერში გამოქვეყნებული ლექსი ხელმოუწერელია, ხოლო 1868 წლის №35-ე ნომერში ნათქვამია, რომ ის თარგმნილია დავით ერისთავის მიერ. ვფიქრობთ ეს ორი ლექსი ერთი და იმავე წყაროდანაა გადმოთარგმნილი, თუმცა მთარგმნელი სხვადასხვა პიროვნებაა. ჩვენ მივაკვლიეთ ამ ტექსტის დედანს, რომელიც საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა. მისი ავტორია ვლადიმერ ვლადიმერის ძე სტაროდუბსკი, რომელიც „ფრიად არაკეთილსაიმედო“ პირად იყო მიჩნეული ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, გასაგებია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინტერესი და სიმპათია. სტაროდუბსკის ლექსების კრებული 1861 წელს დაიბეჭდა. შესაძლოა, ქართველ მთარგმნელებს სწორედ ეს გამოცემა ეპყრათ ხელთ. მართალია, თარგმანები გაცილებით მოკლეა და პრაქტიკულად ვრცელი დედნის სხვადასხვა ნაწილის გადმოქართულებულ ვერსიას წარმოადგენენ, მაგრამ ორივე მთარგმნელი ზუსტად ახერხებს გადმოსცეს ავტორის მთავარი სათქმელი - გაკიცხოს მედროვე, ფარისეველი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სიტყვით არიან რეფორმებისა და პროგრესული ცვლილებების მომხრეები. საქმით კი არაფრის გაკეთებას არ გეგმავენ.

გაზეთში დაბეჭდილია ხელმოუწერელი მასალაც - „დღეს თუმცა თვითონ ვერ ისარგებლებთ..“, „დროს კაცი“, იუმორისტული ლექსი „პროგრესისტი“ და „მხედარი“ (მიბაძვა პუშკინისა). ამ ოთხი ტექსტიდან სამი რუსულიდანაა გადმოკეთებული/თარგმნილი. ვფიქრობთ, მეოთხე ტექსტიც არ უნდა იყოს ორიგინალური თხზულება და მისი დედანიც რუსულენოვანი უნდა იყოს.

ე. წ. ერთჯერადი ავტორების (ვისაც მხოლოდ ერთხელ აქვს გამოქვეყნებული) შემოქმედება ძირითადად პოეზიის სახითაა წარმოდგენილი. ასეთი სულ 12 ავტორია:

კნინა მარგარიტა წულუკიძე, „ჩემს კრიალოსანს“;

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი(მეღვინეთხუცესოვი) (1815-1878) „სევდისა გუნდნი შამომხვევიან“, „მოგონება“;

ყმანვილი პოეტი, „დღეს თუმცა თვითონ ვერ ისარგებლებთ“;

გ. შარვაშიძე (ფსევდ. გარდახვენილი) (1846-1918) „რაუშავთ მათ, ვინც მართო სიცოცხლით კმაყოფილებენ“;

[ვახტანგ ორბელიანი] (1812-1890) „იმედი“;

ს. ერისთავი. „აზრი ფაზელის თხზულებაზედა“ „შოშია“;

დავით დადიანი. „მეგრელს!“;

ასლან მესხიძე (ფსევდ. მარანი ანუ ორპირი). „მისადმი“;

გურული[ოტია ბერიძე]. „დედა და შვილი“;

ლიხაურელი. „მეც ვიყავ ნორჩი და სავსე გრძნობით“;

პავლე თუმანიშვილი. „ფული“;

ალექსანდრე მეგრელი. „ფიქრი სოფელში“.

მათი შემოქმედება ეხება მტანჯველ მართობას, ადამიანის შრომის დაფასებას, პატრიოტიზმს, ადამიანის მთავარ მოვალეობას - სამშობლოს სამსახურს, ბატონყმობის გაუქმებას, დედაენის სწავლების აუცილებლობას, ფულს, როგორც საზოგადოების სულიერი და მატერიალური მხარის გამომხატველს, თავისუფლებას (იხ.: დანართი 4.4).

პოეზიის ნაწილში გვხვდება ორი კრიტიკული ლექსი, რომლებიც კონკრეტულ პიროვნებებს ეძღვნება. „დროების“ 1867 წლის №31-ში გამოქვეყნდა ი. კერესელიძის (1829-1892)

კრიტიკული ლექსი „ვუძღვნი ა. ფ.“ [ანტონ ფურცელაძე]. ავტორი ადანაშაულებს ანტონ ფურცელაძეს ამპარტავნებაში, მლიქვნელობაში.

*„მაშინ ვიყვარს შენ მამული
და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,
როდესაც ხარ დაჩაგრული,
როს ბედთან გაქვს მწარე ომი.*

*მაშინ ვიყვარს თანამოძმე,
როს არა გაქვს ცალი ფული,
აბა მოვცენ ჯილდო რამე,
როგორ გახდე ძმის ორგული.“*

სავარაუდოდ, ლექსის გამოქვეყნების წინაისტორია ასეთია: 1867 წლის №25-ში დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის წერილი „რამდენიმე სიტყვა „ცისკრის“ მკითხველებს“. წერილში საუბარია, რომ აღარ არის უურნალის თანამშრომელი. დაპირისპირებაა მასა და ივანე კერესელიძეს შორის. ფურცელაძე ეწინააღმდეგებოდა მის თანამშრომლობას „ცისკართან“. ასევე, გაკრიტიკებულია ნიკოლოზ ავალიშვილის [1844-1929] მიერ შედგენილი კალენდარი იქ დაბეჭდილი შეცდომების გამო.

№26-ში გამოქვეყნდა ნიკოლოზ ავალიშვილის წერილი „ანტონ ფურცელაძის განცხადებაზე“. წერილში საუბრობს, რომ იცოდა შეცდომების შესახებ, მაგრამ ველარ მოასწრო გასწორება. მან დაიცვა ივანე კერესელიძე. დაადანაშაულა ანტონ ფურცელაძე საქმისადმი გულგრილობის გამო. როგორც წერილიდან ირკვევა, ფურცელაძე მას და კერესელიძეს შეჰპირდა „ცისკართან“ თანამშრომლობას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ამავე წელს „დროების“ №30-ში ანტონ ფურცელაძემ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ერთი უნცია ჭკუა, ათი წონა გული“. მან კერესელიძე დაადანაშაულა მწერლობასა და ლიტერატურის არცოდნაში. ვრცლადაა საუბარი კალენდარსა და შეცდომებზე. ამ წერილის შემდეგ იბეჭდება ზემოხსენებული ლექსი, რომელიც ანტონ ფურცელაძეს ეძღვნება.

მეორე ლექსი, რომელსაც მოჰყვა გამოხმაურება, იყო 1867 წლის №17-ში დაბეჭდილი ფაზელის (მამია გურიელი) ლექსი „შოშია“, რომელიც 1864 წლითაა დათარიღებული. ნაწარმოებში გამოხატულია ოცნება დამოუკიდებლობაზე.

ამავე წლის №44-ში ს. ერისთავმა გამოაქვეყნა „აზრი ფაზელის თხზულებაზედა „შოშია“. ერისთავს უკვირს ფაზელის სევდა. ვინც კი შოშიას ბედს წაიკითხავს და ფაზელის მწარე ფიქრებს შეიგრძნობს, მიხვდება მის მწუხარებას.

*„ვაი მას! უნივერსოს და უიმედოს,
სადაც ვერ ჰპოებს, თანამგრძობელს და საიმედოს,
როგორც შოშია გალიაში, შიგ მოემწყვდიოს
და ვერა ოდეს მხიარულებით ველარ იმღეროს.“*

4.4. პოეტური თარგმანი

პოეტური თარგმანის წარმოდგენისას, რედაქცია მთარგმნელისგან მოითხოვდა მასალის შერჩევას იდეური თვალსაზრისით, რაც გულისხმობდა, რომ ნაწარმოებს ხალხის პოლიტიკური ინტერესები და ინტელექტუალური მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა (აღ. კალანდაძე 1987). ასევე, უნდა შერჩეულიყო ისეთი ტექსტები, რომლებიც საზოგადოებაზე მოახდენდა გავლენას, მაგალითს მისცემდა, დააფიქრებდა.

სალიტერატურო ნაწილში თექვსმეტი პოეტური თარგმანია დაბეჭდილი. საინტერესო იქნებოდა თარგმანების დედნებთან შედარება, მაგრამ ეს სხვა ტიპის კვლევაა და ვეღარ შევძელით. პოეტური თარგმანების გამოქვეყნების კუთხით (სამი) ლიდერობენ დავით ერისთავი (1847-1890), თომა კარგარეთელი (კირილე ლორთქიფანიძე (1839-1919)), ივანე მესხი (ფსევდ. ი. მ-ი; ი.მ-ხი) (1849-1931). მათ მიერ თარგმნილი ტექსტები ეხება გაჭირვებული ადამიანის უკანასკნელ დღეს, მოჩვენებით ზრდილობას, ბედნიერი ადამიანის ძებნას, დროს ცვლილებას, სიკვდილმისჯილი გრაფის ბოლო პერიოდზე, პატიოსან ადამიანზე, რომელსაც აქვს შანსი გამდიდრდეს, მაგრამ შრომას ირჩევს და ეწირება კიდევ; კაცზე, რომელიც ამბობს რომ კარგი ზნისაა მაგრამ საქციელით თავისთვის და გარშემომყოფებისთვის უბედურება მოაქვს. ამიტომ, ადამიანი უნდა დაფიქრდეს, სანამ რამის გაკეთებას გადაწყვეტს.

ლექსების მთარგმნელად გვევლინება თავად გიორგი წერეთელიც და გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ ასე კარგად ვერ გადათარგმნიდა, კალამი რომ არ ჰქონოდა მოსინჯული, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მივაგენით მის ორიგინალურ ლექსებს. მისი თარგმანი „საპრელი მამკალი ქალი“ ეხება სამას ვაჟკაცს, რომლებიც ომში სამშობლოს გულისთვის დაეცნენ. ამ თხზულების ავტორი არის ცნობილი იტალიელი პოეტი ლუიჯი მერკანტინი, ე.წ. გარიბალდის ჰიმნის ავტორი. „საპრელი ქალი“ მერკანტინის ქრესტომათიულ თხზულებად ითვლება. მისი პროზაული თარგმანი 60-იანელების კერპმა - ალ. გერცენმაც კი შეიტანა თავის ცნობილ თხზულებაში - „Былое и думы“.

აკაკის მიერ თარგმნილ „მატლში“ (დობროლიუბოვიდამ) კი საუბარია პირზე, რომელიც ქრთამით სახლს იშენებს, ხალხს ატყუებს, საქმე არასწორად მიჰყავს, სიმართლეს ვერცხლზე ჰყიდის. აქ არის ნაჩვენები სინმინდეს, სიკეთეს ამოფარებული ბოროტება (იხ.: დანართი 4.5).

ჩვენი აზრით, XXI საუკუნის მკითხველის გადასახედიდან XIX საუკუნის 60-იან წლებში დაბეჭდილი ტექსტები, თუ ენას არ ჩავთვლით (გამოცემას ყველაზე მეტად სწორედ იმას უწუნებდნენ, რომ ნამდვილი ქართული ენით ვერ ლაპარაკობდა) ყურადღებას იქცევს პრობლემებზე საუბრით.

ცალკე აღსანიშნავია გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ამსახველი მასალა გაზეთ „დროებაში“. მისი რედაქტორობის პერიოდში გამოცემაში სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 37 წერილი,²⁴ რომლებიც ეხება გეოგრაფიას, თეატრს, ბუნებისმეტყველებას, სოფლის მეურნეობას, ჯანდაცვას, საბანკო საქმეს, მეტეოროლოგიასა და მოდასაც კი. ცალკეა პროზა, პოლიტიკა, უცხოეთის ამბები. (იხ.: დანართი 4.6).

²⁴ სტატიების ჩამონათვალის წყარო: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 2, 1952. წერილები მოიცავს 1866 წლის 4 მარტიდან 1869 წლის 10 აპრილამდე პერიოდს.

გამოქვეყნების სიხშირის მხრივ, მისი აქტიურობა ასეთია: 1868 წელს 15 წერილი, 1866 წელს-11, 1867 წელს-10 და 1869 წელს-1.

ბოლო წელს ასეთი პასიურობა ალბათ გამოწვეული იყო იმით, რომ ემზადებოდა რედაქტორობის დასატოვებლად. 1869 წელს გიორგი წერეთელი იყო 15 ნომრის რედაქტორი და ამ თხუთმეტ ნომერში ერთხელ აქვს გამოქვეყნებული მასალა, მაგრამ 1869 წელს, 15 ნომრის შემდეგ 3-ჯერ აქვს გამოქვეყნებული მასალა.

ამრიგად, ზემოხსენებულ წლებში გამოქვეყნებული „დროების“ სალიტერატურო ნაწილის ავტორები ეხმიანებიან ბატონყმობის გაუქმებას და ცდილობენ რეალობა შეუღამაზებლად გადმოსცენ (იხ.: დანართი 4.7).

V თავი: პოლიტიკური მოვლენები “დროებაში“

5.1. პოლიტიკა

გაზეთი „დროება“ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი იყო და პოლიტიკურ მიმოხილვას ყველა ნომერში ვრცელი ადგილი ეთმობოდა. როგორც ცნობილია, გიორგი წერეთელმა და სტეფანე მელიქიშვილმა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს ყოველკვირეული გაზეთ „დროების“ გამოცემის ნებართვა როცა სთხოვეს, საცენზურო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინეს პროგრამა, რომლის თანახმადაც მიმდინარე პოლიტიკური ცნობები გადმოღებული უნდა ყოფილიყო რუსული „დროგამოშვებითი“ გამოცემებიდან. მართლაც, „დროებაში“ მიმდინარე პოლიტიკური ცნობების მიმოხილვა იბეჭდებოდა მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან: „რუსკი ინვალიდ“, „სევერნაია პოჩტა“, „კავკაზ“.

რუბრიკით **პოლიტიკა** ქვეყნდებოდა სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში მომხდარი პოლიტიკური სიახლეები, რომლების თაობაზეც ზემოხსენებული ოფიციალური გაზეთები იუწყებოდნენ.

ჩვენ დავინტერესდით, როგორი იყო რედაქტორის მიდგომა მკითხველისათვის პოლიტიკურ სიახლეთა მიწოდების კუთხით. ნებადართული გამოცემებიდან ყველა ინფორმაცია იბეჭდება თუ არა და რა შუალედით; რას გულისხმობდა შერჩევის პრინციპი და ა. შ.

მაგალითად, 1869 წლის №11, 24 იანვარს (5 თებერვალს) გამოსულ გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული პოლიტიკური ახალი ამბები (Политическая известия) დაბეჭდილია გაზეთ „დროების“ 1869 წლის №5, 30 იანვარი. შუალედი დაახლოებით არის ერთი კვირა. რაც შეეხება მასალას, რუსულ გამოცემაში არის ინფორმაცია საფრანგეთის, პარიზის, კონსტანტინოპოლის, გერმანიის, საბერძნეთის, ათენის, ვენის, ფლორენციის, მონტენეგროს, ესპანეთის შესახებ. „დროებაში“ კი გადმოიბეჭდილია ამბები მხოლოდ კონსტანტინოპოლს, გერმანიას, საბერძნეთსა და ათენს ეხება. ასევე არის ავსტრიის ამბები, მაგრამ არა „კავკაზიდან“ გადმოიბეჭდილი. ამბები შემოკლებულია და ეხება სამხედრო საკითხებს:

კონსტანტინოპოლის საზღვართან საბერძნეთის ჯარი გროვდება; ინგლისი ჯარით ოსმალეთს ეხმარება; ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის უკმაყოფილება ომის საწინდარი გახდება.

საინტერესოა შემოკლების მიზეზი. ჩვენი ვარაუდით, ერთი არის ის, რომ რუსული მასალა ვრცელია და ყველაფერს ვერ გადმოიტანდნენ. რატომ მაინცდამაინც ეს ამბები? ალბათ, იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური მოვლენები რალაც დობით საქართველოსაც შეეხებოდა. მით უფრო, რომ პოლიტიკური შინაარსის სათარგმნი მასალა დიდია და ამიტომ მხოლოდ ძირითადი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა გადმოტანილი. საილუსტრაციოდ ვიმოწმებთ ყველა წლის პირველი და ბოლო ნომრებიდან ამოკრებილ საინტერესო მასალას (იხ.: დანართი 5.1).

5.2. ტელეგრამები

რუბრიკაში **ტელეგრამები** მოწოდებულია პოლიტიკურ მოვლენები უფრო მოკლედ და კონკრეტულად. ამასთანავე, ინფორმაციულად უფრო დატვირთულია. საუბარია უკვე მომხდარ ან მოსალოდნელ მოვლენებზე.

რუსულ გამოცემებს „დროება“ ხშირ შემთხვევაში ოპერატიულად არ მიჰყვებოდა; იყო შემთხვევები როცა ერთი ნომრის გამოტოვების შემდეგ ქვეყნდებოდა თარგმანი. ხან კი რუსული გაზეთის გამოცემიდან მესამე დღეს გამოსულ „დროებაში“ იყო იმ ნომრის მასალის თარგმანი დაბეჭდილი. ზოგჯერ კი სრულიად შეუძლებელია თვალის მიდევნება, კონკრეტულად რომელი რუსული გაზეთის რომელი ნომრიდანაა ამოღებული ინფორმაცია. ეს გარემოება რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: ერთი მხრივ, შესაძლოა, რედაქციაში თანამშრომელთა ნაკლებობის გამო, ფიზიკურად ვერ ხერხდებოდა დიდი მოცულობის მასალის გადარჩევა და თარგმნა; ან, შესაძლოა, სპეციალურად იქმნებოდა „ინფორმაციული ქაოსი“, რათა ცენზორს გასძნელებოდა იმის დადგენა, რამდენად ზუსტი იყო ციტირება ნებადართული გაზეთებიდან. და საერთოდაც, იყო ციტირება, თუ რედაქცია თვითნებურად აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას საკუთარი ინტერპრეტაციით.

მაგალითად, გაზეთი Кавказ, 1867, №83, 22 октября, с. 396, ТЕЛЕГРАММЫ „КАВКАЗА“ - დროება, 1867, №43, 27 ოქტომბერი, გვ. 3 ტელეგრამები, ტფილისში მიღებული. შუაში არის რუსული გამოცემის 26 ოქტომბრის ნომერი (№84) გამოტოვებული. ტელეგრამა ეხება ტულონიდან ფრანგული ჯარის გასვლას. გაზეთი Кавказ, 1866, №35, 8 мая, с. 155, ТЕЛЕГРАММЫ „КАВКАЗА“ - დროება, 1866, №11, 13 მაისი, გვ. 3 ტელეგრამები, ტფილისში მიღებული. ტელეგრამა ეხება პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმებას, ავსტრიის განცხადებას შეიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების დასრულების შესახებ. ამ შემთხვევაში ნომერი არ არის გამოტოვებული და შუალედის დიდი არაა. გაზეთი Кавказ, 1868, №43, 17 апреля, с. 2, ТЕЛЕГРАММЫ „КАВКАЗА“ - დროება, 1868, №16, 19 აპრილი, გვ. 3 ტელეგრამები, ტფილისში მიღებული. ამ შემთხვევაში ერთი დღეა შუალედი.

ვენეცია. „.....26 ოკტომბერს (7 ნოემბერს) დღეს, დილის 11 საათზე კაროლი ვიკტორ-ემანუილი შემოვიდა ვენეციაში და წმ. მარკოზის მოედანზე მიღებული იყო ვენეციის პატრიარქისაგან და მცხოვრებთაგან. კაროლი დაესწრო პარაკლისზე. აღტაცება იყო საზოგადო.....“ [დროება 1866:6].

პეტერბურგი, 11 თებერვალს. „.....კონსტანტინოპოლში ელიან ლორდის სტრადფორდის რადკლიფის მოსვლას. იმას აქვს დიდი მონდობილობა დიდ-ბრიტანიის მთავრობისგან....“ [დროება 1867:4].

დრეზდენი 1(13) მარტს. „გუშინ ნაშუადღევს მესამე საათზე კაროლის პრინცს დამბაჩით სროლა დაუპირა ერთმა. პრინცს არ მოხვდა ტყვია. დამნაშავე არის ხელოსანი ქოლგების მკეთებელი. დამბაჩა გატენილი ჰქონია.....“ [დროება 1868:2]

ფლორენცია 29 დეკემბერს (10 იანვარს). „.....ოფიციალური გაზეთი აცხადებს, რომ გუშინ იტალიის ყველა მაზრებში მშვიდობიანობა იყო; წისქვილები ყველგან დააღეს და დასაფეხველი ხარჯი ხაზინაში შეაქვთ, როგორც რიგია....“ [დროება 1869:4].

ამრიგად, რედაქციაში როგორც უხერხდებოდათ, ისე აქვეყნებდნენ პოლიტიკურ ამბებს. გამომცემლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებისა და ანალიზის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ არ ეკრძალებოდათ შემოკლება. მიუხედავად ამისა, რედაქტორი ოფიციალური, სავალდებულო პოლიტიკური ამბებითაც ახერხებდა მხოლოდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ამბების გადმოცემას.

VI თავი: სოციალური საკითხები გაზეთ „დროებაში“

პოლიტიკისა და ლიტერატურის გარდა, გაზეთ „დროებაში“ სოციალური ხასიათის წერილებიც ქვეყნდებოდა. ამ ტიპის ინფორმაცია ყოველთვის აქტუალურია. ერთი თვალის გადავლებით რაღაც გასაკუთრებულზე არაა საუბარი, მაგრამ კარგად გააზრების შემდეგ მივხვდებით, რომ ეს სტატიები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია: ასწავლის მკითხველს პრობლემის ამოცნობას და მისი გადაჭრის გზების მოძიებას.

„დროების“ ფურცლებზე საუბარია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, განათლების მიღების აუცილებლობა, ბანკის დაარსება, დღიური მუშაობის დროის შემცირება; ქალთა განათლება და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოში ჩაბმა. სხვათა შორის, გიორგი წერეთელი ხშირად აქვეყნებდა მასალებს ქალებზე. მაგალითად, საყურადღებოა ჟურნალ „Детский Сад“ -იდან (პეტერბურგი, 1866, აპრილი) გადმოთარგმნილი წერილი „ახალ-გაზდა დედებს და ყმანვილს ქალებს“ („დროება“, 1866, № 26,31,32,33,40,41). ეს წერილი საინტერესოა იმ მხრივ, რომ განხილულია აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, გამყარებულია მაგალითებით და ახლავს რჩევები; ასევე, მნიშვნელოვანია წერილი „დედა-კაცის აზრი დედა-კაცზე“ („დროება“, 1866, 1 აპრილი, №5, გვ. 1-2), სადაც გიორგი წერეთელი ასაბუთებს, რომ ქალს უნდა ჰქონდეს პროფესია, თავს გრძნობდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

გიორგი წერეთელი ილაშქრებს ბავშვთა შრომის წინააღმდეგ. მისი აზრით, ბავშვის მთავარი ვალდებულება უნდა იყოს სწავლა და არა წარმოებაში მუშაობა. მოზარდის გონების განსავითარებლად კარგია კლასიკური ენების შესწავლა. ყურადღება უნდა გამახვილდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაზე.

გიორგი წერეთლის სტატიებში ხშირადაა საუბარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე . მისი დაკვირვებით, ადამიანები ავადდებიან ნორმალური საცხოვრებელი პირობების არქონის გამო და ამ პრობლემის მოგვარების ვალდებულებას მთავრობას აკისრებს.

ზოგიერთი სოციალური შინაარსის სტატია რუსულენოვანი გაზეთებიდან იყო გადმოხეჭდილი. რასაკვირველია, რედაქტორის გადასაწყვეტი იყო, შეერჩია იმ ტიპის ინფორმაცია, რომლის გააზრება გარკვეული თვალსაზრისით ქართველებსაც წაადგებოდათ. ასე, მაგალითად, „დროებაში“ (1868, №9) მოთხრობილია, თუ როგორ ავიწროვებს ხალხსა და პერიოდულ გამოცემებს საფრანგეთის მთავრობა; როგორ ემტერება ჟურნალებსა და გაზეთებს, უზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, თუმცა ისინი მაინც აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ეს ვითარება ზუსტად ესადაგებოდა იმდროინდელ ქართულ რეალობასაც. ცხადია, რედაქტორმა მასალა გამოაქვეყნა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობას სცოდნოდა, რა გამოწვევების წინაშე იდგა ფრანგული პრესა, არამედ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქართველოშიც საფრანგეთის მსგავსი შეურიგებელი დამოკიდებულება ჩამოყალიბებულიყო ამგვარი ფაქტების მიმართ (იხ.: დანართი 6.1). ამდენად, „დროებაში“ გამოქვეყნებული სოციალური ხასიათის ტექსტები ისეთ თემებს შეიცავს, რომლებიც მნიშვნელოვანია და პრობლემურია საზოგადოებისთვის.

VII თავი: „დროების“ ე.წ. კომერციული ბლოკი

გაზეთი არასოდეს ყოფილა განებივრებული ხელისმომწერთა რაოდენობით. რედაქტორს მუდმივად აწუხებდა ფინანსური პრობლემები. ამდენად, ლოგიკურია, რომ მან საგაზეთო სივრცის ნაწილი დაუთმო სავაჭრო ცნობებს, სახაზინო და კერძობით განცხადებებს, საბიბლიოგრაფიო ცნობებს. იმ ქართულენოვან პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც მანამდე გამოდიოდა საქართველოში, მსგავსი რამ არ დასტურდება.

„დროების“ მეოთხე გვერდი ინფორმაციულად დატვირთული იყო, რადგან განცხადებები მოცულობით პატარაა. გაზეთს დიდი აუდიტორია ჰყავს და, შესაბამისად, საუკეთესო საშუალებაა განცხადებების გასავრცელებლად.

„დროების“ პირველ გვერდზე მითითებულია, რომ რედაქციის კანტორაში მიიღებოდა ყველანაირი განცხადება სხვადასხვა ენაზე. ფასი ჩვეულებრივი ასოებით დასაბეჭდი ტექსტისა იყო 8 კაპიკი. გამოცემა ასრულებდა შუამავლის როლს მკითხველებს შორის, რომლებიც ერთმანეთს უზიარებდნენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას.

სავაჭრო ცნობებში მკითხველი იღებდა ინფორმაციას ბამბის, აბრეშუმის, მატყლის, ქერის, პურის ფასის შესახებ. ასევე, რა სახის საქონელი გადის ექსპორტზე: აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, კაკლის კუნძები, სპილენძი და კობალტი, ცხვრის ტყავი. საზოგადოებას მიწოდებოდა ცნობები საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით და ა. შ. (იხ.: დანართი 7.1).

გამოცემისთვის მთავარია მკითხველის დაინტერესება; შემდეგ უკვე თვითონ მკითხველი აქტიურობს და ითხოვს ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციის მიწოდებას. ამის მაგალითია ვაჭრების მოთხოვნა გამოცემაში სახაზინო განცხადებების გამოქვეყნების შესახებ „ზაკავკაზსკი

ვესტნიკიდან“ (Закавказский Вестник). რადგანაც რუსულ გამოცემაში განცხადებები ვრცლად იბეჭდებოდა, რედაქცია იტოვებდა მათი შემოკლებით დაბეჭდვის უფლებას. სახაზინო განცხადება გულისხმობდა ინფორმაციას სხვადასხვა გვარისა და ფასის იჯარის გაცემაზე ან რომელი მამული და რა ფასად იყიდება და ა. შ. (იხ.: დანართი 7.2).

რამდენიმე ნომერში კერძობითი განცხადებები ჩარჩოშია ჩასმული, რაც თვალისთვის გაცილებით ადვილად აღსაქმელია. არსადაა მითითებული ე.წ. ჩარჩოიანი განცხადების ფასი. ვფიქრობთ, ამ სახით განცხადების გამოქვეყნება გაცილებით ძვირი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, განმცხადებლებს რედაქციასთან ჰქონდათ ზეპირი შეთანხმება ფასის თაობაზე. ამასთანავე, ასეთი განცხადებები ყველა ნომერში არ არის დაბეჭდილი და რაც დაბეჭდილია, თითო ნომერში მაქსიმუმ ოთხია. ჩარჩოში ჩასმული განცხადებები ძირითადად ეხება სახლების გაქირავება-გაყიდვას, სავაჭრო ობიექტების გახსნას. ესენი კომერციული განცხადებებია და, სავარაუდოდ, ამიტომაც ჩარჩოში ჩასმული.

დავინტერესდით კიდევ ერთი ფინანსური საკითხით: რა ღირდა ერთი და იგივე განცხადების განმეორებით დაბეჭდვა? ყველა ჯერზე სტრიქონში 8 კაპიკს იხდიდა დამკვეთი თუ პირიქით, რამდენიმე ნომერში უფასოდ გამოქვეყნდებოდა? ამ კითხვაზე პასუხი ვერ მოვიპოვეთ. ჩვენი აზრით, რადგანაც განცხადება გაზეთში იკავებს გარკვეულ ადგილს, მნიშვნელობა არ აქვს მერამდენედ იბეჭდება და ამიტომ, სავარაუდოდ მაინც იქნებოდა გადასახადი.

გამოცემა ზრუნავს, რომ მოსახლეობამ დრო კულტურულად და სასიამოვნოდ გაატაროს, ამიტომ ქვეყნდება ინფორმაცია, თუ სად რა ღონისძიების ჩატარებაა დაგეგმილი. მაგ.: მუშტაიდის ბაღში ლატარიის ჩატარება, სულიეს ცირკში წარმოდგენების გამართვა და ა. შ.

კერძობით განცხადებებში ასევე გვხვდება საგანმანათლებლო შინაარსის განცხადებები, რომლებიც ეხება უცხო ენების მცოდნე ფრანგის სურვილს ასწავლოს ენები ოჯახში მისვლით. სასიამოვნო ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ მაღაზიაში გასაყიდი წიგნების ნაკლებობამ მკითხველთა უკმაყოფილება გამოიწვია და იმედი აქვთ, პრობლემა მალე მოგვარდება.

ქვეყნდება თბილისში სამკლასიანი სკოლა-პანსიონის გახსნის ანონსი და ა. შ.

გამოქვეყნებულია ინფორმაცია ვენეციაში დაბეჭდილი საინტერესო და მნიშვნელოვანი ქართული გამოცემების შესახებ: საღმრთო წერილის ძველი და ახალი აღთქმის, 870 გვერდიანი, ფასი 2 მანეთი; წიგნი წმინდანთა ცხოვრების შესახებ. ფასი 1 მან. 20 კაპ.; ეზოპის იგავნი ყრმათა გასაწვრთნელად. ფასი 40 კაპ.;

გაზეთი მხარს უჭერს ყველას, ვისაც საზოგადო მნიშვნელობის საქმის გაკეთება სურს. მაგ.: ქვეყნდება გიორგი ერისთავის თხზულებების გამომცემლის, ალექსანდრე ერისთავის განცხადება, რომელიც ითხოვს დახმარებას. ვისაც აქვს გიორგი ერისთავის კომედია „დავა“ და გადასცემს გამომცემელს, დასაჩუქრდება;

იყო შემთხვევები, როდესაც ინფორმაციას კულტურის სფეროდან მალევე მოჰყვა სასიამოვნო შედეგი. მაგალითად, ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ, რომ ჩიმიშკიანცის სათეატრო ამხანაგობა აცხადებს, რომ აღდგომის შემდეგ თბილისის სამოქალაქო თეატრში გაიმართება ექვსი წარმოდგენა სომხურ ენაზე. ამ განცხადების დაბეჭდვის შემდეგ მალევე დაანონსდა თბილისის ქართული თეატრის საქველმოქმედო წარმოდგენების განრიგიც (იხ.: დანართი 7.3).

რედაქტორი დიდ ყურადღებას აქცევდა ე.წ. საბიბლიოგრაფიო ცნობებს. აქ ყოველთვის დაწვრილებით იყო მოწოდებული გამოქვეყნებული ინფორმაცია დასაბეჭდად და გასაყიდად გამზადებული გამოცემებისა და მათი ფასის შესახებ. სამწუხაროდ, არ გვაქვს ინფორმაცია, მაგრამ გამორიცხული არ არის, ამ ტიპის განცხადებები გიორგი წერეთელს უსასყიდლოდ რომ დაებეჭდა, რადგან ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა და არა კერძო ინტერესებს. მაგალითად, 1867 წლის №44-ში არის ინფორმაცია, რომ დასაბეჭდად მზადდება თ. გიორგი ერისთავის თხზულებების მეორე ნაწილი. შემდეგ №50, №52-ში გვეუბნებიან, რომ უკვე იყიდება თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე (ფასი ერთი ნაწილის 1 მანეთი). ანონსი დაბეჭდილი („დროება“, 1868, №18) და გასაყიდად

გამოტანილი გამოცემის შესახებ: ი. გოგებაშვილისგან შედგენილი „საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილებისთვის“ (ფასი ორი შაური).

რეალურად, ეს საბიბლიოგრაფიო ცნობები იყო წიგნის პირველი რეკლამაც. იმ პერიოდში რამდენიმე კერძო სტამბა იყო და ბევრი გამოცემაც იბეჭდებოდა, მაგრამ „დროებაში“ იყო შერჩევითობის პრინციპი და ჭკვიანი რედაქტორი ყველა გამოცემას როდი უკეთებდა რეკლამას. გემოვნებიანი და ლირსეული გამოცემები გაზეთთან ერთად იბეჭდებოდა მელიქიშვილისა და კამპ. სტამბაში. გამოცემები ეხება ქვეყნის ენას, ლიტერატურასა და ისტორიას: ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის; „არიომეტიკა“ შედგენილი მ. ყიფიანისგან და ვ.თულაშვილისგან (ფასი 3 შაური); „ამბები ძველის დროების ხალხებზე“, პირველი ნაწილი (ფასი სამი შაური); „ვეფხისტყაოსანი“ (ფასი 10 შაური); „ჩონგური“ (ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრებული), შედგენილი ვ. ლორთქიფინაძისგან (ფასი 1 მანეთი); თ. გიორგი ერისთავის „თხზულებანი“, ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე (ფასი ერთი ნაწილი 1 მანეთი); „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან (ფასი ათი შაური); თეიმურაზ ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ (ფასი ერთი მანეთი); „კალმასობა“, თხზულება ივანე ბატონიშვილისა (ფასი 2 მანეთი); ფრანგულიდან დავით ყიფიანის მიერ თარგმნილი მოთხრობა გრიბულ, ზღაპრული მოთხრობა უორჟსანდისა (ფასი 2 აბაზი); გამოცემის „სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ახალ-მოსწავლე ქართველ ყმაწვილებისთვის“, შედგენილი გ. კ-შვილის [გერასიმე კალანდარიშვილი] მიერ შესახებ (ფასი 1 მანეთი და 25 კაპიკი); „Начальный практический курсь русскаго языка для Грузин“-რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი კ-შვილის [გერასიმე კალანდარიშვილი] მიერ შესახებ (ფასი სამი აბაზი).

„დროებაში“ ანონსდებოდა ინფორმაცია სხვა პერიოდული გამოცემების შესახებაც.

მაგალითად, 1868 წელს „სასოფლო გაზეთის“ პროგრამის, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ „მნათობის“, ვ. დოლინსკის (რედაქტორი და გამომცემელი) განცხადება

საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთის „Деятельность“ (მოქმედება) გამოცემისა და ფასის შესახებ.

იბეჭდება კალენდრები. მდივანოვის (სერგეი) მიერ გამოცემული „კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1867“ (იყიდება 1866 წლის დეკემბრიდან), 1868 (იყიდება 1867 წლის სავარაუდოდ ნოემბრიდან) წლისა. (ფასი სამი შაური). „საქართველოს კალენდარი“ 1867 წლისა, შედგენილი ნიკ. ავალიშვილისგან 1844-1929) (ფასი 10 შაური). გაყიდვაშია 1867 წლის მაისიდან.

საბიბლიოგრაფიო ცნობების გამოქვეყნება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ თუ მკვლევარს სურს ზემოთ ხსენებული გამოცემების შესახებ ნაშრომის დაწერა, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი პირველწყარო გაზეთი „დროება“ (იხ.: დანართი 7.4).

ამრიგად, გაზეთისთვის შემოსავლის მომტან ბლოკში 1866 წლის 4 მარტიდან 1869 წლის 10 აპრილამდე გამოქვეყნდა შემდეგი ტიპის განცხადებები: სავაჭრო ცნობები (5), სახაზინო განცხადებები (71), კერძობითი განცხადებები (64), საბიბლიოგრაფიო ცნობა (76), განცხადება (21) (იხ.: დანართი 7.5).

ზემოხსენებულ პერიოდში მკითხველმა მიიღო გაზეთ „დროების“ 163 ნომერი. ცხადია, მათში უამრავი განცხადებაა დაბეჭდილი. შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა, რომ „დროებას“ ჩინებული შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ძირითადად განმეორებადი განცხადებები ქვეყნდებოდა და თუ როგორი ფინანსური რეგულაციები მოქმედებდა ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით. ფაქტი ისაა, რომ გაზეთს მუდამ ჰქონდა ფინანსური პრობლემები.

მკათიოა რედაქტორის პოლიტიკა - მთავარი იყო, საზოგადოებისათვის მიწოდებინა მართლაც ღირებული ინფორმაცია.

VIII თავი: ნეკროლოგები „დროებაში“.

1866 წლის 4 მარტიდან-1869 წლის 10 აპრილამდე გამოცემულ გაზეთ „დროებაში“ ადგილი დაიკვიდრა ქართულ სივრცეში კიდევ ერთმა საგაზეთო სიახლემ - ნეკროლოგმა, რომელიც პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ქვეყნდებოდა. როგორც წესი, ნეკროლოგში საუბარი იყო პირის ცხოვრების აღწერასა და დამსახურებებზე საზოგადოების წინაშე, გარდაცვალების მიზეზზე და ა. შ.

გემოხსენებულ წლებში სულ შვიდი ნეკროლოგი გამოქვეყნდა „დროებაში“. გიორგი წერეთელმა ამ პიროვნებებზე საუბრით საზოგადოებას უჩვენა, როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც დაფასება დაიმსახურა და რომ მის პროფესიასა და მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა. რასაკვირველია, ამ ადამიანების ვინაობა ბევრის მოქმელია რედაქტორის პრიორიტეტებისა თუ ქვეყანაში არსებული საცენზურო გარემოს შესახებ.

ნეკროლოგებში მოხსენიებული პიროვნებები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. ესენი არიან ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი, ავტორი ნაშრომისა „Краткое историческое обозрение постепенного надения Грузинскаго царства“, რომელიც იწყება დავით აღმაშენებლით და მოდის ერეკლე მეორემდე. ნაშრომის პირველი რვეული „История Грузии“ 1865 წელს დაიბეჭდა. მეორე, მესამე და მეოთხე რვეულებიც მზად ჰქონდა და მათი დაბეჭდვაც უნდოდა, მაგრამ აღარ დასცალდა....

მეორე ნეკროლოგი ეძღვნება ოფიციალურ პირს, გენერალ - ადიუტანტ ნიკოლოზ მურავიევს, კავკასიის გამგებელს. ვფიქრობთ, მისი მოხსენიება, სავალდებულო იქნებოდა რედაქტორისთვის;

მესამე ნეკროლოგში იუწყებიან ოდესის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის, თომა მაჭავარიანის გარდაცვალების შესახებ. ის ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა ხოლმე პატარა-პატარა სტატიებს: „ვარძიის მონასტერი“, „კიციხე მაჭავარიანების შთამომავლობა“ და სხვ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი წერეთელი მუდამ ცდილობდა ახალგაზრდების წახალისებას და ამის მაგალითია 1866 წელს „დროების“ №29 და №30 დაბეჭდილი თომა მაჭავარიანის მოკლე მოთხრობა „მურზაყან ნაბერალის ცხოვრებიდან“. მოთხრობა არის ავტორის მოკლე ავტობიოგრაფია, „მურზაყან ნაბერალი“ იყო თვით განსვენებული თომა მაჭავარიანი. მოთხრობილია ეპიზოდები რეალური ცხოვრებიდან.

მეოთხე ნეკროლოგში მწუხარებაა გამოთქმული 24 წლის მსახიობის ნ. (იაკობ) სააკაშვილის გარდაცვალების გამო. გაზეთის შეფასებით, ეს ახალგაზრდა ნებისმიერი სასარგებლო საქმისთვის დაუზარელი იყო.

მეხუთე ნეკროლოგი სასულიერო პირის, დეკანოზ მიხეილ გურგენიძისაა. ის რედაქტორმა გამოარჩია იმიტომ, რომ თბილისის სემინარიის დასრულების შემდეგ როდესაც მღვდლად აკურთხეს, 1848 წელს წავიდა მოსკოვში. ორი წელი ლაზარევის ინსტიტუტში და კონსტანტინის მეჟევის ინსტიტუტში ასწავლიდა ქართულ ენას. ის ყოველთვის ხელს უმართავდა განათლების მოსურნე ახალგაზრდობას, ფინანსურად ეხმარებოდა მათ.

ცნობილია, რომ მუსიკას და, განსაკუთრებით, კლასიკურ მუსიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. ეს იცოდა გიორგი წერეთელმაც და გაზეთის მკითხველებს გააცნო ცნობილი მანესტრო ჯოაკინ როსინი, რომლის პირველი სასცენო ოპერა იყო „Combirole di matrimonio“. მასვე ეკუთვნის „ტანკრედი“, „იტალიის ქალი ალჟირში“, „ოტელო“, „წინასწარმეტყველი“, „gazza ladra“, „სივილის დალაქი“ და სხვ.

დაბოლოს, რედაქტორმა არც ეკონომიკა დაივიწყა და მკითხველებს გააცნო პარიზის სავაჭრო სახლის უფროსი ავსტრიის კონსულის ხარისხის მფლობელი ჯემსი როტშილდი. ის ტრიალებდა წარმატებული და განათლებული ფრანგების გარემოცვაში. მიუხედავად ბიზნესმენობისა, ჯემსი როტშილდი იყო პირველი გასტრონომი, მაგრამ საკვებზე უფრო ხელოვნებას აფასებდა.

ამ შვიდ ადამიანს აერთიანებს ის, რომ თითოეულის გარკვეული წვლილი მიუძღვის საზოგადოების წინაშე. ადამიანებს შეუძლიათ მათგან მაგალითის აღება და სწორედ ეს არის გიორგი წერეთლის მიზანი (იხ.: დანართი 8.1).

IX თავი: ცენზურა და გაზეთი „დროება“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ბეჭდვით სიტყვას რუსეთის საცენზურო კომიტეტი განაგებდა. 1849 წელს კი უკვე კავკასიაში დაარსდა საცენზურო კომიტეტი, რომელიც განათლების უწყებას ექვემდებარებოდა და 1848 წ. დაფუძნებულ კავკასიის სამოსწავლო ოლქთან არსებობდა.

1865 წ. რეფორმის შემდეგ რუსეთის იმპერიაში საცენზურო ორგანოები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა, ხოლო კავკასიის საცენზურო კომიტეტი 1882 წლამდე არსებობდა კავკასიის სამეფისნაცვლოსთან (ლ. ბერძენიშვილი 1964).

1855-1865 წწ. გარდამავალი ეპოქაა რუსული ცენზურის ისტორიაში. სამოციან წლებში დაწყებული „გლეხთა განთავისუფლების“ მოძრაობის გამო, აშკარა გახდა არსებული საცენზურო კანონმდებლობის გადასინჯვის აუცილებლობა (პ. გუგუშვილი 1929).

გატარდა ახალი კანონი, რომელსაც თან ერთვის „დარიგებანი“, რაც შემდეგ შეტანილ იქნა წესდებაში და მოქმედებდა 1905 წლის რევოლუციამდე.

„დარიგებანის“ მიხედვით აკრძალული იყო პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ სასამართლო პროცესების, შიმშილობის, გაფიცვების, ხელფასის, სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და ფაბრიკანტ-მეპატრონეებთან მუშათა ურთიერთობის შესახებ ბეჭდვა; იკრძალებოდა მემამულეებსა და გლეხებს შორის არსებული ურთიერთობის „ცუდი“ სახით გამოხატვა.²⁵

„დროებაში“ შეფარვით, მაგრამ მაინც ხდებოდა წესების დარღვევა. ზემოხსენებულ თემებზე ინფორმაცია იბეჭდებოდა, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითზე. მაგალითად, „ლონდონის მუშების თხოვნა“. გამოქვეყნებულია ლონდონელი მუშების თხოვნა პარლამენტის მიმართ, რომ შეამცირონ სამუშაო დღე და რეასაათიანი გახადონ; ლონდონში შიმშილობაა. სიკვდილიანობა გახშირდა და მიზეზად გაჭირვებას ასახელებენ და სხვ. რასაკვირველია, ქართველ მკითხველს ადვილად შეძლო პარალელის გავლება და ამავე საკითხებზე დაფიქრება ქართულ რეალობასთან მიმართებით.

გაზეთ „დროებას“ ქართული პერიოდიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან დაიწყო თანმიმდევრული ბრძოლა არაერთი აქტუალური საკითხის წინააღმდეგ; სამოციანელების გამოცემა თავიდანვე გაბედული ნაბიჯებით წავიდა წინ და ამიტომ ყოველთვის იყო საცენზურო კომიტეტის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ (ლ. ბერძენიშვილი 1964).

ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის, იონა მეუნარგიას თქმით, „...„სტრიქონები ვერ მიანევენ მკითხველების თვალეზამდის, თუ ცენზურმა წინ-და-წინ არ მონათლა, ან წინა-დაცვეთა არ შეუსრულა იმას...“ [ლელიო (იონა მეუნარგია) 1880: 2].

„დროება“ პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთი იყო და ეს გარემოება მის გამომცემლებს ავალდებულებდა, ვრცლად გაეშუქებინათ შინაური და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხები; ხელისუფლებამ იცოდა, რომ გამოცემას მოაზროვნე სარედაქციო ჯგუფი

²⁵ ვ. გუგუშვილი, შენიშვნები მეფის ცენზურისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, ქართული მწერლობა, ტფ. 1929, №6-7, გვ. 158-159 („დარიგებანი“)

ჰყავდა. გაზეთი გამოდიოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ხალხოსნური მოძრაობის გაძლიერებისა და მკაცრი რეაქციის წლებში. მთავრობა უნდობლობით იყო გაზეთისადმი განწყობილი. მკითხველი კი ქარაგმულის ნაცვლად, პირდაპირ ნათქვამ სიტყვას მოითხოვდა.

„დროების“ გამოცემის პირველ ხანებში ნ. ლოლობერიძე კირ. ლორთქიფანიძეს წერდა: „მანდელამ რომ კორესპონდენციებს...გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემჭობინება, წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში“ [ალ. კალანდაძე 1987:101].

ბუნებრივია, რედაქტორის საქმიანობასა და გაზეთის უფრო მეტ წარმატებას ხელს უშლიდა მაშინდელი ცენზურა. „დროების“ პირველ რედაქტორს სასტიკი რეაქციის პერიოდში მოუხდა მუშაობა და ამან თავისი გავლენა მოახდინა გაზეთის შინაარსზე. გამოცემას პირდაპირ აკრძალული ჰქონდა პოლიტიკურ საკითხებზე თვითნებური წერა და მსჯელობა.

რედაქტორი იძულებული ხდებოდა, თანამშრომლებისათვის შესაფერისი დარიგება მიეცა. 1866 წელს ვ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „მაგრამ ამას კი ძალიან გეხვეწებო ნერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბევ კაითმაზოვის²⁶ თვალებს არ შეეჩხიროს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგება“. [ს. ხუნდაძე 1931:412]

მიუხედავად სიმკაცრისა, თუ რაიმე პოლიტიკურ აზრებს აპარებდნენ გაზეთში, ეს ხდებოდა დიდი ტაქტიკითა და სიფრთხილით. მძიმე პოლიტიკური ვითარების სურათია ასახული 1867 წლის 3 ივლისით დათარიღებულ გ. წერეთელის ერთ-ერთ კერძო წერილში ვ. ლორთქიფანიძისადმი. ავტორი საუბრობს იმ აგრესიულ პოლიტიკაზე, რომლის გატარებასაც შეუდგა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლაევიჩი²⁷ ამიერკავკასიაში. აცნობებს მასწავლებლების სემინარიის დაარსების შესახებ, სადაც ქართული ენა არ უნდა ისწავლებოდეს (იხ.: დანართი 9.1)

²⁶ იგულისხმება ივანე ყაითმაზოვი-ცენზორი, რომელიც ცნობილი იყო თავისი აუტანლობით.

²⁷ იგულისხმება მიხეილ რომანოვი (1832-1909). კავკასიის მეფისნაცვალ იყო 1863-1881 წლებში.

ცენზურა რედაქციისგან მოითხოვდა საერთაშორისო ინფორმაციის შესარჩევად მხოლოდ ნებადართული წყაროებით სარგებლობას. 1869 წ. 17 მაისს ს. მესხი ცენზურის მიერ შევიწროვების შესახებ სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს: „შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვავიწროებს ცენზურა, რაც რუსულად იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბეჭდინებენ, და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე წერა ვერ ვიცით, ჯერ, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრები“ [ალ. კალანდაძე 1987: 101].

მიუხედავად ცენზურის მხრიდან მკაცრი კონტროლისა, გამოცემა შეძლებისდაგვარად ახერხებდა დაეცვა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები, რაც, რასაკვირველია, დიდწილად იყო განპირობებული რედაქტორის სწორი პოლიტიკით.

X თავი. მოგონებები

პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ახლობლები, კოლეგები მეხსიერებაში აღდგენილი წარსულით წერენ მოგონებებს მის შესახებ, მსჯელობენ შემოქმედებაზე, იხსენებენ მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო გვენახა მოგონებები, რომლებიც უშუალოდ გიორგი წერეთლის რედაქტორულ საქმიანობას უკავშირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მივაგენით. თუმცა, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვემონებინა რამდენიმე მოგონება, რომლებშიც საუბარია მის პიროვნულ თვისებებზე.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის განყოფილებაში გიორგი წერეთლის დაცულია ეკატერინე იაშვილის მიერ დაწერილი რეფერატი გ. წერეთლის შესახებ მწერლის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო.

რეფერატში აღწერილია გ. წერეთლის დაბადების ადგილი, ბავშვობა, მშობლები, განათლება, მრავალმხრივი მოღვაწეობა, შემოქმედება, ოჯახი. ნაჩვენებია მისი მუდამ გაჭირვებული ცხოვრება, თავგანწირვა სამშობლოსადმი, საქმისადმი, რომელზეც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ფიქრობდა (იხ.: დანართი 10.1).

ცნობილია, რომ გიორგი წერეთელსა და აკაკი წერეთელს ქუთაისის გიმნაზიიდან მოყოლებული, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ემოციურია აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა გიორგი წერეთლის საფლავზე, რომელსაც „თან შეზრდილი და თანვე შებერებული გიორგი“ უწოდა. სიტყვის ბოლოს აკაკი იხსენებს ერთ შემთხვევას, სადაც ჩანს, თუ როგორი აღზრდილი იყო გიორგი მამის-ექვთიმეს მიერ. კერძოდ, ის, რომ გიორგი პატარაობიდანვე არ უშინდებოდა დაბრკოლებებს, რომლებიც მას სასიკეთო საქმის კეთებისას ეღობებოდა წინ (იხ.: დანართი 10.2).

გიორგი წერეთელს აკაკის ერთგული მეგობარი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ექიმი და პედაგოგი ივანე ელიაშვილიც ძალიან კარგად იცნობდა. მოგონებაში კარგად აქვს აღწერილი გიორგის შრომისმოყვარეობა, სამუშაო გარემო, აკაკიზე ზრუნვა (იხ.: დანართი 10.3).

გიორგი წერეთელზე ბევრი ჰქონდა მოსაგონარი არქეოლოგ ექვთიმე თაყაიშვილსაც, რომელმაც ის ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობის (1883 წელი) დროს გაიცნო. ის აღნიშნავს გიორგის იმედიან დამოკიდებულებას საქართველოს განთავისუფლების თაობაზე; საუბრობს მისი ნიჭიერების შესახებ (იხ.: დანართი 10.4).

მოგონებებში გამოხატული პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, გვექმნება ზოგადი წარმოდგენა, როგორი რედაქტორი იქნებოდა გიორგი წერეთელი: შრომისმოყვარე, განათლებული, მებრძოლი, პასუხისმგებლობის მქონე, პრინციპული და უშიშარი.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, წარმოაჩინოს, ერთი მხრივ, გაზეთ „დროების“ როლი XIX საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და, მეორე მხრივ, რედაქტორის დამოკიდებულება გამოცემისადმი სარედაქციო პოლიტიკის გათვალისწინებით.

დამუშავებული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველი სამოციანელების სამოღვაწეო ასპარეზზე აქტიურად გამოსვლით გაჩნდა საზოგადოებრივი აზროვნების განახლება-განვითარების იმედი ქართული პერიოდული პრესის დახმარებით. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა „დროება“ მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, ყოფილიყო მათი ლიტერატურული-იდეური ბრძოლის წარმატებული ინსტრუმენტი.

რედაქტორი გიორგი წერეთელი იყო ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელიც მუდამ სამშობლოზე, ქართველ ხალხზე ზრუნავდა და ცდილობდა მოეგვარებინა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სოციალური, არამედ ეკონომიური პრობლემებიც. ამისთვის არ იშურებდა არც ძალას, არც ენერგიას, არც ფინანსებსა და არც მონდომებას.

„დროების“ სალიტერატურო ნაწილში გამოქვეყნებული მასალების ავტორები ეხმიანებიან ბატონყმობის გაუქმებას და ცდილობენ რეალობა შეუღამაზებლად გადმოსცენ. გამოცემის რედაქციაში როგორც უხერხდებოდათ, ისე აქვეყნებდნენ პოლიტიკურ ამბებს. გამომცემლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების და ანალიზის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ შეეძლოთ შეემოკლებინათ მასალა. მიუხედავად ამისა, რედაქტორი ოფიციალური პოლიტიკური ამბებითაც ახერხებდა მხოლოდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ამბების გადმოსცემას. „დროებაში“ გამოქვეყნებული სოციალური ხასიათის ტექსტები ისეთ თემებს შეიცავდა, რომლებიც მნიშვნელოვანი და პრობლემური იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის. ე. წ. კომერციული ბლოკის კუთხით რედაქტორის პოლიტიკა მკაფიოა - ორიენტირებულია არ მოგების მიღებაზე, არამედ მის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებათა სარგებლიანობაზე.

გაზეთში გამოქვეყნებული ნეკროლოგის ტექსტებითაც კი ჩანს, თუ რა არის რედაქტორის მიზანი - აჩვენოს მკითხველებს, რით ფასობს ადამიანი და რას ნიშნავს, დატოვო „კვალი ნათელი“. აღსანიშნავია, რომ ნეკროლოგში მოხსენიებული პირები სხვადასხვა სფეროში

მოღვაწეობდნენ: მეცნიერი, სამხედრო პირი, მწერალი, მსახიობი, სასულიერო პირი, კომერსანტი და კომპოზიტორი. ესეც მკითხველისათვის საგულისხმო ინფორმაციაა - არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ, მთავარია, საზოგადოებისათვის სარგებლის მომტანი იყო და მაღლიერი თანამედროვეები დაგიფასებენ ღვანლს.

მიუხედავად ცენზურის მხრიდან მკაცრი კონტროლისა, გამოცემა შეძლებისდაგვარად ახერხებდა დაეცვა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები.

მოგონებებში გამოხატული პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, იქმნება ზოგადი წარმოდგენა როგორი რედაქტორი იქნებოდა გიორგი წერეთელი: შრომისმოყვარე, მებრძოლი, პასუხისმგებლობის მქონე.

ამრიგად, რედაქტორ გიორგი წერეთელის ჭკვიანური, სასარგებლო, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი სარედაქციო პოლიტიკის წყალობით, გაზეთი „დროება“ ნამდვილად ჩამოყალიბდა პირველ ევროპული ტიპის გამოცემად ჩვენში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრა [ალექსანდრე ნიკიტინი], ფელეტონი, ჟურნალ-გაზეთები, ივერია, 1892, №134, გვ. 1-3.

2. აბრამიშვილი, მ., გიორგი წერეთელი, ახალი კავკასიონი, 1925, №1-2, გვ. 228-235.
3. აკაკი, ფელეტონი მესტვირული, დროება, 1880, №1, გვ. 1-2.
4. ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილს ქალებს, მთარგმნელი გ. წერეთელი, დროება, 1866 №41, გვ. 3-4.
5. ბეთანიშვილი, მ., ნეკროლოგი, დროება, 1867, №23, გვ. 2-3
6. ბერძენიშვილი, ლ., გაზეთი „დროება“ და მეფის ცენზურა, მაცნე, 1964, 3, გვ. 34-49
7. გამეზარდაშვილი, დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 2, თბილისი, განათლება, 1974, 524 გვ.
8. განცხადება, სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი, 1832, №5, მარტი, გვ. 119-120.
9. განცხადება ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზე, საქართუელოს სასულიერო მახარებელი, იანვარი, 1866 იანვარი, გვ. 209-211.
10. გოცაძე, მ. პირველი ქართული ჟურნალი, საისტორიო მოამბე, 1952, 6, გვ. 229-315
11. გუგუშვილი, პ. ქართული ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის თბილისი, სახელგამი, 1941, 480 გვ.
12. გუგუშვილი, პ., შენიშვნები მეფის ცენზურისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, ქართული მწერლობა, 1929, №6-7, გვ. 157-173
13. დათეშიძე, ფ., მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა ევროპის წინა სახელმწიფოებში. დროება, 1867, №28, გვ. 3-4
14. დათეშიძე, ფ., მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა ევროპის წინა სახელმწიფოებში. დროება, 1867, №29, გვ. 3-4
15. დროების კორრესპონდენცია. კახეთი, დროება, 1867, №25, გვ. 1

16. ვართაგავა, იპ., XIX საუკუნის ქართული ჟურნალ გაზეთების გამოჩენლი რედაქტორები, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957, 123 გვ.
17. ზანდუკელი, მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, თბილისი, 1939, 447 გვ.
18. თულაშვილი, ვ., რამოდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ, დროება, 1866, №34, გვ. 3-4
19. იოვიძე, ა., გიორგი წერეთელი-მასალები, საისტორიო მოამბე, 1952, 6, გვ. 177-228.
20. კალანდაძე, ალ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, V, თბილისი, განათლება, 1987, გვ. 613.
21. კარიჭაშვილი, დ., ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქართული მწერლობა, 1929, 6-7, ივნისი-ივლისი, გვ. 141-156.
22. კილანავა, ნ., ვის ეკუთვნის გაზეთ „დროების“ პირველი მეთაური წერილი?, მაცნე, 1966, №6, გვ. 238-245
23. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში.
24. კ. ლორთქიფანიძის არქივი ქუთაისის მუზეუმში. წერილი გამოქვეყნებულია გამოცემაში: ხუნდაძე, ს., გიორგი წერეთელი, ტომი I, თბილისი, ქართული წიგნი, 1931, 408 გვ.
25. [კ. ლორთქიფანიძის არქივი]. ტექსტი დაბეჭდილია: ხუნდაძე, ს., გიორგი წერეთელი, ტომი I, თბილისი, ქართული წიგნი, 1931, გვ 414.
26. კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი, №892
27. ლელო (იონა მეუნარგია), ჰაზრი თავისუფალი და ცენზურა, დროება, 1880, №193, გვ. 1-2.
28. მაჩაბელი, ივ., გაზეთი „დროება“ და სერგეი მესხი, დროება, 1883, №149, გვ. 1-2
29. მაჭავარიანი, თ., სამშობლო ენისათვის, ცისკარი, 1860, დეკემბერი, გვ. 538-542

30. მელიქიშვილი, სტ., ტფილისი 4 მარტს, დროება, 1866, №1, გვ. 1-2.
31. მეუნარგია, ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი, ტექნიკა და შრომა, 1939, 91 გვ. (ელ. ვერსია).
32. მეძველია, კ., თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, თბილისი, ცოდნა, 1959, 348 გვ.
33. მეძველია, კ., თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბილისი, განათლება, 1965, 271 გვ.
34. ნეკროლოგი, დროება, 1866, №33, გვ. 1
35. ნეკროლოგი, დროება, 1866, №38, გვ. 3
36. პაპავა, ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1979, 704 გვ.
37. პ-შვილი, ბ.(ვასილ პეტრიაშვილი), გიორგი მუშაკაძის ცხოვრება, დროება, 1868, №3, გვ. 1-2.
38. პ-შვილი, ბ. (ვასილ პეტრიაშვილი), რატომ ჩვენ მდგომარეობაზე არასა ვფიქრობთ, დროება, 1867, №10, გვ. 1-2.
39. პეტრიაშვილი, ბ., ამ დროების ქართველები, დროება, 1866, №24, გვ. 1-2.
40. პოლიტიკა, დროება, 1866, №1, გვ. 2-3
41. პოლიტიკა, დროება, 1866, №44, გვ. 2-3
42. პოლიტიკა, დროება, 1867, №1, გვ. 2-4
43. პოლიტიკა, დროება, 1867, №52, გვ. 1-3
44. პოლიტიკა, დროება, 1868, №1, გვ. 1-3
45. პოლიტიკა, დროება, 1868, №52, გვ. 2
46. პოლიტიკა, დროება, 1869, №1, გვ. 2-3
47. პოლიტიკა, დროება, 1869, №15, გვ. 3-4
48. რედაქციისაგან, დროება, 1868, №29, გვ. 4.
49. რედაქციის განცხადება, დროება, 1869, №16, გვ. 1

50. საზოგადო განწერა 1866 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალისა რუსეთის იმპერიაში, დროება, 1866, №3, გვ. 1-2
51. საქართველოს ცსსა, 480, აღწ. 1, საქმე 2, ფურც. 1
52. სახაზინო განცხადება, დროება, 1867, №2, გვ. 4
53. სერგეი მესხის დასათვლავება, სიტყვა გიორგი წერეთლისა, დროება, 1883, №145, გვ. 2
54. სტ. მელიქიშვილის სიტყვა, დროება, 1876, №24, გვ. 2.
55. სხვა და სხვა ამბავი, დროება, 1868, №48, გვ. 4
56. ტელეგრამები, პეტერბურგში მიღებული, დროება, 1866, №38, გვ. 5-6
57. ტელეგრამები, პეტერბურგში მიღებული, დროება, 1867, №7, გვ. 4
58. ტელეგრამები, პეტერბურგში მიღებული, დროება, 1868, №12, გვ. 2
59. ტელეგრამები, პეტერბურგში მიღებული, დროება, 1869, №3, გვ. 4
60. ტფილისი 8 იანვარს, დროება, 1867, №3, გვ. 1
61. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ტომი მეოთხე თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, 600 გვ.
62. ქაჯაია, მ., გიორგი წერეთელი და ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, 115 გვ.
63. ქინქლაძე, ო., ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამა, თბილისი, განათლება, 1966, 93 გვ.
64. ცაიშვილი, ს., „დროებიდან“ – „ივერიამდე“, ლიტერატურის მათიანე, 1940, №1-2, გვ. 490-495.
65. ცხვედაძე, ნ., ნეკროლოგი, დროება, 1868, №33, გვ. 2-3
66. წერეთელი, ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, მხატვრული პროზა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1958, 387 გვ.
67. წერეთელი, აკ., როგორ დაარსდა ჩვენი გაზეთი, თემი, 1912, ოქტომბერი, №93.

68. [წერეთელი, გ.], განცხადება გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1868 წელში, დროება, 1867, №50, გვ. 1.
69. [წერეთელი, გ.], გაზეთ დროების გამოცემაზე 1867 წელს, დროება, 1866, №33, გვ.1
70. [წერეთელი, გ.], მათუსალას აღსარება, დროება 1866, №1, გვ. 1-2.
71. წერეთელი, გ., მგზავრის წიგნები, დროება, 1867, №12, გვ. 3-4.
72. [წერეთელი, გ.] ტფილისი, 19 აგვისტოს, დროება, 1866, №25, გვ. 1.
73. [წერეთელი, გ.] XX, უცხო ქვეყნის ამბები, დროება, 1868, №9, გვ. 3-4
74. წერეთელი, გ., ჩვენ და ჩვენი „დროება“, დროება, 1879, №13, გვ. 2-3
75. წერეთელი, გ., „ცისკარს“ რა აკაკანებდა?, საქართველოს მოამბე, 1863, №5, გვ. 39-61.
76. [წერეთელი, გ.], ძველის წლის ნაყოფი და ახალ-წლის კოკრები, დროება, 1867, №1, გვ. 1-3.
77. ჭავჭავაძე, ი., ზოგიერთი რამ, დროება, 1876, №27, გვ. 1-2
78. [ჭავჭავაძე, ილია], წინასიტყვაობა, ივერია, 1877 მარტი, №1, გვ. 1-2
79. ჭილაია, ა., გიორგი წერეთელი, თბილისი, განათლება, 1967, 507 გვ.
80. ჭიჭინაძე, ზ., ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913, თბილისი, [1916], 320 გვ.
81. ხახანაშვილი, ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია, (XIX ს.) ტფილისი, 1917, 331 გვ.
82. ხუნდაძე, ს., გიორგი წერეთელი, ტომი I, თბილისი, ქართული წიგნი, 1931, 454 გვ.

დანართები

დანართი 2.1.

„განათლებულს ქვეყნებში თითქმის ყოველი კაცი საჭიროთ რაცხს, რომ დანვრილებით შეიტყობდეს არა თუ თავისის მამულის გარემოებას, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარეობასაც. ამისთვის აქ იბეჭდება მრავალი უურნალი და გაზეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში სხვა და სხვა ცნობასა.- ჩვენი გარემოება, ნამეტნავათ ახლანდელი, მოითხოვს, რომ ჩვენც ვტყობულობდეთ ჩვენის ქვეყნის ყოფა-ცხოვრებასა და ავრეთვე მმართველობის განკარგულებებსა. ვარდა ამისა, რადგანაც ჩვენი წარმატება დამოკიდებულია განათლებულის ხალხებისაგან შეძინებულს სწავლაზედ და იმათს ცხოვრებაზედ, ამისთვის, თუ გვსურს საკუთარი კეთილდღეობა, უეჭველათ იმათ უნდა ვბაძვიდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ. ამ საქმეში პირველი შუამავლობა ეკუთვნის გაზეთებს და უურნალებს. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემა ქართულს ენაზედ. ამ გაზეთს ერქმევა სახელათ „ღროება“ და ექმნება შემდეგი ნაწილები:

- 1. მმართველობის განკარგულებანი და ცნობანი რუსეთზედ და განსაკუთრებით ჩვენს მხარეზედ. ამ ნაწილში შემოვა კორრესპონდენცები ანუ სხვა და სხვა ადგილებიდან გამოგზავნილი წერილები.*
- 2. საპოლიტიკო ცნობები და ტელეგრამმები.*

3. მეცნიერება და ხელოვნება. ამ ნაწილში დაიბეჭდება სტატიები, რომელნიც შეეხებიან ყოველ-გვარს სწავლას და შედგენილნი იქმნებიან ადვილ-გასაგონის ენით, აგრეთვე წმინდა-სალიტერატურო თხზულებები.
4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ანუ გარკვევა ქართულის წიგნებისა და შესანიშნავის თხზულებებისა უცხო ენებზედ.
5. სხვა და სხვა ამბავი, ანუ მოკლე ცნობები, რომელნიც შეეხებიან სწავლას, ხელოვნებას, აღებ-მცემობას, სოფლიურს მეურნეობას და ექიმობასა. - ფელეტონი.
6. სახაზინო და კერძობითი განცხადებები.

შეძლებისამებრ “ღროების“ რედაქცია ეცდება თავისი პროგრამა აასრულოს. მაგრამ რადგანაც გაზეთი ქართულს ენაზედ ახალი საქმეა და თვით პროგრამაზე ვრცელია, ამისთვის იმისი ასრულება საკუთარის ჩვენის ღონისძიებით ძალიან ძნელია. ამაში რედაქციას ისე თავის თავზედ არა აქვს იმედი, როგორცაც საზოგადოების შემწეობაზედ. ზოგიერთმა პირებმა კიდევ აღგვითქვეს თანამშრომელობა, და ეჭვი არა გვაქვს, რომ იმათ გარდა სხვანიც ბევრნი მიიღებენ მონაწილეობას თავიანთის შრომით ჩვენს გაზეთში.

“ღროება“ გამოვა ამ 1866 წლის მარტის თვიდამ, კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ ორ თაბახამდე. გარდა ამისა შეძლების და გვართ ხან და ხან გაზეთთან გამოვა დამატება. ამ დამატებაში იქმნება დაბეჭდილი სტატიები, რომელთაც დაბეჭდვა სივრცისა გამო გაზეთში არ მოხერხდება.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გავგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

“ღროების“ გამოცემას ვაპირებდით იანვრიდამ მაგრამ ნება-რთვა ახლა მოგვეცა; ამისთვის ამ თვის მაგიერათ დავნიშნეთ მომავალი მარტი. ფასიც წლევეანდლის წლისა არის ნაკლები, ესე იგი: 1867 იანვრამდე გაუგზავნელათ ტფილისში 5 მანეთი, გავგზავნით ტფილისში და სხვა ადგილებში 6 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მონერა მიიღება ტფილისში, „ღროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალაგინის პროსპექტზედ, ზუბალოვის სახლში. ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნის გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ контору редакции грузинской газеты "Время", при типографии Меликова и К -о.*

რედაქტორი გიორგი წერეთელი.

გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

ტფილისი. 10 იანვარს, 1866 წელსა“.

[განცხადება ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „ღროების“ გამოცემაზედ 1866:209-211]

დანართი 2.2.

„თუ რა ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე უურნალ-გაზეთის მშრომელს, ამას განსვენებულის პუბლიცისტის კიუვილიე-ფლერის მაგალითი გვიმტკიცებს, რომელიც საფრანგეთის აკადემიის „ორმოც უკვდავთა“ შორის იქმნა შერიცხული. ფლერიმ სთქვა ერთხელ: „საუურნალ-გაზეთო შრომა, თუმცა თვალ-საჩინო და სასახელო არ არის, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებულის ერის ყოფა-ცხოვრებაში. არც ერთი ხელობა არ არის ისე ადამიანის გამტაცებელი, როგორც უურნალ-გაზეთის თანამშრომლობა, რასაკვირველია, თუ კაცი სინილისიერად მოეკიდა ამ საქმეს. ცხოვრების ჭიდილში პოეტი მენლარეა, მეცნიერი-ჯარის წინამძღოლი, და უურნალ-გაზეთის მოღვაწე-კი ერთგული ჯარის-კაცი. უურნალ-გაზეთი საზოგადოების აზრისა და გრძნობის გამომხატველია. უურნალ-გაზეთის სინილისიერი მშრომელი ბევრს უსამართლობას დაგვანახებს ხოლმე, ბევრს შეცდომას აგვაცილებს, ბევრს ახალსა და ნიჭიერს მწერალს გავგაცნობს, ბევრს

ძველსა და დავიწყებულს ნანერს და ხელოვნების ნაწარმოებს გამოიტანს ძველის ბიბლიოთეკის წყვილიადიდან, ვადუშლის და დაანახვეებს მკითხველებს..... უურნალ-გაზეთის მშრომელმა დიდი ცოდნა ძლიერ უნდა შეიძინოს, მუდამ გაფასიცებით თვალ-ყური უნდა ადევნოს ცხოვრებას და დღე-ღამე დაულალავად შრომობდეს. შეიძლება ვსთქვათ, რომ უურნალ-გაზეთის მშრომელი ისტორიას აძლევს მასალას..... გაზეთში ის უნდა იყოს დაბეჭდილი, რაც მკითხველსა სურს და საყურადღებოდ მიაჩნია..... გაზეთი ქვევრი არ არის, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. გაზეთში რომ მარტო ახალი ამბები იბეჭდებოდეს, გაზეთი რომ მხოლოდ იმას სწერდეს, რაც მკითხველს გაართობს, გააცინებს, დროს გაატარებინებს, მაშინ ღირსიც არ იქნება გაზეთის სახელისა და არც არავითარი მნიშვნელობა ექნება ცხოვრებაში, ერის ჭკუა-გონების წარმატების საქმეში. გაზეთი მასწავლებელი უნდა იყოს ერისა. აი სწორედ ეს გახლავთ გაზეთის დიდი დანიშნულება და რა გაზეთიც უფრო პირნათლად აასრულებს ამ თავისს დანიშნულებას, მეტი დიდება და სახელიც იმას ეკუთვნის. გაზეთმა ერთსა და იმავე დროს მკითხველთა სურვილი და ცნობის-მოყვარეობაც უნდა დააკმაყოფილოს და იმ საგანსა და გარემოებასაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რასაც ქვეყანა თითონ ვერა ჰხედავს, ან არ ესმის უურნალ-გაზეთებში უნდა იყოს: კრიტიკა, აზრი, იდეა, თანაგრძნობა, სიყვარული, ცოდნა“ [აბრა 1892: 1-3].

დანართი 2.3

„ამ 1866 წლით ვინცობთ ქართულის გაზეთის გამოცემასა. ჩვენს აზრში ეს წელიწადი დარჩება შესანიშნავს დროთ: ქართულს ენაზედ გაზეთი სრულებით ახალი საქმეა, და ყოველივე ამ გვარი საქმე ნაბიჯის წინ ვდადგმაა. ვისაც კი ესმის უურნალების მნიშვნელობა ხალხის განათლებაში, ის, რა საკვირველია, მოხარული იქმნება ამ ამბით. ქართველებში უნინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული; დარწმუნებით ვიცით, რომ აწინდელს დროს საკითხავის წიგნების საჭიროებას მთელს საქართველოში გრძნობდნენ. ახლა რედაქციაზედ არის დამოკიდებული ამ საჭიროების დაკმაყოფილება. რა ხასიათი უნდა მიიღოს “დროება“, რა მიმართულებას უნდა დაადგეს ისა, ეს თავ და პირველათვე უნდა

აღმოჩნდეს. “დროებაში“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა და ნამდვილის ცნობის გადაცემა მკითხველისადმი და არა დროს გატარება იმისი.

ჟურნალებს და გაზეთებს დიდი გავლენა აქვთ დანინავებულს ქვეყნებში. ჩვენს დროში ისინი შეადგენენ განათლების ზომასა და აუცილებელს საჭიროებასა ხალხის წარმატებისათვის. მართალია, ზოგიერთს აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ძველს ევროპაში ვპოულობთ იმ გვარს ჩვეულებას, რომ ჟურნალის მზავსად იწერებოდა ახალ-ახალი ამბები საზოგადოებაში გასავრცელებლად, მაგრამ ბევრად მაშინ არ იცოდნენ, და მაშა სადამე, არ შეიძლებოდა ჟურნალს იქ ის მნიშვნელობა ჰქონებოდა, როგორც ახლა.

ამისთვის როგორათაც აღმოსავლეთზედ აგრეთვე ძველს ევროპაში განათლება იძროდა სუსტათ და სრულებით არ იყო გავრცელებული ხალხში. ამ საქმის საფუძველი დაიდვა მეთხუთმეტის საუკუნის ნახევარს როდესაც ნემეცმა გუტტენბერგმა მოიგონა ბეჭდვა. ბეჭდვა მცირეს ხანში ევროპამ მიიღო. თითქმის იმ დროდამევე იწყეს წიგნების ბეჭდვა და ადგილ-ადგილ გამოცემა გაზეთებისა, თუმცა ეს უკანასკნელი სახელი შემდეგ არის შემოღებული-მეჩვიდმეტის საუკუნის დაწყებაში: gazetta იტალიანურათ ნიშნავდა პატარა მანეთს, რომელიც ფასად ედვა ვენეციაში თვითო ნუმერს ჟურნალისას. შემდეგ ეს სახელწოდება შერჩა იმას. მაშინდელი გაზეთები ახლანდელებს ძალიან ცოტათი ემსგავსებოდნენ: იმათის საუბარის საგანი იყო უნამეტნავესათ ომიანობის საქმეები. დიად მცირეთაც იყვნენ ისინი გავრცელებულნი. ანგლიაში პირველი გაზეთი დაწესდა მეთექვსმეტის საუკუნის გასულს, ფრანციაში - მეჩვიდმეტეს საუკუნეში. მხოლოთ ამ დროდამ იწყება იმათი მნიშვნელობა: ჟურნალები და გაზეთები უფრო და უფრო მოიფინებინ; ისინი შეუდგნენ საუბარს ყოველს საგანზედ -მეცნიერებაზედ, პოლიტიკაზედ, საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაზედ, მმართველობისა და ხალხის ნაკლულებებზედ. იმათ დიდი მონაწილეობა ჰქონდათ საზოგადოების გონების შეძრვაზედ. შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი ძალიან შეენივნენ მეჩვიდმეტე და მეოთხრამეტე საუკუნეებში ევროპის წარმატებას.

მეცხრამეტეს საუკ. მნიშვნელობა ჟურნალებისა და გაზეთებისა უფრო და უფრო მატულობს. ყოველივე, რასაც მეცნიერება მოიპოვებს, რაც სხვა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური

შემთხვევა მოხდება, რაც ხალხის ყოფა-ცხოვრებაში კარგია თუ ავი, რა ღონისძიებასაც სწავლის გამოკვლევა აღმოაჩენს საზოგადოების კეთილ-დღეობის წარმატებისათვის ყოველივე ეს შეადგენს უურნალებისა და გაზეთების საგანსა, რომელი ხალხიც უფრო წინ არის წასული განათლებით, იმის საზოგადოებაში იმოდენათ უფრო მომეტებული უურნალი და გაზეთი გამოიქვამა; რომელი ხალხიც უკანა დგას, იმას უფრო ნაკლებათა აქვს ისინი. გარდა ამისა იქ თვითოეულს მეცნიერების შტოს აქვს საკუთარი ორგანი, რომელსაც აქვს განსაკუთრებითი დანიშნულება და საზოგადოთ ძნელი გასაგონია. სახალხო ორგანები იყოფა ორ გვარათ: უურნალებათ და გაზეთებათ. უურნალი ფრანკუზული ლექსია და მიღებულია მთელს ევროპაში. თარგმანებით ის ჰნიშნავს ყოველ-დღიურს, რადგანაც უმეტესი იმათი ნაწილი ყოველ-დღე გამოდის. რუსულს ენაზედ ამ სიტყვას სხვა აზრი აქვს; თუმცა ამ ლექსით ევროპაში ისახელწოდება საზოგადოთ ყოველივე უურნალი და გაზეთი, მაგრამ იქ უურნალი უნამეტნავესათ გაზეთსა ჰქვიან, რუსეთში კი ეს სიტყვა ისეა მიღებული, როგორათაც იქ revue, обозрение, ანუ მიმოხილვა, რომელიც თვეში ერთხელ თუ ორჯელ გამოდის დიდ წიგნებათ და შეიცავს სამეცნიერო საბუთებზედ დამყარებულს განხილვას, გარკვევას ყოველგვარის საგნისას. ფრანკუზული revue რუსული журнал მომზადებულთა და ნასწავლთათვის არის გასაგონი და ხალხისათვის კი ძნელათ. სახალხო უფრო გაზეთია ანუ ფრანკუზული journal. გაზეთის საუბრის საგანი არის პოლიტიკური ამბები და საზოგადოების ყოფა-ცხოვრება. თუმცა სამეცნიერო საგნებსაც შეეხება ისა, მაგრამ მოკლეთ, ადვილ-გასაგონის საბუთების ჩვენებით. მაშა სადამე სჩანს, რომ გაზეთი უფრო გავრცელებული უნდა იყოს ხალხში, ვინამც უურნალი.

ეს სწორეთ ასეც არის. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რა გვარათ არის განათლებულს ქვეყნებში გაზეთები მოფენილი. ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ იქ ზოგიერთს სახელმწიფოში თითქმის მთელმა ხალხმა იცის კითხვა, წერა და ანგარიში, ესე იგი ამერიკულს შეერთებულს შტატებში, პრუსიაში და სხვა გერმანიის მხარეებში; ფრანციაში და ანგლიაში ნაკლებათ. კითხვისა და წერის გამავრცელებელნი არიან ხალხში სასოფლო შკოლები, რომელთაც ზოგან მმართველობა აფუძნებს, მაგრამ უფრო საზოგადოება. ადვილ-ადვილ ასეც არის,

რომ თუ გლახმა თავის დროს თავისი შვილი სასწავლებლათ არ მისცა, ის ჯარიმას ვერ აიცილებს. როგორ მისდევს ევროპაში ხალხი გაზეთების კითხვას, ეს თვითოეულმა იცის, ვინც კი იქ ყოფილა და თვალ-ყური უდევნებია ამ ფაქტისთვის. ამ სტატიის ავტორი განცვიფრებაში მოსულა, როდესაც პარიუში და ვენაში უნახავს უბრალო კუჩრები, უბრალო მუშები, რომელთაც უბეში სდებიან გაზეთები და თავისუფალს დროს კითხვა დაუწყიათ, და გერმანიის სოფლებში რომ შესულა თვითოეულს ოჯახში გაზეთები დახვედრია. აქედამ სჩანს, რომ გაზეთი არის ხალხისთვის საუკეთესო შკოლა. გაზეთით შეიტყობს ის, განათლება რაში მდგომარეობს, იმის წარმატებას რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყანაზე და იმის მამულში რა ამბებია; გაზეთით ის შეჰნიშნავს თავის ნაკლულეგანებას, და ამოიკითხავს ღონისძიებას, რომლითაც ეს ნაკლულეგანება უნდა ამოიკვეთოს. გაზეთის კითხვა იმას გონებას უხსნის, თვალს უხელს უკეთესს მიმართულების გზაზე დააყენებს. იქ ყოველივე ადამიანის ყრილობა, ყოველივე საუბარი ამათ არას დროს არ ჩაივლის, და უეჭველათ შეეხება სასარგებლო საგანს რასმე. ერთის სიტყვით, ყოველივე იმისი ნაბიჯი სწავლა არის. იქ ერთი მეორეს ჰბაძავს და ცდილობს, რომ სხვაზედ უკან არ დარჩეს, უმეცართ რიცხვში არ შეირიცხოს.

ამ გვარს ხალხის მდგომარეობაში ხშირათ მოოხდება იესეთი საქმე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება დიდს განცვიფრებაში შეჰყავს. ჩვენს ცნობამდე მოაღწევს ხოლმე, რომ ხალხის საშოდამ ხან და ხან აღმოჩნდებიან ისეთნი გვამნი, რომელთაც სწავლა არსად მიუღიათ, მაგრამ მონინავე პირებათ შეიქნებიან ხოლმე, ესე იგი, უკეთესს მწერლებათ და უკეთესს მოქმედ პირებათ საზოგადო საქმეებში. საჭიროთ ვხადით აქ უჩვენოთ ჩვენის დროს ორი პირი მაგალითათ, - ჩრდილოეთის ამერიკის პრეზიდენტები, ლინკოლნი და იმისი მოადგილე ჯონსონი. პირველი იყო შეშის მჭრელი, მეორე მკერავი; ჯონსონი ახლაც პრეზიდენტია ჩრდილოეთის ამერიკისა, სადაც განათლება უკეთესს მდგომარეობაშია, ვინამც ევროპაში. გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს. აი ამაზედ რას ამბობს უპირველესი მწერალი ევროპაში, ანგლიელი ჯონ-სტუარტ მილლი: „ყოველს ღონისძიებაზედ შემძლე შეერთების

საშუალოება, რომელიც მხოლოდ ამ ცოტახანს ვახდა საზოგადო სამკვიდრებელათ, არის გაზეთი. გაზეთი მრავლის რიცხვის ხმებს გადასცემს თვითოეულს; გაზეთის საშუალოებით ის ტყობულობს, რასაც რომ სხვანი აზრობენ“.

ქართულს ენაზედ ჯერ ჩვენ არა გვაქვს უურნალი, რომელსაც კი თავისი მნიშველობა ესმოდეს. ამ სამის წლის წინ დანესდა “მოამბე“, კარგია მიმართულებით, მაგრამ, საუბედოთ, ერთის წლის მეტი იმას არ უცხოვრია. გაზეთი აქამომდე სულ არ გამოცემულა. ვერ ვიტყვით, როგორ წარემართება “დროება“, მაგრამ, როგორც ზემოთ გამოვსთქვით, იმისი დაწყებას სასიხარულო უნდა იყოს, რადგანაც ყოველივე ამგვარი საქმე ერთის მხრით მეცადინეობას მოასწავებს თეხის წინადადგომისას, მეორის მხრით, ჩვენის აზრით, შეუძლებელია ცოტაოდენი მოძრაობა მაინც არ მისცეს საზოგადო გონებას, საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, თუ გაზეთი თავის დანიშნულებას არგადუდგა. არც ეს მეცადინეობა, არც ეს მოძრაობა არ უნდა დარჩნენ უნაყოფოთ. “დროების“ წარმატება დამოკიდებულია, რა საკვირველია, მომზადებულის და მცოდნე პირების მონაწილეობაზედ. მართალია, ამ გვარნი პირნი ცოტანი გვეყვანან, მაგრამ ისინიც საკმაო იქნებიან, თუ რომ იმათ გულ-გრილობა არ უჩვენეს, როგორც ჩვენ, ქართველებს, ჩვეულება გვაქვს. თვით საზოგადოების მონაწილეობა უფრო მომატებულათ არის საჭირო, ესე იგი, თუ ის ჩაინერგავს გულში გაზეთის ძალას ხალხის წინ-წადგმაში, მაშინ, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, გაზეთი გამხნევდება და კარგს მდგომარეობაში შევა. ამას კი დარწმუნებით ვიტყვით, რომ რედაქციას სხვა აზრი არა აქვს რა, იმის გარდა, რომ ჭეშმარიტების გავრცელებას და ხალხის კეთილ-დღეობას მოეხმაროს. ამ აზრის უკუგდება იქნება სვინიდიისა და კეთილშობილების დათრგუნვა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ჯერ დაბლა ვდგევართ, გონება გაუხსნელნი ვართ, კეთილ-დღეობა რა არის არ გვესმის, ერთის სიტყვით, სნეულებს მივემსგავსებით; მაგრამ სნეულების განკურნება მაშინ შეიძლება, როდესაც ავთომყოფი თავისის ავებულობის მდგომარეობას დაწვლილებით გამოაშკარებს და ექიმს უამბობს. ასეა ჩვენი საქმეც. თუ რომ ჩვენ ჩვენს ნაკლულევენებას არ დავფარავთ, ღონისძიებაც იმისის ამოკვეთისა ადვილი იქნება. ამაზედ გაზეთმა უნდა ილაპარაკოს. ძნელია ეს საქმე: საზოგადო კეთილ-დღეობის შესახებს შრომას ჯერ ჩვენ არა ვართ

შეჩვეულნი და არ ვაფასებთ, ამისთვის მრავალნი, ხან და ხან რა საკვირველია, შეჰრისხვენ „დროებას“. მაგრამ თუ ამას არ შეუდეგით, ნაყოფსაც ვერა ვნახავთ. ხან და ხან ესეც მოხდება, რომ ნაკლულეგანების გამოხატულობაში გაზეთი გადააჭარბებს. არც ამ შემთხვევამ უნდა შეგვაშფოთოს. ევროპის ლიტერატურაში ხშირია, როდესაც ჰსურთ რაზედმე საზოგადო ყურადღება მიაქციონ, რომ უფრო ადვილათ ამოჰკვეთონ ისა, განვებ წარმოადგენენ ხოლმე იმას გადაჭარბებით“ [ს. მელიქიშვილი 1866: 1-2].

დანართი 2.4

„...ამ გაზეთის გამოცემაზედაც საზოგადოება ჩვენი მოვიდა აღტაცებაში...ამ დროებითი თანავრძნობის გამო, „დროების“ ხელის-მომწერლების რიცხვი ავიდა პირველ წელიწადს თითქმის ოთხასამდინ.-ყოველ მხრიდან „დროებას“ მოსდიოდა ადრესები ხელის-მომწერლებისა, ყოველ კუთხეში, საითკენაც კი მიიხედავდი, თვითოეული პირი „დროებას“ აღტაცებით კითხულობდა

მაგრამ გამოვიდა სამიოდე ნომერი ამ „დროებისა“, და ესეც დაგვიძველდა .-ხომ მოგეხსენება, მკითხველო, რომ ახალი ტანთ-საცმელი უფრო სასიამოვნოა ყველასთვის და როდესაც ჩაიცვამ, ასე გგონია, ყველა შენ გიყურებს.-„დროებას“ ამ მდგომარეობაში იყო: ვინამ დაგვიძველდებოდა ეს გაზეთი, მანამ ყველას გვიხაროდა და შევხაროდით ყოველ მის ნომერს; მაგრამ, როდესაც გადავიკითხეთ სამიოდე ნომერი ამ გაზეთისა, შემდეგი ნომრების წაკითხვა ჩვენ მოგვწყინდა. „რა უნდა წავიკითხო, ამბობდა ქართველი, „დროებაში“, ან რათ უნდა გამოვიწერო, როდესაც მე იგივე ამბავს ვკითხულობ რუსულ გაზეთში?“ განა მნიშვნელობა ლიტერატურისა, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, მკითხველო, რომ წაკითხო, ის ამბავი, რაც სხვაშიაც სწერია? განა ლიტერატურა მაშინ არის კარგი, მინამ არ მოგვწყინდება მისი კითხვა? სკდები, ქართველო! თუ შენ ნამდვილათ გიყვარს შენი სამშობლო ლიტერატურა, თუ შენ ხარ შთამომავალი იმ ქართველისა, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა თავის ენის დაცვას, შენ გულმოდგინებით და მხურვალეებით უნდა

უყურებდე ყოველ საზოგადო საქმეს და მეტადრე ლიტერატურას, რომელზედაც არის დამყარებული მომავალი ჩვენი ცხოვრება და წარმატება.

.....უნდა გკითხო პატივცემულო მკითხველო: რა ღონის ძიებით უნდა გამოდიოდეს ყოველი გაზეთი, ანუ უურნალი?-ხელის-მომწერლების ფულითო, მეუბნები შენ. ახლა, როდესაც ხელს აწერ და მოვდის გაზეთი ანუ უურნალი, ფასი უნდა მისცე, თუ არა?-თუ მომდის და გკითხულობ, მეუბნები შენ, უნდა მივსცე, რადგანაც ყოველი შრომა კაცისა უნდა დასაჩუქრდეს. -ჰო, აბა კიდევ ეგ არის საჭირო და აღარც გადათქვა, თუ ღმერთი გნამს.....ახლა ვნახოთ როგორ ასაჩუქრებ შენ “დროებას“1867 ჩვეულებისამებრ ხელის-მომწერთა რიცხვმა იკლოა ასე რომ ოთხასის მაგიერ მივიღოთ 350, აქედან გამოვრიცხოთ მეოთხედი: შესდგება 87 ხელის-მომწერი, რომელთაც აღარც კი აღსოვთ, ჰკითხულობდნენ თუ არა ამ წელიწადში „დროებას“; ამ წელსაც დააკლდა „დროებას“ შემოსავალი 609 მან.1868-ში ჰყავდა 330 ხელის-მომწერი. 330 ხელის მომწერლებთაგანში არ მიუციათ დანიშნული ფასი....76 პირს, მაშასადამე “დროებას“ 2,310 მანეთის მაგივრად მიუღია მხოლოდ 1,708 მან.1869 წელსაც ვსთქვათ დააკლდა 75, რადგანაც ეს 300-ის მეოთხედია, რომელიც მე მივიღე ხელის-მომწერლების რიცხვათ ამ წელს. ...“

დანართი 3.1

„მწერალი არის მამა ხალხისა“. მკითხველებო, გაიგონეთ ამ კანონის გარკვევა. მწერალი არის მამა ხალხისა, ესე იგი ხალხი მისი შვილები, გესმისთ კარგად?.. შვილებს უნდა მამისგან მუდამ ზნეობითი დარიგება. ყოველს, ჩვილს წლოვანებითს ყმანვილის გულში თითოეული მამის სიტყვა არის განუსაზღვრელი ჭეშმარიტება. აქედან: მოლაყბე არის მწერალი, ჩვენ მისი შვილები, მამ ყოველი ნამცნევი, რაც რომ მის პირისაგან არ წარმოითქოს, უნდა გვეგონოს განუსაზღვრელ ჭეშმარიტებად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გველის მომავალს დროში ცხოვრების კეთილ-წარმატება....მწერალი, ჩემის ფიქრით, ყველაზედ პირველად იმ ქვეყნის შვილია, სადაც რომ შრომობს; არის დაბადებული იმ საზოგადოებაში, აღზრდილი იმ

საზოგადოებაში, და მიმღები ყოველივე ზნეობითის ჩვეულებების, რომლებიც სუფევენ იმ საზოგადოებაში; მაშ მწერალი უფრო უნდა იყოს საზოგადოების შვილი, ვინემ მამა; მაგრამ სწორედ რომ გავსაჯოთ, არც ეს არის: მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების მწევრთავანი, ერთი იმ პირთავანი, რომლების კრებას შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანავრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვანლი საზოგადოების წინ?-აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულეგანებაების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალობები, რომლებიც მისის ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულეგანებაების მოსასპობელად. შეიძლება მისი აზრები არ ვარგოდეს, მაშინ ის ჰპოებს იმდენ ძალას, რომ თავისი აზრი გამოთქვას. შეიქნება ბაასი და აი ამ ბაასში და სხვა და სხვა აზრებში ეუნყება საზოგადოებას ჭეშმარიტება, რომელიც განსაზღვრავს მის გონებითს გახსნას და ცხოვრების კეთილ-წარმატებასაცა....“ [გ. წერეთელი 1863:55-56].

დანართი 3.2

„...დიახ, მკითხველო, „დროება“ ისევ ცოცხალია, რაც დღე გამოდის, ის უფრო და უფრო ფეხზედ მაგრათ დვას. ბევრს ჩვენ მოძმეებს არა სჯეროდათ „დროების“ დღეგრძელობა. ისინი ამბობდნენ, -რაც უნდა კარვის მოდგმისა იყოს, დღენაკრულათ დაბადებული, დიდხანს მაინც ვერ იხეირებსო. გამოზაფხულის და გაზაფხულის სითბოებში კიდევ როგორც იქნება გააჯანჯალებსო თავის სიცოცხლეს, მაგრამ დადგება თუ არა შემოდგომა და როგორც რომ ზამთრის სიცვიე კანჭებში მოუჭერსო, მაშინ იმისი საქმე წასულიაო. “დროება“ თან-და-თან იმჭლეებს, იმჭლეებს, მისუსტდება, ფერი გამოეცვლებო და ახალ-წლის წინაღამეს ფეხებს გასჭიმავსო.მაგრამ ღვთის მადლით, საზოგადოების თანავრძნობა იმას თავიდგანვე წინ მიუძღოდა. ამისთვისაც “დროებამ“ ერთი წელიწადი, როგორც ერთი წამი, ისე გაირბინა და მეორე წელიწადში ვადამდგარმა თავი დავიკრათ.

როდესაც „დროება“ გამოჩნდა, ვინ იცის ამდენი ჭორები არ მოუგონეს?..ჯერ ასე იძახდნენ,-ევ სულ თილისმობა არისო. „დროების“ რედაქცია მოთილისმეებით სავსეაო და „დროებაც“ თილისმის მახეაო.

.....ამნაირი სჯა „დროების“ გამომცემლებისთვის ძალიან გულსატკეპნი იყო; მაგრამ ამისთანა მრუდე აზრის გამოსწორებას მოთმინების მეტი არა გაეცნობოდარა. „დროებას“ ზრახავდნენ, რომ ახალი ასოებით რათ იბეჭდებო. ჩვენებურს სტამბაში რომ ასო მთავრული არა ყოფილა, „დროებამ“ საიდმ შამოგვაჩეჩაო. საზოგადოება სწყრებოდა ასომთავრულის შამოღებაზე.-ეს რა ასოებია ი ნ ი ი ნ ს არა ჰგავსო და ე ნ ი ე ნ ს . ამ გვარათ წერა, თქვენი ჭირიმეთ, ვის გაუგონია: ე ნ ს ა და ვ ი ნ ს რომ მალლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი ანეულია, ზოგი დანეულია, თითქო ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო.....

„დროება“ ამისთანაებს ყურს არ უგდებდა. იმან კარგათ იცოდა , რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩხირება, არ მოსწონს იმისთვის, რომ თვალი შეუჩვეველი აქვს;.....იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარს სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე ასე, რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავათ რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები.....ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბაც მრავალ გვარდება და მშენიერდება. „დროება“ კარგათ გრძნობდა რომ, როდესაც მკითხველებს ასომთავრულზედ თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსებათ ჩათვლიან იმ ნაკლულევენებას , რომელსაც პირველათ ხედავდნენ.

.... „დროებამ“ დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მაშინვე ჯავრობა დაუნყეს. ეს სადაური ქართულია, რომ ნახევარი სიტყვები მთლათ არ გვესმისო.....ვიციით რომ ქართული სიტყვები სწერია, მაგრამ სიტყვა სიტყვაზედ ისე ეშმაკურათ გადაბმულიაო. რომ....იმის ქართულ სიტყვებში აზრს ვერ გამოიკველევეო. ღიახ, მაგაში ჩვენც თანახმა ვართ. „დროება“ ნამდვილი ქართული ენით ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ანკისად უნდა ესწავლა ქართული ლაპარაკი. ცოტათ მოზრდილან თუ არა „დროების“ თანამშრომელნი, მაშინვე იმისთანა სასწავლებელში მიუციათ, სადაც ქათულ ენაზედ ერთი აზრიც არ მოსმენიათ. ისინი გაზდილან უცხო ენაზე და

ნამდვილს ქართულს სიტყვიერებას თან-და-თან გადაჩვევიან.ამაში ვინ არის დამნაშავე? მიუცილებლათ თვითონ საზოგადოებაა. ის თუ კი არ იზრუნებს თავის ენაზედ შვილის განათლებას, შვილს სად ექნება იმდენ ღონე და მიხვდომა, რომ თვითონ იფიქროს თავის სამშობლო, ენაზედ. ამისგამო „დროების“ თანამშრომლებს ბევრი ჯაფა დასჭირდებოდათ, რომ შრომით ისევ თავისი ბუნებით ენა დაებრუნებინათ. „დროების“ ენა თუ პირველად არ იყო ნამდვილი და შესაფერი, იმედი გვექონდა, დროს-და-დროს განმავლობაში მაინც იკეთებდა.

..... „დროებისთვის“ სანყინარი მოსასმენი ის იყო, როცა შეიტყო, რომ მკითხველს სწყინსო იმისი მკაცრი ლაპარაკი. - „ჯერ რომ არც კი გამოსულა ასპარეზზედ და ასეთ უკმეხ სიტყვებს ისვრისო, მაშინ რაღა ხეირს დაგვაყრის, როცა ის უფრო ღონეს და ძალას მოიცემსო. მკითხველი ამბობდა, ვინ მისცაო იმას იმდენი სიმართლე, რომ ჩვენ შინა-ცხოვრებას შეეხოს და შინაური ჭუჭყი გარეთ გამოიტანოს?...ამას თუ არ მტერი კაცს მეგობარი როგორ უზამსო“.

„დროებას“ განა ის სწყენია, რომ ზრახვდნენ, უფრო ის ეწყენა, რომ მკითხველი ასე მრუდით ისმენდა იმის ლაპარაკს“ [გ. წერეთელი 1867:1-2].

„.....ეს ორი წელია, რაც ვაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძობას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტაოდნათ დრტვინავდა: თუ გამოერეოდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლელებს ეჩოთირებოდათ და თუ ქართლული ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ეჩოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რაოდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადოების დრტვინვას მხოლოდ დრო განაქარვებს. „დროების“ ნაკლულეევანება ეს კი არა, უფრო სხვა იყო. ის ვერ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრავალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებსა; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ აფასებდა იმათს

მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი რა იყო უმთავრესი ნაკლულევეანება „დროებისა“ [გ. წერეთელი 1867:1].

....პირველად რომ „დროება“ გამოვიდა, იმის მოქმედების ასპარეზი არც კი არსად იყო, იმის მკითხველებს ევროპის სახელმწიფოების არსებობა არც კი არსად გაეგონათ.....მომეტეებულმა ნაწილმა „დროების“ მკითხველებისამ არც კი იცოდა, თუ როგორ უნდოდა გაგეთის კითხვა: მონინავე სტატია რომელი იყო ან ფელეტონი რომელი;

....ამისთანა გარემოებაში ჩაყენებულს „დროებას“ დიდი ხანი სჭირდებოდა, რომ ჯერ მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისათვის თავი შეეყვარებინა, კითხვას და ამონაკითხის გავებას მკითხველები მიეჩვივნა.

ამ დროის განმავლობაში „დროების“ მოვალეობა ის იყო მხოლოდ, გონებითი სახლო მიეცა ჩვენი ხალხისა და საზოგადოებისათვის, ბევრი ყოფილიყო, თუნდა ცოტაც, ოღონდ კი საზლო ყოფილ იყო, ხალხს კითხვის მასალა და პოლიტიკური ამბები არ გამოლოლოდა....ამ დროის განმავლობაში „დროებას“ თავისი მუყაითობით და ბეჯითობით საასპარეზო ნიადაგი უნდა შეემუშავებინა. იმას უნდა მოემზადებინა მისი მკითხველი საზოგადოება იმ ზომამდის, რომ თვითონ ამ საზოგადოებას გულის წადილის გავება შესძლებოდა, თვითონ გამხდარიყო იმ საზოგადოების, იმ ხალხის აზრის და მიმართულების ნამდვილი გამომხატველი, რომლის გამოღვიძებისათვის „დროება“ მუშაობდა“ [გ. წერეთელი 1879:2-3].

დანართი 3.3

კ. კველიძის სახელობის საქართველოს ხელნაწეთა ეროვნული ცენტრი. აკაკის ფონდი. №74. აკ. წერეთელი-კრებული (ლექსები, წერილები, ფელეტონები). პირი. 1867-1875 წწ. 270 ფ. აკინძულია რვეულებად.

ხელნაწერისა და ნაბეჭდი ტექსტების შედარება.

ხელნაწერი ტექსტი

ნაბეჭდი ტექსტი

უბედურებად

უბედურებათ

სამთავროებად

სამთავროებათ

ჰპოვებდნენ

ჰპოვობენ

ზნედ

ზნეთ

სადღესასწაულოდ

სადღესასწაულოთ

საზოგადოდ

საზოგადოთ

საჭიროდ

საჭიროთ

მიმნიჭებელი

მომნიჭებელი

იმერლებისათვისაც

იმერლებისთვისაც

რიგიანად

რიგიანათ

ახალ-თაობისადმი

ახალთაობისადმი

იმათთანა

იმასთანა

ჩვეულებრივ

ჩვეულებრივს

მეგრულად

მეგრულათ

ქართულად

ქართულათ

| | |
|----------------|----------------|
| მქონენი | მექონი |
| სიტყვა-სიტყვად | სიტყვა სიტყვად |
| უამისოდაც | უმისოთაც |
| გაგრძელდა | გაგძელდა |
| სადილის | სადილს |
| მარტოდ-მარტო | მარტოთ მარტო |
| იშვიათად | იშვიათათ |
| შუა-ხნის | შუა ხნის |
| ლექსითგან | ლექსიდან |
| იქმნება | იქნება |

„შავ-უკუღმართი დროებისაგან დათესილი ძველითგანვე უთანხმოება უბედურებად მოიძვო საქართველოში, როდესაც ის, საქართველო, განაწილდა რამოდენიმე სამეფოდ და სამთავროებად. გაუშლელი, ციხურებ შემოზღუდულის ადგილების მდებარეობაც უმარჯვებდა ამ ნავლეჯ-ნავლეჯის სამთავროების განკერძოებას. მასთანაც ყოველსავე, რაც კი ეჭირვებოდათ იქ მცხოვრებლებს, თავის სამთავროშივე ჰპოვებდნენ, სჯერდებოდნენ და ამის გამო საჭიროდ აღარ რაცხდნენ, რომ რამე მოთხოვნილებისათვის, გარდა ჩხუბისა და მტაცებლობისა, მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ მეზობლებთან. -ეს ხანგრძლივი მეზობლებში ჩხიკინი ბოლოს ზნედ გადაეცათ ერთ-მინის შვილებს, ძმური კავშირი გასწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა [დროში]. (წაშლილია სავარაუდოდ სამი სიტყვა)

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში ამ სენისავან გაიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით. ერთი უკანასკნელთავანი იყო სამეგრელოს სამთავრო და ისიც ამ მოკლეს ხანში შემოუერთდა ქუთაისის ლუბერნიას. - ეს შეერთება სადღესასწაულოდ დაურჩათ, როგორც იმერლებს, ისე მეგრელებსაც, და ამ მიზეზისა გამო 23-ს სექტემბერს ქუთაისის ლუბერნიის წინამძღომელმა აზნაურობას გაუკეთა სადილი, სადაც მიწვეული იყვნენ დეპუტატები სამეგრელოს მხრით და მასთანაც მრავალი თავად-აზნაურები, როგორც იმერეთის, ისე სამეგრელოსაც. მასპინძლობა, როგორც პურ-მარილობით, ისე გულითაც განთქმულია საზოგადოდ ქართველი კაცისა, და ამისათვის საჭიროდ აღარ ვრაცხ საკუთრად ლხინის, ქეიფის და მასპინძლობის აწერას; მე მსურს წარმოვსთქვა რამოდენიმე სიტყვა მხოლოდ იმ სადილის ხასიათზედ: ეს დარბაისლური ლხინი იყო ერთი იშვიათთავანი ჩვენში, სადაც ჩვეულებრივი მარტო ყანწები არ სტრიალებდენ დაძალებით: “დალიე, თორემ კისერში ჩავასხამ!” მაგრამ იქ სტრიალებდა საზოგადოდ პატიოსანი აზრი შემცველი მამულისადმი სიყვარულისა და მისის კეთილ-წარმოების მდომი. -ეს აზრი იყო თანავრძნობა ახალ-შთამომავლობისადმი და რჩევა, თუ როგორ უნდა ეცადონ და რა რიგი საშუალება უნდა მოიპოვონ, რომ გზა მისცენ ახალ-თავობას და მით შემოიტანონ საქართველოში განათლება, ძველის სენის გამკურნებელი და ნაცვლად კეთილის ცხოვრების მიმნიჭებელი. პოპეჩიტლის აზრსაც დიდი თანა-ვრძნობა განუცხადა საზოგადოებამ, როდესაც მან ნათლად დაანახვა მათ ქუთაისში მეორე გიმნაზიის გახსნის საჭიროება, რადგანაც მსურველები მრავალი არიან და ადგილი კი ნაკლებ; ასე რომ ერთი გიმნაზია მარტო იმერლებისათვისაც არ არის საკმაო და ახლა, როდესაც სამეგრელოც შემოგვიერთეს, ერთი-ორად საჭირო შეიქმნა. -შემდეგ, ჩვეულებრივის ვალისამებრ უმაღლესის სადღევრძელოებისა, მასპინძელმა დალია სადღევრძელო სამეგრელოს და იმერეთის შეერთებისა; მეგრელების მხრითაც შეხვდა სამადლობელი სიტყვა ერთს მათგანს, რომელმაც რიგიანად გადმოსცა მეგრელების სიხარულიც ამ შემთხვევაში. მეორე სადღევრძელო იყო ახალ-თაობისა და ახალ-გამდობისა; ეს სადღევრძელოც დიდის სიხარულით და თანავრძნობით მიიღო საზოგადოებამ; არ დარჩენილა არც დიდი, არც პატარა, არც ჭაბუკი და არც მოხუცი, რომ

ახალ-თაობისადმი თანა-გრძობა და სიყვარული არ გამოეცხადებინოს (საზოგადოებას იმათთანა იყო); და იმ დროს სახის გამომეტყველებაც კშორავდა ჩვენში ჩვეულებრივ პირ-მომთენობას. -მეგრელ-ჭაბუკების სიხარულს ბოლო აღარა ჰქონდა; სამადლობელი სიტყვა ერგო ერთს მათგანს, რომელმაც მეგრულად წარმოსთქვა მადლობა, და ქართულად მეორემ ვადმოილო. ის სიტყვები თვისის სიმართლით და გრძობით ოქროს ვარაყით დაწერის ღირსი იყვნენ, მით უფრო, რომ ის წარმოითქვა იმისთანა პირებისაგან, რომელიც თავის დღეშიაც არ გაცილებიან სამეგრელოს, თორემ, ჩვენ რომ ერთმანერთს გამოუცხადოთ თანაგრძობა, ის ისე არ დაფასდება, რადგანაც ჩვენ საზოგადოდ ერთი აზრის მქონენი ვართ და ერთს და იმავე უღელს ვენევით. –

იმ სადილზე წარმოთქმული სიტყვები ღირსი იყვნენ, რომ აქ სიტყვა-სიტყვად მომეყვანა, მაგრამ ვაზეთის სივრცე არ მაძლევს ნებას; უამისოდაც ისე ვაგრძელდა ეს ჩვენი სტატია, როგორც რამდენიმე გვამების შური ახალ-თაობისადმი!....

სადილის შემდეგ მე დავესწარ რომელიმე მეგრელი მოხუცებულების ბაასს; მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც ქართული ენის ზედ-მინევით ცოდნამა გამაკვირეს; ისინი ისე შერჩენილან ძველთაგან ჩვენს საზოგადოებას, როგორც საიასალო ნაყოფი უცხო ხეხილსა ზამთრის პირზედ, რომელიც მარტოდ-მარტო კონიალობს დაობლებული ძველს კირწზედ და, ჰა, თუ აგერ მოსწყდეს და ჩამოვარდეს და, ჰა, თუ აგერო.....

მათთანა ვვამებს დღეს ჩვენ იშვიათად ვხედავთ ჩვენს შუა-ხნის გვამებში! იმათმა ნახვამ მომაკონა ერთი ადგილი ლექსითგან, რომელიც ადრევე გვითქვამს:

წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მალონებს,

მომავლისაგან კი ბევრს მოველო,

თუმცა ბევრია ჩვენში გვამები,

ყოვლის კეთილის ხელის შემშლელი.

როდის იქმნება ის დრო, რომ ჩვენში

ზიზღით თითებით მათ გვიჩვენებდნენ

და საზოგადოდ არ თუ ღირსებას,

იმათ სახელსაც კი აჩვენებდნენ??

დაუფარავად, პირ-უთნეველად,

მრისხანედ სჯიდნენ სულ იმათ ავზედ,

და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ

ზედ აფურთხებდნენ იმათ საფლაავზედ!..

ეჰ, თუ ჩვენ ველარ მოვესწრებით იმ ნეტარ დროს განათლებისას, ჩვენი შვილები ხომ მაინც მოვესწრებიან?!...იმედიც კარგია!!...ჩვენ გვრწამს საქართველოს ხალხის მომავალი მაღლად გახსნილი ცხოვრება და იმედიც გვაქვს, რომ ამ ბედს მოასწრაფებენ მეგრელები, როგორც უმეტესი ნიჭიერი და მეცადინე ხალხი!...

მართალია, მათ დაჰკარგეს ოქროს მატყლოვანი ვერძი, მაგრამ დავიჯეროთ, რომ ნაცვლად ველარ იხელთონ ოქროს დრო?....

1867 წლის გაზეთ “დროებაში“ №43-ში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის “დროების კორრესპონდენცია ქუთაისიდან. სადილი გუბერნიის წინამძღომლისას“ (გვ. 1).

„შავ-უკუღმართი დროებისაგან დათესილი ძველითგანვე უთანხმოება უბედურებათ მოიმკო საქართველოში, როდესაც ის, საქართველო, განაწილდა რამოდენიმე სამეფოდ და სამთავროებათ. გაუშლელი, ციხურებ შემოზღუდულის ადგილების მდებარეობაც უმარჯვებდა ამ ნავლეჯ-ნავლეჯის სამთავროების განკერძოებას. მასთანაც ყოველსავე, რაც კი ეჭირვებოდათ იქ მცხოვრებლებს, თავის სამთავროშივე ჰპოვობენ, სჯერდებოდნენ და

ამის გამო საჭიროდ აღარ რაცხდნენ, რომ რამე მოთხოვნილებებისათვის, ვარდა ჩხუბისა და მტაცებლობისა, მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ მეზობლებთან. -ეს ხანგრძლივი მეზობლებში ჩხიკინი ბოლოს ზნეთ გადაეცათ ერთ-მინის შვილებს, ძმური კავშირი გასწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა. ალა მაჰმადხანის დროებას.

მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ამ სენისავან გაიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით. ერთი უკანასკნელთავანი იყო სამეგრელოს სამთავრო და ისიც ამ მოკლეს ხანში შემოუერთდა ქუთაისის ლუბერნიას. - ეს შეერთება სადღესასწაულოთ დაურჩათ, როგორც იმერლებს, ისე მეგრელებსაც და ამ მიზეზისა გამო 23-ს სექტემბერს ქუთაისის ლუბერნიის წინამძღომელმა აზნაურობას გაუკეთა სადილი, სადაც მიწვეული იყვნენ დეპუტატები სამეგრელოს მხრით და მასთანაც მრავალი თავად-აზნაურები, როგორც იმერეთის, ისე სამეგრელოსაც. მასპინძლობა, როგორც პურ-მარილობით, ისე გულითაც განთქმულია საზოგადოთ ქართველი კაცისა, და ამისათვის საჭიროთ აღარ ვრაცხ საკუთრად ლხინის, ქეიფის და მასპინძლობის აწერას; მე მსურს წარმოვსთქვა რამოდენიმე სიტყვა მხოლოდ იმ სადილის ხასიათზედ: ეს დარბაისლური ლხინი იყო ერთი იშვიათთავანი ჩვენში, სადაც ჩვეულებრივი მარტო ყანნები არ სტრიალებდენ დაძალებით: “დალიე, თორემ კისერში ჩავასხამ!” მაგრამ იქ სტრიალებდა საზოგადოთ პატიოსანი აზრი შემცველი მამულისადმი სიყვარულისა და მისის კეთილ-წარმოების მდომი. -ეს აზრი იყო თანავრძნობა ახალ-შთამომავლობისადმი და რჩევა, თუ როგორ უნდა ეცადონ და რა რიგი საშუალება უნდა მოიპოვონ, რომ ვზა მისცენ ახალ-თავობას და მით შემოიტანონ საქართველოში განათლება, ძველის სენის გამკურნებელი და ნაცვლად კეთილის ცხოვრების მომნიჭებელი. პოპეჩიტლის აზრსაც დიდი თანა-ვრძნობა განუცხადა საზოგადოებამ, როდესაც მან ნათლად დაანახვა მათ ქუთაისში მეორე გიმნაზიის გახსნის საჭიროება, რადგანაც მსურველები მრავალი არიან და ადვილი კი ნაკლებ; ასე რომ ერთი გიმნაზია მარტო იმერლებისთვისაც არ არის საკმაო და ახლა, როდესაც სამეგრელოც შემოგვიერთეს, ერთი-ორად საჭირო შეიქმნა. -შემდეგ, ჩვეულებრივის ვალისამებრ უმაღლესის სადღევრძელოებისა, მასპინძელმა

დალია სადღეგრძელო სამეგრელოს და იმერეთის შეერთებისა; მეგრელების მხრითაც შეხვდა სამადლობელი სიტყვა ერთს მათგანს, რომელმაც რიგიანათ გადმოსცა მეგრელების სიხარულიც ამ შემთხვევაში. მეორე სადღეგრძელო იყო ახალ-თაობისა და ახალ-გაზდობისა; ეს სადღეგრძელოც დიდის სიხარულით და თანაგრძნობით მიიღო საზოგადოებამ; არ დარჩენილა არც დიდი, არც პატარა, არც ჭაბუკი და არც მოხუცი, რომ ახალთაობისადმი თანა-გრძნობა და სიყვარული არ გამოეცხადებინოს (საზოგადოებაც იმასთანა იყო); და იმ დროს სახის გამომეტყველებაც ჰქონდა ჩვენში ჩვეულებრივს პირ-მომთენობას. -მეგრელ-ჭაბუკების სიხარულს ბოლო აღარა ჰქონდა; სამადლობელი სიტყვა ერგო ერთს მათგანს, რომელმაც მეგრულათ წარმოსთქვა მადლობა, და ქართულათ მეორემ გადმოიღო. ის სიტყვები თვისის სიმართლით და გრძნობით ოქროს ვარაყით დაწერის ღირსი იყვნენ, მით უფრო, რომ ის წარმოითქვა იმისთანა პირებისაგან, რომელიც თავის დღეშიაც არ ვაცილებიან სამეგრელოს, თორემ, ჩვენ რომ ერთმანერთს გამოუცხადოთ თანაგრძნობა, ის ისე არ დაფასდება, რადგანაც ჩვენ საზოგადოთ ერთი აზრის მექონი ვართ და ერთს და იმავე უღელს ვეწევი. –

იმ სადილზედ წარმოთქმული სიტყვები ღირსი იყვნენ, რომ აქ სიტყვა სიტყვად მომეყვანა, მაგრამ გაზეთის სივრცე არ მაძლევს ნებას; უმისოთაც ისე გავძელდა ეს ჩვენი სტატია, როგორც რამდენიმე გვამების შური ახალ თაობისადმი!....

სადილს შემდეგ მე დავესწარ რომელიმე მეგრელი მოხუცებულების ბაასს; მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც ქართული ენის ზედ-მინევნით ცოდნამა გამაკვირეს; ისინი ისე შერჩენილან ძველთაგან ჩვენს საზოგადოებას, როგორც საიასალო ნაყოფი უცხო ხეხილსა ზამთრის პირზედ, რომელიც მარტოთ მარტო კონიალობს დაობლებული ძველს კირნზედ, და, ჰა თუ ავერ მოსწყდეს და ჩამოვარდეს და ჰა თუ ავერო.....

მათთანა გვამებს დღეს ჩვენ იშვიათათ ვხედავთ ჩვენს შუა ხნის გვამებში! იმათმა ნახვამ მომაკონა ერთი ადგილი ლექსიდან, რომელიც ადრევე გვითქვამს:

წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მალონებს,

მომავლისაგან კი ბევრს მოველი,

თუმცა ბევრია ჩვენში გვამები,

ყოვლის კეთილის ხელის შემშლელი.

როდის იქნება ის დრო, რომ ჩვენში

ზიზღით თითებით მათ გვიჩვენებდნენ

და საზოგადოთ არ თუ ღირსებას,

იმათ სახელსაც კი აჩვენებდნენ?!

დაუფარავად, პირ-უთნეველად,

მრისხანედ სჯიდნენ სულ იმათ ავზედ,

და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ

ზედ აფურთხებდნენ იმათ საფლაავზედ!..

ეჰ, თუ ჩვენ ვეღარ მოვესწრებით იმ ნეტარ დროს განათლებისას, ჩვენი შვილები ხომ მაინც მოესწრებიან?!...იმედიც კარგია!!...ჩვენ გვრწამს საქართველოს ხალხის მომავალი მალლად გახსნილი ცხოვრება და იმედიც გვაქვს, რომ ამ ბედს მოასწრაფებენ მეგრელები, როგორც უმეტესი ნიჭიერი და მეცადინე ხალხი!...

მართალია, მათ დაჰკარგეს ოქროს მატყლოვანი ვერძი, მაგრამ დავიჯეროთ, რომ ნაცვლად ვეღარ იხელთონ ოქროს დრო?....

დანართი 3.4

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. გიორგი წერეთლის საარქივო ფონდი. №150.

| | | |
|----------------------------|-----------------------|------------------------------|
| “ღროებაში“ დაბეჭდილი | “კრებულში“ დაბეჭდილი | ავტორის მიერ ნასწორები პირი. |
| ჯანყი | ჯანხი | ჯანლი |
| ამობრწყინება | ალმობრწყინება | |
| შუშუნი | შხუილი | |
| სიმსხო | სისხო | |
| გაბმულიყვენ | გაბმულიყვენ | |
| შემოხვეოდნენ | შემოხვეოდენ | |
| გვიჩრდილებდნენ | გვიჩრდილებდენ | |
| სისოვლე | სისველე | |
| ამისთანა | იმისთანა | |
| სოფელი მათხოჯი= მათხოუი | მათხოჯი | ცხენიპარა |
| გიგოლიკმა | კიკოლიკმა | |
| კისრამდის | კისრამდინ | |
| არშიაზედ | არშიაზე | |
| ამისგამო ცხენის-წყალი | იმისგამო ცხენის წყალი | ამისგამო იგი |

| | | |
|-----------------------------|------------------------------|-----------------------------|
| შეგუბებულიყო | შეგუბებულიყო | შეგუბებულიყო |
| იყვნენ | იყვენ | |
| არე-მარესაც | არე მარესაც | არე მარესაც |
| ერთზედ | ერთზე | |
| გამოსჭვერდნენ | გამოსჭვერდენ | |
| ყაფაზს ქვეშ | ყაფაზას ქვეშ | |
| ზოგში კი თეთრი | ზოგში თეთრი | |
| გორავდა | ჭგორავდა | |
| აგი კარგი | იგი კაი | ეს კაი |
| მიქელ თავარ- ანგელოსიმაო | მიქელ მთავარ- ანგელოსიმაო | მიქელ მთავარ- ანგელოზმაო |
| აზნაუშვილი | აზნაუშვილი | |
| აზნაუშვილობა | აზნაუშვილობა | |
| აზნაურობა | აზნაურობა | |
| აზნაურობა, გროშათაც | აზნაურობა, გროშათაც არ | აზნაურობა, გროშათაც |
| ალარ ივარგებს | ივარგება | ალარ ეღირება |
| აზნაურეთის | აზნაუროეთის | |
| თავის მოყვარე | თავის მოყვარე | თავმოყვარე |
| საცა | სადაც | |

| | | |
|---------------------------|---------------------------|--------------------------------|
| მივილოდით | მივილოდა | |
| იქცევოდა | იქცეოდა | |
| მოქმედებდნენო | მოქმედებდენო | |
| იმის ლაპარაკისთვის რომ | იმის ლაპარაკს რომ | |
| ყური დაგვეგლო, იტყოდი | გაჰყოლოდი, იფიქრებდი | |
| სერთუკიანი | სერთუკიანი (მგზავრად) | |
| ჩასწერეთო | ჩანწერეთო | |
| გიგოლიკი | კიკოლიკი | |
| იმის და საუბედუროთ | საუბედუროთ | |
| დაესწრებოდნენ | დაესწრებოდენ | |
| როგორც კუდაბზიკამ | მაგრამ, კუდაბზიკას | |
| მიამბო, თურმე | სიტყვით | |
| ძირიდან | ძირითგან | |
| ჩოხის ნათლეთები | ჩოხის ნათლეთები ერთი | ჩოხის ნათლეთები ერთი |
| ერთმანეთზედ თეთრი | ერთმანეთზე თეთრი | ერთმანეთზე თეთრი |
| ტილოს ძაფით იყვნენ | ტილოს ძაფით ჰქონდა | ტილოს ძაფით -(სელის |
| გადაბმულნი; პირველ | აკინძული; პირველ | ძაფით) ჰქონდა აკინძული; |
| შეხედვაზე იტყოდი, ალბათ | შეხედვაზე იტყოდი, ალბათ | პირველ შეხედვაზე |
| ჩვენს წინაპრებს, ადამს და | ჩვენს წინაპრებს, ადამს და | იტყოდი, ალბათ ჩვენს |
| ევას როგორც ხონელსა, | ევას ამ. ხონელსავით | წინაპრებს, ადამს და ევას |
| იმისთანას ფოთლებ- | ფოთლებ აკონვილი | ამ. ხონელსავით |

გადაბმული სამოსელი
უნდა ცმოდათო.

სამოსელი უნდა ცმოდათო.

(ლახათუბნელსავით)
ფოთლებ აკონჭილი
სამოსელი უნდა ცმოდათო.

იმერეთში პურის ნამჭისაგან
აკეთებენ შლაპებს და ის
ზაფხულში თავზედ
ჰხურავთ ხოლმე

იმერეთში პურის
წველისაგან აკეთებენ
შლაპებს

იმერეთში პურის ღერისგან
აკეთებენ შლაპებს

შავად

შავათ

მგლოვარების

მგლოვიარების

რალაცას

რალასაც

გარეგანის

გარეგანის

უსამართლოებისთვის

უსამართლოებისთვის

ხონელს

ხონელს

უსამართლოებითვე გაუცია

უსამართლოებითვე გაუცია

პასუხი. ცხოვრებაში იმას

პასუხი-მითი, რომ ის

ბევრი უსამართლობა და

თვითონვე შექმნილა

დამცრობა გამოუცდია;

უსამართლო და გაიძვერა.

ამისგამო ის თვითონვე

შექმნილა უსამართლო და

გაიძვერა.

მაინც

მაიც

| | | |
|------------------------------|--------------------|----------|
| ქერა და თვალები | ქერა და თავგსავით | |
| გადმოვარდნაზედ ჰქონდა | თვალებ გამოკუსული. | |
| შეუჭამიაო | ჩაუყლაპავსო | |
| თავზედ | თავზე | |
| პირზედ წვერ-ულვაშს | პირზედ წვერ-ულვაში | |
| ამოეჭრა | ამოდიოდა | |
| გვაქირავებ | გვაქირავეფ | |
| ისტე ბევრი | ისრე ბევრი | იმდენი |
| ეყოფა | ეყობა | ეყოფა |
| გემეცალე | გამეცალე | |
| წაიყვანა | წაივანა | |
| მოემატებინა | მოემიტებინა | |
| მეტათ | მეტად | |
| ჩალანდრების (ჩარვადრების) | ჩალანდრების | |
| გალლეტილი (ემმაკი) | გალლეტილი | |
| ერთ ჯენ | ერთჯენ | |
| ყაძახს | ყაძახ | ყაძახ(ს) |
| გოვუცვლი (გავუყადრებ) | გავუცვლი | |

| | | |
|---|-------------------------|--|
| ქუთეის | ქუთაის | |
| ძალიან | ძილიან | ძალიან |
| ცხენი მაინც მოგვეგვარა დასატვირთავად | ცხენი მაინც მოიყვანა | |
| ჰქონდათ | ჰქონდნ | |
| მოურიგდებოდი | გოურიგდებოდი | |
| ჭინჭყლიანობა | ჭინყელიანობა | ჭინჭყლიანობა |
| უჯავრდებოდა | ჯუვრდებოდა | უჯავრდებოდა |
| მანათზე | მანეთზე | |
| განითლებული | განითლემული | განითლებული |
| სნუხდა | წუხდა | |
| ემუქრებოდნენ | ემუქრებოდა | |
| წყალში ნათრევს | წყალში ნათრევს | წყალში ნათრევს |
| კატებსავით როგორ | კნუტებსავით როგორ | კნუტებსავით როგორ |
| ამონკუმპლულ ხართო! | ამონკუმპლულ ხართო! | ამონკუმპლულ ხართო! |
| სალამოს ღვედს მივედით | სალამოს სოფელს ღვედს | სერზე სოფელი გამოჩნდა. |
| და იქაურ ხელოსნისას ბინა დავეცით | ხელოსნისას დავეცით ბინა | სალამოს იმ სოფლის ღვედს ხელოსნისას დავეცით ბინა. |
| მინაზედ ზღართანი გაადინა | მინაზედ ტყეპა გაადინა | მინაზე ტყეპა გაადინა. |

| | | |
|--|--|----------------------|
| ასეთნაირად მოიკრუნჩხა | ასეთნაირად მოიხრუკა | ასეთნაირად განვრილდა |
| მჩატე (ცოტა) | მჩატე | |
| ყველას სულ ერთი და იგივე სენი აწუხებს. | იმერეთში, კაცსა და ცხოველს სულ ერთი და იგივე სენი აწუხებს. | |

ტექსტი (ფრჩხილებში ჩასმულია გადასწორებული სიტყვა, წინადადება).

III.

ბომბუას ხილი

„186...10~~ივნისს~~, დილა გრილი დაგვიდგა. ცას ნისლი (ჭანხი) გადაეთარა, ამის-გამო იურაუი და მზის აღმობრწყინება აღარ გვინახავს, გზა მიგვიძლოდა ~~ცხენის-წყლის~~ თართო ჭალებზედ. არც-ცხენის-წყალი იყო ჩვენზედ ერთობ შორს. იმისი (მდინარის) შხეილი ხან-და-ხან ბუნდათ მოგვესმოდა. ჩვენ-რამ მინდორზე (ს) მივდიოდით, იმას-უნვიმოებით მოყვითლო ფერი დასცემდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ამ-მინდორს-ბოლ-ბოლებათ ვადუყვებოდა. ჩვენ ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბანრებად გაბმულიყვენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დროს მგემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებილა დარჩა, რადგანაც ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვიჩრდილებდენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანეთ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ ვავიტკება; გუ(ო)ნებაში ვავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს (მეთქი). ხანდაზმით დედა-კაცის ძახილი გვესმოდა;

მიუცილებლათ სადმე ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც სახლი და ვერც კომლი ვერ დავინახე; ან კი რას დაინახავ იმისთანა სქელს დობილოში. კუდაბზიკა ცოტათ ნინ მიდიოდა. ჯორს ქუსლი ვკარი, დავეწიე და დიდი კრძალვით ვკითხე: “აქ რა სოფელია” მეთქი. თუ საკითხავი რამე მექნებოდა, მორიდებით უნდა მეკითხნა, თორემ ხმასაც არ გამცემდა. ჩემ კითხვაზედ იმან შულლი მიჩვენა, თვალები ჩემსკენ გამოაპარა, უნდოდა შეეტყო, დაცინვით ხომ არ მკითხავსო და, რაკი დარწმუნდა ჩემ გულკეთილობაზედ, მიპასუხა: “~~აქანეი სოფელი მათხოჯია~~” (“ცხენიპარის ედახიანო”). ამ დროს თავს წავატყდით ერთს ტყიან მთის ცხვირსა, რომლისთვისაც გარს უნდა შემოგვევლო. კიკოლიკმა ცხენი შეაჩერა და დაუძახა თავის მოსამსახურეს, რომელიც უკან მოგვდევდა: -დათუნა (ასე ერქვა კიკოლიკის მოსამსახურეს) ~~მათხოჯს~~ (ცხენიპარას) წადი და ხელოსანს (მამასახლისს) შეატყობინე, რომ ახლათ-ახლავე ორი ცხენი გვიშოვნოს. დათუნამ ძალიან ზანტათ გააბრუნა კისრამდინ დატვირთული ~~ათხოჯი~~ ცხენი. ამ ტვირთში ისე ღრმათ იყო ჩაფლული თვითონ დათუნა, რომ თავისა და მხრების მეტი არა მოუჩანდა რა. მთის ცხვირს იქით ფართო მინდორი ვინრო არშიათ გადაგვექცა. ამ მწვანე არშიას ცალ მხრით მდაბალი ტყიანი ქედი საზღვრავდა, მეორე მხრით ჩქარი ~~ცხენის-წყალო~~ (მდინარე). მწვანე არშიაზე ბევრი არ გვივლია: ჩვენს წინ გამოჩნდა ერთი პატარა კლდის ნახეთქი, რომელზედაც ~~მათხოჯს~~ ხიდს ჰქონდა (ცალი თავი) დაბჯენილი (და) ~~წყალო-ათხოჯი~~ და გაღმითაც ~~ხიდს~~ იმ გვარივე კლდე ჰქონდა ბურჯათ. ამ ორ კლდის ნახეთქს ~~ცხენის-წყალოს~~ (მდინარის) კალაპოტი (~~საწყალო~~) ძალიან შევიწროებინა. ~~ცხენის-წყალო~~ (იგი) შეგუბებულიყო და იმ ორ კლდეს გიჟურად სცემდა. ~~ა(ა)მისგამო~~ კლდის ნახეთქები და ხიდიც ძალიან ძვერდა. ხიდს ქვეშ მდინარეს ქათვი მოელო და შხეფს ერთ ადღზედ ისროდა. ხიდზედ გავედით. გაღმით მქისი და ქვიანი ადვილი დავგვიხვდა. ეს ალაგი იყო დაბლობი და მეტად ვინრო. აქა-იქ გვირილა და ეკლარა (ი) გაბნეულ იყვენ, სხვა ბალახი არა მოიძეოდა რა. ამ ვინრო დაბლობზედ ხიდს ახლო იდგა ერთი გახრეკილი ღუქანი და იმის პირდაპირ მეორე. ~~ამ~~ ღუქანს იქით აიმართებოდა გარუჯული კლდიანი მთა, რომელსაც ასკილ-ვაბანდული ჯაგები ჰმოსავდა. ამ გარუჯულს მთის ფერდზედ დასავლეთის მხრით ახალ-აღებული ყანა იყო, იმისი ღობე ნახირს შეეღენა

და შივ ბალახსა სძოვდა. ჩემი ჯორიც იქვე ვავეუბვი. ~~იმ არე-მარესაც ბომბუას ხილი ერქვა.~~
ხიდთან რომ დუქანი იდგა, ჩვენ იქ ჩამოვხდით. დუქნის ყათაზაზედ იდგა სამი სავსე გობი.
ერთგზე ეყარა ღომი, მეორეზე სიმინდი, მესამეზე ლობიო და თავზედ ხუთი კვერცხი ჰქონდა
ირგვლივ შემონწყობილი. შივით დუქანში რამოდენიმე შუბა ყვითლად და თეთრად
გამოსჭვერდენ: ზოგში ყუთოლო (ყვითლად შეღებილი) ოტკა ესხა, ზოგში თეთრი; ზევით
ბანარზედ ოციოდე სულგუნი ეკიდა: ამას გარდა ყათაზას ქვეშ ორი ტიკი ღვინით სავსე
ჰგორავდა. მთელი დუქნის სიმდიდრე სულ ეს იყო. დუქანში ვაჭრობდა ერთი პირტიტველა
ყმანვილი. ის თავის უუუუნა თვალებს მკვირცხლად აბრიალებდა. ამ პირმოვძო ყმანვილს
ტანზელ წყლის ფერი ჩოხა ეცვა და ფეხზედ ნულა-ქალამანი (ნულას ჩუსტს ეძახიან). იმა(ი)ს
~~ერქვა უფ.~~ (გვარი იყო) ჩიგუნია და, როგორც თვითონ ამბობდა, ოდიშის ~~ქალაქს~~
~~სამეგრელოს ეძახიან~~ პირველი აზნაური (ად) ~~ყოფ~~ (ითვლებოდა). ჩვენ მისვლაზედ ჩიგუნიას
თვალები აუციმციმდა და პირმა გაუღიმა, ალბათ გულში გაივლო: “~~ყოფ~~ (ეს) კაი სტუმრები
მომიყვანა დღეს მიქელ მთავარ-ანგელოზი(ზ)მაო, დღეს კაი დახლი მიქნებაო“. როგორც კი
და ველაპარაკეთ, ~~ყოფ~~ ჩიგუნია იმ წამს აზნაური სიტყვები მოგვაგება: “პატონი, (ბატონო)
ოდიშის როიც იქნება თავად-აზნაუროფის გარჩევა? ნიტე, თქვენი წყალობით, მალე
დღინიშნოს კამინსია...მე პრიველი აზნაუშვილი ვარ; ჩემ თავს პრიველათ ჩავანერიფე.“

- უყურე, ახლა ამ გაქუცულს მეგრელს-წამიჩურჩულა კუდაბზიკამ-პირველი კი არა,
უკანასკნელიც არ არის. დედა...რეტომ ქვეყანა არ დეიქცევა, მაგიც რომ აზნაუშვილობას
ექებდეს!..მაგი ჩიგუნიას ბუშია (ბუშს ნაბიჭვარს ეძახიან); მართლა ჩიგუნია კი არ გვეკონოს,
ბუშია, ბუში!.-სამჯერ კიდევ ჩამძახა ყურში კუდაბზიკამ.

კუდაბზიკა სიცხარით პირზე აენტო. იმას საშინლად სწყინდა, რომ ~~ყოფ~~ ჩიგუნია აზნაურობის
შოვნაზედ იმედი გამოაცხადა. კუდაბზიკას შეშურდა იმისი აზნაურობა, რადგანაც ის
უკანონოთ შობილი იყო. “ღმერთო კი მომკალი-მეუბნებოდა ჩემათ კუდაბზიკა-ბუშმაც რომ
აზნაუშვილობა დეიმტკიცოს, მერე რათ ივარგება აზნაურობა, ~~ბუშმაც რომ აზნაურობა~~

ჩემთვის მთლათ წაპილნდება აზნაურობა, გროშათაც არ იფარგება(ალარ ელირება). აზნაურობის შოვნა რავა იფიქრა მაგ ბუშმა მაგან!...

- პატონი ჩიკოლიკი კი მიცნობს, ვინცხა ვარ. მე გამოუძიებლათაც უნდა ჩამწერონ აზნაურობის ქალაქადში-იდახოდა უფალო ჩიგუნია.
- ჰო, ჰო, დარდი ნუ გაქვს. აზნაურობას მე გამოვნიებ?-უთხრა ჩიკოლიკმა. - შენ, ახლა ცოტა რამე საჭმელი გვიშოვნე.

ჩიკოლიკი ძალიან ააფის-მოყვარე (თავმოყვარე) კაცი იყო და სადაც მივიდოდა, ყველგან ცდილობდა პირველი ადვილი დაეჭირა. (იმის დასამტკიცებლად, რომ პირველი იყო, შუბლზე [კოკარდას] და გულზე სისხლას ჯვარს არ იცილებდა). უცხოთან ისე იქცეოდა და ისე დიდ ვინმეთ აჩვენებდა ააფის თავს, რომ გვეცნებოდა ამისი სიტყვა და ღვთის სიტყვა მთელ დედამიწის ბურვბელ ერთ გვართ უნდა მოქმედებდნენ. იმის ლაპარაკს რომ გაჰყოლოდი, იფიქრებდი მთელი ქვეყანა ამის ფერხთა მტვერი უნდა იყოსო...

უფ: ჩიგუნია კიდევ თავის აზნაურობაზედ ჩამოავდო ლაპარაკი. როგორც ეტყობოდა, ჩიგუნის აზნაურობის შოვნა არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. იმას ძალიან ეფიქრებოდა, საეჭვოთ არ გახლამოდა (გამხდარიყო მისი) აზნაურობის ღირსება; ამისთვის თუ ვინმე სერთუკიანი (მგზავრად) გაივლიდა იმის დუქნის წინ, ყველას უმტკიცებდა თავის ძველ აზნაურობას, ალბათ ფიქრობდა, რომ ეს სერთუკიანი კაცები კამისიის წევრებს ეტყვიან-“ბომბუას“ ხილბელ (“სოფელს ცხენიპარის) რომ მედუქნე ჩიგუნია არის, ის გამოუძიებლათ აზნაურათ ჩანერეთო“. საუბედუროთ ვერც ჩიკოლიკი და ვერც კიკოლიკი კამისიაში ვერ დაესწრებოდნენ. ამის გამო, ეჭვი არ არის, (უნდა ვიფიქროთ, რომ) უფ: ჩიგუნის აზნაურობის შოვნა გაუძნელდებოდა. ის თავის თავს ძველ აზნაურათ სთვლიდა. მაგრამ, კუდაბზიკას სიტყვით უფალი ჩიგუნია უკანონო ძირიდან მომდინარეობდა“.

VII.

„თითქმის სამხრობა მოინია და ჩვენ კიდევ ზომბუას—ხილმოდ—(ცხენიპარის სოფლის დუქანთანვე) ვიყავით დაბარგებული. ხელოსნის უნახობამ ერთობ დაგვალონა. ცხენები არსად გვყავდა და ვერც დავიძროდით. ჩვენი ბარვი ძალიან მძიმე გამოჩნდა. რაც თან მოგვექონდა, ერთი იმდენი და მეტიც ზომბუას ხილთან დაგვახვედრეს სვანებმა, რომელ (ნ) იც ჩიკოლიკის ხლებულნი იყვნენ და ჩვენზედ ერთი დღის წინათ წამოსულიყვნენ. ორი სხვა ცხენი კიდევ დავვჭირდა; მაგრამ სად იყო? გვეშინოდა ამ ადვილზედ არ შემოგვეღამებოდა. ამ დაღონებაში რომ ვართ, ერთი ტალახში ამოთხუპნული იმერელი მოგვეპარა და განზედ დაგვფიქვდა; თავის კურტნიანი ცხენი დუქნის წინ სვეტზე მიაბა. მეორე კურტნიანი ცხენი მეორე დუქანთან გაჩნდა. ეს იმერელი იყო ხონილგან. (გლახათუბნიდან)

ხონილგან—(გლახათუბნელს) ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი შალის ჩოხა. ჩოხის ნაფლეთები ერთი ერთმანეთზე თეთრი ტილას—ძაფაფა—(სელის ძაფით) ჰქონდა აკინძული; პირველ შეხედვაზე იტყოდი, ალბათ ჩვენს წინაპარებს, ადამს და ევას ამ.—ხონილგანსავით (გლახათუბნელსავით) ფოთლებ აკონკილი სამოსელი უნდა ცმოდათო. შორიდგან ხონილგანს (გლახათუბნელის) ჩოხა მართლაც გამხმარი ფოთლებისა გევონებოდა. ტიტველა წვივები ამას მუხლამდის ჰქონდა აკაპინებული (დაკარნახებული) და კანჭები სქელი ტალახის ქერქით შეემოსა (,) თავზედ ჩალის შლაპა (*)²⁸ ეხურა და შლაპის ქვემოღამ (ნ) ხონილგანს ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა. მაშინვე იტყოდი, ეს გაიძვერა ვინმე უნდა იყოსო. იმისს გარუჯულს სახეზედ შავათ წამოზრდილს წვერ-ულვაშს მგლოვიალების ბეჭედი დაესვა. ის მართლაც მძიმეთ გლოვდა რაღასაც და ეს რაღაცა იყო მთელი იმისი მოუსვენარი ცხოვრება. ზედვე ეტყობოდა, რომ ხონილგან—(გლახათუბნელს) წარსული თავისი სიცოცხლე სულ ჭაპან-წყვეტაში ჰქონდა გატარებული. თითქო (ს) შეუბრალებელს გარემოებას ნდომებიაო ამისი დაჩაგვრა და წელში გატეხა, მაგრამ გატეხის მაგივრად იმისი ზნეობითი მხარე წნელსავით მიქნილ-მოქნილიყო. გარეგანის უსამართლოებისათვის ხონილგან—(გლახათუბნელს) უსამართლოებითვე გაუცია პასუხი-მითი, რომ ის თვითონვე შექმნილა უსამართლო და

²⁸ იმერეთში პურის წველისაგან (ღერისგან) აკეთებენ შლაპებს.

გაიძვერა. იმაზედ მუდამ თვალ-ყური უნდა გვჯეროდა. რომ ან არ მოეტყუებინე და ან რამე შენტვის არ წაეგლიჯა...

~~ხონელი~~-(ის) ჩვენ შორი-ახლოს დადგა დუქანთან. მაშინვე შეატყობდი, რომ იმას ჩვენგან რაღაც უნდოდა.

- შენია ეს ცხენები, აქანო (ა) და იმ დუქანთან რომ აბიან? - ჰკითხა ~~ხონელს~~-(მას) კუდაბზიკამ.
- აგი ერთი ჩემია და ის, იქინო-(ა) რომ აბია, ლეჩხუმელისაა,-მიუგო ~~ხონელმა~~ (გლახათუბნელმა).
- შენ სიღოური ხარ?
- მე ~~ხონელი~~ (გლახათუბნელი) ვარ.
- გვაქირავე შენი ცხენი, კაი ფასს მოგცემთ.
- სა მიბძანდებით?
- ჩვენ შორე ვზა ვვაქ, მაგრამ შენი ცხენი მარტვა ~~ჭრამლის~~ (თეთრკოშკამლის) დაგვჭირდება.

~~ჭრა~~ (თეთრკოშკი) არის ~~ცხენისწყლის~~ ერთ ჭალაზედ მდებარე სოფელი, ~~ლეჩხუმში~~-ეს სოფელი (უნინ) დადიანებს თურმე ძალიან ჰყვარებიათ. იქ ~~ახლა~~ (იმდროს) ღვაჭს ვაცივებული ხის სასახლე (იღვა) უნინდელი დადიანებისა.

- უუჰ-დაიყვირა ვაკვირებით ~~ხონელმა~~-(გლახათუბნელმა.)
- იქინო-(ა) მე და ჩემს ცხენს რა წავვიყვანს? მე და ჩემი ცხენის მოკვლა ვდომებიათ და ისაა! იმისთანა პილნი ვგებია, რომ რას მიბძანებთ?... იქინო-(ა) არ მოკვლა ჩემი ცხენი, აქანა ცხენის წყალში ჩავახროფ და ის იქნება!...აჰ, მაგი ჩემი საქმე არაა. მაგას იგი მირჩენია, ~~ხონისკენ~~-(გლახათუბნისკენ) გოუდგები. სინემდის ~~ჭრამში~~-(თეთრკოშკს) ჩვეილოდე, ხუთჯენ მაიც ჩვეიტან ღვინოს ~~ქუთისს~~.....(ქ.....ს.....) ~~ხონელი~~ (გლახათუბნელი) ვაგვშორდა და მეორე დუქანთან მივიდა. ხუთ წამს არ გაუვლია, ის

ისევ მობრუნდა და თან ლეჩხუმელი მოიყვანა. ლეჩხუმელი იყო პატარა, მაგრამ ჩასხმული ბიჭი, ქერა და თავგვსავით თვალებ გამოკუსული. რომ შეგეხედნა, იტყოდი, იმის ნიკაპი პირის სახეს ჩაუყლაპავსო. თავზე თეთრი ჭაჭლაყი (ყაბალახი) ეხურა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა. ის იყო ახალ-გაზდა, პირზედ წვერ-ულვაში ამოდიოდა.

- იქინჭო-ა) რომ კურტნიანი ცხენი აბია, ის შენია?-მეორე ღუქნისკენ თითი გააშვირა კუდაბზიკამ და ჰკითხა ლეჩხუმელს.
- ჩემია, უთხრა ლეჩხუმელმა.
- ჭურჭლის (თეთრკოშკამდის) ვერ გვაქირავეფ?
- რეტომ არა, თუ კაი ფასს მომცემთ.

როგორც ეტყობოდა, ხაჩნელს (გლახათუბნელს) ჩაეგონებინა: ახლა შენ მიდი და ფასსზედ მოელაპარაკე, თორემ მუშტარი დაგვეკარგებაო; თვითონ კი პირველადვე ასეთი უარი სტკიცა კუდაბზიკას, რომ ჩვენთან მოსასვლელი პირი აღარ ჰქონდა. ახლა ხაჩნელი (გლახათუბნელი) განზედ იდგა და შორიდგან ეშმაკივით თვალებს აბრიალებდა. იმის გასაგონებლად და გასაჯავრებლად კუდაბზიკამ უთხრა ლეჩხუმელს.

- აჰა ძალიან კაი. ჩსაჩ-ბეჯაჩ (იმდენი) ბარგი არც (კი) გვაქვს; ჩვენ ბარგს ერთი ცხენიც ეყობა. (ეყოფა)
- რაა თქვენი ფასი?...ჰკითხა ლეჩხუმელმა კუდაბზიკას.
- შენ ნუგეშინია, კაი ფასს მოგცემთ და კილოც კარგათ გაჭმევთ.
- მაინც რამდონს მომცემთ?
- ორ მანათს; მეტი რა გინდა. მამაჩემი ნუ წამინცდება, ძალიან კაი ფასია.
- აჰ, ორ მანათად რაგა იქნება? ამისთანა გლახა გზებში ორ მანათად ცხენს რაგა მოგვკლავ?...ლეჩხუმელი გაბრუნდა და ხაჩნელს (გლახათუბნელიც) თან გაჰყვა.
- ბიჭო, შენ! გვიგონე, ორმანათს და ერთ აბაზს მოგცემ, -დაუყვირა კუდაბზიკამ.
- ეჰ, რა გეენყობა, სამი მანათი მაინც მომეცით. -სთქვა ლეჩხუმელმა და ისევ ჩვენთან მობრუნდა.

- თუ გინდა, ორი მანათი და ექვსი შაური წვილე, თუ არა და გამეცალე, დეიკარგე აქს(ე)დგან-წყრომით შესძახა კუდაბზიკამ.
- ბატონო, წყრომა რა შენი საკადრისია. აჰა, ორი მანათი და ორი აბაზი მაინც მომეცით, და ისიც ნუ დაგავინწყდებათ, ღვინო ბრეველი მასვით.

როგორც კი ეს სიტყვები გაათავა ლეჩხუმელმა, ასეთი (ნ)იდაყვის თავი იგრძნო გვერდებში ~~ხანჯლისგან~~ (გლახათუბნელისაგან), რომ ლეჩხუმელი ერთ ადღმედ გახტა. - ჰატ, შე სუნელო, შენ!-ნაილულლუდა ~~ხანჯლმა~~ (გლახათუბნელმა).-ცოტა კილო რომ მოგეცადა, რა გიჭირდა, შე სანყალო. აჰა, იქინჟო-(ა) მაგენი ცხენებს სად იშონილენ? სამი აბაზი ტყულა მეც დამაკარგვიე და შენც,-უთხრა წყრომით ~~ხანჯლმა~~ (გლახათუბნელმა). გაშორდა ლეჩხუმელს და თავისი ცხენიც თან წაივანა. კიკოლიკს იმედი დაეკარგა, ვაი-თუ მართლა ~~ხანჯლმა~~ (გლახათუბნელმა) იმ ფასად ცხენი არ გვაქირავოსო და დაუყვირა, რომ მობრუნებულ იყო; უნდოდა ქირა მოემიტებინა; მაგრამ კუდაბზიკა მეტად გაცხარდა: “რას ამბობ!... ბატონო, მაგი რაგა იქნება! მეტს რეიზა აძლევეთ?...რაგა შოუძლია, რომ მაგან ცხენი არ გვაქირავოს, მაგრე ადვილია ქირის შონა თუ?...ჩვენ რომ არ წამოგვეყვეს, ერთ თვეს ისთე იქნება, რომ კაპეიკს ვერ იშონის. ჩალანდრების ამბავი კი ვიცე. მაგენისთანა ვალღეტილი კაცები არაა ქვეყანაზედ. შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, თუ ცოტას მეიცითო, პირიქით შეგვეხვეწება“.

ცოტახანს შემდეგ ~~ხანჯლი~~ (გლახათუბნელი) ისევ დუქანთან მოგვეპარა გულში იფიქრა, მართლაც ბარგი მაგდენი არა არის რაო; ცხენიც არ გამელახება და არც ქირაა მაინცა და მაინც ცოტა. ~~ხანჯლი~~ (გლახათუბნელი) რომ დაინახა კიკოლიკმა, ველარ მოითმინა და განუმეორა: “რას დგეხარ, რატომ ცხენს არ მოიყვან? ქირას კარგს გაძლევეთ, მეტი რა გინდა?”

- არა, ბატონო, სამ მანათ ნაკლებ ვერ წევილებ. ერთჯენ არ გამივლია ამ გზებზე და ორჯენ. ტყულა ცხენი გემელახება და ქირაც მაგდონი არაფელია, ~~სთქვა~~ ~~ხანჯლმა~~ (გლახათუბნელმა).

- ბიჭო, შენ ჩემი სიტყვები არ გესმის? ორმანათს და ორ აბაზს გაძღვე. თუ ვინდა წვილე, თუ არა, და რეტომ დგახარ აქნა? ვინდა ამ მათრახით შევიწითლო გვერდები, თუ რაგაა შენი საქმე? ვინ გკონივართ; შენი ტოლები ვართ თუ?... უყურე ახლა ამ ყურუშსალს, ამას!...გასწი გვეთრიე.-დაუყვირა კუდაბზიკამ და მეტისმეტი გაჯავრებით ცხვირ-პირი აენტო.
- ორშაურს კიდევ მოვიმ....
- ბატონო, მაგი რაგა იქნება? მსწრაფლად უთხრა კიკოლიკს კუდაბზიკამ.-ყაძახ(ს) (გლეხს) თავს (რაგა) გავეუცვლი! თუ მაგის ნებაზე მიუშვი მაგი, მთლათ ქუთაის მოინდომებს.
- არა, ბატონო, მაგიც ძი(ა)ლიან ცოტაა.-წაიღუღუნა ცხვირში ხაწილმა (გლახათუბნელმა).

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ცხენი მაინც მოიყვანა.

ჩემოდნები ისე დიდები არა ჩნდნენ, თუმცა სიმძიმე საწყოფი ჰქონდნენ. როგორც კი ხაწილმა (გლახათუბნელმა) ჩემოდნებს მისწი-მოსწია, მაშინვე დაბალი ხმით ჯავრობა დაიწყო: - აჰ, ამაშიც კი მომატყუეს!...ამისთანა მძიმე რომ მგონებოდა, რაგა გოურიგდებოდი ასთე ცოტა ფასათ“. მერე იმან და ლეჩხუმელმა დაიწყეს თანასწორათ გაყოფა მთელი ბარგისა. ხაწილმა (გლახათუბნელმა) ჭინჭ (ჭ) ყლიანობა დაიწყო. წამის-წამს (გლახათუბნელი) (უ)ჯუ(ა)ვრდებოდა ლეჩხუმელს, შენ ცოტა ბარგი დაიტოვეო და მეკი ბევრი მარგეო. “უჰ, შე სუნელო, შე უჯკუო, დღეს შენ წამიხთინე საქმე. შენ რომ არა, მაგენს სამ მანეთზე ნაკლებს რაგა დავჯერდებოდი“-გულ-დანყვეტილი ეუბნებოდა ხაწილი (გლახათუბნელი) ლეჩხუმელს. ხაწილის (გლახათუბნელის) განითლეშ(ბ)ული ლოყები და ცხვირი ნათლად ხატავდნენ იმის შინაგანს მღელვარებას. ის იყო მთელ ქვეყანაზე გაჯავრებული და წამის მოსვენება არ ჰქონდა. ყოველთვის წუხდა. მთელს ჩვენ მგზავრობაში ის ერთხელ მეტად არ მინახავს გაღიმებული და მაშინაც იმისი თეთრი კბილები შავს წვერ-ულვაშთან და ჩალურჯებულს თვალებთან (ერთად), თითქოს მთელ ქვეყანას დაგლეჯას ემუქრებოდა...

~~ბომბუას ხილიდან~~ ([ცხენიპარის] სოფლის ღუეზიდან) რომ ავებარავთ, სამხრობაზედ გადასული იყო. (წინათ) თეთრად გაპნტილი ღრუბელი უეცრად (მთელ) ცას გადაეფარა (,) ფერი შავათ იცვალა (და) გამოუშვა ჭექა-ქუხილი; მოშორებით მეხი გავარდა და მსხვილმა კუკურმა წვიმამ დაგვიშინა. ~~ხონელს~~ (გლახათუბნელს) კენესა და ჯავრობა არ გაუნყვეტია; ის ხან თავის გაჩენის დღეს ინყველიდა, ხან სწუხდა, თუ რათ წაყვევიო. ჩვენ მივდიოდით მთის ბილიკზედ და ალაგ-ალაგ დასველებულმა ქვის სიპმა საქმე გავვიჭირა; ცხენები ფეხს ვერ იმაგრებდნენ. წვიმა ორსაათს მეტს უწყალოდ გვცემდა თავში და ბეჭებში. ისე დავსველდით, რომ ძვლამდის გაგვატანა. ბოლოს ცუდი ამინდიც დაწყნარდა და საღამოს უამს დასავლეთით მზემ ერთხელ კიდევ თვალეებში შემოგვაჭყიტა, თითქოს დაგვცინოდა: თქვენ სანყლებო, წყალში ნათრევს კნუტებსავით როგორ ამონკუმპლულ ხართო! (სერზე სოფელი გამოჩნდა). საღამოს (იმ) ~~სოფელს~~ (ფლის) ღვედს ხელოსნისას დავეცით ბინა.

იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას ვირთავვა-ცხენს ამ გზაზელ-საქმე მოუვიდა. იმან უეცრად პირზელ-ქათვი მოივლო და თავის მხედრიანათ მინაზელ ტყეუა გაადინა. ამ მოულოდნელის შემთხვევისგამო კუდაბზიკას თავისი ამაყობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ასეთნო(ა)რად ~~შოხროუკა~~ (განვრილდა), რომ საცერე რგოლში გაძვრებოდა. სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოავლო; თვალეები უწინდულათ ველარ გამიმართა; გჟ(ო)ნებაში ვამბობდი, სადღაა შენი ქედ-უხრელი ამაყობა და თავ-მონონება? მაგისთანა ~~ჭატი~~ (ცოტა) საქმემ ევრე როგორ დავცა, ჩემო კუდაბზიკა? სანყალი მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე: “დედა, რა მეშველება, ჩემი ცხენი რომ მომიკვდეს!...უბედურება ივია, რომ საყიდელ ცხენსაც ვერ იშონი ამ საძაგელს ადვილს“.. ალბათ სანყალი კუდაბზიკა ღმერთსაც შეებრალა; მეორე დღეს იმისმა ცხენმა ისევ ყურები აცქვითა. თურმე ნუ იტყვით, ამ ვირთავვა ბედაურს მუცელი სტკივებოდა! როგორც სჩანს, იმერეთში კაცსა და ცხოველს სულ ერთი და იგივე სენი აწუხებს!“

გაზეთი “ღროება“, 1867, №13, გვ. 3. როგორ არის დაბეჭდილი გაზეთში. სხვაობა აღნიშნულია შავად.

III.

ბომბუას ხილი

„186...10ივნისს. დილა ვრილი დაგვიდგა. ცას ნისლი (ჯანყი) გადაეთარა: ამის გამო იურაჟი და მზის ამობრწყინება აღარ გვინახავს. ვბა მიგვიძლოდა ცხენის წყლის ფართო ჭალებზედ. არც ცხენის-წყალი იყო ჩვენზედ ერთობ შორს.-იმისი შუშუნი ხან-და-ხან ბუნდათ მოგვესმოდა. ჩვენ რომ მინდორზე მივდიოდით, იმას უნვიმოებით მოყვითლო ფერი დასცემდა. ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ამ მინდორს-ბოლ-ბოლებათ ვადუყვებოდა. ჩვენ ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სეელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქაჩორა წვერები ვაზის ფოთლებით ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სიმსხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბანრებად გაბმულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდნენ. ამ დროს მგემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებელია დარჩა, რადგანაც ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვიჩრდილებდნენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანეთ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისოვლე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ ვაგვიტკება; გუნებაში ვავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს. (დამატებული აქვს მეთქი). ხანდაზმით დედა-კაცის ძახილი გვესმოდა; მიუცილებლათ სადმე ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც სახლი და ვერც კომლი ვერ დავინახე; ან კი რას დაინახავ ამისთანა სეელს დობილოში. კუდაბზიკა ცოტათ წინ მიდიოდა. ჯორს ქუსლი ვკარი, დავენიე და დიდი კრძალვით ვკითხე: - აქ რა სოფელია მეთქი. თუ საკითხავი რამე მექნებოდა, მორიდებით უნდა მეკითხნა, თორემ ხმასაც არ გამცემდა. ჩემ კითხვაზედ იმან შუღლი მიჩვენა, თვალები ჩემსკენ გამოაპარა, უნდოდა შეეტყო, დაცინვით ხომ არ მკითხავსო და, რაკი დარწმუნდა ჩემ გულკეთილობაზედ, მიპასუხა: “აქანეი სოფელი

მათხოჯია“ ამ ღროს თავს წავატყდით ერთს ტყიან მთის ცხვირსა, რომლისთვისაც გარს უნდა შემოგვევლო. გიგოლიკმა ცხენი შეაჩერა და დაუძახა თავის მოსამსახურეს, რომელიც უკან მოგვდევდა:-დათუნა (ასე ერქვა გიგოლიკის მოსამსახურეს) მათხოუს წადი და ხელოსანს (მამასახლისს) შეატყობინე, რომ ახლათ-ახლავე ორი ცხენი გვიშოვნოს. დათუნამ ძალიან ზანტათ გააბრუნა კისრამდის დატვირთული თავისი ცხენი. ამ ტვირთში ისე ღრმათ იყო ჩაფლული თვითონ დათუნა, რომ თავისა და მხრების მეტი არა მოუჩანდა რა. მთის ცხვირს იქით ფართო მინდორი ვიწრო არშიათ გადაგვექცა. ამ მწვანე არშიას ცალ მხრით მდაბალი ტყიანი ქედი საზღვრავდა, მეორე მხრით ჩქარი ცხენის-წყალი. მწვანე არშიაზედ ბევრი არ გვივლია: ჩვენს წინ გამოჩნდა ერთი პატარა კლდის ნახეთქი, რომელზედაც ბომბუას ხიდს ჰქონდა დაბჯენილი ცალი თავი; ვალმითაც ხიდს იმ გვარივე კლდე ჰქონდა ბურჯათ. ამ ორ კლდის ნახეთქს ცხენის წყლის კალაპოტი (სანოლი) ძალიან შეევიწროებინა. ამისგამო ცხენის-წყალი შეგუბებულიყო და იმ ორ კლდეს გიჟურად სცემდა. იმისგამო კლდის ნახეთქები და ხიდიც ძალიან ძვერდა. ხიდს ქვეშ მდინარეს ქაფი მოელო და შხეფს ერთ ადღზედ ისროდა. ხიდზედ ვავედით. ვალმით მქისი და ქვიანი ადგილი დაგვიხვდა. ეს ალაგი იყო დაბლობი და მეტად ვიწრო; აქა-იქ გვირილა და ეკლარა გაბნეულ იყვნენ, სხვა ბალახი არა მოიძიოდა რა. ამ ვიწრო დაბლობზედ ხიდს ახლო იდგა ერთი გახრეკილი ღუქანი და იმის პირდაპირ მეორე. იმ ღუქანს იქით აიმათებოდა გარუჯული კლდიანი მთა, რომელსაც ასკილ-გაბანდული ჯაგები ჰმოსავდა. ამ გარუჯულს მთის ფერდზედ დასავლეთის მხრით ახალ-აღებული ყანა იყო, იმისი ღობე ნახირს შეეღენა და შიგ ბალახსა სძოვდა. ჩემი ჯორიც იქვე ვავეუში. ამ არე-მარესაც ბომბუას ხიდი ერქვა. ხილთან რომ ღუქანი იდგა, ჩვენ იქ ჩამოვხდით. ღუქნის ყაფაზაზედ იდგა სამი სავსე გობი. ერთზედ ეყარა ღომი, მეორეზე სიმინდი, მესამეზე ღობიო და თავზედ ხუთი კვერცხი ჰქონდა ირგვლივ შემოწყობილი. შიგნით ღუქანში რამოდენიმე შუშა ყვითლად და თეთრად გამოსჭვერდნენ: ზოგში ყვითელი ოტკა ესხა, ზოგში კი თეთრი; ზევით ბანარზედ ოციოდე სულგუნი ეკიდა: ამას გარდა ყაფაზს ქვეშ ორი ტიკი ღვინით სავსე გორავდა. მთელი ღუქნის სიმდიდრე სულ ეს იყო. ღუქანში ვაჭრობდა ერთი პირტიტველა ყმაწვილი. ის თავის უუჟუნა თვალებს მკვირცხლად

აბრიალებდა. ამ პირმოვძო ყმაწვილს ტანზედ წყლის თერი ჩოხა ეცვა და თეხზედ წულა-ქალამანი (წულას ჩუსტს ეძახიან). იმას ერქვა უფ. ჩიგუნია და, როგორც თვითონ ამბობდა, ოდიშის (ოდიშს სამეგრელოს ეძახიან) პირველი აზნაური იყო. ჩვენ მისვლაზედ ჩიგუნიას თვალეზი აუციმციმდა და პირმა გაულიმა. ალბათ გულში გაივლო,-ავი კარგი სტუმრები მომიყვანა დღეს მიქელ თავარ-ანგელოსიშაო, დღეს კაი დახლი მექნებაო. როგორც კი და ველაპარაკეთ, უფ. ჩიგუნია იმ წამს ამნაირი სიტყვები მოგვაგება: “პატონი, (ბატონო) ოდიშის როიც იქნება თავად-აზნაუროფის გარჩევა? ნიტე, თქვენი წყალობით, მალე დეინიშნოს კამინსია... მე პრიველი აზნოუშვილი ვარ; ჩემ თავს პრიველათ ჩავანერიფე.“

“უყურე, ახლა ამ გაქუცულს მეგრელს,-წამიჩურჩულა კუდაბზიკამ-პრიველი კი არა, უკანასკნელიც არ არის. დედა!...რეტომ ქვეყანა არ დეიქცევა, მაგიც რომ აზნოუშვილობას ეძებდეს!..მაგი ჩიგუნიას ბუშია (ბუშს ნაბიჭვარს ეძახიან); მართლა ჩიგუნია კი არ გეგონოს, ბუშია, ბუში!.-სამჯერ კიდევ ჩამძახა ყურში კუდაბზიკამ.

კუდაბზიკა სიყვარულით პირზე აენთო. იმას საშინლად სწყინდა, რომ უფ. ჩიგუნია აზნაურობის შოვნაზედ იმედი გამოაცხადა. კუდაბზიკას შეშურდა იმისი აზნაურობა, რადგანაც ის უკანონოთ შობილი იყო. “ღმერთო კი მომკალი-მეუბნებოდა ჩუმათ კუდაბზიკა-ბუშმაც რომ აზნოუშვილობა დეიმტკიცოს, მერე რათ ივარგება აზნოურობა. ბუშებმაც რომ აზნოურობა იშოვნოს მთლათ წაპილნდება აზნოურობა, გროშათაც აღარ ივარგებს.... აზნოურობის შოვნა რავა იფიქრა მაგ ბუშმა, მავან!..

- პატონი ჩიკოლიკი კი მიცნობს, ვინცხა ვარ. მე გამოუძიებლათაც უნდა ჩამწერონ აზნაურეფის ქალაქში-იძახოდა უფალი ჩიგუნია.
- ჰო, ჰო, დარდი ნუ გაქვს, აზნაურობას მე გაშოვნებ,-უთხრა ჩიკოლიკმა. - შენ, ახლა ცოტა რამე საჭმელი გვიშოვნე.

ჩიკოლიკი ძალიან თავის მოყვარე კაცი იყო და საცა მივიდოდით, ყველგან ცდილობდა პრიველი ადგილი დაეჭირა. უცხოთან ისე იქცევოდა და ისე დიდ ვინმეთ აჩვენებდა თავის

თავს, რომ გეგონებოდა ამისი სიტყვა და ღვთის სიტყვა მთელ დედამიწის ზურგზედ ერთ გვართ უნდა მოქმედებდნენო. იმის ლაპარაკისთვის ყური რომ დაგვედო, იტყოდი, მთელი ქვეყანა ამის ფერხთა მტვერი უნდა იყოსო...

უფ. ჩიგუნია კიდევ თავის აზნაურობაზედ ჩამოავდო ლაპარაკი. როგორც ეტყობოდა ჩიგუნიას აზნაურობის შოვნა არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. იმას ძალიან ეფიქრებოდა, საეჭვოთ არ გახდომოდა აზნაურობის ღირსება. ამისთვის თუ ვინმე სერთუკიანი გაივლიდა იმის ღუქნის წინ, ყველას უმტკიცებდა თავის ძველ აზნაურობას; ალბათ ფიქრობდა, რომ ეს სერთუკიანი კაცები კამისიის წევრებს ეტყვიან, -ბომბუას ხიდზედ რომ მეღუქნე ჩიგუნია არის, ის გამოუძიებლათ აზნაურათ ჩასწერეთო. იმის და საუბედუროთ ვერც ჩიკოლიკი და ვერც გიგოლიკი კამისიაში ვერ დაესწრებოდნენ. ამისი გამო, ეჭვი არ არის, უფ. ჩიგუნიას აზნაურობის შოვნა გაუძნელდებოდა. ის თავის თავს ძველ აზნაურათ სთვლიდა. მაგრამ, როგორც კუდაბზიკამ მიაგმო, თურმე უფალი ჩიგუნია უკანონო ძირითვან მომდინარეობდა“.

გაზეთი “დროება“, 1867, №15, გვ.4. როგორ არის დაბეჭდილი გაზეთში. სხვაობა აღნიშნულია შავად. გამოცემაში მეშვიდე თავი გაზეთში არის მეორე თავის ნაწილი.

VII.

„თითქმის სამხრობა მოიწია და ჩვენ კიდევ ბომბუას ხიდზედ ვიყავით დაბარგებული. ხელოსნის უნახობამ ერთობ დაგვაღონა. ცხენები არსად გვეყავდა და ვერც დავიძროდით. ჩვენი ბარჯი ძალიან მძიმე გამოჩნდა. რაც თან მოგვექონდა, ერთი იმდენი და მეტიც ბომბუას ხიდთან დაგვახვედრეს სვანებმა, რომელნიც ჩიკოლიკის ხლებულნი იყვნენ და ჩვენზედ ერთი ღლის წინათ წამოსულიყვნენ. ორი სხვა ცხენი კიდევ დაგვეჭირდა; მაგრამ სად იყო? გვეშინოდა ამ ადვილზედ არ შემოგველაშობოდა. ამ დაღონებაში რომ ვართ, ერთი ტალახში ამოთხუპნული იმერელი მოგვეპარა და განზედ დაგვიდგა; თავის კურტნიანი ცხენი ღუქნის

წინ სვეტზე მიაბა. მეორე კურტნიანი ცხენი მეორე ღუქანთან გაჩნდა. ეს იმერელი იყო ხონიდგან.

ხონელს ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი შალის ჩოხა. ჩოხის ნაფლეტები ერთმანეთზედ თეთრი ტილოს ძაფით იყვნენ გადაბმულნი; პირველ შეხედვაზე იტყოდი, ალბათ ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას როგორც ხონელსა, იმისთანას ფოთლებ-გადაბმული სამოსელი უნდა ცმოდათო. შორიდგან ხონელის ჩოხა მართლაც გამხმარი ფოთლებისა გეგონებოდა. ტიტველა წვივები ამას მუხლამდის ჰქონდა აკაპინებული (დაკარნახებული) და კანჭები სქელი ტალახის ქერქით შეემოსა. თავზედ ჩალის შლაპა (*)²⁹ ეხურა და შლაპის ქვემოლამ ხონელი ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა. მაშინვე იტყოდი, ეს გაიძვერა ვინმე უნდა იყოსო. იმისს გარუჯულოს სახეზედ შვად წამოზრდილს წვერ-ულვაშს მგლოვარების ბეჭედი დაესვა. ის მართლაც მძიმეთ გლოვდა რალაცას და ეს რალაცა იყო მთელი იმისი მოუსვენარი ცხოვრება. ზედვე ეტყობოდა, რომ ხონელს წარსული თავისი სიცოცხლე სულ ჭაპან-წყვეტაში ჰქონდა გატარებული. თითქო შეუბრალებელს გარემოებას ნდომებიაო ამისი დაჩავვრა და წელში გატეხა, მაგრამ გატეხის მაგივრად იმისი ზნეობითი მხარე წნელსავით მიქნილ-მოქნილიყო. გარეგანის უსამართლოებისთვის ხონელს-უსამართლოებითვე გაუცია პასუხი. ცხოვრებაში იმას ბევრი უსამართლოება და დამცრობა გამოუცდია; ამისგამო ის თვითონვე შექმნილა უსამართლო და გაიძვერა. იმაზედ მუდამ თვალ-ყური უნდა გჭეროდა, რომ ან არ მოეტყუებინე და ან რამე შენთვის არ წაეგლიჯა...

ხონელი ჩვენ შორი-ახლოს დადგა ღუქანთან. მაშინვე შეატყობდი, რომ იმას ჩვენგან რალაც უნდოდა.

- შენია ეს ცხენები, აქანეი და იმ ღუქანთან რომ აბიან? - ჰკითხა ხონელს კუდაბზიკამ.
- ავი ერთი ჩემია და ის, იქინეი რომ აბია, ლეჩხუმელისაა, - მიუვო ხონელმა
- შენ სილოური ხარ? (საილამ ხარ)

²⁹ იმერეთში პურის ნამჭისაგან აკეთებენ შლაპებს და ის ზაფხულში თავზედ ჰხურავთ ხოლმე.

- მე ხონელი ვარ.
- გვაქირავე შენი ცხენი, კაი ფასს მოვცემთ.
- სა მიბძანდებით?
- ჩვენ შორე გზა გვაქვ, მარამ შენი ცხენი მარტვა მურამდის დაგვჭირდება.

მური არის ცხენისწყლის ერთ ჭალაზედ მდებარე სოფელი, ლეჩხუმში. ეს სოფელი დადიანებს თურმე ძალიან ჰყვარებიათ. იქ ახლა დგას გაცივებული ხის სასახლე უწინდელი დადიანებისა.

- უუჰ-დაიყვირა გაკვირვებით ხონელმა.
- იქინეი მე და ჩემს ცხენს რა წავკიყვანს?... მე და ჩემი ცხენის მოკვლა გდომებიათ და ისაა! იმისთანა პილწი გგებია, რომ რას მიბძანებთ?... იქინეი არ მოვკლა ჩემი ცხენი, აქანა ცხენის წყალში ჩავახროფ და ის იქნება!...აჰ, მაგი ჩემი საქმე არაა. მაგას იგი მირჩევნია, ხონისკენ გოუდგები. სინემდის მურში- ჩევიდოდე, ხუთჯენ მაინც ჩევიტან ღვინოს ქუთეისს.....ხონელი გაგვშორდა და მეორე დუქანთან მივიდა. ხუთ წამს არ გაუვლია, ის ისევ მობრუნდა და თან ლეჩხუმელი მოიყვანა. ლეჩხუმელი იყო პატარა, მაგრათ ჩასხმული ბიჭი, ქერა და თვალები გადმოვარდნაზედ ჰქონდა. რომ შეგეხედნა იტყოდ, იმის ნიკაპი პირის სახეს შეუჭამიაო, ნიკაპი თითქმის სულ არ უჩანდა. თავზედ თეთრი ბაშლაყი (ყაბალახი) ეხურა და ყალიონს (ჩიბუხს) სწევდა. ის იყო ახალ-გაზდა, პირზედ წვერ-ულვაშს ამოეჭრა.
- იქინეი რომ კურტნიანი ცხენი აბია, ის შენია?-მეორე დუქნისკენ თითი გააშვირა კუდაბზიკამ და ჰკითხა ლეჩხუმელს.
- ჩემია, უთხრა ლეჩხუმელმა.
მურამდის ვერ გვაქირავებ?
- რეტომ არა, თუ კაი ფასს მომცემთ.

როგორც ეტყობოდა, ხონელს ჩაეგონებინა: ახლა შენ მიდი და ფასსზედ მოელაპარაკე, თორემ მუშტარი დაგვეკარგებაო; თვითონ კი პირველადვე ასეთი უარი სტკიცა კუდაბზიკას, რომ ჩვენთან მოსასვლელი პირი აღარ ჰქონდა. ახლა ხონელი განზედ იდგა და შორიდგან ეშმაკივით თვალებს აბრიალებდა. იმის გასაგონებლად და გასაჯავრებლად კუდაბზიკამ უთხრა ლეჩხუმელს.

- აჰა ძალიან კაი. ისთე ბევრი ბარგი არც გვაქვს; ჩვენ ბარგს ერთი ცხენიც ეყოფა.
 - რაა თქვენი ფასი?...ჰკითხა ლეჩხუმელმა კუდაბზიკას.
 - შენ ნუგეშინია, კაი ფას მოგცემთ და კილოც კარგათ გაჭმევთ.
 - მაინც რამდონს მომცემთ?
 - ორ მანათს; მეტი რა გინდა. მამაჩემი ნუ წამინწყდება, ძალიან კაი ფასია.
 - აჰ, ორ მანათად რაუა იქნება? ამისთანა გლახა გზებში ორ მანათად ცხენს რაუა მოვკლავ?...ლეჩხუმელი გაბრუნდა და ხონელიც თან გაჰყვა.
 - ბიჭო, შენ! გეიგონე, ორმანათს და ერთ აბაზს მოგცემ, -დაუყვირა კუდაბზიკამ.
 - ეჰ, რა გეენყობა, სამი მანათი მაინც მომეცით. -სთქვა ლეჩხუმელმა და ისევ ჩვენთან მობრუნდა.
 - თუ გინდა, ორი მანათი და ექვსი შაური წეილე, თუ არა და გემეცალე, დეიკარგე აქიდგან-წყრომით შესძახა კუდაბზიკამ.
 - ბატონო, წყრომა რა შენი საკადრისია. აჰა ორი მანათი და ორი აბაზი მაინც მომეცით, და ისიც ნუ დაგავინწყდებათ: ღვინო მაინც ბრეველი მასვით.
- როგორც კი ეს სიტყვები გაათავა ლეჩხუმელმა, ასეთი იდაყვის თავი იგრძნო გვერდებში ხონელისგან, რომ ლეჩხუმელი ერთ ადღზედ გახტა. - ჰატ, შე სუნელო, შენ!-წაილულლულა ხონელმა. -ცოტა კილო რომ მოგეცადა, რა გიჭირდა, შე სანყალო. აჰა, აქანეი მაგენი ცხენებს სად იშონიდენ? სამი აბაზი ტყულა მეც დამაკარგვიე და შენც, -უთხრა წყრომით ხონელმა, გაშორდა ლეჩხუმელს და თავისი ცხენიც თან წაიყვანა.

გიგოლიკს იმედი დაეკარგა, ვაი-თუ მართლა ხონელმა იმ ფასად ცხენი არ გვაქირავოსო და დაუყვირა, რომ მობრუნებულ იყო; უნდოდა ქირა მოემატებინა; მაგრამ კუდაბზიკა მეტათ ვაცხარდა: „რას ამბობ!... ბატონო, მაგი რავა იქნება! მეტს რეიზა აძლევთ?...რავა შოუძლია, რომ მაგან ცხენი არ გვაქირაოს. მაგრე ადვილია ქირის შონა თუ?...ჩვენ რომ არ წამოგვეყვოს, ერთ თვეს ისთე იქნება, რომ კაპეიკს ვერ იშონის. ჩალანდრების (ჩარვადრების) ამბავი კი ვიცო. მაგენისთანა გალლეტილი (ეშმაკი) კაცები არაა ქვეყანაზედ. შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, თუ ცოტას მეიცითთ, პირიქით შეგვეხვეწება“.

ცოტახანს შემდეგ ხონელი ისევ დუქანთან მოგვეპარა. გულში იფიქრა, მართლაც ბარგი მაგდენი არა არის რაო; ცხენიც არ გამელახება და არც ქირაა მაინცა და მაინც ცოტა. ხონელი რომ დაინახა გიგოლიკმა, ველარ მოითმინა და განუმეორა: “რას დგებხარ, რატომ ცხენს არ მოიყვან? ქირას კარგს გაძლევთ, მეტი რა გინდა?

- არა, ბატონო, სამ მანათ ნაკლებ ვერ წევილებ. ერთ ჯენ არ გამივლია ამ გზებზე და ორჯენ. ტყულა ცხენი გემელახება და ქირაც მაგდონი არაფელია, - სთქვა ხონელმა.
- ბიჭო, შენ ჩემი სიტყვები არ გესმის? ორმანათს და ორ აბაზს გაძლევ. თუ გინდა წეილე, თუ არა, და რეტომ დგახარ აქანა? გინდა ამ მათრახით შევინითლო გვერდები, თუ რავაა შენი საქმე? ვინ გკონივართ; შენი ტოლები ვართ თუ?... უყურე ახლა ამ ყურუმსალს, ამას!...გასწი გეეთრიე.-დაუყვირა კუდაბზიკამ და მეტისმეტი გაჯავრებით ცხვირ-პირი აენტო.
- ორშაურს კიდევ მოვიმ....
- ბატონო, მაგი რავა იქნება? მსწრაფლად უთხრა გიგოლიკს კუდაბზიკამ.-ყაძახს (გლეხს) თავს რავა გოვეუცვლი (გავეუყადრებ)! თუ მაგის ნებაზე მიუშვი მაგი, მთლათ ქუთეის მოინდომებს.
- არა, ბატონო, მაგიც ძალიან ცოტაა. - წაიღუდუნა ცხვირში ხონელმა.

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ცხენი მაინც მოგვეგვარა დასატვირთავად.


ჩემოდნები ისე დიდები არა ჩნდნენ, თუმცა სიმძიმე სამყოფი ჰქონდათ. როგორც კი ხონელმა ჩემოდნებს მისწი-მოსწია, მაშინვე დაბალი ხმით ჯავრობა დაიწყო: - აჰ, ამაშიც კი მომატყუეს!... ამისთანა მძიმე რომ მგონებოდა, რავა მოურიგდებოდი ასეთე ცოტა ფასათ“. მერე იმან და ლეჩხუმელმა დაიწყეს თანასწორათ გაყოფა მთელი ბარგისა. ხონელმა ჭინჭელიანობა დაუწყო. წამის-წამს უჯავრდებოდა ლეჩხუმელს, შენ ცოტა ბარგი დაიტოვეო და მეკი ბევრი მარგეო. “უჰ, შე სუნელო, შე უჭკუო, დღეს შენ წამიხთინე საქმე. შენ რომ არა, მაგენს სამ მანათზე ნაკლებს რავა დაჯჯერდებოდი“ - გულ-დანყვეტილი ეუბნებოდა ხონელი ლეჩხუმელს. ხონელის განითლებული ლოყები და ცხვირი ნათლად ხატავდნენ იმის შინაგანს მღელვარებას. ის იყო მთელ ქვეყანაზე გაჯავრებული. და წამის მოსვენება არ ჰქონდა. ყოველთვის სწუხდა. მთელს ჩვენ მგზავრობაში ის ერთხელ მეტად არ მინახავს გაღიმებული და მაშინაც იმისი თეთრი კბილები შავს წვერ-ულვაშთან და ჩალურჯებულს თვალებთან, თითქოს მთელ ქვეყანას დაგლეჯას ემუქრებოდნენ...

ბომბუას ხიდიდგან რომ ავებარგეთ, სამხრობაზედ გადასული იყო. თეთრად გაპნტილი ღრუბელი უეცრად ცას გადაეფარა. ფერი შავათ იცვალა, გამოუშვა ჭექა-ქუხილი; მოშორებით მეხი გავარდა და მსხვილმა კუკურმა წვიმამ დაგვიშინა. ~~ხონელს~~ (გლახათუბნელს) კვნესა და ჯავრობა არ გაუწყვეტია; ის ხან თავის გაჩენის დღეს იწყებოდა, ხან სწუხდა, თუ რათ წავყვიო. ჩვენ მივდიოდით მთის ბილიკზედ და ალაგ-ალაგ დასველებულმა ქვის სიპმა საქმე გაგვიჭირა; ცხენები ფეხს ვერ იმაგრებდნენ. წვიმა ორსაათს მეტს უწყალოდ გვცემდა თავში და ბეჭებში. ისე დავსველდით, რომ ძვლამდის გავვატანა. ბოლოს ცუდი ამინდიც დაწყნარდა და საღამოს უამს დასავლეთით მზემ ერთხელ კიდევ თვალებში შემოგვაჭყიტა, თითქოს დაგვცინოდა: თქვენ სანყლებო, წყალში ნათრევს კატებსავით როგორ ამონკუმპლულ ხართო! საღამოს ღვედს მივედით და იქაურ ხელოსნისას ბინა დავეციით.

იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას ვირთავვა-ცხენს ამ გზაზედ საქმე მოუვიდა. იმან უეცრად პირზედ ქაფი მოივლო და თავის მხედრიანათ მიწაზედ ზღართანი გაადინა. ამ

მოულოდნელის შემთხვევისგამო კუდაბზიკას თავისი ამაყობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ასეთნაირად მოიკრუნჩხა, რომ საცერე რგოლში გაძვრებოდა. სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოავდო; თვალები უწინდულათ ველარ გამიმართა; გუნებაში ვამბობდი, სადღაა შენი ქედ-უხრელი ამაყობა და თავ-მონონება? მაგისტანა მჩატე საქმემ ეგრე როგორ დაქცა, ჩემო კუდაბზიკა? სანყალი მწუხარებით მეუბნებოდა ხოლმე: “ღედა, რა მეშველება, ჩემი ცხენი რომ მომიკვდეს!...უბედურება ივია, რომ საყიდელ ცხენსაც ვერ იშონი ამ საძაგელს ადვილს“.. ალბათ სანყალი კუდაბზიკა ღმერთსაც შეებრალა; მეორე დღეს იმისმა ცხენმა ისევ ყურები აცქვიტა. თურმე ნუ იტყვით, ამ ვირთაგვა ბედაურს მუცელი სტკივებოდა! როგორც სჩანს, იმერეთში ყველას სულ ერთი და იგივე სენი აწუხებს! იქნება მკითხველმა იკითხოს აბა სთქვი, რა სენიაო?-მუცლის ტკივილი გახლავთ, ჩემო ბატონო,-მე ვუპასუხებ“.

დანართი 4.1



დანართი 4.2.

პროზაული ნაწარმოებები

1866 წელი.

№8, №9, №10 და 1869 წლის №19, №20 გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის (ფსევდ. ვერიცანიძე) „რამდენიმე ალაგი მოთხრობიდან “მართა“. ეს იყო გამოცემაში გამოქვეყნებული პირველი პროზაული ნაწარმოები, სადაც ასახულია მწვავე სოციალური ურთიერთობები, ყოველდღიური ცხოვრებისეული სურათები, დაპირისპირება, კონფლიქტი ფეოდალური ოჯახის წევრებს შორისაც კი.

14, №15, №16, №17, №18 და 1867 წლის №14, №15, №16, №17, №18, №19, №20 გამოქვეყნდა ალექსანდრე ცაგარელის „ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“. „დროებაში“ გამოქვეყნებულ პროზაულ ნაწარმოებში მწვავედ არის ასახული სოციალური კონფლიქტები და ჩანს, რომ სამუხაროდ, ბატონყმობის გაუქმებამ მშრომელი და გაჭირვებული ხალხის ცხოვრების დონე ვერ გააუმჯობესა. მთავარი გმირის სახელი და გვარი ყველაფრისმთქმელია-გლახა ბედკრულაძე. ის ცოლთან ერთად ბატონს თბილისში გამოეცა ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად, მაგრამ ამაოდ-თითქოს სიცოცხლის ბოლომდე მათი ღირსებები და უფლებები ფეხქვეშ უნდა ითელებოდეს.

№20, №21, №22, №23, №24-ში გამოქვეყნდა ბ. პეტრიაშვილის (ბ. პ-შვილი) პროზაული ნაწარმოები „ამ დროების ქართველები“, სადაც საუბარია აღზრდა-განათლების პირდაპირ კავშირზე საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ავტორი მოურიდებლად ასახავს ქართველების ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით ბავშვების აღზრდა-განათლების საკითხში და რჩევებსაც არ იშურებს: „.....ის უნდა ეცადო, ჩემო ქართველო, რომ შენ შვილებს შენს ენაზე მისცე პირველ-დანყებითი სწავლა. ყველგან ისე მომხდარა, თუ ყმანვილი პირველიდანვე უცხო ენაზე იწყებს სწავლასა, იმისაგან ხიერი არაოდეს არ გამოსულა. ჯერ უნდა ენა იცოდე და მასუკან იმ ენაზე წაიკითხო რამე გასაგებლათ, უამისობა არ იქნება...“ [„დროება“ 1866:2]

№29, №30-ში, ეპიგრაფით „წინა კაცი უკან კაცის ხილია“ გამოქვეყნდა თომა მაჭავარიანის ნაწარმოები „მოგონება. მურძაყან ნაბერალის ცხოვრებიდამ“. „...*მკითხველო, იცი ვინ არის “მურძაყან ნაბერალი”?* ეს მოთხრობა არის თვით თავისი მოკლე ავტობიოგრაფია და “*მურძაყან ნაბერალი*“ იყო თვით განსვენებული თომა მაჭავარიანი. ის სურათი, რომელიც დაგვიხატა თავის მოთხრობაში, მისი ნამდვილი ცხოვრებიდამ არის აღებული...“ [„დროება“ 1867:2].

1867 წელი.

№4 და №7-ში დაიბეჭდა ბ. პეტრიაშვილის (ბ. პ-შვილი) „ნაამბობი ცეცხლსა და წყალსშუა გამოვლილისა“ ქვესათაურით „ჩვენი აღზრდის და განათლების სურათი“. ავტორი აკრიტიკებს თეზიკურ დასჯას, რომელიც ადამიანის დაბეჩავებას იწვევს, ამხელს სკოლისა და მასწავლებლის ჩამორჩენილობას.

№12, №13, №15, №36, №37, №39 და 1870 წლის №16, №22-ში

გამოქვეყნდა „მგზავრის წიგნები“-გაზეთ „დროების“ რედაქტორის, გიორგი წერეთლის (ფსევდ. XX), როგორც პროზაული ნაწარმოების ავტორის.³⁰

№33-ში კი-ილია ჭავჭავაძის (ფსევდ. XXX) „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ - პირველი ვრცელი კლასიკური მნიშვნელობის მქონე თხზულება, რომელიც „დროებაში“ გამოქვეყნდა. გამოცემაში მთლიანად არ დაბეჭდილა, შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა [1908 წელს]. სათაურიდან გამომდინარე, საუბარია ბატონყმობის გაუქმების შემდგომ სურათზე, კერძოდ, ვის მოსწონს ახალი წყობა და ვინ ვერ ეგუება.

1868 წელი.

№3, №4, №5, №6, №7, №8 „დროებაში“ დაიბეჭდა ბ.პ-შვილის (ბ. პეტრიაშვილი) ფსევდონიმით „გიორგი მუშაკაძის ცხოვრება“. სქოლიოში მითითებულია, რომ „ეს მოთხრობა...*ეკუთვნის*

³⁰ ნაწარმოების შესახებ იხ. III თავის პირველ ქვეთავში: გიორგი წერეთელი, როგორც საზოგადო მოღვაწე.

გავლილ დროებას და ხელმწიფის მონყალებით ბატონ-ყმობის გათავების შემდეგ გლეხობის მდგომარეობა და ცხოვრება დღე-დღეზედ გაუმჯობესობაში, და წარმატებაშია...“ [დროება 1868:1]. მოთხრობილია მთავარი გმირის- გიორგის თავგადასავალი. გადმოცემულია დედა-შვილური ურთიერთობები, მევახშეების, ვაჭრების ეშმაკობა, დედმამიშვილებს შორის ქონების გაყოფის გამო კინკლაობა და სხვ.

№31 და №32-ში თომა მაჭავარიანის „ნინო“ გამოქვეყნდა. მოთხრობაში ოჯახის სახით მხილებულია მანკიერებები: ფუქსავატობა, ძალით გათხოვება, თამაში.

№32-ში - „ჩვენები რუსეთში“ - დავით ერისთავის ერთ-ერთი პირველი გამოქვეყნებული თხზულებაა. მასში ასახულია რუსეთში (სავარაუდოდ ოდესა) ქართველი სტუდენტების ცხოვრება. ავტორი გვაცნობს იაკობ მიკირტიჩს, რომელსაც სხვადასხვა თემებზე ესაუბრება.

№40, №41, №42, №43, №45 გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის რამდენიმე სურათი მოთხრობიდგან „გვრიტია“. ნაწარმოებში აღწერილია ღარიბი ბატონის რევამ ბაკურიძეს სახლკარი, რომელსაც ბევრი გლეხი ჰყავდა და მათი შრომით მოპოვებული სანოვაგით ცხოვრობდა. მებატონეები ვერ ეგუებოდნენ ბატონყმობის გაუქმებას და ბაკურიძეც გლეხებს დასჯასა და ცემას არ აკლებდა.

დანართი 4.3

პროზაული თარგმანი.

1866 წელი.

№21, №22, №25, №27, №29, №30, №31 – „პარიჟი ამერიკაში“, დოქტორი რენე ლეფევერის თხზულება.., მთარგმნელი გიორგი წერეთელი.

1867 წელი

№4 – „ბუნების ისტორიიდან“ (გველი), რეალურ გიმნაზიის მოსწავლის მ. ყიფიანის ნათარგმნი.

№17 – „ხალხის აზრდაზედ“ (ედ. ლაბულეს ლექციიდან)

№38 – „თვით-განათლება“. ედუარდ ლაბულეს ლექცია.

1868 წელი

№11, №12, №13, №14 – „გარდინერის პროცესი“. მთარგმნელი [გ. წერეთელი]

№15, №16, №17 – „კლოდ გო“ (თბულ. ვიკტორ ჰუგოსი), მთარგმნელი გ. წერეთელი.

№18 – „რუსის ცხოვრებიდან“, [ნარკვევი, თარგმანი] პ. ი. იაკუშინი.

№49, №50, №51 – „სასამართლო და პოლიცია“, (ედუარდ ლაბულედგან). [მთარგმნელი გ. წერეთელი]

დანართი 4.4

პოეზია

1866 წელი.

პირველი პოეტური ნაწარმოები, რომელიც 1866 წლის №12-ში დაიბეჭდა, იყო კნენა მარგარიტა წულუკიძის „ჩემს კრიალოსანს“. კნენა „საყვედურობს“ კრიალოსანს რომ ვერ შორდება, მის გამო სხვა საქმეს ვერ აკეთებს და მასთან თამაშში დროს უქმად კარგავს.

№35-ში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი ლექსი „დროს კაცი“, რომელიც მუდამ მზადაა სხვების დასახმარებლად.

„ამგვართ ყველა კარგს კაცს მეძახის:

მე ყველას თვალში კარგი რამა ვარ,
ჩემი სიკეთე ყოველგან ისმის,
ყველა ამბობს, რომ სარგო რამა ვარ...
კარგი სახელი, კარგი რამ არის!..
მაშ რაა, თუ დროს კაცი არა ვარ!..“

პოეტ ჰავლე თუმანიშვილის „ფული“ „დროების“ №38-ში დაიბეჭდა. სათაურიდან გამომდინარე, საუბარია ფულზე და გამოხატულია საზოგადოების სულიერი და მატერიალური მხარე:

„ფულო! რას არ ჩადიხარ!
სასწაულოთ მომქმედი ხარ!
რაღა მეთქმის, საწყალსა,
ვხედავ რა შენს ძალასა,
რომ ასე ატრიალებ
კაცსა ვით ბზრიალასა.
დავიდგეს, ფულო, თვალი,
რომ შენს სიყვარულსა,
კაცი გინდა თუ ქალი
სწირავს თავისა სულსა.“

1867 წელი

№9-ში დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის „საკვირველი ამბავი“ და „დიდი საქმე“. ორივე ლექსში საუბარია ღვინის არ დალევამზე, რომელიც არ არის დამახასიათებელი ქართველი კაცისთვის.

№16 - დაიბეჭდა მამია გურიელის (ფაზელი) ლექსი „1867 ახალს წელს“. ავტორი ახალ წელს იმედებით ელის. ლექსში წერტილებით არის შეცვლილი სამი ხაზი და ოთხი სიტყვა, იმიტომ რომ იმდროინდელ მდგომარეობაზე საუბრობს.

№17-ში დაიბეჭდა ფაზელის (მამია გურიელი) ლექსი „შოშია“, რომელიც 1864 წლითაა დათარიღებული. ნაწარმოებში გამოხატულია, ტკივილი, დამოუკიდებლობაზე ოცნება.

„როცა ღვთისადმი მქონდა ერთი

მხოლოდ ვედრება:

ჩემის საყვარელ სამშობლოს ბედნიერება.“

ლექსი „ზამთრის ღამე“ №23-ში გამოქვეყნდა. ავტორი დავით ერისთავი ამხელს უსაქმურობას, სხვის ხარკზე ცხოვრებას, ფუფუნებას.

1867 წლიდან ანტონ ფურცელაძე ფსევდონიმით ზურაბ მოენიძე იწყებს თავისი შემოქმედების გამოქვეყნებას. №26-ში დაიბეჭდა მისი სამი ლექსი: „პასუხი“ (ვუძღვნი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას), „ნატვრა“ და „მესამე ხმა პოემიდამ“ „საპყრობილე“, ხოლო №27-ში კი - „ძილის პირი“ და „ჩემს მეგობარს“. ლექსებში საუბარია უსამართლობაზე, სიცრუეზე, გაუტანლობაზე.

№31-ში გამოქვეყნდა ი. კერესელიძის „ვუძღვნი ა. ფ.“ [ანტონ ფურცელაძე]. ავტორი ადანაშაულებს ანტონ ფურცელაძეს ამპარტავნებაში, მლიქვნელობაში.

„მაშინ გიყვარს შენ მამული

და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,

როდესაც ხარ დაჩაგრული,

როს ბედთან გაქვს მწარე ომი.

მაშინ გიყვარს თანამოდმე,

როს არა გაქვს ცალი ფული,

აბა მოგცენ ჯილდო რამე,

როგორ ვახდე ძმის ორგული.“

№35-ში ზურაბ მონიძემ (ანტონ ფურცელაძე) გამოაქვეყნა ლექსი „განსჯა“. საუბარია აღდგომის დღესასწაულზე და არსებული ვითარების მიუღებლობაზე.

№41-ში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ლექსი „მოზარე“. აკაკი არ ინდობს ვითომ სიკეთის მკეთებელ, ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანებს.

„მავრამ უდროვო მისი ტკბილ-სტვენა

და უადგილო მისი ჩანგური

გაკიცხვის ხმებათ მე მომეჩვენა

და მეც მას ნაცვლად ვუძღვენ პანღური!“

როგორც ზემოთ არის ნახსენები, პოეზია პროზაულ ნაწარმოებებშიცაა ჩართული. №43-ში აკაკი წერეთლის „დროების კორრესპონდენცია ქუთაისიდგან. სადილი გუბერნიის წინამძღომლისას“. აკაკის მეგრელ მოხუცებთან საუბარმა, ჭკვიანურმა აზრებმა და ქართული ენის კარგად ცოდნამ მოაგონა ნაწყვეტი ლექსიდან:

„წარსული გულს მწყვეტს, ან მყო მადონებს,

მომავლისაგან თუმც ბევრს მოველი;

მავრამ ბევრია ჩვენში გვამები,
ყოვლის კეთილის ხელის შემშლელი.
როდის იქნება ის დრო, რომ ჩვენში
ზიზღით თითებით მათ გვიჩვენებდნენ
და საზოგადოთ არ თუ ღირსებას,
იმათს სახელსაც კი აჩვენებდნენ?!
დაუფარავად პირ-უთნეველად
მრისხანედ სჯიდნენ სულ იმათ ავზედ
და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ
ზედ აფურთხებდნენ იმათ.....“

ამავე ნომერში დაბეჭდილია ალექსანდრე მეგრელის „ფიქრი სოფელში“. ავტორი ეძებს თავისუფლებას.

ს. ერისთავის აზრი ფაზელის თხზულებაზედა „შოშია“ გამოქვეყნდა №44-ში. ფაზელის ლექსი „შოშია“ დაიბეჭდა ამავე წლის „დროებაში“ №17. ერისთავს უკვირს ფაზელის სევდა. ვინც კი შოშიას ბედს წაიკითხავს და ფაზელის მწარე ფიქრებს შეიგრძნობს, მიხვდება მის მწუხარებას.

„ვაი მას! უნივეშოს და უიმედოს,
სადაც ვერ ჰპოებს, თანამგრძნობელს და საიმედოს,
როგორც შოშია ვალიაში, შიგ მოემწყვდიოს
და ვერა ოდეს მხიარულებით ველარ იმღეროს.“

ფაზელის (მამია გურიელის) 1866 წელს შექმნილი ლექსი „ძმავ, მეგობარო, აზრით, გონებით!“ გამოქვეყნდა №51-ში, რომელშიც მაღალი ადამიანური იდეალებით გამოირჩევა.

1868 წელი.

ფაზელის (მამია გურიელი) შემოქმედება გრძელდება 1868 წლის გამოცემაშიც. №2-ში გამოქვეყნდა მისი 1868 წელს შექმნილი კიდევ ერთი ლექსი „ადამიანი“. ავტორს ადამიანობის იდეალი ასე აქვს წარმოდგენილი.

„ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს

და სიყვარული მოძმეთა ვალად,

სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,

თუ კი გსურს გახდე ადამიანად“.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია დ.მ.-ს (დომიტრი მეღვინეთხუცესიშვილი) ლექსი „სევდისა გუნდნი შამომხვევიან“, რომელიც მტანჯველ მარტოობაზეა და ავტორი ნაღვლიანია იმის გამო, რომ ფიქრებთან მარტო დატოვეს.

№5-ში „დროების“ კორრესპონდენტს ჩართული აქვს ყმანვილი პოეტის ლექსი „დღეს თუმცა თვითონ ვერ ისარგებლებთ“, სადაც ავტორის მოწოდება ისმის, რომ ადამიანის შრომა აუცილებლად დაფასდება და უმეცრებას უნდა ვებრძოლოთ.

№9-ში გამოქვეყნდა ლექსი „იმედი“. ავტორი [ვახტანგ ორბელიანი]. ლექსი გამსჭვალულია პატრიოტიზმით და ყოველი სტრიქონი ამაღელვებელია.

„...ისე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი,

ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი.“

№10-ში გამოქვეყნდა გ. გარდახვენილის ფსევდონიმით (გ. შარვაშიძის) ლექსი „რაუშავთ მათ, ვინც მარტო სიცოცხლით კმაყოფილებენ“. ავტორი ადამიანის მთავარ მოვალეობად სამშობლოს სამსახურს მიიჩნევს.

№12-ში დაიბეჭდა მეგრელის (ნიკო დადიანი) ალევორიული ლექსი „ზათხულს“ და დავით დადიანის პასუხი „მეგრელს“.

№14-ში გამოქვეყნდა ისევ მეგრელის (ნიკო დადიანი) ლექსი „ნატვრა“.

„მსურს მესხნეს ფრთანი, ვით ფრინველს, ჰაერთა მიმოსაფრენლად;

მით მომენიჭოს შვებაჲ წყლულის გულისა მალხენლად.

ყოვლითა ღონით შეძლებით ჰაერთა მიმომფრენელმან

ვმსახურო ჩემსა სატრფოსა მისთვის გულ-შენწყლულეულმან..“

№17-ში დაიბეჭდა ორი ლექსი: ნიკო მეგრის (ნიკოლოზ დადიანი) „პირ-უთნო მოციქულს“ და ფაზელის (მამია გურიელი) „ფანტაზია“. პირველ ლექსში ავტორი გაზეთ „დროებას“ მიმართავს და ქართული ჟურნალისტიკის მოვალეობაზე საუბრობს.

„წინ გვიფრიალე, სულ გვიფართეუნე,

ფრთით გაგვირეკე ჩვენ სიძაბუნე;

ყველას ჯგუფ-ჯგუფად ჩამოურიგდი,

შეგვანყვე ძმები შეგვათაბუნე“.

„ფანტაზიაში“ კი პესნიზმი მძლავრობს. ავტორს ამისთვის რამდენიმე მიზეზი აქვს:

წუთისოფლის ამაოება, სოციალური სინამდვილე.

№18 დაიბეჭდა მარანი ანუ ორპირის (ასლან მესხიძე) „მისადმი“ და 1860 წლის იანვარში შექმნილი ხელმოწერელი ლექსი „პატარა მშვენიერისადმი“. ოზურგეთი. სავარაუდოდ, ავტორი არის პაპი.

“გურულის“ (სავარაუდოდ, ოტია ბერიძე) ხელმოწერით გამოქვეყნებული ლექსი „დედა და შვილი“, რომელიც №19-ში დაიბეჭდა, დართული აქვს წერილს „უფალო რედაქტორო“. ავტორი წერილში საუბრობს გადაგვარებულ დედებზე. ლექსში კი აკრიტიკებს თანამედროვე აღზრდას, ითხოვს დედაენის სწავლებას.

„ვინც რომ სამშობლო ენას

ივინყებს და არ ეძებს,

ძლიერ კარგიც რომ იყოს

ნაყოფს ვერ გამოიღებს.“

№21-ში დიმიტრი ბერივეს გამოცემის თითქმის მთელი ბოლო გვერდი აქვს დათმობილი: „ზოგიერთი დ....კ....“ („ვაი თქვენდა ფარისეველნო ორგულნო“), უსათაურო („გზას შეჰხვდები მონიწებით“), „საყდარი პირველი და ცხორება უკანასკნელი“, „მგრძნობელობა დიდი და უწესოება უდიდესი“, „ენა მრავლის-მეტყველი და არა ნაყოფიერი“, „თავი მსცოვანი და გონება ჭაბუკი“. ლექსებში დაგმობილია უპირობა და უსულგულობა.

№22-ში გამოქვეყნდა ხელმოწერელი იუმორისტული ლექსი „პროგრესისტი“.

„ყველას ჩემი ეშინიან,

ვის თვალშიაც ვნახე ბისტი;

მე ხომ მოქრთამე არ მევიან,

მაშ რა მევიან?-პროგრესისტი.

ლიბერალობა მიყვარდა,

მანამ შეველ სამსახურში;

ვინც კი მოქრთამესა ჰგვანდა,

მწრაფელ ვაყრიდი ნაცარს პირში.

სიცრუეს ვერ მოვითმენდი,

პირში ვეტყოდი მართალსა;

არვის წყენას არ დავსდევდი,

მჩაგვრელთ ვასხამდი მე შხამსა“.

დავით ერისთავის ლექსები გამოქვეყნდა №35-ში. „ეხლანდელი ჭირი“ (მიბაძვა), „დროს კაცი“ და №44-ში „ფრთხილათ!“. პირველი ორი ლექსი ბატონყმობის გაუქმებას ეხება, მაგრამ „დროს კაცში“ უფრო მოჩვენებითი სიხარულია ნაჩვენები.

„რა დროს მოვესწართ უბედურები!

გავგიბატონდნენ ჩვენ მსახურები!“ [„ეხლანდელი ჭირი“].

„მე ვამბობ რომა: განთავისუფლდა

ხალხი-დადგება სწორე გზაზედა!

ყველგანა ვყვირი: - არ მირჩენიან

მე არაფერი გლეხსა კაცზედა!

რომ მას ვაკოცო, გვერდსაც მოუჭდე -

ეს არის ჩემი ვალდებულება!

და რომ მართლა გლეს დაუმეგობრდე

ღმერთმა დამისხნას, ღმერთმა დამისხნას!“ [„დროს კაცი“].

ლექსში „ფრთხილათ“ კი, სათაურიდან გამომდინარე, საუბარია სიფრთხილეზე ნებისმიერ სიტუაციაში.

„ისე მოიქეც ერთის სიტყვითა,

რომ სავსე იყვე ყველგან ქებითა!

კეთილ კაცობა და ბოროტება

ერთათ ურიე, რა გენაღვლება!

რაც რომ ძველია და ახალია

ძალიან კარგა მოთავსდებიან;

მხოლოდ გახსოვდეს შენ ეს მალმალე

ერთი უბრალო სიტყვა - : „სიფრთხილე!“

№45-ში გამოქვეყნდა ზ. მახარაძის ლექსი „რა დღეს მოვესწართ!“ ავტორი ამბობს, რომ ბატონყმობის გაუქმებამ გამოიწვია ძარცვა, მკვლელობა, გლესები გათამამდნენ და არავის არაფრად ავლებენ.

1869 წელი.

№6-ში გამოქვეყნდა ზურაბ მოენიძის (ანტ. ფურცელაძე) ლექსი „სავათნაოსებური“.

„მოდით, ვისაც გინდათ,

ზურგზედ შემსხედით,

ღებით და მათრახით

ჩემზედ გამხედრდით,-

ქერი დამიყარეთ-

გემსახურებით...

ამიკარით პირი:

მხედავთ ვარ ვირი!“

№7-ში დაიბეჭდა დავით ერისთავის XXX-ს. „ძნაო პოეტო! როს ვკითხულობ შენსა ლექსებსა“. ავტორი საყვარელ პოეტს მადლობას უხდის რომ მამულის პატივისცემა და სიყვარული ასწავლა; საყვედურობს, რომ აღარ აქტიურობს და მოუწოდებს გამოლვიძებისკენ.

№9-ში ორი ლექსია გამოქვეყნებული: ხელმოუწერელი „მხედარი“ (მიბაძვა ჰუმკინისა) და ლიხაურელის „მეც ვიყავ ნორჩი და სავე გრძნობით“. პირველ ლექსში მოყოლილია ამბავი, თუ როგორ მოატყუა მხედარმა ქალი, წაიყვანა და ორი კვირის მერე დააბრუნა. მეორე ლექსში ავტორი თავის თავზე საუბრობს-ახალგაზრდა როგორ იყო მამულის სიყვარულით სავსე და წლების მატებასთან ერთად, სიყვარული მწუხარებამ შეცვალა.

№10-ში კი დაიბეჭდა დიმიტრი მელვინეთხუცესოვის „მოგონება“. ავტორი იგონებს ეკლესიაში ყოფნის ეპიზოდს და ლექსის ბოლოს ასეთ განმარტებას აკეთებს: „1848 წელსა ბორჯომის მთაში უდაბურს ალაგს, მქონდა მე მონდობილი სხვათა შორის ამ ეკლესიის „კიმოთის მანის“ ნახვაც, ქართულის წერილების განმალვიძებელის, აკადემიკის უფ. ბროსეტისაგან არხიოლოგიურს ცნობის შესაკრებად საქართველოს ისტორიისათვის“. (სავარაუდოდ, იგულისხმება ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი).

№13-ში დაიბეჭდა გრიგოლ დადიანის (ფსევდ. კ და კოლხიდელი) ორი ლექსი: „ჩემს ძ. კ.“ და „ნამარნევის მონასტრის მსხემი“.

№15-ში გამოქვეყნდა გ. ჭალადიდელის (გიორგი ქოჩაქიძე) ორი ლექსი: „იმედი“ (მიხაძვა შილლერისა) და „დარჩენილი ჩერგები“. (ქუთაისს)

„იმედი მარად მასთან თამაშობს,

ვით დედა შვილთან ტკბილათა ხარობს.

ყმანვილს ატარებს, გულსა უყვავებს

და მოხუცსაცა მითი აპურებს,

რომ შემდეგ სოფლის მოშორებისა,

მოვლის დრო მას ნეტარებისა....“ [“იმედი“]

„დარჩენილ ჩერგებში“ ავტორი იხსენებს, შავი ზღვის პირას მყოფი როგორ შეხვდა ჭაბუკს, რომლის მშობლები, ძმები და ამხანაგები შორ ქვეყანაში წავიდნენ და ის კი მარტო დაიარება.

„.....შევსწირე უფალს მადლობა

მისთვის, რომ ვნახე მე ერთი სული,

რომელსაც ჰქონდა კეთილი გრძნობა

და მოძმებისა ღრმა სიყვარული.“

დანართი 4.5

პოეტური თარგმანი

1866 წელი

№22 – „მატლი“ (დობროლიუბოვიდამ), მთარგმნელი აკაკი წერეთელი.

1867 წელი

№23 – „სურათი“ (რუსულით), მთარგმნელი დავით ერისთავი.

№28 – „ვენგრული სიმღერა“ (ლეოპარდიდამ), მთარგმნელი ანტონ ფურცელაძე.

№29 – „ჩადრი, ძველებური ბალლადა მორიც ლარტმანისა“, მთარგმნელი თომა კარგარეთელი (კირილე ლორთქიფანიძე). ლექსს ერთვის შენიშვნა, სადაც მთარგმნელი წებს, რომ ქართული თარგმანი შორსაა ნამდვილი თარგმანისგან, რადგან ქართულად გადმოთარგმნილია რუსული თარგმანისგან და ქართულად გადმოთარგმნა ისეთმა ადამიანმა, რომელსაც პოეტურ ნიჭზე არ აქვს პრეტენზია.

1868 წელი

№10 – „ზრდილობიანი ხალხი!“ (რუსულით), მთარგმნელი დავით ერისთავი.

№18 – „დრონი“, საიათნოვა.; „ცხენი და ვირი“ (ჰეინესი), მთარგმნელი თომა კარგარეთელი (კირილე ლორთქიფანიძე).

№32-ში გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა ლექსი („რუსულით“).

“ყველა კაცთ შთამოებანი

ეკლიანს ცხოვრების გზასა

განვლენ, -ახსნან საიჭვონი,

რანიც წინუდგას გონებასა.

ყოველი ჭაბუკობაში

გულ-ამაყად სჭვრეტს მყობადსა;

რა შედის მსცოვანებაში,

უძლურ ვარო, თვით სტირს თავსა.

დიდ ხარ ქვეყნად, ბოროტება!-

დრო უწყალოდ მიმდინარებს

და ცრემლ-მღვრელი მწუხარება

კაცთ არ მიაქვს უამთ მდინარეს.

ვგონებ, საშველი არ იქმნეს

ხალხს ბრძოლიდგან გამოსვლისა;

ვგონებ, შესაძლო არ იყოს

ბედნიერება იმისი. “

№38 – „მაშო“. (ნეკრასოვის), მთარგმნელი ლაზ. მეხის-შვილი (ს. მესხი).

№45 – „კარგი ზნის კაცი“ (ნეკრასოვიდგან), მთარგმნელი ი. მ. - ი (ივანე მესხი).

№46 – „საპრელი მამკალი ქალი“ (მერკანტინისა), მთარგმნელი გ. წერეთელი.

№49 – „ხელიდგან წასული საქმროები“, მიბაძვა ბერანჟესი (რუსულიდგან), მთარგმნელი ზ. მახარაძე.

№51 – „ამ დროის სიმღერა“, (ვეძღვნი ყოველთა საქმის მცოდნეთა), (დობროლოუბოვიდამ), (რუსულით), მთარგმნელი ი.-მ-ხი [ივანე მესხი].

1869 წელი

№7 – „ბედნიერი კაცი“ (ტენისონიდგან), მთარგმნელი დავით ერისთავი

№9 – „ერთგულს მეგობარზედ“ (მიხაილოვიდგან), მთარგმნელი ზ. ხითაროვი.

№10 – „კრიტიკელი დედა-კაცი მორეაში“. (გოცც-მილერიდამ), მთარგმნელი ი. მ-ი [ივ. მესხი].

№14 – „ვინსპერგის დედაკაცები“ (ძველი გერმანიული მოთხრობა პ. ვეინბერგიდგან),
მთარგმნელი ზ. ხითაროვი.

დანართი 4.6

1866 წელი.

№3670 [წერეთელი, გიორგი] მათუსალას აღსარება [ფელეტონი] (დროება, 1866, 4
მარტი, №1, გვ. 1-2; №2, 11 მარტი, გვ. 1-2).

№1913 [წერეთელი, გიორგი]. დედა-კაცის აზრი დედა-კაცზე (დროება, 1866, 1 აპრილი,
№5, გვ. 1-2).

№12267 [წერეთელი, გიორგი]. საკვირველი მოვლენა [კუნძულ ნეაკამენზედ ვულკანური
მოქმედება] (დროება, 1866, 15 აპრილი, №7, გვ. 1).

№9911 [წერეთელი, გიორგი]. ქართული თეატრი. კომედია “ცოლის შერთვევინება“ და
“ძალით აქიმი“ [პიესების შინაარსი და მსახიობთა თამაშის განხილვა] (დროება, 1866, 13
მაისი, №11, გვ. 1-3; №12, 20 მაისი, გვ. 1-2).

№12278 [წერეთელი, გიორგი]. ბუნების მეცნიერებიდან. წავი (დროება, 1866, 12 აგვისტო,
№24, გვ. 3-4).

№2834 [წერეთელი, გიორგი]. თბილისი, 19 აგვისტოს. ამ ნომერში
გბეჭდავთ...[კორესპონდენცია ქვიშეთიდან, სოფ. მლეთში სასოფლო ბანკის დაარსების
გამო] (დროება, 1866, 19 აგვისტო, №25, გვ. 1).

№5496 [წერეთელი, გიორგი]. ქუთაისიდან [ამინდი და მოსავალი. მემინდვრეობა და მევენახეობა. მებაღეობა. ბამბის მოყვანა. ჯანმრთელობა. აჯანყება აფხაზეთში. სათავადაზნაურო ბანკის დაარსება] (დროება, 1866, 7 ოქტომბერი, №32, გვ. 1-2).

№3672 [წერეთელი, გიორგი]. ტფილისი, 26 ღვინობისთვის. “ქართველო კაცო!...” [ქართველების ნაკლი. განათლების მდგომარეობა საქართველოში შედარებით ზანგებთან. ერთმანეთის მტრობა და ქიშპი. ბანკის დაარსების საქმე. დაუდევრობა და ტრაბახი] (დროება, 1866, 28 ოქტომბერი, №35, გვ. 1; №36, 4 ნოემბერი, გვ. 1-2).

№5497 [წერეთელი, გიორგი] ქუთაისიდან [ამინდი და მოსავალი] (დროება, 1866, 4 ნოემბერი, №36, გვ. 3).

№115 [წერეთელი, გიორგი]. ბუნების მეცნიერება და მისი დიდი ღვაწლი ხალხის განათლებისათვის (დროება, 1866, 18 ნოემბერი, №38, გვ. 3).

№10240 [წერეთელი, გიორგი]. ქუთაისი [სათეატრო წარმოდგენები ახლად გახსნილ ქალთა უფასო სასწავლებლის სასარგებლოდ] (დროება, 1866, 30 დეკემბერი, №44, გვ. 3-4).

1867 წელი.

№3675 [წერეთელი, გიორგი]. ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები. [გაზ. “დროება“ და მისი მკითხველი. საზოგადოებრივი ცხოვრება] (დროება, 1867, 6 №1, იანვარი, გვ. 1-3; №2, 13 იანვარი, გვ. 1-2).

№12257 [წერეთელი, გიორგი]. მზის დაბნელება რომელიც მოხდება 22 თებერვალს (დროება, 1867, 10 თებერვალი, №6, გვ. 4).

№393 [წერეთელი გიორგი]. თბილისი, 23 თებერვალს. “ამ ნუმერში მკითხველები წაიკითხავენ უმაღლესს უქაზს გლეხების განთავისუფლებაზედ სამეგრელოში...“ [მოწინავე ეხება ამ საკითხს] (დროება, 1867, 24 თებერვალი, №8, გვ. 1).

№5498 [წერეთელი გიორგი]. ქუთაისიდან [ამინდი. სიძვირე. იმერლების ზოგი ჩვეულების ნაკლი. სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების გამო. გიმნაზიელების მიერ გამართული წარმოდგენა “რევიზორი“ რუსულ ენაზე და სხვ.] (დროება, 1867, 17 მარტი, №11, გვ. 2).

№5495 [წერეთელი, გიორგი]. “დროების“ კორრესპონდენცია [ქუთაისიდან]. დაწვა. ხალხის გულგრილობა. სოფლის ახალი სასამართლოები. ფრიად საწყენი ფაქტი. ჩვენებური დარი და გაზაფხული (დროება, 1867, 31 მარტი, №13, გვ. 1).

№11328 [წერეთელი, გიორგი] მგზავრის წიგნები (დროება, 1867, 24 მარტი, №12, გვ. 3-4; №13, 31 მარტი, გვ. 3-4; №15, 14 აპრილი, გვ. 3-4; №36, 8 სექტემბერი, გვ. 3; №37, 15 სექტემბერი, გვ. 3; №39, 29 სექტემბერი, გვ. 3-4).

№11511 [წერეთელი, გიორგი]. ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი (ზღაპრული მოთხრობა) (დროება, 1867, 12 მაისი, №19, გვ. 2-3).

№1914 [წერეთელი, გიორგი]. პოლიტიკური უფლება დედაკაცისა (დროება, 1867, 12 მაისი, №19, გვ. 3-4; №20, 19 მაისი, გვ. 3-4).

№3671 [წერეთელი, გიორგი]. რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ (დროება, 1867, 23 ივნისი, №25, გვ. 2-4).

№12422 [წერეთელი, გიორგი]. ქუთაისიდან [წყალდიდობა და მისი ერთი მიზეზთაგან-ტყეების მტაცებლური ექსპლოატაცია] (დროება, 1867, 21 ივლისი, №29, გვ. 1).

1868 წელი.

№10 - აგენტი თომა პეპინოვის განცხადება რუსეთის მეორე ცეცხლის განმარინებლის, 1835 წელს დამტკიცებულის საზოგადოების სააგენტოსაგან იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ ის აირჩია აგენტად და მან ჩაიბარა ხალხის სახლები ცეცხლისგან დასაცავად თბილისში, განჯაში, ვლადიკავკაზში, გორში და მახლობელ ადგილებში.

№14 – განცხადება „დროების“ მკითხველებს, რომ გაზეთი დღესასწაულების გამო მეთოთხმეტე ნომრის გამოსვლა ერთი დღით დაგვიანდა.

№20 - უ. ნ. სიტოვსკის განცხადება იმის შესახებ, რომ თბილისში, მუშტაიდის ბაღის ბოლოს სხვადასხვა შინაური ფრინველის კვერცხები. ფასები მითითებულია.

№35, №36, №40 - განცხადება სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალის „მნათობის“ გამოცემაზე.

№40, №41 - განცხადება „სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე 1869 წელს.

№41 – „სასოფლო გაზეთის“ პროგრამის შესახებ.

№45 - განცხადება რუსულად და ქართულად დაბეჭდილი საქრისტიანო მოძღვრება კათოლიკე ყმანვილებისთვის გაყიდვის შესახებ. (ფასი 20 კაპიკი)

№46 - გაზეთ „დროების“ გამოცემის შესახებ 1869 წელს.

№49 - განცხადება „სასოფლო გაზეთის“ №39 დაბეჭდილი მაგალითის შესახებ, რომელიც ეხება თუ როგორ აღირიცხება თბილისის გუბერნიაში დასახსნელი სესხი გლეხებისთვის. (ჩარჩოში ჩასმული განცხადება)


1869 წელი.

№1 - ლუარსაბ ლოლუასა და დავით აბდუშელიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პირებს ვისაც საქმე ექნებათ ქუთაისის ოლქის სასამართლოში, ისინი პირდებიან დაცვას. (ჩარჩოში ჩასმული განცხადება)

№5, №9, №10, №11 - ენების მცოდნე სოფიო ალექსანდრეს ასულ დანელოვის განცხადება, რომ მან გახსნა სკოლა სოლოლაკში, რომელშიც ენების გარდა სამეცნიერო საგნებიც ისწავლება.

№11 - რაჟდენ ბედიანიძის განცხადება, რომ ბულვარზე, შიოვეის სახლში გახსნა ბერძნული მაღაზია, სადაც საქონელი იათვად იყიდება.

დანართი 7.5



დანართი 8.1

ნეკროლოგები

1866 წელი.

№33-დაიბეჭდა ნეკროლოგი ისტორიკოს თავად სულხან ბარათაშვილის გარდაცვალების შესახებ. „რადგანაც ამისი სახელი არ იყო გავრცელებული ჩვენს ლიტერატურაში და იქნება ბევრს ქართველს აქამდის არცკი ვაგვონოს იმისი სახელი, ამიტომაც ვეცდებით შემდეგ „დროების“ № - ში მოკლეთ გავაცნოთ მკითხველებს ეს პირი“. [დროება 1866:1]

შემდეგ ნომერში, №34, გამოქვეყნდა ვახტან თულაშვილის წერილი „რამოდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ“. წერილში საუბარია, რომ სულხან ბარათაშვილი დაიბადა 1821 წლის 17 სექტემბერს. 1834 წელს, გიმნაზიაში სწავლის დროს, გადაიყვანეს

პეტერბურგში, პავლოვსკის კადეტების კორპუსში. დასრულების შემდეგ, ავადმყოფობის გამო, სამოქალაქო სამსახური აირჩია და იმავე წელს ჩამოვიდა თბილისში, ხოლო 1841 წელს სამხედრო სამსახურში შევიდა.

მან პეტერბურგში ყოფნისას დაიწყო საქართველოს ისტორიის დანერა და როდესაც ჰკითხეს, რატომ დაიწყო იქ წერა, უპასუხა: „.....*მე ეს აზრი გულში ჩავინერგეო.....იმის შემდეგ, როდესაც ერთს ისტორიის კლასში ჩვენმა მასწავლებელმა, ჩერნიაევმა თამარის მეფის დროს საქართველო დაადარაო საბერძნეთსა; ამის შემდეგ ჩავინერგეო გულში ჩვიდმეტის წლისამ, რომ შემეტყოვო მიზეზი საქართველოს ამ გვარად გაძლიერებისა და შემდეგ იმის დაცემისა.....*“ [დროება 1866:3].

ბარათაშვილმა მოაგროვა მასალები პეტერბურგში და შემდეგ გადაწყვიტა თბილისშიც შეეგროვებინა. მისი განზრახვა ბევრმა სასაცილოდ მიიღო და ახალგაზრდა კაცი დაღონდა, მაგრამ უარის თქმას არ აპირებდა.

1844 წელს მეუღლე შეირთო და ოჯახის შენახვა იყო საჭირო. მაგრამ ისტორიისთვის თავი არ დაუნებებია. ქალაქგარეთ გადავიდა და დანერა პროგრამა „*Краткое историческое обозрение постепенного надения Грузинскаго царства*“, რომელიც იწყება დავით აღმაშენებლიდან ერეკლე მეორემდე.

ბოლო ხანებში ბევრმა ჯაფამ, ცხოვრებისეულმა უსიამოვნებებმა, უდროოთ დააბერა და მაშინ მიჰყო ხელი თავისი სურვილის ასრულებას. დანერა პირველი რვეული „*История Грузии*“, რომელიც 1865 წელს დაიბეჭდა. მეორე, მესამე და მეოთხე რვეულებიც მზად ჰქონდა და მათი დაბეჭდვაც უნდოდა, მაგრამ აღარ დასცალდა....

„.....ბარათაშვილი თავ-გადადებული იყო იმ საქმისთვის, რასაც ყმანვილობითვე შეუდგა.იმას ბევრი წვალეა და ძალიან ბევრი ხარჯიც უნდა, მაგრამ ის ამისთვის არათერს იშურებდა.....ის იყო კარგათ განათლებული კაცი, რიგიანი ქართველი და პატრიოტი.ის არ გვანდა იმ ტყუილ განათლებულ კაცებს, რომლებიც თუთი-ყუშებივით დაისწავლიან

რამდენსამე ახალს სიტყვებს და სადაც მოხვდებათ, საჭიროა თუ არა, წინდაუხედავად გამოისვრიან. ამან თავისის მეცადინეობით ისწავლა ფრანციკული, ლათინური და ნემეცური ენები.....სულხან ბარათაშვილ დარჩა ცოლი და რამდენიმე წვრილი შვილი“ [დროება 1866:4].

№38-გამოქვეყნდა ნეკროლოგი ნიკოლოზ მურავიევის გარდაცვალების შესახებ. „.....ეს არის ახლა მივიღეთ ჩვენ ცნობა, რომ 23 ოკტომბერს გარდაიცვალა გენერალი ატინფანტერი, გენერალი ადიუტანტი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიევი, რომელიც ნამესტნიკათ იყო კავკასიაში“ [დროება 1866:3].

1867 წელი.

№13 -გამოქვეყნდა ნეკროლოგი ნიჭიერ მსახიობ ნ. (იაკობ) სააკაშვილის გარდაცვალების გამო. 24 წლის იაკობ სააკაშვილი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. ახალგაზრდა ნებისმიერი სასარგებლო საქმისთვის დაუზარელი იყო.

№23 - დაიბეჭდა ნეკროლოგი ოდესის იქაური უნივერსიტეტის სტუდენტის თომა მაჭავარიანის ჭლექის გამო გარდაცვალების შესახებ. წერილის ავტორია მ. ბეთანიშვილი. მისი თქმით, ის უურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა ხოლმე პატარ-პატარა სტატიებს. 1866 წელს კი „დროების“ №29 და №30 დაიბეჭდა მოკლე მოთხრობა “მურზაყან ნაბერალის ცხოვრებიდამ”.³³

თომა მამამ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. მესამე კლასში ყოფნის დროს, მამა გარდაეცვალა და მასზე ბიძამ, სპირიდონ მაჭავარიანმა დაიწყო ზრუნვა. მ. ბეთანიშვილმა თომა მაჭავარიანი პანსიონში გაიყვანა. ის სუსტი აგებულების იყო, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ სწავლაში ბეჭითი და შრომისმოყვარე.

1860 წელს მეოთხე კლასელმა (16 წლის) თომამ საცდელად გააგზავნა პირველი სტატია „სამშობლო ენისათვის“ „ცისკარში“. ძალიან გაუხარდა როცა იმავე წელს გამოცემაში თავისი

³³ უფრო ვრცლად იხ. IV თავი, ქვეთავი პროზა.

ნამუშევარი აღმოაჩინა. უფრო გულმოდგინებით დაიწყო ქართული ენის სწავლა და ძველი წიგნების კითხვა.

პირველ სტატიაში ის ასეთ რამეს წერდა: „საყვარელნი ძმანი ქართველნი. ვთხოვ მომცეთ ნება, რამოტელიმე სიტყვის თქმისა სამშობლო ენისათვის და მამულისათვის, მოვახსენოთ რომა არიან კაცი, რომელნიც ივინყებენ ენასა თვისსა და იძულებენ მამულსა თვისსა, უდგებიან სხუათა ენათა და მიენდობიან სხუათა მამულთა; ხოლო კაცი ამისთანა არა არს კეთილი, არამედ იგი არს....ჩუკნ ვხედავთ ახლა მავალითებს, რომელნიც სჩადიან ასე, არ იციან ღირსად ენა თვისი ქართული და იციან ფრანგული.....თუმცაღა სურსთ მცირეთა ქართველთა აღდგინება სამშობლოდსა, მაგრამ რითი? ერთი ანობს, მე ფრანგულს ვისწავლი, ის მირჩევნიაო, მეორეც ემონშება, მეც ავრეო, მესამე ანობს მე რუსულს ენაზე პოეტი უნდა ვიქნეო; ხოლო მეოთხე ანობს რათა, მე ჩემი ენა მაქუს და სჯობს დავისწავლო ენა ჩემი კარგათ და ნათხოვარ ენას მაინც ემჯობინებაო. მაგრამ ამ ერთმა რა ენას, როგორც ერთს ზარას არ ძალუძს მონოდება ქუქყნისა, ეგრეთვე არც ერთს კაცს ძალუძს აღდგინება დაცემულის ენისა; ეხლა რა ყველანი ვგრძნობთ, არა არს კარგი დავინყება სამშობლო ენისა, შეუდგეთ სუყველანი ქართველნი მის გამართვას, და დავიკავოთ ენა ჩუკნი, როგორც ეკავათ წარსულთ საუკუნეთა მამა-პაპათა ჩუკნთა;.....“ [თ. მაჭავარიანი 1860:540-541] .

მისი სტატიებია ასევე „ვარძიის მონასტერი“, „კიცხთ მაჭავარიანების შთამომავლობა“ და სხვ. ასაკის მატებასთან ერთად, სუსტდებოდა და ავით ხდებოდა. მეექვსე კლასიდან ვეღარ შეძლო სწავლის გაგრძელება, გამოვიდა და ორი წელი სოფელში იმყოფებოდა. სოფლის ჰაერმა გამოაცოცხლა და 1865 წელს ოდესის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად.

წავიდა და მობრუნება აღარ დასცალდა. „.....ზეცამ გამოგზავნა ქვეყნად სამწუხაროდ, შეუბრალებელმა ბუნებამ დავიმონავა შენ სიყრმიდგანვე და გსდევნიდა უწყალოდ; ბოლოს შეგიპყრა უდროოდ, გკრა გულში თავისი გესლიანი ისარი, მოგტეხა წელი და სამუდამოთ

დავაჯკნო ჯერეთ გაუშლელი მამულის ნორჩი ყვაელი!-“ ასე ასრულებს მ. ბეთანიშვილი ნეკროლოგს [დროება 1867:3].

1868 წელი.

№33 - დაიბეჭდა ნ. ცხვედაძის ნეკროლოგი დეკანოზ მიხეილ გურგენიძის გარდაცვალების შესახებ. დეკანოზი მოსკოვში გარდაიცვალა და გამოასვენეს ბატონიშვილების კარის ეკლესიიდან. წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს: „ვაი სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა მნე გჭირსა, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საით ძირსა.“³⁴

ცხვედაძე წერს მის ბიოგრაფიაზე, რომ დაიბადა 1822 წლის 30 ოქტომბერს. ისწავლა თბილისის სემინარიაში. დასრულების შემდეგ თბილისში აკურთხეს მღვდლად. პატიოსნების და სიმართლისმოყვარეობის გამო, ბლალოჩინის თანაშემწედ. იმ პერიოდში მოსკოვში იბეჭდებოდა ქართული წიგნები და სჭირდებოდათ ქართული ენის მცოდნე. ამიტომ მიხეილ გურგენიძე 1848 წელს წავიდა მოსკოვში. ორ წელიწადში ლაზარევის ინსტიტუტში და კონსტანტინის მეყუევის ინსტიტუტში ასწავლიდა ქართულ ენას. 1857 წელს გახდა დეკანოზი 1859 ან 1860 წელს ბატონიშვილებთან³⁵ ერთად ევროპა შემოიარა.

1864 წელს სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მიზეზების გამო ვერ მოახერხა. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბატონიშვილები არ უშვებდნენ. ჭლექის ნიშნები აღრიდანვე ჰქონდა, სააღდგომოდ გაცივდა და ლოგინად ჩავარდა.

რაც შეეხება მის პიროვნებას, ის ყოველთვის ხელს უმართავდა განათლების მოსურნე ახალგაზრდობას, ფინანსურადაც კი. ხშირად ამბობდა: „მინამ საქართველოს ძვალში და რბილში არ გაუჯდება განათლება, მანამ იმის წამდვილი კეთილ-დღეობა

³⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, წასვლა ავთანდილისგან ფრიდონისასა.

³⁵ იგულისხმებიან გიორგი XIII-ის შვილიშვილები.

მოუფიქრებელია.....უნდა ჩვენმა ახალ-გამღებმა მიიღონ გვარიანი განათლება და ეცადონ, რომ თავის ქვეყნის კაცები განათლებით ფეხზედ წამოაყენონ, რომ იქნება, ჩვენც როგორმე ნუთი-სოფელში ვაგერიოთ“ [დროება 1868: 3].

ბოლოს ასე ასრულებს: „.....მ. დეკანოზი გურგენიძე ამ სოფლათ მოკვდა; მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება მისი სახელი ჩვენ ყმანვილ-კაცებს შორის! ახალ თაობას მოსდევს იმოდენა ძალა, სიმართლის სიყვარული და ცოცხალი მეხსიერება, რომ მაგ გვარი მიმართულების კაცების სახელი ჩაიბეჭდოს თავის გონებაში და ღირსეულად მოიხსენოს ხოლმე“ [დროება 1868: 3].

ამავე წლის №39 გამოქვეყნებულია ვ. გამრეკელის „რამდენიმე სიტყვა გარდაცვალებულს დეკანოზ მიხეილ გურგენიძეზე“. წერილში ის უსამძიმრებს ქართველ სტუდენტებს დეკანოზის გარდაცვალებას და იხსენებს მის სასიკეთო საქმეებს.

№48 - ნეკროლოგები ცნობილი მანესტრო ჯოაკინი როსინისა და ბარონ ჯემსი როჩილდის პარიზში გარდაცვალების შესახებ.

მანესტრო როსინი დაიბადა 1792 წელს რომანში. თავიდან არ უნდოდა მუსიკის სწავლა და ამის გამო შეგირდად მჭედელს მიაბარეს. ამან ისე იმოქმედა, რომ გულმოდგინედ შეუდგა მუსიკის და სიმღერის სწავლას. საყდარში გალობით ოჯახს არჩენდა. ბოლონის ლიცეუმში მუსიკის კლასში სწავლობდა და პირველი პიესის დაწერის შემდეგ, მუსიკას მიუძღვნა თავი. მისი პირველი სასცენო ოპერა იყო „Combiolle di matrimonio“. მასვე ეკუთვნის „ტანკრედი“, „იტალიის ქალი ალჟირში“, „ოტელო“, „წინასწარმეტყველი“, „gazza ladra“, „სივილის დალაქი“ და სხვ. 1823 წელს მიიღო ინგლისიდან მონვევა და იქ დაწერა ოპერა „Figlia del'aria“. შემდეგ გადავიდა პარიზში და ჩაიბარა იტალიური თეატრი. გამოსცა სამუსიკო პიესების კრებული, წარადგინა ოპერები „კორინთის აღება“, „მოსესი“ და სხვ.

1849 წელს მეორედ დაქორწინდა და ბოლონიაში დასახლდა, შემდეგ თლორენციაში გადავიდა. ამ დროს უკვე ავად იყო. ბოლოს საფრანგეთში გარდაიცვალა. მისი ბოლო თხოვნა იყო „გალობა“.

ბარონი ჯემსი როჩილდი დაიბადა 1792 წელს. ხუთი დედამამიშვილიდან იყო უმცროსი. 1812 წლიდან გახდა პარიზის სავაჭრო სახლის უფროსი და მიიღო ავსტრიის კონსულის ხარისხი. როჩილდების სახლი პარიზში ძალიან განთქმული იყო. მათთან ჭკვიანი და წარმატებული ფრანგები იკრიბებოდნენ. ჯემსი როჩილდი იყო პირველი გასტრონომი, მაგრამ საკვებზე უფრო ხელოვნებას აფასებდა. მისი თქმით, „სიმდიდრე ყველას ავალებსო, და იმის კუბოსაც მრავალნი გაჰყვებიანო, რომელთაც მიუღიათ იმისაგან ნუგეში და შენევნაო“ [დროება 1868:4].

დანართი 9.1

„საყვარელო ძმაო კირილე!

მიკვირს ეს ორი წელიწადია, რომ შენგან წიგნი არ მომსვლია. იქნება მიწყრები; მაგრამ ჩვენ შორის წყრომას ადვილი არ ექნება; მაშ რას უნდა მივანერო შენი ავრეთი გულ გრილობა?.. გაზეთზედ რატომ არას იწერები. იქნება ღირსად არა ხდი, რომ იმაზედ რაიმე ყურადღება მიაქციო; მაგრამ ამას კი გეტყვი. -თუ საზოგადოთ დაწინავებულის კაცის აზრში ჩვენს გაზეთს მართალია ბევრი ნაკლულევალება აქვს, მაგრამ მით უფრო მოსწონს ის ჩვენს საზოგადოებას. ამ ბოლოს და ბოლოს განსაკუთრებით უფრო და უფრო მიიზიდა მკითხველები. კვირა არ გაივლის, რომ ხელის მომწერი არ მიემატოს. ახლა მე ვკონებ, 400-ზედ მეტი უნდა იყოს ხელის მომწერი, გეუბნები ვკონებ, იმისთვის რომ მართლად არ ვიცი, რადგანაც ეს საქმე-უფრო გამომცემლებს შეეხება და მე ამ საქმეში კომპენტენტი არა ვარ. ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენს გარემოებაზედ უნდა ვითხრა. ვიდრე ის დიდ შემთხვევა³⁶ აღმოებრწყინდებოდა პეტერბურგის არემედ, ჩვენი მდგომარეობაც იმდენად სულ შეხუთული არ იყო. თუმცა კი

³⁶ იგულისხმება კარაკოზოვის ტერორისტული თავდასხმა ალექსანდრე მეორეზე 1866 წ. 4 აპრილს.

ხალხობას აშკარად სდევნიდენ მაშინაც და ნევეროვმა, რომელსაც ჩვენ აქ “ციკლოპსა“; ვეძახით და ნამესტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოთხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ, მაგრამ მაინც კიდევ როგორც იყო უფრო თავისუფლად ვიბამდით (?) სულსა; ეხლა კი სრულებით შევიბორკილენით გონიერებით. არავითარის ხეირიანის აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევენ, აგრეთვე მთავრობის განკარგულებებშიაც იმისთანა ბრძანებანი გაიცა, რომ სრულებით ლამის, ჩვენს ქვეყანაში, ან წყვილად სიბნელე მოჰფინოს და ან რუსეთის კამარა თავს გადმოგვახუროს. ჩვენებურს აფიცრებს უთხრეს ან რუსეთში წადით სამსახურში და ან სულ სამსახურიდგან გამოდითო. ეტყობა, იმედი არა აქვთ იმათზედ. ქართულს ენას სდევნიან; ამტკიცებენ სტატიებით რომ მეგრელები სულ სხვა ტომისანი არიანო და უნდა სხვა გვარი ანბანი შევუდგინოთო. ზევით რომ პროექტი გითხარი იმის აზრი აი რას შეიცავს. -უნდათ მასწავლებლების სემინარია დაარსონ. ამ სემინარიაში მიიღებენ სასულიერო სემინარიის ყმანვილებს, როდესაც ისინი იქ სწავლას შეასრულებენ. გემოხსენებულს მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს “учительская семинария“ ამ სასწავლებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმანვილები, შემდეგ იმათ გაავზავნიან მასწავლებლებათ “სასოფლო სკოლებში“, სადაც იმათ გლეხების ყმანვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი; ქართული კი არას გზით არ უნდა ასწავლონ. ასე ამრიგად მთელი ხალხობა უნდა გაარუსონ. თვით ჩვენი საზოგადოებაც ისე მიძინებული და შეშინებულია, რომ ან არას გრძნობს და ან თუ გრძნობს შიშისაგან ხმა ვერ ამოუღია, ამ გვარს მღვთმარეობაში მითხარით რა უნდა ვქნათ? ნუთუ ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მადაურ ჰაერს უნდა შეაჩერდეს და სამშობლოსთვის არ უნდა იფიქროს?-ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლეელი არ დაგვიძახონ. ახლა ღვთის მადლით ტფილისში შეუძლიან ყოველს ჩვენთაგანს, თუ მეტს არ გამოვეკიდებით, თავისის შრომით შეუძლიან ყოველს ჩვენთაგანს, თუ მეტს არ გამოვეკიდებით, თავისის შრომით დარჩეს, კანდიდატის დიპლომიც რომ არ ქონდეს, თუ არ ჩამოდით და არ

მოგვეხმარეთ ძლიერ სასაშიშრო მღვთმარეობაში არის ჩვენი საქმე; "ქართველი ღაეცა მოსხლეტით და დღითი დღე ეპარება იმას სიცოცხლე".....

შენი ძმა გიორგი წერეთელი

ტფილისი, 3 ივლისს, (1867 წ.)

[ს. ხუნდაძე 1931:413-414].

დანართი 10.1

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გიორგი წერეთლის არქივი.

№23-ეკატერინე იაშვილის რეფერატი გ. წერეთლის შესახებ მწერლის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო. 1925 წლის 11 თებ. (15 გვ.)

რეფერატი გიორგი წერეთელზე.

„წელს შესრულდა 25 წ. რაც გარდაიცვალა ~~აქვენი~~ ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი. დაიბადა 1842 წ. სოფელ გორისაში, ზემო იმერეთში შორაპნის მაზრაში მამა მისი ექვთიმე წერეთელი დიდი სწავლის მოყვარე იყო და სცდილობდა, როგორც თავისიანებზე აგრეთვე სხვებზედაც ~~ცდილობდა~~, რომ ყველა განათლების გზაზე დამდგარიყო. მაგრამ აღზრდის საქმეში ექვთიმეს სასტიკი მოპყრობა რწამდა ძველებური ანდაზის მიხედვით "შვილი მტრულათ გაზარდე მოყვარეთ გამოგადგებაო". გიორგის დედა ~~აღრე~~ ~~გარდაიცვალა~~ არ ახსოვდა, რადგანაც აღრე გარდაიცვალა. პატარა გიორგის ჯერ მამა ასწავლიდა, ის ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. კურსის დასრულების შემდეგ გიორგი გაემგზავრა პეტროგრადის უნივერსიტეტში. 1860 წ. წელს რადგანაც მესამოცე წლებში ახალთაობაში ძალიან

გავრცელებული იყო იყო ბუნების მეტყველობა, ამიტომ გიორგიც გაიტაცა ამ სიყვარულმა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი აირჩია. უნივერსიტეტში გიორგი ცალკე მეცნიერებას ~~წევროდა~~ ენაფობდა, ამავე დროს შორიდანვე ვაფაციცებით აღევნებდა ჩვენ ცხოვრებას თვალყურს; მომავალი მოღვაწის ძარღვი და ნიჭი მაშინვე ეტყობოდა. და ოცნებობდა, მეცნიერებისათვის შეენირა სრულიათ თავი. 1861 წელს სტუდენტების არეულობა მოხდა; ამ მოძრაობაში გიორგიმ მიიღო, რის გამოც დაიჭირეს, ორი კვირა [პეტერეპავლელოვის] ციხეში დაამწყვდიეს და აქედან გამოშვების შემდეგ უნივერსიტეტში შესვლა აღუკრძალეს. სალიტერატურო ასპარეზე გიორგი სტუდენტობის დროსვე გამოვიდა:

1862 წ. ~~წერდა~~ თერგდალეულის სახელით „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პოლემიკური შინაარსის წერილი, 1863-ს კი ილია ჭავჭავაძის ახალ უურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი „ცისკარს რა აკაკანებს“ 1863 წელს გასულს გიორგი დაბრუნდა სოფელში. 64 წ. თბილისში ჩამოვიდა და პანსიონში ქართული ენის მასწავლებლათ შევიდა. 65 წ. თბილისში გაიმართა სტეფანე მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბა, რომლის მოთავეთ იყვნენ ნიკ. ლოლობერიძე და ვახტანგ უთელაშვილი მეისტორიე დიმ. ბაქრაძე. მათ განიზრახეს გაზეთის გამოცემა და ამიტომ მოიწვიეს გიორგი რედაქტორათ. გამომცემელათ კი სოსო სოსიკო მელიქიშვილი. დიდ მეცადინობის შემდეგ მიიღეს ნებართვა 1866 წელს მარტში გამოვიდა პირველი გაზეთი „დროება“. ამ დროდან იწყება გიორგის მუდმივი შრომა სალიტერატურო ასპარეზე. პირველ წლებში გაზეთს ცოტა ჰყავდა [ოჯახის] მომწერი რადგანაც გაზეთი ჩვენში სულ ახალი საქმე იყო მაშინ თანამშრომლებიც ცოტანი იყვნენ და ამის გამო რედაქტორს დიდი შრომა ადგა. სტამბა და გაზეთი ძალიან ნაკლებ შემოსავალს იძლეოდა, რომ რედაქტორს თვეში ოცდაათ მანეთზე მეტი არ ეძლეოდა ჯამაგირი. ასეთი მცირე ჯამგირით გიორგის რასაკვრელია არ შეეძლო თბილისში ეცხოვრა და გაზეთსაც გაბლოლოდა. ამიტომ ის იძულებული იყო კერძო ვაკვეთილებით დაეკმაყოფილებინა თავისი ცხოვრება. 67 წელს გიორგის რედაქტორობით გამოვიდა თბილისში „ვეფხისტყაოსანი“ და გიორგი ერისთავის სრული თხზულება ორ წიგნათ. ეს პირველი გამოსვლა იყო ერისთავის ნაწარმოებისა 1868 წელს გიორგი დააფუძნა საკუთრათ „სასოფლო გაზეთი“ სოფლის ხალხისათვის. ასეთ

ჯაფაში იყო გიორგი 69 წ როდესაც მეტი შრომით დასუსტდა დასწეულდა და იძულებული იყო გაზეთი ვარდაეცა განსჯენებული სერგეი მესხისათვის . ამავე წლის გასულს ის გაემგზავრა პეტროგრადის. იქ უნივერსიტეტში დაიჭირა ეგზამენი ქართული ენის მასწავლებლობაზე იქიდან დაბრუნების შემდეგ თანავე განწესებული იყო თბილისის რიალურ სასწავლებელში და ქალების ინსტიტუტში მასწავლებლათ. ამავე დროს მან იჯარით აიღო ერთი სტამბა, რომ ლიტერატურული შრომა უფრო გაეადვილებია. 71 წელს მან დაიწყო „კრებულის“ ბეჭვდა, რომელშიდაც გიორგისთან ერთათ დიდ მონაწილეობას იღებდა ნიკო ნიკოლაძე. გიორგის იდიალი დასავლეთ ევროპა იყო; ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპიული ცხოვრების გზაზე გზით მიდიოდა და ლონეს და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებია და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთხოვნილება და მიდრეკილება დაენახებია. მისი შრომა, რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო მან განიზრახა ევროპის ცხოვრების ადგილობრივთ შესწავლა, კიდევ მეტი ცოდნის შეძენა და ამ მიზნით 1873 წელს ბევრ ჩვენებურ ყმანვილ კაცებთან და ქალებთან ერთათ წავიდა საზღვარ გარეთ; კრებული გადასცა კირილე ლორთქიფანიძეს და „სასოფლო გაზეთი“ პეტრე უმიკაშვილს. რამდენსამე ხანს ციურიხში იყო შემდეგ უენევაში გადავიდა, რადგანაც ფული შემოაკლდა, უენევიდან საქართველოში დაბრუნდა დაავირაუა თავისი ადგილი მამული და ისევ შვეიცარიაში წავიდა. შვეიცარიადან გადავიდა მიუნხში აქ 73 წელს შეირთო პირველი ცოლი ოლაპიადა ნიკოლაძის ასული; ამის შემდეგ უმთავრესათ ფრანკფურტსა და მიუნხანში ცხოვრობდა ამ დროს განმამლობაში გიორგი გაჭირვებულათ ცხოვრობდა და იძულებული იყო მიემართა სხვა და სხვა საშუალებათათვის თავის სარჩენათ: სხვათა შორის ის ატარებდა წყმცურ გერმანულ წიგნებს გასაყიდლათ და ავრცელებდა ახალ დარსებულ ნახატებიან გაზეთს და თითო ხელის მომწერზე ეძლეოდა თითო ბარკა ანუ 45 კაპიკი. ჯილდოთ ის თავ-ყურს ადევნებდა და სწავლობდა ევროპის ცხოვრებას, მეცნირებას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიას და არქეოლოგიას აქცევდა. საზღვარ გარეთიდან გიორგი 1877 წლის დამდეგს ჩამობრუნდა და პირველ ხანებში თავისი ცოლ-შვილით ქუთაისში ცხოვრობდა. როდესაც რუს-ოსმალოს ომი ატყდა, გიორგი ოსმალეთში გადავიდა; იქიდან რუსულ გაზეთს

[„Голосо“]-ს, რომელიც პეტროგრადში გამოდიოდა, კორესპოდენტებს უგზავნიდა. პატარა ხანს ის ცხოვრობდა ბათუმში; 1879 წლიდან „Тифлисский Вестник“ ში მუშაობდა და ამ გვარ ლიტერატურულ მუშაობაში ოთხი წელი გაატარა ე.ი. 83 წლამდე 81 წელს ის შეუამხანავდა ივანე მუხრანსკის და ზემო იმერეთში ჭალის მთაში ნავთის წარმოება დაიწყო. ჭალის მთიდან დაუნმენდელი ნავთი ტიკებით თბილისში ჩამოქონდათ და წმენდავდენ. წარმოების გაფართოვება რივიანათ დიდი სასარგებლო იქნებოდა მთელი ზემო იმერეთისთვის და გიორგიც ამიტომ შრომობდა, მაგრამ საქმე ძალიან ბევრ ფულს მოითხოვდა, უამისოთ მისი რივიანათ წაყვანა შეუძლებელი იყო ამიტომ გიორგიმ ნავთის წარმოებაზე ზემო იმერეთში თავი დაანება. ამდროს მოუკვდა ცოლი და სამი პატარა შვილებით ქუთაისში დაბრუნდა და აქ მსახურობდა რამდენიმე ხანს. 83 წელს ის დანიშნეს რკინიგზის აგენტათ და ცდილობდა, ხონში რკინის გზა გაეყვანა. ამ გვარათ თუმცა პრაქტიკულ ცხოვრებაში დაიწყო მან ტრიალი, მაგრამ კალამი მას ხელიდან არ დაუტოვებოა გაუვდია. ამ დროს განმამლობაში მან დასწერა „ლომკაცი“ „მამიდა ასმათი“. გარდა ამისა თანამშრომლობდა თბილისის ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში; ამგვარათ შრომა საქმით და სიტყვით მოღვაწეობა პრაქტიკული და თეორიული გიორგიში შეერთებული იყო. 86-89 წელს გიორგი გაზეთ „ივერიის თანამშრომელი გახდა რედაქციამ აღუთქვა გონორალი ყოვე სტრიქონში; გიორგი ხშირათ უგზავნიდა ნაწარმოებს მაგრამ რედაქცია იშვიათათ ბეჭდავდა მის ნაწერებს. სხვა შემოსავალი გიორგის არსაიდგან ჰქონდა ამიტომ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო . ამ დროს ივერიაში იბეჭდებოდა მისი მოთხრობა „ედიშერ ქველბაქიანი“. 90 წელს ბათუმში დარსდა ქართველების არტელი და გიორგი მიიწვიეს, რომ არტელისათვის რივიანი წესწყობილება მიეცა და პატრონობა გაენია მას დაუნიშნეს თვეში ასი მანეთი და არტელის მთელი არსებობა მას მოახვიეს თავზე. გიორგის პირველ ხანებში დიდი შრომა დასჭირდა; სამუშაოს მიცემა ქართველი არტელისათვის ყველას უძნელდებოდა. პირადი თავდებობით რამდენიმე კვირაში არტელს გიორგიმ სამუშაო უშოვნა; მალე საქმე ნელ-ნელა გაიჩარხა და არტელს შემოსავალი რივიანი ჰქონდა. არტელის წევრებმა როცა ეს დაინახეს, იფიქრეს ანი მართო ჩვენს აღარა გვიჭირსო . ეს რომ გიორგიმ გაივო, არტელს თავი დაანება. ამავე დროს

ის მონაწილეობს იღებდა „ჯეჯილში“; სადაც სწერდა ისტორიულ მოთხრობებს (ჩვენი ძველი გმირები). 1891 წელს გიორგი თბილისში გადმოვიდა შვილებით. აქ მეორეთ დაქორწინდა ანასტასია თუმანიშვილის ქალზე, ამავე წელს მან განიზრახა ქართული ჟურნალის დაარსება. მისმა მეუღლემ რომელიც 1890 წლიდან საცმანვილო ჟურნალ „ჯეჯილს“ სცემდა 93 წელს ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“ დაარსა და ამ გვართ გიორგის საშუალება მიეცა ისევ ძველებური ენერჯით მოეკიდა ხელი ლიტერატურული შრომისათვის. 97 წლამდე ბევრი შრომა გაუწვია, რომ კვალისათვის მოეპოვებია, როგორც მწერლები აგრეთვე მკითხველები. გასაკუთრებით ის ცდილობდა, მოეზიდნა ახალგაზრდა მწერლები რომლებსაც ნიჭსა და წერს ხალის ატყობდა. 92 წ. ის აირჩიეს თბილისის ქალაქის გამგეობის წევრათ და მონაწილეობას ღებულობდა ხოლერასთან ბრძოლაში.

მარტო თეორიული მუშაობით ის ვერასდროს ვერ კმაყოფილდებოდა და ამიტომ უკანასკნელი ხუთი წელიწადი ის შეუდგა მთამადნების საქმეს ზემო იმერეთში ჭალის მთაში. ჭალის მთაში წარმოების დაწყებით ის ცდილობდა ხალხის ქონებრივათ წინ წაწევას, რადგანაც სულ ხშირათ იცოდა ხოლმე იმისი თქმა: „სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივათ ცოტა არ მოჭობინდება, სურვილიც რომ დაებალოს, მაინც ვერ დანინაურდება გონებრივათ“. თუ რუსეთში დადიოდა გიორგი ამ საქმისთვის, თუ ჭალის მთებში, დაჰყავდა სპეციალისტები მადნების საკვალავათ. ასეთმა შრომამ ის დაასწეულა და ბოლოც მოუღო. ლიტერატურულ შრომის გარდა, განსვენებულა გიორგი მონაწილეობას იღებდა თეატრის საქმეშიაც, სანამ სამუდამო სცენა დამკვიდრდებოდა; გარდა იმისა, რომ პიესებს წერდა თანამედროვე ცხოვრებიდან სცენაზედაც თამაშობდა ხოლმე. გიორგი იყო მრავალ მხრივი განვითარების პატრონი მოღვაწე. არ ყოფილა არც ერთი დარგი მწერლობისა, რომ მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და კვალი არ დაეჩინა. სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ფელეტონებს, დრამებს, ისტორიულს და საბუნებისმეტყველო წერილებს, არაკებს, პოლემტიკურ მიმოხილვას, კრიტიკულ წერილებს, ფილოლოგიურსა და არქეოლოგიურ გამოკვლევებს როგორც ქართულათ, ისე რუსულათაც. ძლიერი ნიჭი ჰქონდა ბელეტრისტიკაში და დარგს ჩვენი ლიტერატურისას ღრმა კვალი დააჩინა: რეალურ

მიმართულებას მან გაუკლია გზა და მჭიდროთ გაადგმევია ფესვები. როგორი მიმართულებაც უნდა იყოს ქართველი ყველა აღიარებს, რომ გიორგი წერეთელი იყო ქართველი მწერლობის და ცხოვრების ერთი იმ თავგამოდებული მოჭირნახულეთაგანი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის ზრუნვა და თავ განწირული შრომა დაუსახავთ ცხოვრების მიზნათ. უნივერსიტეტის სკამიდანვე ცდილობდა ქვეყნის სამსახურს; გამოვიდა თუ არა ცხოვრებაში, მთელი ორმოცი წელი წაღი თუ სიღარიბე თუ სიცივე და მრავალი სხვა გაჭირვება აიტანა თავისი ერის სიყვარულის გული სთვის თავის ერის კეთილდღეობის გულისთვის შრომას შეაღი თავისი ჯანმრთელობა და მოისწრაფა დღე; 58 წლის მწერალს მგოსანს მწერალს ჯერ კიდევ შეეძლო შრომა სარგებლობის მოტანა. სიკვდილის დროსაც თავისი თავი და ცოლ შვილი კი არ ახსოვდა არამედ საზოგადო საქმე: გარდაცვალების წინ იგი ამბობდა: ნეტავი პატარა ხანს კიდევ დამცლოდა შრომაო. მას სიკვდილის უკანასკნელ უამამდისაც კი ქვეყნის სვე-ბედი აინტერესებდა. გარდაცვალების სამი საათის წინ მოითხოვა დილის გაზეთი და რადგანაც თითონ აღარც თვალი უჭრიდა აღარც ენა, სხვას გადასცა და ანიშნა უკანასკნელი დებუშები წამიკითხეთო... მან მოისმინა ყველა ეს კმაყოფილი მეორე გვერდზე გადაბრუნდა. და სთქვა მოვალეობა მოქალაქისა აღასრულდა და მით აღასრულა თავისი ცხოვრებაო.

გიორგი წერეთელი როგორც ბელეტრისტი

გიორგი წერეთელი აღიჭურა მეცნიერებით, მიიღო მრავალ მხრივი ფართო განვითარება, ადგილობრივ შეისწავლა დასავლეთ ევროპის ცხოვრება და ასეთი მომზადებით შეუდგა მთელი თავისი ენერჯით ჩვენი, ცხოვრების გაუმჯობესობასთვის ზრუნვას. ჩვენ აქ გვაქვს სახეში მისი მოღვაწეობის დაფასება, სიტყვაკაზმული მწერლობის ასპარეზზე... ბატონ-ყმობის მოსპობამდე გლეხ-კაცობა თითქმის არ არსებობდა ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურისათვის, რომელიც იმ დროს არ იყო იმდენათ განვითარებული, რომ მთელი ჩვენი ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი, ყოველი მხარე მისი და თითოეული კლასი გაეხადა თავის შინაარსად. ბატონ-ყმობის გადავარდნამ ჩვენ ცხოვრებას დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა . მასთან მწერლობაც განავითარა, ასპარეზი გაუფართოვა; ამ დროიდან გლეხიც ამოუდგა

გვერდით თავის ბატონს მწერლობაში, შეანვრია მწერლობის ასპარეზის ვიწრო ფარგლები. მალე გაჩნდა ლიტერატურული ჯგუფი რომელმაც მოვალეობად დაისახა რიალური გზა და მთელი ერის ინტერესისათვის ზრუნვა. ამ ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენელი სიტყვა-კაზმულ მწერლობაში არის გ. წერეთელი. რიალურ მიმართულებას გ. წერეთელმა გააღვმევიანა მტკიცე ფესვები ქართულ ლიტერატურაში და და ამის შემდეგ ამ გზას დაადგენ მაშინდელი ახალგაზრდა მწერლები; ~~ლუტუ მგერელი~~, ეგნ. ნინოშვილი და სხვა გიორგი წერეთელი თავის ნაწერებში ერთნაირად ხატავდა, ვლესს, თავადს, აზნაურს, განათლებულს, გაუნათლებელს. ის ღრმად უკვირდებოდა ცხოვრებას და რასაც ამჩნევდა, უტყუარად ხატავდა და არ ამახინჯებდა ცხოვრებას რაც სხვას მრავას ხშირათ მოსდისთ განზრახ თუ უნებლიეთ. გიორგი წერეთლის რიალური მიმართულების მნიშვნელობაც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ცხოვრებაში ყოველგვარ მოვლენას დიდი დაკვირვებით ზომავდა და ნათლად ატყობდა რა იყო საყურადღებო და რა არა. მან აღრევე შეამჩნია ჩვენი ცხოვრების ცვლილება და წინმსვლელობა და დახატა ახალი ცხოვრება, ახლად წარმოშობილი კლასებისა. „პირველი ნაბიჯით“ და სხვა მოთხრობებით, რითაც დაგვანახვა საით მიდიოდა ჩვენი ცხოვრება და რა ელოდებოდა მას წინ. რომანი „პირველი ნაბიჯი“ გარკვევით და ნათლად უმტკიცებს მკითხველს ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებას. გიორგი წერეთლის ნაწარმოებში საუკეთესოთ არის დახატული ყველა წოდების და კლასების ტიპები, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელიც თავის საკუთარს კუჭის ინტერესებს უფრო ეხმაურებოდა, ვიდრე საზოგადო საქმეს. აგრეთვე უნაკლოთ გვიხატავს მაშინდელ სწავლა აღზრდას, მისგან სარგებლობასა თუ მავნებლობას. ეხება ფართოთ ხალხის ზნე-ჩვეულებას, ცრუ მორწმუნეობას და სხვა. და ამ მხრივ მისი შეადგენენ საუკეთესო წყაროს ჩვენი ცხოვრების შესწავლისათვის „ჩვენი ცხოვრების ყვაველი“ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ „პირველი ნაბიჯი“ „პირიმზე ანუ გულქანი“ (ჯერ დაუბეჭდავი) „ლომკაცი“ „მამიდა ასმათი“ „რუხი მგელი“ [„არანკა“] „ედიშერ ქელბაქიანი“. ესენია მისი ბელეტრისტული ნაწარმოებანი. ამის გარდა წერილი მოთხრობებიც ~~გაქცელებით მტრის~~ ამრავალი მოეპოვება. ~~გარდა ამისა მან~~ დიდი სამსახური გაუწია გიორგი წერეთელმა

თეატრსაც: როგორც სხვა ნაწერებში, ისე სცენიდანაც გადაუშალა საზოგადოებას ჩვენი ნამდვილი ცხოვრება. მისი პიესები „ჯიბრი“, „ოჯახის ასული“, „დარია“ სარკესავით მაჩვენებელია საზოგადოების ნაკლისა.... გიორგი წერეთელი ამიერიდან დაუვიწყარი და დიდებით სახსენებელია, როგორც ~~წიგნიერი~~ ნიჭიერი და თავდადებული ლიტერატურული მოღვაწე.

გიორგი წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და მეცნიერი.

გიორგი წერეთელი მარტო ბელეტრისტი და დრამატურგი კი არ იყო, ის იყო ისტორიკოსი, არხეოლოგი, ბუნების მეტყველი. მას აქვს ლინგვისტური ნაწერები, ფილოლოგიური გამოკვლევები და მრავალი მეცნიერული წერილები. მაშინ, მესამოცე წლებში, ისეთი დრო იყო თუ ზემოთ მოყვანილ დარგებში არ იმუშავებდა ქართველი მოღვაწე, მარტო ლიტერატურით საზოგადოება არ დააკმაყოფილებოდა და გიორგი წერეთელი თითქმის ორმოცი წელიწადი ამ დარგებშიაც მუშავებდა დაუღალავად. მედგრად და არც ერთხელ არ უღალატნია თავის მიზნისთვის მას უნდოდა ხალხს გაეცნო შეეცნოთ თავის თავი და თავის ნაწერში „გვართა ბრძოლა საქართველოში“ სჩივის: ვკონებ ერთი ერის ალარ იყოს დღეს ისეთი“, რომ განათლებაში ფეხი შეედგას და იმდენათ თავისი მამულის უმეცარი იყოს, როგორც ჩვენ“.

თავის სიცოცხლეში გიორგი წერეთელი, ამ მიზანს ემსახურებოდა. ახალგაზდა ნიჭიერი მწერალი, ჩქარა დარწმუნდა, რომ ერთგვარი ლიტერატურული ფორმის საშუალებით ხალხის გულამდი იგი ვერ მიწვდებოდა, ამიტომ რაც არ ხერხდებოდა პუბლიცისტიკის საშუალებით ის მოსახერხებელი ხდებოდა ბელეტრისტული ფორმით ან ისტორიული ან საბუნების მეტყველების გამოკვლევით. გიორგი წერეთლის ისტორიული ნაწერები ორგვარია: ერთ ნაწილს წმინდა ისტორიული ხასიათი აქვს, მაგალითათ „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველ დროში“ „საქართველოს ისტორიული საბუთები“. მერე ისტორიული მონოგრაფიები „ბავრატ დიდი“ „გიორგი VIII“ „მეფე ალექსანდრე იმერეთისა“ „მეფე გიორგი ლაშა“ „მეფე ერეკლე II მე“ „მეფე არჩილი“ „მეფე იმერეთისა სოლომონ

დიდი“ და სხვა. მეორე რიგის ნაწერებში ფრიად საყურადღებოა „გვართა ბრძოლა საქართველოში“ VI X საუკუნეში რომელშიცაა აღწერილია დანვრილებით საქართველოს ბუნება და სხვა. ისტორიული წერლების წერამ გიორგი წერეთელი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები გამორკვეული არ არ, სრულებით ცნობაში სისტემაში არ არი მოყვანილი და შეუდგა თვით მასალის მოკროებას და აღბეჭვდას. მან საუცხოვოთ [მოსწავლა-შეისწავლა] ძველი წარწერების და პერგამენტების გაშინჯვას და დაფასებას.

იგი ამორჩევული იყო 1891 წ. მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოების წევრათ მეტათ შესანიშნავია მისი შრომა; გელათის წარწერების გამო და „მოგზაურობა ყვირილის ხეობაში“ გიორგი წერეთელს აქვს ლინგვისტური წარწერები;

ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა.

ყველა მისი შრომა აშკარათ ამტკიცებს მის საფუძვლიან ცოდნას ღრმა დაკვირებას და ორიგინალობას, მისი „ჩვენი ძველი გმირები“ მითოლოგიის შესახებ და „საბუნებისმეტყველო შრომათა“ საუკეთესო ცოდნას რომელშიცაა მდაბიური და გასავები ენით არის აღწერილი ქიმიური და ფიზიკური მოვლენები. სანამ გიორგი წერეთლის ნაწერები, რომელიც დღეს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე გამოცემაში გაფანტულია, არ შეიკრიბება და ერთათ არ გამოცემა მისი ვრცელი ბიოგრაფიის ჩართვით, ჩვენ არ შეგვეძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ ვინ იყო გიორგი წერეთელი და რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი საზოგადოების და ხალხის წინაშე.

დასკვნა

მთელი გემო ნათქვამიდან ძვირფასო მეგობრებო ნაწილობრივათ მაინც გააჩიფთა გავაცანით გიორგი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩვენს ლიტრატურულ ასპარეზზე. ის ხანა რომელიც იძლევა საშინელო დაკნინებას ამა თუ იმ მიმართულებათა შესამოცინა წლებში; გიორგი წერეთელმა მაინც დასძლო ამ დაწყველილ თემას და ღირსეულათ

დაასრულა გახსნილი თავის შემეცნებისა. მან აიტანა ტანჯვა ვაება ცხოვრების ამარებისა. გიორგი წერეთლის გულის დელოვაში ერთი ტკივილი ჩაჭრილიყო, რაფლით დაწურული მშრომელი ხალხის, განსპეტაკებისა და განდიდებისა. მან აიტანა ეს ვებერთელა თემა თავის სიმალლობზე და ღირსეულმა ნათლით შემოსილა საქმეს თავი შესწირა. აღებულ მოტივებიდან მთლიან თუ არა ნაწილობრივად მინც განახორციელა ცხოვრების გულში აღებულ იღებო.

მას არ უგრძენია შეღმართიან გზაზე დაღლილობა, ის ბევრს იტანჯა მაგრამ სიღარიბეს თავი არ დაუხარა, და ყოველ მიმართებას სათანადო პასუხი გასცა. ასე დასრულდა ნამდვილი მებრძოლი ადამიანის სიცოცხლე. (აქ შეიძლება ისევ განმეორდეს მისი უკანასკნელი სიტყვები, მის სიკვდილს მიახლოვებისას):

1925 წ. 11 თებ. გვ. იაშვილი

დანართი 10.2

სიტყვა აკაკისა, წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე,

აკაკის თვიური კრებული, 1900, წელიწადი მესამე, №2, თებერვალი, გვ. 6-9.

„ძვირფასო ამხანაგო, თან შეზრდილო და თანვე შებერებულო გიორგი! ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაშ მე და შენი ნაცნობობის კავშირი არ განწყვეტილა და იმ თავიდან ამ ბოლომდე ერთმანეთთან საუბარი არ დაგვლევია. მაგრამ სჩანს, რომ ჯერ კიდევ არ მოგვეყირჭებია, რომ ახლაც კიდევ-კუბოს კარებთან, მინდა გულ-ხელ დაკრეფილსაც გამოგელაპარაკო! რომ გხედავ სამარის პირად მოსვენებულს, გული მილონდება, თვალზე ცრემლი მომდგომია და ტირილს კი ვერ ვიბედავ, და ვერ ვიბედავ იმიტომ, რომ შენისთანა განსვენებულესტირილი არ შეშვენისთ. ყველასათვის აუცილებელ სიკვდილსაც აქვს თავისი შესაფერი სიტკბილ-სიმწარე!.....“სიკვდილი მართალთა განსვენებაა“-ბრძანებს საღმრთო წერილი, და ეს ჭეშმარიტება სწორედ შენისთანაებზეა გამოჭრილი: მთელი შენი სიცოცხლე ტანჯულ-შრომით გაატარე საზოგადო სამსახურში მოუსვენრად და ახლა მხოლოდ გელირსა

განსვენება. უკანასკნელ წამს შენი ცხოვრებისას, უეჭველია, ცოტაც არის ვიტკობდა ის სამართლიანი შეგნება, რომ შენი ქვეყნის ვალი მოხდილი გქონდა, პირნათლად შეგეძლო წადგომა ღირს წინაპრებთან და აქაც შენ სამაგიეროდ სტოებდი შვილებს, სწორ-გზაზე დაყენებულებს და ანდერძდაც უგდებდი შენს მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე...აი, ამიტომ ველარ ვიბედავ ტირილს და აღარც შენ ცოლ-შვილს ვეუბნები სამძიმარს! მიუუსამძიმრებ შენს დაკარგვას მხოლოდ საზოგადოებას, რომელმაც შენი სიკვდილით ბევრი დაჰკარგა!..ღიახ, განსვენებულო, ერთი უკეთეს მოღვაწეთაგანი იყო ამ ჩვენს დროში. მოვა დრო, როდესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარის შეგნებით და არა სხვების ხმის აყლით დაათვასებენ, და მაშინ გიორგის ნაწერების სილიაღე და სიკეთე გააკვირვებს ყველას. მაგრამ მარტო ნაწერებით ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეთა დათვასება, დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება! მწერლობა მათთვის მხოლოდ ერთი სხვათა შორისი იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღებული!-ისინი ყოველგან და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდენ, იყვნენ დღიურ მუშებად ჩამდგარი და შავი სამუშაო რამეც არ ეთაკილებოდათ.-ერთი მათგანი იყო განსვენებული გიორგიც, მაგრამ ამ ღირსებას დღეს ზოგიერთები ცოდვად სდებენ და დასცინიან: <ყოველიფერს ეპოტინებოდაო>. სცდებიან. თუ კი დღესაც კიდევ აქა-იქ გაისმის საჩივარი, რომ სამკალი ბევრი გვაქვს და მუშები ცოტა გვყავსო, რა უნდა ყოფილიყო ამ ორმოცი წლის წინეთ, როდესაც არათფერი არ ყოფილა მონეული, სამკალი არსად სჩანდა, და პირველ სამუშაო ხვნა-თესვისათვის უნდა გადადგმულიყო პირველი ნაბიჯი? მესამოცე წლის წრე ძალიან პატარა იყო, ისე კაც-მრავალი არ ყოფილა როგორც დღეს; მაშინდელი ერთის საქნარი, სამუშაო, დღეს ასადაც შეიძლება განაწილდეს. ნუ დავივინწყებთ ნურც იმას, რომ იმ მაშინდელ მცირე გუნდიდანაც ბევრმა გადაუხვია და სულ სხვა გზას დაადგა, უდროოდ რომ გული გაუტყდა. მაგრამ გათანატკოსებულ გიორგის კი იმ თავიდან ამ ბოლომდე დედა-ბოძი თავისის მცნებისა არ შერყევია.-შეიძლება რომ საზოგადოებისადმი მისწრაფების დროს ოდესმე გზას გადასცდენოდეს შეცდომით, ფეხი წამოეკრას და წაეთორხილებიოს, ეს მის პირდაპირობას ვერ დაჩრდილავს, რადგანაც, ვიმეორებ, თუ კი მართლა ოდესმე გზას

გადაცდომია, ეს გადაცდენაც წმინდა განზრახვისა და სურვილების გამო ყოფილა
გამონწვეული და არა საპირადო რამ გამოანგარიშებით. ამისთანა კაცებს განყენებული,
კერძო, მხოლოდ საპირადო არა აქვთ-რა, ყოველ გვარ მათ კერძოსაც სარჩულად იგივე
საზოგადო უძევს; ცოლ-შვილს მიტომ ეკიდებიან, რომ ქვეყანას თავის სამაგიერო
მოღვაწეები გაუზარდონ, შეძენას მიტომ ნატრობენ, რომ ქვეყანასვე გამოდგენ და უფრო
ხელ-შეუშლელად ემსახურონ გაუჭირვებლად! ამას ბრბო ვერა ჰხედავს და ცოდვად უთვლის
მათ იმას, რაც მადლისაგან გამონწვეულია... საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ჩვენს
დაკნინებულსა და დაცარულს საუკუნეში სხვათა შორის ერთი სენიც შემოგვეპარა: ჩვენ
ნამდვილ მოღვაწეებს ჯიბრში ვუდგვივართ, სწორი გზით მიმავალს ჩვენვე წინ ველობებით,
ფეხ-ქვეშ ქვა და ლოდს ვუვლორებთ და, თუ იმათაც უნებურად ფეხი წამოჰკრეს, ჩვენ
მზაკვრულ სიხარულს საზღვარი არა აქვს; ყოველგვარ ღირსებას ვაქარწყლებთ და ქვეყანას
ვეთითებთ, რომ აი ფეხი წამოჰკრაო.-ამ ფარისევლების საპასუხოდ ერთი რამ მაგონდება
თვით განსვენებულ გიორგის თავ-გადასავლიდან: ერთ კვირა დღეს, გიორგი წერეთელი
თავის ამხანაგებით ერთად თავ-მოყრილი თამაშობდენ მამა მაგისის დიდ ეზოში; დაჰკრეს
წირვას ზარები და პატარა გიორგი გაეშურა ეკკლესიისაკენ. გზაში ფეხი წამოჰკრა ქვას და
დაეცა, მაგვრამ უკანვე არ დაბრუნებულა, წამოდვა ზეზე, გაიბერტყა ტანისამოსი და წავიდა
მანც საყდარზე. ნაწირვევს, რომ დაბრუნდა, ამხანაგებმა სიცილი დააყარეს, რად
წაიქცეო!..მაშინ გამოესარჩლა შვილს, გიორგის მამა, ექვთიმე წერეთელი და უთხრა
სხვებს:<თქვე უგნურებო, როდესაც ჩემი გიორგი კარგის გრძნობით გატაცებული წირვაზე
მიეშურებოდ, თქვენ მაშინ აქ თამაშობდით და ნუ თუ მისი წაქცევა, ისევ წამოდგომა და
კეთილი განზრახვის აღსრულება უფრო მოსაწონი არ არის, ვიდრე თქვენი აქ დარჩენა,
უბრალო ბურჭალი და სახედრის გაჩინდრიკ-გამოჩინდრიკებაო?!> განსვენებულ გიორგისაც
შეეძლო ამავე სიტყვებით ეპასუხნა ზოგიერთებისათვის!..მეტს აღარას ვიტყვით-საუკუნოდ
იყოს სხენება შენი საყვარელო ძმაო და მეგობარო!..“

დანართი 10.3

ივანე ელიაშვილი, გიორგი წერეთელი. ღრობა, 1925, №26, გვ. 14-15

„გიორგი წერეთელმა ჯერ სამშობლოში, შემდეგ რუსეთსა და ევროპაში მიიღო განათლება და ღირსეულადაც მოახმარა იგი თავის ხალხს. გიორგის განათლება როდი იყო შეზღუდული რომელიმე სპეციალობით. იგი იყო ფართო განათლების კაცი თანახმად მისი დროის მოთხოვნილებებისა და მართლაც ეს ფართო განათლების დალი ასვია მის მრავალმხრივ მოღვაწეობას. იგი იყო უურნალისტიც, ისტორიკოსიც, არქეოლოგიც, ბელეტრისტიც, ბუნებისმეტყველიც (სხვათა შორის სამეცნიერო ტერმინი “უჯრედი“ იმან შემოიღო) და პრაქტიკული მოღვაწეც. იგი, არა თუ თვითონ გულმოდგინედ და დაუსვენებლივ შრომობდა, არამედ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ახალგაზრდობაც ჩაება შრომის უღელში, წახალისებინა, სითამამე მიეცა მისთვის მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლისათვის....

გიორგის შრომისმოყვარეობა არ იყო საკვირველი მისი თანამედროვეთათვის. ვერავინაც ვერ უკიჟინებს სიზარმაცეს ნ. ნიკოლაძეს, სერგეი მესხს, ილიასა და აკაკის, დიმიტრი ბაქრაძეს, მოსე ჯანაშვილს, სანდრო ყაზბეგს, ვანო მაჩაბელს, ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილსა და მრავალ მათ დროისა და შემდეგი ხანის მოღვაწეთაც, მაგრამ ისეთი შრომა, რომელსაც გიორგი აწარმოებდა და რომლის მონმეც მე ვიყავი 1894 წლიდან, მართლაც საკვირველია და აღსანიშნავიც არის.

ამ ხანებში გიორგი ჩაუცმელიც იყო, დაუხურველიც და ნახევრად მშიერიც. თუმცა გაჭირვებული წვრილშვილის პატრონი იყო, მაგრამ იდეურად გატაცებული, იგი ისეთ მუშაობას აწარმოებდა, რომელიც სრულებითაც არ უზრუნველყოფდა მისსა და მისი ოჯახის კეთილდღეობას. მას ედგა საწერი მაგიდა თვისი სამუშაო ოთახის შუა ალაგას. მასზე ელაგა სხვადასხვაგვარი ხელთნაწერები, საკორექტურო ფურცლები, ანგარიშები, გაცხეებული ჩაი ჭიქაში, ნაჭერი პური და სხვა. ამ ოთახში მოძრაობდნენ შინაურები და გარეშენიც. აქვე სწარმოებდა მათ შორის ხმამაღალი ბაასი, კამათი და ყოველგვარი საუბარი. ამის

მიუხედავად, გიორგი თავჩალუნული იჯდა და მუშაობდა. ზოგჯერ კამათსა და საუბარშიც ჩაერეოდა მოკლე ხნით და კვლავ წერას მიჰყოფდა ხელს ისე თითქოს ეს ხმაურობა მას სრულიად არ უშლისო. და მართლაც არ უშლიდა. იმ დროს, როცა მისი თანამედროვე მუშაკნი ცოტად თუ ბევრად ისეთ საქმესაც ეტანებოდენ, რომელიც უზრუნველყოფდა მათ არსებობას, გიორგი ერთხელაც არ ჩასჭიდებია ასეთ საქმეს და მუდამ ფრიად ხელმოკლედ იყო. ეს კი არა და მუდამ იმის ფიქრში იყო, როცა მოიცლიდა, თუ როგორ მოეწყო ხელი აკაკისათვის, რათა მას ჰქონოდა თავისუფალი კუთხე წერისათვის და ახერხებდა კიდევ, დაუმზადებდა ხოლმე ცალკე ოთახში მაგიდას სანერ-კალმითა და ქალღლით, სადაც აკაკი ხშირად სწერდა ხოლმე.

ერთხელ გიორგის ვესტუმრე სწორეთ ისეთ დროს, როცა აკაკი შეეყვანა ცალკე ოთახში და თვითონ კარების გასაღების ჭუჭრუტანიდან უცქერდა. შევედი თუ არა გიორგის ოთახში, მომიბრუნდა, მომესალმა და მიმიყვანა ჭუჭრუტანასთან. -შეხედე, შეხედე, როგორ ყალყზე უდგას თმა და როგორ ღიღინებს, ლექსის დაწერისათვის ემზადება, უყურე!

თუ სადმე საქმეზე, კრებაზე, სტამბაში წასასვლელი არ იყო, გიორგი მუდამ მაგიდას უჯდა და სწერდა. თუ არ სწერდა, კორექტურას ასწორებდა ან კითხულობდა. ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა და მასთან სჯა-ბაასი. შრომას გიორგი ჯერხნობით თითქოს კარგად იტანდა და ბოლომდინაც კარგად აიტანდა, რომ კარგი საზრდოობა ჰქონოდა, მაგრამ ცუდმა საზრდოობამ და გედმეტმა შრომამ დასძლია გიორგის ბუნებრივად ძლიერი სხეული და ჯერ კიდევ არა მოხუცებული იმსხვერპლა კიდევ.....“.

დანართი 10.4

ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, ლიტერატურის მატრიანე, 1952, წ. 6, ნაკვ. I, გვ. 56-58.

„ჩვენ დიდ მოღვაწეთა შორის ყველაზე უმაღლესი გიორგი წერეთელი. როდესაც ქუთაისში მეორე კლასის პროგიმნაზიაში შევედი, გიორგი წერეთელი მაშინ ამიერ-კავკასიის

რკინიგზაზედ მუშაობდა, ის იყო დიდი მეგობარი იოსებ თაყაიშვილისა, რომელიც თვალსაჩინო პიროვნება იყო მთელ გურიაში.

ერთხელ, კვირა ღღეს იოსებმა სადილად დამიძახა: „ჩემთან გიორგი წერეთელი იქნება და მოდიო“. მეც მივედი. იქ იყო გიორგის გარდა ერთი ჩვენი სოფლის ლიხაურის მკვიდრი კაკაბაი ლომჭარია, რომელიც მოსწრებული ენის პატრონი იყო, თამამი, უშიშარი და გლეხების მექომავე.

სადილზე მხიარულობა გვექონდა. ტოლუმბაშად თვით იოსებ თაყაიშვილი იყო. მან სხვების სადღეგრძელო რომ მოათავა, ჩემი სადღეგრძელო დალია და ასეთი სურვილი გამოთქვა: “მე მინდა საქართველოს თავისუფლებას მოესწრო და ისეთი კაცი გამოიხვიდე, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეს”. კაკაბაი ლომჭარია შეედავა იოსებს: “მე მაგის თანახმა არა ვარ“. ყველამ გაკვირვებით შეხედეს და ჰკითხეს: “რატომ?”- “რატომ და კოჭლი კაცი რომ პრეზიდენტად აირჩიონ, არ გვეტყვიან ფეხმართალი კაცი ვერ იშოვნითო?”- ეჰ, ეგ როგორ იქნებაო, -დაუნყეს ლაპარაკი კაკაბაის, -პრეზიდენტს თავი უნდა ჰქონდეს კარგი და არა ფეხიო“. კაკაბაიმ სიცილით მითხრა: -“არ გენყინოს, ხუმრობით ვთქვიო“. მე ვუთხარი: „როგორ მენყინება, რაკი კარვად ვიცი, რომ საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი პრეზიდენტიც ვერაოდეს ვერ გავხდები, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემს თავზე-მეთქი“. მომგარდა გიორგი წერეთელი: “ყმანვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდებას მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!”- მერე ხმამაღლა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მით უმეტეს“-ო.

.....უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, (1887 წელი) მაშინ გიორგი არა მსახურობდა და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. გვინდოდა რაიმე საქმეში მოგვეწყო, მაგრამ გიორგი საქმე ყველაზე უფრო მწერლობა იყო.

.....გიორგი წერეთელი სხვა ჩვენ მოღვაწეებისაგან იმით განირჩეოდა, რომ ძველი მწერლობა იცოდა, ხუცურ ხელთნაწერებს კარვად კითხულობდა, ახალი ქართული ჩინებულად იცოდა. ქართველი მწერლები მის შესახებ სხვადასხვა აზრისა იყვნენ. მაგ., აკაკი

ამბობდა: “გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორესო“. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: “ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგიცა და ავიცაო“.

იგი არქეოლოგი იყო. მისი რეფერატი მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, არქეოლოგიურ მოვზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სტატიებს ბეჭდავდა “в Матерялах по археологии Кавказа“.

ილია ჭავჭავაძესთან ხშირად ჰქონდა პოლემიკა, მაგრამ პირად შეხვედრის დროს მათ ცუდი განწყობილება არა ჰქონიათ და ხშირად იგონებდნენ თავიანთი ძველი მოღვაწეობის დროს, თუ მაშინ რა ღვენასა და რაოდენ უსიამოვნებას განიცდიდნენ“.